ნანული ბუკია

საუკუნის საუბრები

თბილისი
2015 წელი

რედაქტორი: **ლინა ბარათაშვილი**

გარეკნის დიზაინერი: **ნიკა მალაციძე**

სტილისტი-კორექტორი: **მედეა შარიქაძე**

კომპიუტერული მომსახურება: **დავით ხოსიაური**

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „მინიატურის“ მიერ

ISBN 978-9941-0-7581-0

დღეს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი პრობლემა პროფესიონალიზმის კრიზისია, არაპროფესიონალიზმი ფართოდ შეიჭრა ყველა სფეროში, განსაკუთრებით ჟურნალისტიკაში. მავანთა მიერ, რატომღაც ეს პროფესია იოლ სფეროდ იქნა მიჩნეული. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ფულით განებივრებულები ჰაიჰარად გამოსცემენ ჟურნალს ან გაზეთს. არ დაგიდევენ მის ღირსებასა და ხარისხს. არ ფიქრობენ ვის ჭირდება ასეთი გამოცემა.

დიდი ილია ჭავჭავაძე მართალია მხარს უჭერდა, ჟურნალ-გაზეთების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას, მაგრამ ამაში უპირველესად ხარისხს გულისხმობდა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ პრესის ირგვლივ შექმნილ ქაოსში გამოჩნდება ხოლმე ჭეშმარიტი, ღირებული ნაღვაწი, რომელიც ჟურნალისტის პროფესიონალიზმით, მაღალი პასუხისმგებლობით არის დაღდასმული.

სწორედ ასეთად მიმაჩნია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ნანული ბუკიას წიგნი „საუკუნის საუბრები“.

ნანული ბუკია ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში. მისი პუბლიცისტური წერილები, ჩანახატები, ინტერვიუები იბეჭდებოდა ჟურნალის ფურცლებზე და არა მხოლოდ... იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. მას, როგორც შემოქმედს ბედმა გაუღიმა, ადრეული წლებიდან ჟურნალში მუშაობდა ისეთი რედაქტორების გვერდით, როგორებიც იყვნენ: თეო აბაშმაძე, მარიკა ბარათაშვილი, ნარგიზა მგელაძე, ლია კაკაბაძე. სიამოვნებით იგონებს ჟურნალისტი დიდებული პოეტის, ნაზი კილასონიას გვერდით გატარებულ დაუვიწყარ წლებს.

ამ ადამიანების გვერდით ჩამოყალიბდა როგორც ჟურნალისტი, პროფესიონალი.

ნანული ბუკია ნიჭიერი შემოქმედის ხელით ძერწავს თავისი ნარკვევის, პუბლიცისტური წერილისა თუ ინტერვიუს გმირს... გვიხატავს მის მდიდარ სულიერ

სამყაროს, საინტერესო პირად ცხოვრებას (არა გარდერობსა და უმიზნო საგნებში იქექება, როგორც ამას დღეს ბევრი ჟურნალისტი აკეთებს).

მთავარი ისაა, რომ დიდი ნაწილი მისი რესპონდენტებისა, რომლებსაც იგი ესაუბრება, ქმნიან საუკუნის ამინდს, კულტურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, მწერლობაში... მათთან დიალოგებში იკვეთება წარსული და აწმყო, ცოცხლდებიან ლეგენდარული სახეები გარდასულ დღეთა.

მასალები, რომლებიც ამშვენებს ამ მშვენიერ წიგნს, დაიწერა 2007 წლამდე, ვიდრე ყოფილი ხელისუფლება სამარცხვინო ფაქტს ჩაიდენდა, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან, ყოვლად დაუმსახურებლად, სხვა მრავალ რედაქციასთან ერთად, „საქართველოს ქალის“ რედაქციასაც გამოასახლებდა...

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ წიგნის დასასრულს ჟურნალისტი გვთავაზობს ინტერვიუს საკუთარ შვილიშვილთან, მედეა შარიქაძესთან. ჩემის აზრით, ეს ძალზე საყურადღებო და შთამბეჭდავი ფინალია, რამეთუ იბმება კავშირი თაობებს შორის, იკვეთება ახალი საუკუნის ახალგაზრდის ინტელექტუალური სახე, მისი მაღალი სულიერება, მარადიული ღირებულებებისადმი ერთგულება, წიგნიერება... ყველა ის თვისება, რაც დაამშვენებს ახალი საუკუნის საქართველოს აღმშენებელ ახალგაზრდობას.

ვიმედოვნებ, ეს წიგნი ახალგაზრდა ჟურნალისტებს დააინტერესებთ, რამეთუ წიგნში ინახება საიდუმლო გასაღები იმისა, თუ როგორ უნდა წეროს ჟურნალისტმა მკითხველის გულამდე რომ მიაღწიოს.

ლინა ბარათაშვილი

ხილული და ციური საქართველოს დამამშვენებელი

ასე უწოდა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს დიდ შვილს ***პავლე ინგოროყვას*** *პირად წერილში.*

უკეთესად ვერ იტყვი.

ამ მასშტაბის მეცნიერი და ესოდენ სპეტაკი ადამიანი არც ისე ბევრი გვყავს, რომ არ დავინტერესდეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა წვრილმანითაც კი.

სამწუხაროდ, ბატონ პავლეს შვილი არ ჰყოლია, მაგრამ ძმისწულებს ლეილა და ლუიზა ინგოროყვებს შვილებად თვლიდა, მამობრივად ზრუნავდა მათზე, კეთილშობილი ქალბატონებიც ყურადღებას და სიყვარულს არ აკლებდნენ ძვირფას ადამიანს.

პავლე ინგოროყვაზე სასაუბროდ ქ–ნ ლეილას მეუღლეს, ცნობილ კინორეჟისორ **გუგული მგელაძეს** *ვეწვიეთ, რომელიც 25 წელი ცხოვრობდა დიდი მეცნიერის გვერდით.*

მის მოგონებებში თქვენს თვალწინ გაცოცხლდება თავადაც ნიჭიერი კაცის თვალით დანახული დიდი მეცნიერი.

– ბედნიერება მერგო წილად მეცხოვრა ოჯახში, რომელიც პავლე ინგოროყვას სახელს ატარებს. ხელით და გონებით შევხებოდი მის უმდიდრეს არქივს, თუმცა მისი დიდი ნაწილი მუზეუმებს გადავეცით. ბატონი პავლეს ნათელ ხსოვნას ვუძღვენი მონოგრაფია. მზად მაქვს კინოსცენარი, თუმცა მის შემოქმედებას რა მონოგრაფიით ამოწურავ... ასეთ ადამიანთან 25 წელზე მეტი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება დიდი სულიერი ფუფუნებაა.

... იყო უნაკლო, თავმდაბალი, მოწყალე, სულგრძელი,

მაგრამ არავის აპატიებდა მშობელი ქვეყნის აუგს. როცა მისი წიგნი იბეჭდებოდა ოცდაოთხი საათი სტამბიდან არ გამოდიოდა, მაშინაც კი, როცა მძიმე სენით – ტუბერკულოზით დაავადებული სისხლს ანთხევდა. დადიოდა მოხუცი, დიდი, უზარმაზარი პორთფელით, ფილტვებდასნეულებული ნატანჯი კაცი და, ვინ უწყის, რომ მიეღოთ და მისთვის ყური ეგდოთ, ეგებ არ ყოფილიყო დღეს ჩვენს თავს ამდენი თავსატეხი და გულსაკლავი პრობლემა. მეოთხედი საუკუნის წინ მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა ამ პრობლემების „წამალი“.

მისი თანამოაზრენი, სულიერი ძმები იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, რევაზ გაბაშვილი, სერგი ჭილაია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ლავროსი კალანდაძე, ანა რატიანი...

პავლე იყო ზვიად გამსახურდიას ნათლია.

აქვეა წარწერით - „დიდოსტატის მარჯვენა“ - ლუიზა ინგოროყვას, ჩემი ძმადნაფიცის ძმისწულს სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს. კონსტანტინე გამსახურდია.

... საქართველოსთვის თავშეწირული ორი რაინდი პავლე ინგოროყვა და ექვთიმე თაყაიშვილი, ორი დამაშვრალი მამულიშვილი გვერდიგვერდ განისვენებენ დიდუბის პანთეონში.

სიმბოლურად მეჩვენება. ორივე მათგანი, ასე მგონია, „ორსავე სოფელსა შინა“ თავისი ერისათვის იღწვოდნენ და იღვწიან ახლაც – სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც სამაგალითონი.

... ბატონი კონსტანტინე მოსკოვის „ბუტირსკის“ ციხეში იხდიდა სასჯელს. პავლეს მეუღლემ ქეთევან ბაქრაძემ თავისი ხელით ამოქარგული პირსახოცი შეუგზავნა ციხეში ასეთი სიტყვებით „დილა მშვიდობისა!“ კონსტანტინეს საწოლის წინ ეკიდა და ასე ეგონა, მთელი საქართველო მას ესალმებოდა. პავლემ ისე მოაბეზრა მაშინდელ ჩეკას თავი, რომ ერთ პასუხისმგებელ მოხელეს უყვირია: „Или арестуйте этого Ингороква, или же освободите

Гамсахурдия“. გაათავისუფლეს გამსახურდია. ბოლომდე მადლიერი იყო პავლესი დიდი მწერალი. თუ არა პავლე, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი, მთელი ჩემი ცხოვრება ფუთი ქვებით დატვირთულმა რომ ვიარო, პავლეს ამაგს მაინც ვერ გადავიხდიო, – ამბობდა.

ქეთევან ბაქრაძე–ინგოროყვა უაღრესად განათლებული ქალი გახლდათ. მის ნათელ ხსოვნას უძღვნა პავლემ „გიორგი მერჩულე“. ჩვენს ალბომში ინახება ფოტო – ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგელ ქართველ ქალებთან. ერთ–ერთი იმათგანი ქეთევან ბაქრაძეა, მთარგმნელი „დავით კოპერფილდისა“, შესანიშნავი პიანისტი. ერთ დღეს პავლეს მორიდებით უთქვამს, მუშაობაში ხელი მეშლებაო. ის დღე იყო და ის დღე, ქეთო როიალს აღარ გაჰკარებია. გულმოწყალეს საახალწლოდ წყნეთიდან ჩამოსული შეშის მჭრელისათვის თავად ხელმოკლეთ, მეუღლის მთელი თვის ჰონორარი მიუცია, რომ არ უჭირდეს კაცს, ამ ყინვაში ქუჩა–ქუჩა ხომ არ იხეტიალებდაო.

1937 წელმა მძიმე კვალი დაამჩნია ინგოროყვების ოჯახსაც. ქ–ნ ქეთოს დაუპატიმრეს ერთადერთი ძმა, პავლესაც ემუქრებოდნენ დაჭერით, სათნო მანდილოსანმა ვერ გაუძლო, ინსულტი დაემართა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთი წუთითაც არ მოშორებია საყვარელი მეუღლის სარეცელს პავლე. ახალგაზრდობაში ისე თავდავიწყებით ჰყვარებია ქეთო, ერთხელ სასოწარკვეთილს თავის მოკვლა განუზრახავს, ტყვია უსვრია, ექიმებს არ ამოაღებინა, საფლავში ჩაიტანა.

..„გიორგი მერჩულეზე“ მუშაობისას ძალზე გაურთულდა ტუბერკულოზი, სულ სისხლს იღებდა, ექიმები უკრძალავდნენ, არ ნებდებოდა, ისე წერდა ქართველი ხალხის ათასგვერდიან მატიანეს. იმ წელს ქვიშხეთში ისვენებდა. ცუდად შეიქნა. დეპეშა აფრინეს თბილისში კონსტანტინესთან, მეორე დღესვე ბატონი კონსტანტინე ორი პროფესორით პავლესთან გაჩნდა, რარიგ უხდებოდა იმ დღეს სპორტული ტყავის ქურთუკი,

ხელი ახალგაზრდულად ჰქონდა ჯიბეში, მეორე ხელით ულამაზესი დობერმანი ეჭირა შესაბმელით. ეს ორი პიროვნება ისე შეხუმრებულები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, რასაც ვერცერთს ვერავინ შეჰკადრებდა. პავლე ინგოროყვა იყო ერთადერთი კაცი, ვისაც ბატონი კონსტანტინე დიდი მოწიწებით და თავმდაბლობით ეთათბირებოდა.

... ბ–ნი პავლეს არქივში ერთ ქაღალდს წავაწყდი: „პავლე, ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა. შენი ექვთიმე“. ამას წერდა ერისკაცი თავის დროზე გუშაგად რომ გაჰყვა საქართველოს აურაცხელ ქონებას, მის საგანძურს, მის ისტორიას, რათა ათეული წლები ეშიმშილა უცხო მხარეში და ღრმადმოხუცებულს გამდიდრებული დაებრუნებინა განძი თავის ქვეყნისათვის. ეს კაცი სწერდა, რომ მასთან მისვლა შეიძლებოდა, აღარ დაიჭერდნენ, არ აწამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ!

... ოთხმოცდახუთის რომ შესრულდა, ნოდარ დუმბაძემ ინახულა. ძალიან უყვარდა ნოდარი, აღტაცებული იყო მისი ნიჭით, იუმორით და მახვილგონიერებით. იწვა, შეუძლოდ იყო. ნოდარი სასთუმალთან მიუჯდა, ჩვეული გულითადი საუბარი გაუბა, იმდღევანდელი საუბრიდან ეს დამამახსოვრდა პავლესაგან – „ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორიც ჩვენია, აუცილებლად გამძაფრებული უნდა ჰქონდეს ნაციონალური გრძნობა, რაც მრავალრიცხოვანი ერისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მცირერიცხოვანი ერისათვის დამღუპველია“.

– ქრისტეს ჰგავსო, – მითხრა ნოდარმა, როცა კიბეზე ჩადიოდა, ცრემლები წამოუვიდა.

... ბატონ ედუარდს პავლესათვის საიუბილეო თარიღი უნდა მიელოცა. დაფაცურდა სახლმმართველობა, დააკრიალეს ქუჩა, გაარემონტეს მწერალთა სახლის ჩვენი სადარბაზო გოგებაშვილის ქუჩაზე. შემდეგაც, როცა დაჭუჭყიანდებოდა იქაურობა სახლმმართველს ვურეკავდი, მგონი ისევ აპირებენ მოსვლას–მეთქი და ... ისევ დაფაცურდებოდნენ. ჩემი მეუღლე ლეილა

ინგოროყვა რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა ბატონ პავლეს, იმდენჯერ ეუბნებოდა (მეხსიერება ღალატობდა) – შენთან უნდა მოვიდეს ედუარდ შევარდნაძე, მოგიკითხავს, გაგესაუბრება, ბოლოს ალბათ გკითხავს, რა გიჭირს, რითი დაგეხმაროთო, შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს ქეთინოს, გათხოვილს, ბინა არა აქვს და თუ შეიძლება დაგვეხმარე–თქო. ეს დიალოგი დიდხანს გრძელდებოდა. ბოლოს ლეილა ამბობს, ახლა ჩავატაროთ გენერალური რეპეტიცია! ვითომ მოვიდა შევარდნაძე. პავლეს ოთახში შევდივარ მე. იწყება რეპეტიცია:

მე – როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

პავლე – (შეშინებული) გამარჯობა, რომელი ხარ?

მე – მე ვარ შევარდნაძე... ვერ მიცანით?

პავლე – გიცანით!

მე – როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

პავლე - არა მიჭირს.

– ხომ არაფერი გნებავთ... სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ?

– კი.

– მიბრძანეთ.

პავლემ გახედა ლეილას და ქეთინოს, მერე მე (შევარდნაძეს) მომხედა და წაიჩურჩულა:

– საქართველოს მოუარე, საქართველოს!

აი, ჭეშმარიტი პავლე ინგოროყვა.

– არც მანქანა, არც სახლი, არც ჩაცმა, მხოლოდ პური და წყალი; ჭერი, საწერი მაგიდა, წიგნები, ხელნაწერები... 90 წელს ისე მიაღწია, ერთხელ არ დაუწუწუნია. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა: „დედაჩემს კარგი სხეული მოუციაო“. მძიმე სენი კი უღრღნიდა ფილტვებს. ერთი რამის ეშინოდა – ორპირი ქარის (ორპირი ხალხისაც), სულ ითხოვდა, კარი დაკეტეთ, ფანჯარა დაკეტეთო. თვალები მე დავუხუჭე, ცუდად გავხდი. პირველად ვხედავდი ადამიანის გარდაცვალებას.

... ბატონ პავლეს ძნელად უბეჭდავდნენ ნაწარმოებებს. ოცი წლისამ გამოსცა „ქართული სასულიერო პოეზიის“

ანთოლოგია და ილია ჭავჭავაძის სრული კრებული. ტირაჟს არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა, ოღონდაც დაებეჭდათ. რამდენიმე ეგზემპლარიც რომ დაიბეჭდოს, იმას ვეღარ მოსპობო! ტიტანური შრომა შეეძლო, ზოგჯერ ფრაზას საათობით ხვეწდა და სრულყოფდა. უყვარდა თქმა „წერტილის დასმა უნდა იცოდეო“. მისგან ვიცი, ვერაფრით დაუსვა წერტილი „გიორგი მერჩულეს“ ერთ თავს. ბოლოს მიუგნია ორი დამამთავრებელი სიტყვისათვის – მზე ზენიტშია! აი, რას ნიშნავდა მისთვის დროზე წერტილის დასმა. მხოლოდ ერთხელ ვნახე აღელვებული. საკუთარ თავს არ ჰგავდა. ერთ ქართველ პოეტს დაეწერა ლექსში: „ჩემთვის ერთია მეფე ერეკლე და აღა–მაჰმად–ხანი, სადაც კი წავალ, მე სამშობლოს ყველგან ვიშოვი“. ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. მეფე ერეკლე, რომელმაც ოცდათოთხმეტი ჭრილობა ჩაიტანა სამარეში, ვის შეადარა?!

... ერთ მეგობარს „ყური აუწია“. მისი აპოლოგიური ლექსები რომ წაიკითხა.

... ექვთიმე თაყაიშვილის დიდი პატივისცემა ჰქონდა, მის მოქმედებას სრულიად ნორმალურად მიიჩნევდა – „აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყოო“. ეს ორი პიროვნება ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. მინდა მათზე დოკუმენტური ფილმი შევქმნა. დიდი მასალა მაქვს შეგროვილი. ჰგავდნენ იმიტომ, რომ ორივე პირადულზე მაღლა ეროვნულს აყენებდა, განგებამ ამიტომაც თუ ისურვა, გვერდიგვერდ რომ განისვენებენ.

... საათობით იჯდა და ელოდა ეს ჭლექიანი კაცი ვეებერთელა პორთფელით, რომელშიც ელაგა საჭირო წიგნები, მასალები, რუკები, მწერალთა კავშირში, გამომცემლობებში, ცეკაში, საათობით იჯდა და ელოდა... „წავიდა“? – იკითხავდნენ და მეორე კარიდან ეპარებოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

მის არქივში უამრავი მასალაა საზღვრებზე, მოსახლეობის შემადგენლობაზე. ტერიტორიაზე, რომელ საუკუნეში სად, რამდენი არაქართველი ცხოვრობდა.

მოსახლეობის აღწერისას დაჰკანკალებდა, არცერთი ქართველი არ უნდა გამოჰკლებოდა საქართველოს.

... დიდი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაგვიტოვა: წერილები საყვარელი მეუღლისადმი, მიმოწერა ექვთიმე თაყაიშვილთან, გრიგოლ რობაქიძესთან, ლავროსი კალანდაძესთან, უამრავი წერილი კონსტანტინესთან. „აბა, შენ იცი, ვეფხო, უჩემობა არ შეიმჩნიო. შენი მტრისა ვარ ლახვარი“. მალე შევხვდებით ერთმანეთს და „ვიგენიოსებთ“, – წერს ერთგან დიდი მწერალი.

... მწერალთა რიგები „გადაახალისეს“, კავშირიდან გარიცხეს ორი „რეაქციონერი“, „შოვინისტი“ – კონსტანტინე გამსახურდია და მწერალთა კავშირის შექმნის მოთავე პავლე ინგოროყვა. 1931 წელი იყო.

... „გიორგი მერჩულეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შემოქმედების ღრმა ანალიზი, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ქება–დიდება ქართული ენისა, თამარ მეფის „იამბიკონი“, განსაცვიფრებელი „რუსთაველიანა“, მის მიერ დაწერილი და მოპოვებული. თამამად ეყოფოდა სამუშაოდ მთელ საუკუნეს ერთ რომელიმე სამეცნიერო დაწესებულებას“. ნ. დუმბაძე.

... ვინ უწყის, რამდენი წელი შეალია „ვეფხისტყაოსნის“ თითოეულ სტროფს. რუსთაველის 800 წლის იუბილეზე კი გარიყული აღმოჩნდა. საქართველოს ჭირ–ვარამში დამდნარი კაცი ამ იუბილეს კუთხეში მიყუჟული ტელევიზიით ისმენდა. რა მოხდა მერე, მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ხალხისო, – იმეორებდა.

... გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ასეთი ბარათი გამოუგზავნა: „საქართველოს დიდ შვილს, ერის ბერმუხას, ახალგაზრდობის წმინდა წინამძღოლს, დიდად დამაშვრალს და მრავალ ღამენათევს, ჩვენი ერის ისტორიის დიდ მესაიდუმლეს, ხილული და ციური საქართველოს დამამშვენებელს, ბატონ პავლე ინგოროყვას, ქრისტესმიერი სიყვარულით,

რწმენით, პატივისცემით, იმედებით... იხარეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

1982 წელს გარდაიცვალა პავლე ინგოროყვა. კაცი, რომელსაც სტკიოდა ყველაფერი, რაც ტკიოდა მის პატარა ქვეყანას.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონი გუგულისა და ქ–ნი ლეილას ოჯახზე, ასე სათუთად რომ ინახავენ დიდი წინაპრის ხსოვნას.

მოუთმენლად ველით გუგული მგელაძის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს საქართველოს დიდ შვილებზე. ვფიქრობთ, აქ მას ვერავინ შეეცილება.

2000 წ.

მეუღლე

სოფელი გლდანი. გულისაშვილის ქ. №4. ამ წალკოტად ქცეულ ბაღში, 1942 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – 1969 წლამდე ცხოვრობდა ქართული ფილოსოფიური სკოლის ბერმუხა, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. დღეს მისი მეუღლე ქალბატონი ქეთევან კლიმიაშვილი–ნუცუბიძე *ჩვენი სტუმარია.*

– **ქალბატონო ქეთევან, თქვენ საინტერესო წიგნი–მონოგრაფია უძღვენით არა მარტო თქვენთვის, არამედ მთელი ქართველი ერისთვის სათაყვანებელ პიროვნებას, შალვა ნუცუბიძეს, ამ წიგნის წაკითხვა ყველამ როდი მოახერხა, იქნება კიდევ დაგრჩათ რაიმე სათქმელი?**

– ძალიან ბევრი. მზად მაქვს მესამე გამოცემა. ჩვენში გამეფებულმა უხეირო ცენზურამ, გამოშიგნული, უაზროდ შეკრეჭილი დასტამბა იგი. ახალ გამოცემას დაემატება შალვას ქუთაისის პერიოდი, შეივსება გრიგოლ რობაქიძესთან ურთიერთობის ამსახველი ამბებით, შეიკვრება სახელოვანი ადამიანების მოგონებებით. განსაკუთრებით საინტერესო იქნება დღევანდელი მკითხველისათვის შალვა ნუცუბიძე – ფედერალისტი. ეს ცალკე თავი იქნება და აისახება მის მიერ გაწეული მუშაობა იმ სამი წლის მანძილზე, როცა საქართველომ პირველი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ოსეთის ოლქი უნდა გაუქმდეს, კომუნისტების მოგონილიაო, დამოუკიდებლობას რომ მომასწრო, ჩემი ფეხით ჩამოვუვლიდი სრულიად საქართველოს და გამოკითხვასაც თავად ჩავატარებდიო, ამბობდა ხოლმე. ამაზეც მინდა ვთქვა ცოტა რამ.

– **საინტერესოა, ცოცხალი რომ ყოფილიყო დღევანდელ მოვლენებს როგორ შეაფასებდა?**

– ყველაფერში პირველი იქნებოდა, რა ასაკშიც უნდა ყოფილიყო, ეროვნული დროშით ხელში, წინ გაუძღვებოდა ახალგაზრდებს. საქართველოს საკეთილდღეოდ არაფერს ითაკილებდა. ბოლომდე სწამდა საქართველოს

დამოუკიდებლობის. მისი პროგნოზით კომუნისტურ სისტემას საფანელი 50 წელზე მეტხანს არ უნდა ყოფნოდა, 70 წელი კი იარსება. განა რამდენხანს შეიძლება ადამიანი ცირკში თავდაყირა იდგესო, ასეთი შედარება მოჰყავდა.

– **რისთვის დააპატიმრეს, იმისთვის ხომ არა, აღმოსავლური რენესანსის თეორია რომ წამოაყენა?**

– არა ბატონო. მიზეზი უფრო ღრმა იყო. მან შესანიშნავად იცოდა: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური, ბერძნული. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა რუსულ ენაზე უკვე დაწყებული ჰქონდა. პეტერბურგში დაამთავრა ისტორია–ფილოლოგიის ფაკულტეტი. დიდი ნაცნობ–მეგობრების წრე ჰყავდა გერმანიაში. როცა მისი შრომები ლაიფციგში და ბერლინში დაისტამბა, გერმანელმა ერმა გერმანული ფილოსოფიის ამომავალ ვარსკვლავად აღიარა. იმასაც კი ასაბუთებდნენ, რომ მათზე უკეთ ფლობდა მათ ენას. თვეობით ცხოვრობდა გერმანიის ქალაქ ფრონაუში. ასეთი კაცი ჭირდებოდა მაშინდელ მთავრობას. ბერიამ იხმო და საგანგებო დავალება შესთავაზა. არ დათანხმდა, ფაშისტად მონათლეს და 1938 წელს დააპატიმრეს, არ უდარდია. ჩემი ყველა მეგობარი და თანამოაზრე ციხეშია და მე კიდეც მესირცხვებოდა ქუჩაში გამოჩენაო. ერთმა მეგობარმა ასეთი რამ უთხრა, შენს ცხოვრებას ერთი სილამაზე აკლდა – ციხე და ისიც გერგოო. ერთი წელი გაატარა პატიმრობაში, სამი წელი მოსკოვში იცხოვრა, არ ჰქონდა თბილისში ჩამოსულის უფლება. სტალინმა იხსნა პატიმრობიდან. საკანში ინკოგნიტოდ შემოდიოდა პიროვნება და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნილი გვერდები მიჰქონდა, მერე გაირკვა, თურმე სტალინისათვის. სტალინი აღფრთოვანებულა თარგმანით და გაათავისუფლებინა. ის ღამე ერთად გაუტარებიათ. ბევრი უსაუბრიათ, აღტაცებაში მოსულა შალვას განსწავლულობით, პოლიტიკა ბინძური რამაა, ასეთი მეცნიერი რად დაშვრი ამაოდო, უსაყვედურია და სახლამდე მიუცილებია, ნაპატიმრალი კაცი რაიმე ხიფათს არ გადაყროდა, თან სანოვაგეც უხვად უბოძებია, სახლში არაფერი გექნებაო. ხელქვეითებისათვის დავალება

მიუცია, ეს კაცი პარტიაში უთუოდ შეიყვანეთო. ომმა იხსნა, შალვასთვის ვის ეცალა, პარტიაში არ შესულა.

აი, თქვენ რომ რენესანსი ახსენეთ, ეს თეორია მან ციხეში შექმნა. საფუძველი ასეთი იყო, – რომ დასავლეთის რენესანსს წინ უსწრებდა აღმოსავლური რენესანსი, ე. წ. ქართული, რომელშიც XII საუკუნის საქართველოს გულისხმობდა, შოთა რუსთაველს, იოანე პეტრიწსა და პეტრე იბერს. ასე ჩაუყარა საფუძველი ქართულ არეოპაგულ მეცნიერებას. ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, აღიზიანებდათ მისი ენების უბადლო ცოდნა, ზოგს მისი უბრალოება და თავმდაბლობაც. საოცარი ტრიბუნი, ორატორი და მჭევრმეტყველი გახლდათ, ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ დაბადებული. როგორც წესი, ლექციას, სამეცნიერო გამოსვლას წინასწარ არ წერდა.

– **სად გაიცანით, მგონი თქვენ მისი სტუდენტი იყავით?**

– მამაჩემის მეგობარი იყო. ოცდაექვსი წლის, ქმარგაშორებული, ორშვილიანი ვიყავი მაშინ, ის 55 წლის ქვრივი, ერთშვილიანი, ორი შვილიშვილის ბაბუა. ნოველებს ვწერდი, მოვიმიზეზე და რჩევის საკითხავად ოჯახში მივადექი უცერემონიოდ. შემაგვიანდა, ათ საათზე უკვე დასაძინებლად წვებოდა, ამერიკის პრეზიდენტი რომ ხლებოდა, არ მიიღებდა. რატომ ასე გვიანო, მკითხა, გიდარაჯებდით–მეთქი, დავიმორცხვე. ნაწერები მომიწონა. ალბათ ესეც ბედისწერა იყო. პატიმრობიდან ახლადდაბრუნებული იყო. მის ირგვლივ მყოფი ბევრი გასათხოვარი ქალი მის ცოლობაზე ოცნებობდა. ასე გავხდი მისი ცოლი 1942 წელს. განუმეორებელი პიროვნება იყო. ძალიან ბუნებრივად მისი სულიც გამაცნო და ჩემს თავშიც ჩამახედა. ჩემი „ნაჯღაბნის“ გარჩევას კი არა, ნებისმიერ სადისერტაციო თემას ათ–ხუთმეტ წუთში მიმოიხილავდა და სათანადო, ამომწურავ პასუხსაც იქვე გასცემდა დისერტანტს, ფეხზე მდგარი, არც კი ჩამოჯდებოდა.

– **ყური მომიკრავს, არ ვიცი ჭორი იყო თუ სინამდვილე, ბატონი შალვა კომერციული ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული.**

– ნამდვილად იყო. ამისათვის მან დააარსა

სპეციალური კურსები. ინგლისში ლორდები ჯერ კომერციაში ცდიან ბედსო, იტყოდა. ჩვენი უნივერსიტეტის სტამბა შალვას დაარსებულია. კარგად იცნობდა ევროპულ ყოფას. ჩვენგან გაიტანა ხალიჩები და შემოიტანა სასტამბო დანადგარები, ქაღალდი. მაინც გული მტკივა, მისი მრავალმხრივი ნიჭი ჩვენმა მთავრობამ სათანადოდ ვერც პოლიტიკაში, ვერც კომერციაში რომ ვერ გამოიყენა. დაბადებული იყო სახელმწიფო მოღვაწედ. მთავრობა არასოდეს გვავიწროვებდა. ცოდავდნენ რედაქტორები, გამომცემლები, ფილოსოფიის ინსტიტუტის მესვეურები. არავითარი ორდენი და მედალი არ ჰქონია, 1962 წელს პედაგოგიკის ინსტიტუტმა მიანიჭა გოგებაშვილის სახელობის მედალი. იუბილეებს ვერ იტანდა, საიუბილეო სავარძლებში წამოსკუპულებს ვერ ვეგუებიო. 80 წლის იუბილეზე ძლივს–ძლივობით დაიყოლიეს, ვერ მოესწრო. იქ წასაკითხი სიტყვები დაკრძალვაზე წარმოსთქვეს.

– **როგორი იყო ოჯახში, შვილებთან?**

– დიდი ოჯახი გვქონდა. 5 შვილი, ორიც მისი შვილიშვილი. ორი ჩემი იყო და სამი საერთო. უფროსი შვილი ოთხი წლისა გარდაგვეცვალა, ეზოში ასაფლავია. ეს სამოსახლო რომ მოგვიზომეს, ნაეკლესიარი ყოფილა, მოგვიანებით გავიგეთ, ალბათ ამიტომ თუ დაგვსაჯა განგებამ.

ბავშვებს ისე ექცეოდა, როგორც თანატოლებს. ჩემს შვილებსაც დიდი ამაგი დასდო. ყველას უპატრონა და დააყენა გზაზე. ლაღად და უზრუნველად უნდა იცხოვრონ პატარებმა, სიძნელეები მერეც ეყოფათო, იტყოდა. ჯიბეები სულ გამოტენილი ჰქონდა ხილით, სიგარეტით, ნუგბარით, ზეპირად იცოდა ამ ახლო–მახლოს ვის რა უყვარდა. მის სახელს ფიცულობდნენ მეზობლები. ყველას შემწე და დამხმარე იყო. მხიბლავდა მისი ასეთი უბრალოება. ზოგჯერ უყვარდა განმარტოება. მუშაობდა დილით. ვიდრე ხუთ გვერდს არ დაწერდა, ხმას არავის გაგვცემდა, მერე მის საოცნებო ბაღს მიაშურებდა, შრომაში ჩვენც ვყავდით ჩაბმული.

– **ჩემი აზრით, ქალბატონო ქეთევან, თქვენნაირი**

ერთგული და შეწირული მეუღლე ბევრ ქართველ მეცნიერს არ ჰყოლია.

– გმადლობთ ასეთი ქათინაურისთვის. შალვა ხშირად იკვეხნიდა, ჩემმა მეუღლემ ცხრა ხელობა იცისო. მე მისი ოჯახის დიასახლისი ვიყავი, მანქანის საჭეს ვუჯექი, ვკერავდი, სამ ენაზე ვბეჭდავდი მანქანაზე, ბაზარში დავდიოდი, იღლიაში მუდამ ნერგები მქონდა ამოჩრილი, ვიყავი წიგნების გადამწერი, კორექტორი, სტამბაში წაღებ–წამოღებაც მე მეკისრა. შალვას რვატომეული სულ ჩემი ხელითაა გადაწერილი. კოლმეურნეობაშიც შევედი. ეს ნაკვეთი სამჯერ წაგვართვეს და დაგვიბრუნეს. შალვას ამ ბაღით ედგა სული. ერთხელ ბატონმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა ხელები მაგიდაზე დამაწყობინა, იმდენ რამეს ყვებიან შენზე, ნახევარი არა მჯერაო, როცა დამხედა და ჩემი დაკოჟრილი ხელები ნახა, ჩაეღიმა და მერე „გამანთავისუფლა“. ასეთი კაცის მეუღლეობა ადვილი როდი იყო, გაყოლისთანავე უარი ვთქვი ყოველგვარ პირადულზე, თითქმის მზად მქონდა საკანდიდატო დისერტაცია და ძლივს მოვიცალე მის დასაცავად (პროფესიით ბიოლოგი ვარ), სადოქტოროს აღარ მივბრუნებივარ. ის ჩემზე ორჯერ უფროსი იყო ასაკით, მაგრამ ჩემზე ათჯერ ახალგაზრდა სულით.

– **ვისთან მეგობრობდა?**

– მისი განუყრელი მეგობარი იყო ანდრია რაზმაძე. აფასებდა, დიდ პატივს სცემდა კონსტანტინე გამსახურდიას. პირველი ვინც მოსკოვში ციხიდან გამოსული ინახულა, ბატონი კონსტანტინე გახლდათ. ეს კარალიოკის ხე მისი დარგულია, გარდა სულიერი მეგობრობისა მათ აკავშირებდათ საერთო ჰობი – ნადირობა. ჩვენთან ყველას სიამოვნებდა მოსვლა, ბაღი იყო, შალვა იყო და იმიტომ მოდიოდნენ: ივანე ბერიტაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ლევან გოკიელი, იოსებ გრიშაშვილი, კალისტრატე ცინცაძე. ყველა მეზობლის და ახლობლისათვის ჩვენი სახლის კარი მუდამ ღია იყო. შალვას უყვარდა ადამიანი, მისი ყოველგვარი სისუსტეების მიუხედავად და ეს გრძნობა მეც ჩამინერგა.

– **იმ ცნობილ შევიწროებაზე რას გვეტყოდით?**

– შალვა რომ თავიდან მოეცილებინათ, უნივერსიტეტის რექტორს ცეკას მაშინდელმა მდივანმა ჭკუა დაარიგა: დასავლეთ ევროპის ენების კათედრა სულაც გააუქმეო. ისიც ასე მოიქცა და მერე ლექციებს აღარ აკითხებდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით, იმ წყეულ 1953 წელს, საქართველოს აკადემიის შემადგენლობიდანაც გამოიყვანეს, როგორც გერმანიის ფაშიზმის აგენტი. დავრჩით სულმთლად უსახსროდ და ულუკმაპუროდ. არც ის ვიცოდით, თურმე პენსია გვერგებოდა. კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, ამ დალოცვილმა მიწამ გამოგვკვება. მოგვყავდა ხილი, ბოსტნეული. ვყიდდით და ამით ვირჩენდით თავს, არანაირი შრომა არ გვეთაკილებოდა. გავურიგდებოდით მყიდველს, მოვიდოდნენ და თავად კრეფდნენ. შვიდი წლის შემდეგ ისევ აღადგინეს აკადემიაში, მაგრამ გაუთავებელმა დისკუსიებმა, უთანაბრო ჭიდილმა ჯანმრთელობა საგრძნობლად შეურყია.

– **რა აზრის ბრძანდებით სარწმუნოებაზე?**

– დროულია ქართველი ერის სარწმუნოებისაკენ შემობრუნება. რაც ჩვენ გვჭირდა სარწმუნოების მხრივ, უპრეცედენტო მოვლენაა. მე და შალვა დიდი მორწმუნეები ვიყავით. ჩვენი ოჯახის განუყრელი მეგობარი იყო კალისტრატე ცინცაძე, შვილის გარდაცვალების მწუხარება მისი შემწეობით დავძლიეთ, ფსალმუნების კითხვამ გადაგვატანინა. ეს ვარდი, ასე რომ შევხარით მთელი ოჯახი, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უძღვნა შალვას, მისი ასი წლის იუბილის თარიღს, 1988 წელს დაგვირგო.

... სიკვდილის ჟამს, სარეცელთან გვიხმო ყველანი და გაგვაფრთხილა, იცოდეთ, ამ ეზოდან ჩემი ცხედარი არ გაიტანოთო, მაგრამ დამკრძალავ კომისიას ვერ გავუმკლავდით, ვერც შვილებს გავუტეხე ხათრი და ეს ბოლო თხოვნა–ანდერძი ერთადერთხელ ვერ შევუსრულე. უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს, რისთვისაც უნდა მაპატიოს მისმა სპეტაკმა სულმა.

1991 წ.

საქართველოსთვის დაბადებულნი

*ბატონი **ალექსანდრე ჯავახიშვილი** იმ დღეებში ძალზე მოუცლელი გახლდათ, სახალხო ფრონტის დამფუძნებელ კრებაზე გამოსასვლელად ემზადებოდა, პარალელურად 9 აპრილის ამბების შემსწავლელი კომისიის სხდომებზე იწვევდნენ. საქართველოს ბედით შეჭირვებულმა, ათასნაირი საფიქრალით დატვირთულმა მეცნიერმა, მოცალეობის ჟამს უარით არ გამოგვისტუმრა, რამდენიმე კითხვაზე გაგვცა პასუხი და თან დასძინა, რომ, დედაზე, ღვთაებრივი ივანე ჯავახიშვილის მეუღლეზე, ანასტასია ორბელიანზე უკეთ, მისი დისწული, თითქმის დიდედის გაზრდილი და მისი უსაყვარლესი შვილიშვილი **დალი გერსამია** გვიამბობდა.*

– ბატონო ალექსანდრე, მინდა ვისარგებლო ამ ბედნიერი შემთხვევით და თქვენ, როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს გკითხოთ – როგორია დღევანდელი საქართველოს ვითარება, იწყება თუ არა ის ბედნიერი ხანა, რაზედაც თქვენი მამა, დიდი ივანე ჯავახიშვილი ოცნებობდა?

– დღევანდელ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში, ასე ხელაღებით თქმა იმისა, თუ რა მოგველის ხვალ, შეუძლებელია. ერთი კი ცხადია, რომ მდგომარეობა დღესდღეობით რესპუბლიკაში ძალიან დაძაბული და გართულებულია. გვმართებს დიდი სიფრთხილე, წინდახედულება, აჩქარება ყოვლად დაუშვებელია, ვაი თუ, მცდარი ნაბიჯის გადადგმა შემდეგ საბედისწერო და სავალალო გამოდგეს ქართველი ერისათვის. ვიკმაროთ 9 აპრილისა და აფხაზეთის სისხლი...

– რა აზრის ბრძანდებით დღევანდელ ახალგაზრდობაზე?

– შესანიშნავი ახალგაზრდები გვყავს, ნიჭიერი,

უნარიანი. თამამი და უთუოდ ანგარიშგასაწევიც...

– კადნიერებაში ნუ ჩამითვლით და როცა თქვენ ლაპარაკობთ ან ტრიბუნასთან დგახართ, ასე გვგონია, ბატონ ივანეს ვუსმენთ, მისი სახება წარმოჩინდება თქვენში, თუმცა ჩემი თაობა ამ ბედნიერებას მოკლებული გახლავთ.

– თქვენ ცდებით, მამა სხვა კაცი იყო, სხვა პიროვნება, სხვა განზომილებით აფასებდა ყოველგვარ მოვლენას, ალბათ რაიმე გარეგნული მსგავსება არის ჩემშიც...

* * *

ინტერვიუს ვაგრძელებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის შემსწავლელი მუზეუმის გამგესთან **დალი გერსამიასთან.**

– რაც პაპას, დიდებულ ივანე ჯავახიშვილს და მის მეუღლეს ეხება, განურჩევლად იმის, თუ რა მნიშვნელობისაა იგი, ყველაფერი საინტერესოა ჩვენი მკითხველისათვის, ჩვენი ერისათვის.

– პაპა კარგად არ მახსოვს, როცა გარდაიცვალა, 6 წლის ვიყავი. ერთი რამ კარგად ჩამებეჭდა მეხსიერებაში; 1937 წელს, როცა ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველის იუბილე იზეიმა, პირველ საბავშვო ბაღში დავდიოდი. დედაჩემიც იმავე ბაღში მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა. ბაღში გამართული ზეიმისათვის საოცრად ლამაზი კოსტიუმების ესკიზები პაპამ შექმნა. ალბათ მე და დედაჩემის პატივსაცემად გააკეთა ეს. პაპა შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე და კარგად ხატავდა.

– იქნებ პაპას და დიდედას ქორწინებაზე გვიამბოთ, მათ შეხვედრაზე.

– გადმოცემით ვიცი, 1906 წელს, როცა პაპამ ბებოზე იქორწინა, ახლად შეუღლებულნი ცხენებით დადგომიან თეძამის ხეობის გზას ხოვლესაკენ, პაპა იქიდან იყო. ულამაზესი წყვილი ყოფილა. გზადმიმავალი ხალხი ჩერდებოდა თურმე, თვალს ვერ სწყვეტდნენ სანახაობას. პაპაჩემისაშუალოზეოდნავმაღალი,გამხდარი,დახვეწილი

გარეგნობისა იყო, ძალზე მოკრძალებული შვილებთან, ახლობლებთან, მეუღლესთან ურთიერთობაში. უფრო მეტად ეტლით უყვარდა მგზავრობა, არც ტრამვაის თაკილობდა, როცა სსრ კავშირის აკადემიის წევრ–კორესპონდენტად აირჩიეს, მაშინ მიამაგრეს მსუბუქი ავტომანქანა.

ერთი შემთხვევა ცმინდა გიამბოთ, 1917 წელს, როცა ჩვენი ოჯახი გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად პეტერბურგიდან საქართველოში ბრუნდებოდა საბოლოოდ, იმ წლების არეულობის გამო ორივე ოჯახის მთელი ავლა–დიდება დაკარგულა: უნიკალური ბიბლიოთეკა, ძვირფასი ნივთები... განსაკუთრებით წიგნებზე სტკიოდათ გული, ადვილად ვერ დაივიწყეს...

– გვიამბეთ ბებოზე, ქალბატონ ანასტასიაზე.

–შორიდან მინდა დავიწყო, ბებიაჩემი ორბელიანის ქალი გახლდათ. თეკლა, ისტორიაში „თეკლა ბიჭად“ ცნობილი, ერეკლე მეორის ქალიშვილი იყო. თეკლას სამი ვაჟი ჰყოლია. ერთ–ერთის – პოეტ ვახტანგ ორბელიანის შვილი იყო ბებიაჩემის მამა ნიკოლოზი, ფრიად განსწავლული იურისტი.

ალბათ შეამჩნიეთ ჩვენს სახლს გარედან კიდევ ერთი იმის მაუწყებელი აბრაც აკრავს, რომ ამ სახლში ცხოვრობდა საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი მარიამ ჯამბაკურ–ორბელიანი, ბებიაჩემის უშვილო მამიდა. ეს სახლი მას ეკუთვნოდა. საბოლოოდ შვიდ ძმისშვილს დაუტოვა ანდერძით. პაპაჩემსაც აქვე ახლოს ჰქონია ბინა. ორბელიანებივით, ჯავახიშვილები არ ყოფილან დიდი სიმდიდრის პატრონები, მაგრამ ბრწყინვალე განათლება კი ჰქონია ყველას პეტერბურგში მიღებული.

სამი შვილი შეეძინათ, დედაჩემს ნათელა ერქვა, პირველი შვილი იყო. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ივანე ჯავახიშვილის კაბინეტის გამგედ მუშაობდა სიკვდილამდე. კახა - არქიტექტორი, შარშან გარდაიცვალა. ალექსანდრე

(ლალი) სპეციალობით არქეოლოგია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი. მთელი ცხოვრება ლამის ექსპედიციებში აქვს გატარებული. დიდი ოჯახი გვქონდა. სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი, შვილთაშვილები... ბებო ყველა თაობას მოესწრო, 85 წლის გარდაიცვალა 1968 წელს. ჩვენი ოჯახის სიძეა, ალექსანდრეს ქალიშვილის ნინოს მეუღლე აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. ალექსანდრეს ვაჟი ვანო, ლიანა ისაკაძის ანსამბლში უკრავს ბებოს საოცნებო ვიოლინოზე, მეორე ვაჟი გიორგი – ხელოვნებათმცოდნეა. ჩემი ძმაა მწერალი დავით ჯავახიშვილი. კახას ერთი ვაჟი ჰყავს თარხუჯი – მხატვარი. მე პირველი შვილიშვილი ვარ, ბევრის მომსწრე და შემყურე. არ დაგავიწყდეთ, ჩვენს სახლში ცხოვრობდა გურამ რჩეულიშვილი – პაპაჩემის დის ეკატერინეს შვილიშვილი.

– გამიგია, ბატონი ივანე რომ შევიწროებული იყო, მაშინაც კი თქვენი ოჯახი, თქვენი დიდედა, ყველას შემწე და შემფარე იყოო.

– ამ კითხვაზე თითქმის ნაწილობრივ ზემოთ გაგეცით პასუხი, როცა მოგახსენეთ, რომ ამ სახლში ყველა ერთად ვცხოვრობდით დიდხანს. ბინა დიდი იყო, ზემოთ 5 ოთახი გვეჭირა, დაბლა თავლა, სამრეცხაო, სააბაზანო, სამზარეულო გვქონდა. ამის მიუხედავად, პაპას სამუშაო ოთახი არ ჰქონდა, ბავშვების ხმაურში, დიდ საერთო ოთახში იჯდა ხოლმე და ისე მუშაობდა, ხელი სულაც არ ეშლებოდა. შევიწროების წელი 1926 იყო, უნივერსიტეტიდანაც დაითხოვეს მაშინ. პაპას ნაშრომების ხელით გადაწერაში შველოდნენ ერთგული მეუღლე და ბებიაჩემის და, სილამაზით განთქმული თეკლა. ჩვენი ოჯახი, როგორც შეეძლო, ყველას უმართავდა ხელს, რომ იტყვიან, ყველანი შრომაში იყვნენ ჩაფლულნი. ყველა თავის საქმეს აკეთებდა. მუცლის გადაყოლის პრობლემა მაშინ არ არსებობდა ქართველ მოწინავე საზოგადოებაში და არც ჩვენი ოჯახი იყო ამ მხრივ გამონაკლისი, ზომიერების ფარგლებში იცოდნენ ჭირიც და ლხინიც.

ქალი რომ გათხოვდება, შინ უნდა დაჯდეს და კარგ შვილებს მაშინ გაზრდისო, ასეთი იყო ბებიაჩემის ცხოვრების კრედო. გათხოვებისთანავე მიატოვა მისი საყვარელი ვიოლინო, კონსერვატორიადამთავრებული პირველი მევიოლინე ქალი იყო საქართველოში. ფუფუნებაში აღზრდილ ქალს სულაც არ ეთაკილებოდა, ხან ბაზარში მიიჩქაროდა, ხანაც საათობით იდგა ნავთის რიგში.

პაპას უნივერსიტეტის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია. დიდი ეკონომიური და მორალური დახმარება გაუწევია მისთვის მარიამ ჯამბაკურ–ორბელიანს. ამ ქველმოქმედ ქალს პირადი ძვირფასი ნივთები ჩაუტანებია უნივერსიტეტის საძირკველში და საკმაო თანხაც შეუწირია. მარიამი ილია ჭავჭავაძესთან კარგად დაახლოებული ყოფილა და მისი მეშვეობით ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი ბევრჯერ ყოფილა დიდი მწერალი.

– ქალბატონმა ანასტასიამ რა წილი გაიღო შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების აღზრდაში? არის შემთხვევები, როცა ოჯახის მამები ისე ბრწყინავენ ამ ქვეყნად, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი, მათი მეცხედრეები კი...

– ბებიაჩემისა და პაპას შეუღლებას შეიძლება ბედნიერი და სამაგალითო შემთხვევა ვუწოდოთ. მისი ცხოვრების წესი გითხარით. ჩვენ, შვილიშვილებს, მაშინ გვეგონა ჩვეულებრივი პაპა და ბებო გვყავდნენ, მაგრამ დრომ დაგვანახა, რომ ეს ასე არ ყოფილა. ბებომ ყოველგვარ პირადულზე უარი თქვა გათხოვების დღიდანვე. მსხვერპლი გაიღო მისი მრავალრიცხოვანი მონაგრისათვის. ახალგაზრდობაში ქართულად ლაპარაკი უჭირდა თურმე, ფრანგული და რუსული უფრო ეხერხებოდა, მაგრამ მალე დაუფლებია მშობლიურ ენას, ძულდა შერეული ლაპარაკი, ისე ჩავიდა მიწაში, მისგან ერთი სიტყვაც არ გვსმენია ქართულის გარდა. სულითხორცამდე შეწირული მეუღლე, დედა და ბებია იყო ამ დიდი ოჯახისა, ყველას შემწე და შემფარე, ყველაზე ბოლოს ის მიუჯდებოდა სასადილო

მაგიდას, ყველას ის გვივლიდა და გვპატრონობდა.

– ჩემი თვალით მინახავს ადამიანი სახლთან (კალინინის ქ. №66) როგორ იდგა და პირჯვარს იწერდა.

– თუ ასეთი რამ თქვენ მართლა ნახეთ, ეს ეკუთვნის ჩვენი დიდი ოჯახის იმ ადამიანებს, იმათ ნათელ ხსოვნას, მათი სურათები ამ კედლებს რელიქვიად რომ შემორჩნენ. ჩვენ კი სულ გვსაყვედურობდნენ: სულგანათლებული ბებო ამბობდა, რა ვქნა, ისეთები მაინც არა ხართ, თქვენს სახელოვან პაპას რომ ეკადრებოდაო.

– ქალბატონო დალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭებაზე რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს?

– ახალს არაფერს. ამაზე ბევრჯერ დაიწერა პრესაში, გადაიცა ტელევიზიით, გაიმართა დისკუსია, იყო აზრთა სხვადასხვაობა. საბოლოოდ ასე გადაწყდა. საამაყოა, რომ ივანე ჯავახიშვილის პრემიის პირველი მფლობელი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი მარიამ ლორთქიფანიძე გახდა. შეკითხვას გადავუხვევ, – პაპა 1939 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კი 1941 წელს დაარსდა, გადაწყვეტილი იყო მისი პირველი პრეზიდენტი ივანე ჯავახიშვილი ყოფილიყო, არ დასცალდა, 1940 წელს გარდაიცვალა.

* * *

საქართველოსთვის, მისი ნათელი მომავლისათვის ბევრ გამოჩენილ ადამიანს შეუწირია თავი. ერთ–ერთი მათგანი დიდი ივანე ჯავახიშვილი იყო. მისი შთამომავლობა მამულიშვილური საქმიანობით სახელოვანი წინაპრის გზას მიჰყვება.

1989 წ.

მთავარი თემა

ნანული ბუკიას ესაუბრება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი **სიკო დოლიძე.** *საუბარი მეტად საინტერესოდ წარიმართა. გვინდა ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ ცნობილი რეჟისორის ზოგიერთი მოსაზრება:*

– პატივცემულო სიკო, ჩვენი რესპუბლიკის ამ საზეიმო წელს, ვეცდებით „საქართველოს ქალის“ მკითხველებს სისტემატურად მივაწოდოთ მასალები, სადაც ნაწილობრივ მაინც ავსახავთ იმ დიდ მიღწევებს, იმ თითქმის გიგანტურ ნაბიჯს, ქართულმა კინემატოგრაფიამ რომ გადადგა ამ 50 წლის მანძილზე. ამჯერად, ასე ვთქვათ, არჩევანი თქვენზე შეჩერდა. და ეს, ჩვენი აზრით, ბუნებრივიცაა: ქართული კინოს სათავეებიდან წამოვიდა თქვენი პირველი ფილმები, რომელთაც საკავშირო აღიარება მოიპოვეს, ხალხის სიყვარული დაიმსახურეს.

სიკო დოლიძე: მოხარული გახლავართ, რომ საშუალება მეძლევა გავესაუბრო თქვენს მკითხველებს, და უპირველეს ყოვლისა მივულოცო ქართველი ხალხის ისტორიაში ეს მეტად მნიშვნელოვანი თარიღი – საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. გთხოვთ, განმიმარტოთ, კერძოდ რომელი პირველი ფილმები გქონდათ მხედველობაში, როდესაც შეკითხვას მაძლევდით?

– რა თქმა უნდა „უკანასკნელი ჯვაროსნები“ და „დარიკო“.

სიკო დოლიძე: თქვენ სწორი ბრძანდებით. მაგრამ, ალბათ, გამოგრჩათ, ანდა, თქვენთვის უცნობია ის ფაქტი, რომ პირველად კინოქრონიკაში დავიწყე მუშაობა, და აი, დოკუმენტური მასალების საფუძველზე ავაგე სრულმეტრაჟიანი ფილმი: „ოქტომბრის მე–12 წელი“, არ შევცდები, თუ ვიტყვი, ეს ფილმი ჩემი პირმშოა, მიყვარს და მახსოვს ისენთუზიაზმი და გატაცება, რაც მასულდგმულებდა

იმ დღეებში, თვეებში... ფილმში გამოვიყენე ლენინისა და მისი თანამებრძოლების მუშაობის ამსახველი უნიკალური კადრები.

– ესე იგი, თქვენი შემოქმედებითი ცხოვრების გარიჟრაჟზე, იმთავითვე გამოიკვეთა თემა – თემა რევოლუციისა.

სიკო დოლიძე: დიახ, იმთავითვე აღიმართა ჩემს წინ მიზანი: პასუხი გამეცა კომუნისტური პარტიის მიერ კინოს წინაშე დასმულ ამოცანებზე, პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში. იცით, ჩემი თაობისათვის ეს იყო მძიმე, მაგრამ ყველაზე საინტერესო წლები. ბევრი თქვენგანი მაშინ დაბადებულიც არ იყო, ესე იგი, უშუალოდ არ შეხვედრია იმ წლების რომანტიკას: საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნას... განა შეიძლებოდა საბჭოთა კინოს თავისი სიტყვა არ ეთქვა? განა შეიძლებოდა იგი მხოლოდ პასიურ მაყურებლად დარჩენილიყო დედამიწის ერთ მეექვსედზე არნახული აღორძინების წინაშე, ისტორიის მართალი კინოლენტის წინაშე?

– და თქვენ ქმნით...

სიკო დოლიძე: და მე ვქმნი ჩემს, როგორც კინორეჟისორის, პირველ პასუხს – „უკანასკნელ ჯვაროსნებს“. ეს იყო ცდა იმისა, რომ კინოკამერას შეეღწია მთებში, მხატვრული ხერხებით აესახა, თუ როგორ ეხლებოდა ახალი ყოფის ქარიშხალი ძველსჩაჭიდებულ მთიელთა ფსიქიკას.

– და თქვენც ასე მოხდენილად შეურჩიეთ სახელი ფილმს – „უკანასკნელი ჯვაროსნები“... მაგრამ, რატომ მაინცდამაინც „ჯვაროსნები“? ნუთუ თქვენ იზიარებდით იმ წლებში ზოგიერთის მიერ გამოთქმულ ვარაუდს – ხევსურები შთამომავლობით ჯვაროსნები არიანო?

სიკო დოლიძე: რა თქმა უნდა არა. არასოდეს არ შემიხედია ამ ვერსიისთვის სერიოზულად, მაგრამ, ფილმს მაინც „უკანასკნელი ჯვაროსნები“ ვუწოდე, ვით სიმბოლო იმისა, თუ როგორ ეჭიდებოდა ზოგიერთი ადათს, წესს, ჯვარს, რწმენას... როგორ იდგნენ ძველისა და ახლის

საზღვარზე, გაჯიუტებულნი და მაინც რწმენაშერყეულნი...

– და ამის შემდეგ, თქვენ შემდეგი ახალი ფილმებით აკეთებთ ერთგვარ უკუსვლას, უბრუნდებით რევოლუციამდელ წლებს, მოვლენებს.

სიკო დოლიძე: მართლაც ასეა: ფილმით – „დარიკო“ – შევეცადე გადამეხედა ისტორიული წარსულისათვის, რომელმაც ხელი შეუწყო 1905 წლის რევოლუციას – „გენერალურ რეპეტიციას“, როგორც ლენინმა უწოდა. მივმართე ჩვენს კლასიკას, კერძოდ – ეგნატე ნინოშვილს; „სიმონა“, „მოსე მწერალი“ – აი, ამ ორმა მოთხრობამ შთამაგონა „დარიკო“. მინდოდა, ეკრანზე გამეცოცხლებინა მათი პერსონაჟები, მინდოდა, მეჩვენებინა სოციალური უკუღმართობა, რომლის შესახებაც ასე ხშირად წერდა თავის პუბლიცისტურ წერილებში ეგნატე ნინოშვილი, თავის დაუმთავრებელი რომანის იმ ესკიზში, ბათუმის მუშათა აუტანელ ცხოვრებას რომ აღწერდა.

– და, მაინც, თქვენი ფილმის მთავარი პერსონაჟი ქალია – დარიკო.

სიკო დოლიძე: ქართველმა ქალებმა დიდი როლი შეასრულეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრმა საკუთარი სიცოცხლეც გაიღო მსხვერპლად. ამან გადამაწყვეტინა, ფილმში წინა პლანზე გადმომეტანა დარიკოს სახე, უფრო ძლიერი, შემართებული გამეხადა იგი.

– შემდეგი წლების, ნამუშევრებიდან რომელ ფილმს თვლით თქვენი ძირითადი თემის გაგრძელებად?

სიკო დოლიძე: „შეხვედრა წარსულთან“, აუცილებლად „შეხვედრა წარსულთან“. ამ ფილმით კვლავ დავუბრუნდი ჩემს თემას. და არც შემეძლო არ დავბრუნებოდი. ალბათ, თქვენს მკითხველებს კარგად მოეხსნებათ, და მეც თავს აღარ შეგაწყენთ მისი ჩანაფიქრის გახსნით. ესაა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ არსებული მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ცხოვრებისა: კოლექტივიზაციის პერიოდი. ამ ფილმში შევეცადე სრულყოფილად დამეხატა სამი ქალის სახე: პელაგია, დარინე, ნინო. სამი ქალი – სამი თაობა (როლებს ასრულებენ ჩვენი ცნობილი კინომსახიობები:

ვერიკო ანჯაფარიძე, მეგი წულუკიძე, ლეილა აბაშიძე). სამი ქალი – სამი ხასიათი, სამი სხვადასხვა ბედის მქონე ადამიანი. ვერ გეტყვით, რამდენად მძლავრად შევასხი ფრთა ჩემს ჩანაფიქრს. იმას კი გეტყვით, რომ ერთი წლის მანძილზე 20 მილიონზე მეტმა მაყურებელმა იხილა ეს ფილმი.

– რასაკვირველია, ეს ფაქტი ადასტურებს იმ დიდ ინტერესს, მაყურებელში რომ გამოიწვია ფილმმა.

სიკო დოლიძე: ვფიქრობ, რომ ასეა... „შეხვედრა წარსულთან“ ორიგინალური სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმია. პერსონაჟებს ცხოვრებისეული პროტოტიპები გააჩნიათ. მე, როგორც რეჟისორმა და ამ შემთხვევაში სცენარისტმა, უშუალოდ ცხოვრებიდან, სინამდვილიდან გადმოვიტანე ეს გმირები, გადაღებაც გურიის ერთ–ერთ სოფელში – სამებაში მიმდინარეობდა თითქმის მთლიანად, პავილიონები მაინცდამაინც არ გამოგვიყენებია.

– გთხოვთ, თქვენი მომავლის გეგმებზე მცირე რამ მაინც მოუთხროთ ჩვენს მკითხველებს.

სიკო დოლიძე: სიამოვნებით. ახლახან დავამთავრე მუშაობა კინოფილმზე – „სემირამიდას ბაღები“.

– სათაური ორიგინალურია.

სიკო დოლიძე: ალბათ, გეხსომებათ იმ ბაღნარის შესახებ, მახარაძელებმა, რომ თავიანთ უკრაინელ მეგობრებს უძღვნეს. მშვენებით ეს ბაღი მითოლოგიურ სემირამიდას ბაღს შეედრება. თქვენ წარმოიდგინეთ, სცენარი, ერთი შეხედვით, თითქოს არც ისე ორიგინალურად მოგეჩვენება. ეს ასეც უნდა იყოს სინამდვილეში. მაგრამ აბა, დაფიქრდით, ორი ხალხის (ამ შემთხვევაში უკრაინელი და ქართველი ხალხის) მეგობრობა, თავდადებული, უანგარო. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო ამაღლებული, რომანტიკული, ამაღელვებელი? ჩემს ახალ ფილმს საფუძვლად დაედო გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების კოლმეურნეთა მეგობრობა, რომელსაც კარგა დიდი ხნის ისტორია აქვს. ფილმი ომისა და ომის შემდგომდროინდელ ამბებს ეხება, ამ პერიოდში იშლება. მთავარი პერსონაჟი კვლავ ქალია

(ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მეგი წულუკიძე) – დედა, მისი დრამატიზმითა და კეთილშობილი ჰუმანიზმით აღსავსე სახე.

– „სემირამიდას ბაღებს“, ალბათ, მალე ვიხილავთ ეკრანზე. მაგრამ, არ შეიძლება ახალი ჩანაფიქრებიც არ გქონდეთ.

სიკო დოლიძე: გამოგიტყდებით, ეს ჩანაფიქრი ჯერჯერობით მთლად ისე გამოკვეთილი არ არის. მაგრამ ორი ქართველი ქალის სახე, როგორც შემოქმედს, მარად თან დამდევს. მინდა ეკრანზე გავაცოცხლო ქეთევან დედოფალი და ეკატერინე ჭავჭავაძე. ამ უკანასკნელის ცხოვრებიდან მიზიდავს მისი სამეგრელოში ყოფნის პერიოდი, მისი ბრძოლა ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბრძოლა გმირული, ვაჟკაცური...

კითხვა: თქვენ საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე, ქართული კინემატოგრაფიის პატრიარქი ბრძანდებით, თქვენი შემოქმედება, ასე ვთქვათ ეპოქის მაჯისცემას ასახავს, საინტერესოა, თქვენი აზრი ქართული კინოხელოვნების, მისი წარმატების და გამარჯვების შესახებ.

სიკო დოლიძე: მეტად რთული და მეტად საინტერესო გზა განვლო ჩვენმა ქართულმა კინოხელოვნებამ ამ 50 წლის მანძილზე. მან სამართლიანად მოიპოვა დიდება და სახელი. ქართულ კინოში მოვიდნენ თაობები, ნიჭიერი თაობები, რომელთაც მოიტანეს ბევრი რამ ახალი და ამავე დროს გაიზიარეს წინამორბედთა მდიდარი ცოდნა და გამოცდილება. მათ შორს გაიტანეს ქართული ეკრანის სახელი. ასე რომ, ჩვენს დიად ზეიმს ქართული კინოხელოვნება წელგამართული და გამარჯვებული ხვდება.

1971 წ.

ღვთის რჩეული ქალბატონი

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდშივე აღწევენ აღიარებას და ღირსეულ ადგილს იმკვიდრებენ ერის ისტორიაში, ასეთი გახლდათ დიდი ქალბატონი, გამოჩენილი ქართველი პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ***მარიკა ბარათაშვილი*** – არისტოკრატიზმით, შრომის უნარითა და ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭით გამორჩეული...

ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და საოცარი კეთილშობილება, – აი, თვისებები, რომლებიც მუდამ ყველგან ამკობდა. მისგან უნდა გესწავლა ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება. საოჯახო საქმეებში ჩაფლული მაინც სულ წერდა, რაღაცას ქმნიდა, სულ ვიღაცის საშველად მიიჩქაროდა, მუდამ სხვისი ჭირ–ვარამის შესამსუბუქებლად იყო მზად. ასეთი ადამიანები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა ყველა ჩვენთაგანისათვის, მკვეთრ კვალს ტოვებენ გარშემომყოფთა მეხსიერებაში. ტაქტი და თავშეკავებულობა მისი თვისება იყო მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ჟამს ნაადრევად გაისტუმრა ამ ქვეყნიდან ორი შესანიშნავი შვილი – ჩვენი კოლეგა – ჩემი უახლოესი მეგობარი და მეჯვარე ნანული ბარათაშვილი, რომლის მხატვრული ნარკვევები წლების მანძილზე ანებივრებდა რესპუბლიკის სათაო ჟურნალ–გაზეთების გემოვნებიან მკითხველს და მერაბ ყურაშვილი – პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ქალბატონი მარიკა მაშინაც არ დაცემულა სულიერად, პირიქით, გვამხნევებდა, თავის მწუხარებას გვიმსუბუქებდა მისკენ მიმავალთ, რათა მოსაწყენი და მოსაბეზრებელი არ ყოფილიყო პირადი ტრაგედიით. სიდარბაისლით გაართვა თავი უმძიმეს მწუხარებას. 101–ე დაბადების დღეს ვეღარ მოესწრო, შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეებში მიიძინა სამუდამოდ.

პედაგოგთა ოჯახში გაზრდილი მუდამ ჩვენი მასწავლებელი იყო, როგორც ჟურნალისტურ დაოსტატებაში, ასევე – საოჯახო საქმეებში, ადამიანურ ურთიერთობებში... კეთილი ნერგიდან კეთილი ნაყოფი მიიღება – ვერა კასრაძე–ბარათაშვილისა და გერვასი ბარათაშვილი სწავლა–განათლების სულის ჩამდგმელნი იყვნენ ჭიათურის რაიონში.

... დიდი ბედნიერება მხვდა წილად, 35 წელი მემუშავა მის გვერდით, „საქართველოს ქალის“ რედაქციაში. ხელმძღვანელი – სამაგალითო, სიდინჯისა და ჭეშმარიტად სიდარბაისლის საუკეთესო განსახიერება. თითოეულ თანამშრომელზე მზრუნველი და დამაშვრალი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ჩვენი ოჯახების სიმტკიცისათვის, გვეხმარებოდა შვილების აღზრდაში, ყოველგვარი სიძნელის გადალახვაში.

ეს მშვენიერი პოეტი გალაკტიონის მუზაც გახლდათ. აი, რა შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა დიდმა პოეტმა, რომელსაც თვითმკვლელობა ჰქონია განზრახული და შემთხვევით ქ-ნი მარიკა შეხვედრია ვერის ხიდზე: „მადლობელი ვარ თქვენი, მარიკა, როს ჟამი მქონდა ყოფნა–არყოფნის, თქვენმა გულწრფელმა ხმამ შემარიგა, აქ ბევრ რამესთან... სიტყვა არ მყოფნის!“

... მარიკა ბარათაშვილის კალამი ყმაწვილქალობიდან ღრმა მოხუცებულობამდე არ დადებულა, ერთი–მეორეზე უკეთეს ნაწარმოებებს ქმნიდა, სიცოცხლის ბოლო წლებშიც რამდენიმე ახალი ლექსი გვაჩუქა:

ეს გაზაფხული ჩემთვის ასტრებს
აღარ ანაზებს,
შემოვრჩენილვარ ზედმეტ ბარგად
ამ ქვეყანაზე...
ვისთვის ვიღვიძებ, ვდგები, ვწვები,
ვცხოვრობ, ვჯახირობ,
ვის მოვაკლდები, ვისთვის ვარ
კიდევ საჭირო?
მაგრამ ო, ღმერთო,

ფიქრით მაინც მივდგებ–მოვდგები,
ჩემი მამულის დასალოცად
ხომ გამოვდგები...

დიდებული ქალბატონი ბედთან შეგუებას ისე ახერხებდა, სამდურავიც არ დასცდენია:

რას ნიშნავს სიტყვა „წუთისოფელი“,
რაა სიბერე ბოლოს და ბოლოს?
როდესაც ცოცხლობ, როდესაც შფოთავ,
ქვეყნის ავ–კარგი გაღელვებს როცა...
და უსაშველოდ კამათობ დროსთან?!

სევდა, ტკივილი მისდაუნებურად მაინც შემოეჭრა სულში, სიდინჯე თითქოს დაითრგუნა, შვილების მონატრებას თავს ვეღარ აღწევდა:

სიყვარულო დედის, სიხარულო დედის,
რა ამაოდ გიხმობ, რა ამაოდ გელი...

საწოლის წინ გამწკრივებულ სურათებს სიმწრით შეავლებდა დროდადრო თვალს, ცრემლს კი მორიდებით მალავდა მაინც. ნანული, მერაბი, კოტე, ბიძინა... ერთობ მათკენ მიიჩქაროდა, – ერთხელაც შემომჩივლა: აქ აღარაფერი მესაქმება, ჩემი ყველა საყვარელი ადამიანი იქ მეგულებაო.

ასი წლის შვილებმკვდარმა დედამ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ილია მეორეს მიმართა:

„უწმიდესო და უნეტარესო! არცერთი შვილი აღარ მყავს. ძმა და ქმარი სრულიად ახალგაზრდამ დავკარგე. მეორე ქმრის ერთადერთი ვაჟიშვილი სულხან გულისაშვილი ჩემი ნანულის კბილაა და ტყუპებივით გავზარდე. ისღა დამრჩა... შვილიშვილების და შვილთაშვილების იმედადღა ვცოცხლობ. რა ვქნა, ამდენი დარდით გონება არ იბინდება, სტროფები არ მაძლევენ მოსვენებას. ღამით მეწვევა ხოლმე მუზა, ამედევნებიან ბწკარები, ვიმეორებ, რომ დილამდე არ დამავიწყდეს... იქნებ სიკვდილს უნდა ვნატრობდე, ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს, მაგრამ რაღაი ვცოცხლობ, მინდა ჩემი ქვეყნის სიკეთეს მოვესწრო“.

ამის პასუხად ბრძენმა პატრიარქმა ბრძნული სიტყვებით მიმართა:

„თქვენისთანა ადამიანები არ კვდებიან... სიკვდილი უსახელოდ გაქრობაა. რწმენამ მხნეობა უნდა შეგმატოთ. თქვენი წამებული სიცოცხლე ნიშანია თქვენი ღვთის რჩეულობისა. მინდა დაგაიმედოთ, რომ არსებობს ბერძენი წმიდა ბერის წინასწარმეტყველება საქართველოს უტყუარი გადარჩენის შესახებ“.

ამის შემდეგ ქალბატონმა მარიკამ კიდევ ერთი ლექსი დაწერა ანა კალანდაძის გარდაცვალებისას.

... სხვა რომ არაფერი დაეწერა მარტო „ჭრიჭინა“ და „საპოვნელა“ ეყოფოდა მარადიული სახელის დასამკვიდრებლად.

მისი პირველი ლექსი 1936 წელს გამოქვეყნდა. ლექსების პირველი კრებული კი ათი წლის შემდეგ დაისტამბა. დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა პიესამ „ჭრიჭინა“. რომელიც დადგა საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ბევრმა თეატრმა, ითარგმნა რუსულ, უკრაინულ, იტალიურ, ესპანურ, ჩინურ და სხვა ენებზე. აღსანიშნავია ლექსთა კრებულები: „ლექსები“, „საპოვნელა“, „ნანული“, „სოფელი, თინა და ჭიანჭველები“... საქართველოს თეატრების სცენებზე დაიდგა პიესები: „მარინე“, „ჩემი ყვავილეთი“, „სართულები“, „მაღალი ოცნება“, „რატომ?“ „სიყვარულის წისქვილი“, „ჩქარი მატარებელი“ და სხვა. კინოფილმ „ჭრიჭინას“ კი მაყურებელი მუდამ ხალისით უყურებს... ერის რჩეული, საამაყო პიროვნებები ხშირად დიდ რელიგიურ დღესასწაულებში მიდიან იმქვეყნად, ამქვეყნად კი ნათელ და მკვეთრ კვალს ტოვებენ...

მსუბუქი იყოს, ქალბატონო მარიკა, თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს მიწა, რომელიც ახლა გულზე გაწევთ დიდუბის პანთეონში და რომელსაც გულით ატარებდით მთელი საუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე.

2009 წ.

უთვალსაჩინოესი მეცნიერი და მოქალაქე

ნინო ჯავახიშვილი – დიდი მეცნიერი – არისტოკრატიზმით, ღვთისგან ბოძებული ტალანტით, შრომის უნარით, ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭით გამორჩეული ქალბატონია.

ობიექტურობა, მიუკერძოებულობა, პირუთვნელი მითითება შეცდომებზე, საოცარი აურა ასხივოსნებს ყველას და ყველაფერს მის ირგვლივ. ნინოსგან უნდა ისწავლო არა მარტო მეცნიერული და პროფესიული ღირებულებების დაფასება, არამედ ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება.

წარმომავლობა–ოჯახიშვილობა ბრწყინვალე აქვს.

მამა – ალექსანდრე ჯავახიშვილი – აკადემიკოსი, გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში.

– „ჩემმა ოჯახმა ოცდახუთი წელი იცხოვრა მოსკოვში, მეც იქ დავიბადე, – მიამბობს ქალბატონი ნინო, – დედაჩემი – ზინაიდა მოსურსკაია, მამას სტუდენტი იყო. ქალებს მაშინ უნივერსიტეტებში არ იღებდნენ, როცა შემოიღეს ქალთა უმაღლესი კურსები, მაშინ დაამთავრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი.

– ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ჩვენი წინაპრები ჯავახეთიდან, თორედან ყოფილან. გამაჰმადიანებას გამოქცევიან და ძევერაში, გორთან ახლოს, დასახლებულან. ორი დანი ვიყავით. მამაჩემი იმ დროის ყველა მეცნიერის, ხელოვნების დარგის ყველა მუშაკის მეგობარი გახლდათ, განსაკუთრებით დიმიტრი არაყიშვილსა და ზაქარია ფალიაშვილთან მეგობრობდა. ხშირად ვსტუმრობდით თეატრებს, განსაკუთრებით ოპერას. ექვსი წლიდან მიტაცებდა კლასიკური მუსიკა. ეთერის არიას დღედაღამ ვმღეროდი, ჩემს დას ეთერი

დავარქვი“.

... მშობლები ქალიშვილებს შთააგონებდნენ, არ ყოფილიყვნენ გამორჩეულები, რაიმეთი პირველები, დედა ეუბნებოდა – მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, ალბათ, ამითაც აიხსნება ქალბატონი ნინოს უბრალოება და თავმდაბლობა.

ცალკე თემაა ნინო ჯავახიშვილისა და მამია (მემედ) კომახიძის ურთიერთობა. IV კურსის სტუდენტი იყო მამია კომახიძე, როდესაც სახელგანთქმულმა მეცნიერმა ალექსანდრე ნათიშვილმა ანატომიის კათედრის ასისტენტად მიიწვია, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო (მას სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს ანატომიისადმი ინტერესი). მაშინ ქალბატონი ნინო პირველკურსელი სტუდენტი იყო – რვა წლით უმცროსი მამიაზე. შეუყვარდათ ერთმანეთი, იქორწინეს და სამაგალითო ოჯახი შექმნეს. ისინი ერთმანეთს ამშვენებდნენ და ავსებდნენ როგორც საერთო ინტერესებით, ისე გარეგნული მომხიბვლელობით. ბატონი მამია ყველა სიახლის დამნერგავი იყო ზოგად ქირურგიაში. რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, ცდილობდა სამედიცინო მეცნიერება და მედიცინის მიღწევები ხელმისაწვდომი გამხდარიყო სოფლის ამბულატორიებისა და რაიონების საავადმყოფოების მედიკოსთათვისაც.

ქალბატონ ნინოს სისხლძარღვთა ტრავმების პრობლემები უფრო იტაცებდა, გვერდით ედგა მეუღლეს, შველოდა კლინიკურ მუშაობაში. ყველა მის ასპირანტს, ვისაც დასჭირდა, თავად გაუკეთა ოპერაცია გულზე, სისხლძარღვებზე, არავის ანდო მათი ბედი.

არ არსებობს ქირურგიისა და მორფოლოგიის დარგი, ნინო ჯავახიშვილისა და მამია კომახიძის კალამი ან სკალპელი რომ არ შეხებოდა. მათი ფუნდამენტური ნაშრომები, მონოგრაფიები ყველა ექიმის სამაგიდო წიგნია დღესაც.

ქალბატონი ნინო მრავალმხრივ განათლებულია, ფლობს რამდენიმე უცხო ენას, ბევრს მოგზაურობდა სამეცნიერო კონფერენციებზე, ქალთა მშვიდობის

კონგრესებზე, გამოდიოდა ლექცია-მოხსენებებით. უყვარს კლასიკური მუსიკა, ხატავს, ქსოვს, მთელი თავისი სადისერტაციო მასალა თავად აქვს გადაბეჭდილი, ახლა კომპიუტერითაც სარგებლობს, უბადლო დიასახლისია, ნებისმიერი პროდუქტით შეუძლია კერძების მომზადება, მეუღლე ეხუმრებოდა ხოლმე, სადილების კეთებაშიც შესანიშნავი ექსპერიმენტატორი ხარო. როცა საჭიროება მოითხოვდა, მანქანის საჭესაც უჯდა.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობა და საცხოვრებელი სახლ-მუზეუმი ქობულეთში მისი პროექტითაა აშენებული. მის ბინას ამშვენებს: ლადო გუდიაშვილის, ქეთევან მაღალაშვილის, ელენე ახვლედიანის, ნათელა იანქოშვილის, ვახტანგ ჯაფარიძის, რობერტ სტურუას, კუკრინიკსების, ზანკოვსკის, ბაშინჯაღიანის და სხვათა ძვირფასი ორიგინალები.

– ქალბატონო ნინო, თქვენ ფართო საზოგადოება მეორე სახელით, – ბუკათი გიცნობთ, მოფერებით შეგარქვეს ოჯახში?

– პირველ კლასში ძევერაში ვსწავლობდი. დაგვიანებით შემიყვანეს თბილისის პირველ სკოლაში. გაბუტული, უცხოსავით ვიდექი კართან და ხმას არ ვიღებდი. თანაკლასელებმა მაშინ შემარქვეს ბუკა და დღემდე შემრჩა.

– უმშვენიერეს, ყოველმხრივ სამაგალითო, მისაბაძ წყვილს მემკვიდრე არ გყოლიათ?

– ჩემს დას სამი ქალიშვილი ჰყავს, სამი სიძე, თითოეულს ორ-ორი შვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ოცდაერთი ვართ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უყვარდა მამიას ყველანი, საკუთარი რომ გვყოლოდა, მათში არ გაარჩევდა. პაპაჩემსაც ხალხმრავალი ოჯახი ჰქონდა, ბარაქიანი დიდედა გვყავდა, სადილად ხშირად ოცდაშვიდი სული ვსხდებოდით ძევერაში. „განკულაკებაც“ შეეხო. ნამდვილად პროგრესულად მოაზროვნე იყო პაპა, მეფის დროს ხაზინადარის საპატიო პოსტი ეკავა თბილისში. პენსიაში გასვლის შემდეგ დაუბრუნდა სოფელს

(მაჩვენებს ოჯახის რელიკვიას, მოსევადებულ ვერცხლის ჭიქას, რომელიც პაპას პენსიაში გასვლისას უსახსოვრეს). მამა უფრო ძნელად ეგუებოდა ცვლილებებს, ბევრი რამ მიუღებლად მიაჩნდა პოლიტიკაში.

– ქალბატონო ნინო, როგორ მოიგონებთ სტუდენტობის წლებს?

– 15 წლისამ, ექსტერნად დავამთავრე საშუალო სკოლა. იმ წელს სამედიცინო ინსტიტუტი გამოეყო სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1930 წელს დიდი მოთხოვნილება იყო კადრებზე, კერძოდ, - ექიმებზე. უგამოცდოდ ჩავირიცხეთ ოთხასი სტუდენტი. ხუთი–ექვსი ვიქნებოდით სკოლადამთავრებულები, დანარჩენები იყვნენ ფერშლები, ექთნები, ტექნიკური პერსონალი. ჩემი თანაკურსელები იყვნენ: ილია ფაღავა, ალიოშა ჩაჩანიძე, ვახტანგ შანიძე, ბათუ კრავეიშვილი, რომელიც როგორც კი მეცადინეობა დამთავრდებოდა სულ მღეროდა.

... 1948 წელს გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ალექსანდრე ნათიშვილი ხელმძღვანელობდა. იგი ძალიან ზრუნავდა თავის მოწაფეზე, ქალბატონ ნინოზე, და სიცოცხლეშივე აღიარა მემკვიდრედ. 1959 წლიდან იკისრა ნინომ ამ მოვალეობის შესრულება. ეწეოდა მეცნიერულ და ადმინისტრაციულ საქმიანობას; პარალელურად უამრავ საზოგადოებრივ დატვირთვასაც ართმევდა თავს. ინსტიტუტში სამასზე მეტმა ასპირანტმა და კანდიდატმა დაიცვა დისერტაცია. აქედან ქალბატონ ნინოსთან – ორმოცდაშვიდმა. სამართლიანი მომთხოვნი იყო, არა მკაცრი და ტენდენციური, არასოდეს მოსვლია იოტისოდენა კონფლიქტი რომელიმე მათგანთან. აი, რას წერს მასზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ლადო ბახუტაშვილი: „ერთ ბრძენს უთქვამს – მშობლებს არ ირჩევენ, მასწავლებელი შეიძლება აირჩიოო“, ისეთი ღირსეული ადამიანი ავირჩიე ჩემს მასწავლებლად,

რომელიც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სამაგალითო გახდა ჩემთვის როგორც მეცნიერი და მოქალაქე. კეთილი, უჭკვიანესი, სულით ხორცამდე ულამაზესი, რომელი სამეცნიერო წოდება, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანამდებობა არ ჰქონია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოსა თუ დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის დროს, მაგრამ ყოველთვის თავმდაბალი, კეთილი და ღირსეული იყო. მისი ხელმოწერა ამშვენებს დამოუკიდებელი საქართველოს დეკლარაციას.

არაჩვეულებრივი ინტუიცია აქვს მეცნიერულ კვლევაში. მან, მსოფლიოში პირველმა, ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ვენამ შეიძლება შეცვალოს არტერია და შეიძლება მისი გამოყენება იშემიური დაავადებების ოპერაციული მკურნალობისას. ეს იყო ბრწყინვალე შრომა, რომელმაც დიდი გამოყენება ჰპოვა კარდიოქირურგიაში გულის შუნტირების დროს. ქალბატონმა ნინომ პირველმა გამოაქვეყნა შრომები გულში ვენური სისტემის თავისებურებებზე – სინუსოიდების შესახებ. ამით გულის პათოლოგიის შემთხვევაში მიუთითა გულის სარეზერვო კვების გზაზე...

გრძელია სია იმ ჩამონათვალისა, თუ სად, რომელ ქვეყნებში იმოგზაურა, რამდენ სამეცნიერო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა და რამდენ ენაზე წაიკითხა მოხსენებები. უამრავი ჯილდოს, ტიტულის მფლობელია. გარდა ავსტრალიისა, ლამის მთელი მსოფლიო შემოიარა. გახლავთ საქართველოს ქალთა საბჭოს ფუძემდებელი, რომლის შექმნის იდეა 1946 წელს შემუშავდა, როცა ქალთა ფედერაციის პირველი კონგრესის დელეგატი იყო საფრანგეთში. 1957 წლიდან, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ დაარსების დღიდან, მისი რედკოლეგიის უცვლელი წევრია, პარალელურად, რამდენიმე უცხოურ და ქართულ ენაზე გამომავალი სამედიცინო ჟურნალების რედკოლეგიის წევრიც არის.

ღირსშესანიშნავი თარიღები მისი ბიოგრაფიიდან: 26

წლისამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 33 წლისამ – სადოქტორო, 1953 წელს მიანიჭეს პროფესორის წოდება, 45 წლის ასაკში არჩეული იქნა საქართველოს აკადემიის წევრ–კორესპონდენტად, ხოლო 64 წლისა – ნამდვილ წევრად. 50 წლის ასაკში მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ძნელია ზღვა მასალის ლაბირინთებში მისი გზის გაკვლევა, მკითხველთან იმ მინიმუმის მაინც მიტანა, რაც შეძლო და როგორი მდიდარი მეცნიერული მონაპოვარიც შემატა სრულიად საქართველოს „სულითხორცამდე ულამაზესმა“ დიდებულმა მეცნიერმა და მოქალაქემ.

* * *

... ქალბატონი ნინო 2005 წლამდე იყო მორფოლოგიის ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი. ამჟამად მეცნიერი–კონსულტანტი და ინსტიტუტის ყველაზე აქტიური მუშაკია. არის ჟურნალის - „კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინა“ მთავარი რედაქტორი, ყველა სამეცნიერო ნაშრომისა თუ დისერტაციის ავტორის უანგარო მრჩეველი. მას ერთი დღითაც არ უღალატია ინსტიტუტისათვის, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

შესაშური ცინცხალი გონება, ულევი ენერგია, – ასე გამოიყურება დღეს დიდი ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი – მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი–მკვლევარი, დასტაქარი, მორფოლოგებისა და კლინიცისტების მთელი არმიის აღმზრდელი.

2008 წ.

„მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც“...

ჭეშმარიტი ტალანტი, კინოსა და თეატრის მთავარი და ეპიზოდური როლების ერთნაირად უბადლო შემსრულებელი *გიორგი შავგულიძე* – „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, ორმოც წელზე მეტია წავიდა ამქვეყნიდან. დარჩა სახელი, ოჯახი: მეუღლე – ელისაბედ (ლიზა) ვაჩნაძე, ვაჟი – ცნობილი მხატვარი ნუკრი შავგულიძე, შვილიშვილი, რძალი. სილამაზისა და მომხიბლაობის, ნიშან-წყალგაუნელებელი დარბაისელი მანდილოსანი ცრემლნარევი ნაღველით ჰყვება მეუღლეზე, გუშინდელ დღესავით რომ აღუბეჭდავს მეხსიერებას. იგონებს ყველა წვრილმანს: ყოფითს, შემოქმედებითს, ადამიანურ სისუსტეებსაც, ნაკლზე კი ვერაფერი ვათქმევინე. საუბარში ბევრი შეკითხვის დასმა არ დამჭირვებია, ოღონდ მთხოვა, მონათხრობს ნუ გადატვირთავთ, ფანტაზიით არაფერი შემატოთ, ჟორა ისეთი მრავალმხრივი, საინტერესო ადამიანი იყო, რასაც გეტყვით, გადამეტაბა არ სჭირდებაო.

დამსახურებული არტისტი, ქ-ნი ლიზა ნუ მიწყენს, თუ მის დაუკითხავად ჩვენს მკითხველს ვეტვი, რომ თეატრალური საზოგადოებისაგან საკმაოდ უყურადღებოდ უნდა იყოს მიტოვებული. მართალია, მონაგარი არაფერს აკლებს, მაგრამ თავმოყვარე ადამიანისთვის ასეთი მწირი პენსიით ცხოვრება ამ გაუსაძლის ყოფაში ძნელი წარმოსადგენი როდია.

თხრობა დაიწყო ასე:

– მე და ჟორა ოცდაათი წლისანი, ტოლები ვიყავით, როცა ერთმანეთს მარჯანიშვილის თეატრში შევხვდით. ჟორას დებიუტი კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ ქუთაისის დრამატულ თეატრში 1929 წელს უკვე შემდგარი იყო პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“. არც ერთს სპეციალური განათლება არ გვქონდა. თავადური წარმოშობის ქალს ჩემი ანკეტის გამო: მამა,

ორი სიძე დახვრეტილი და გადასახლებული, რომელ უმაღლეს სასწავლებელში მიმიღებდნენ? მამაჩემი – კოტე ვაჩნაძე მეტსახელად ჭამიაშვილი, გვარიშვილობის გამო 1924 წელს დახვრიტეს. მახსოვს, ღამღამობით, ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელიც მამასთან მეგობრობდა, ამას ხომ მაინც არავინ აპატიებდა. დედა – ელენე ანდრონიკაშვილი ნატო ვაჩნაძეს ენათესავებოდა. მერაბ ვაჩნაძე (ნატოს პირველი მეუღლე) და მამაჩემი ძმადნაფიცები იყვნენ. ასეთ გარემოში გაზრდილ–განებივრებულს ცხოვრებაზე, ოჯახზე სხვანაირი წარმოდგენა მქონდა. ჟორა ხელმოკლე, უბრალო ოჯახიდან იყო. ჩვენთან შეისწავლა მაღალი საზოგადოების, სუფრის, ქცევის ადათ-წესები. უდავოდ ნიჭიერი იყო, თვითნაბადი ტალანტი. ამის ნიჭი რომ არ ჰქონდა, სრულიად ახალგაზრდა როგორ შეძლებდა ინგლისელი მწერლის სახე ისე ოსტატურად განესახიერებინა. მოხიბლული ვიყავი მისით, როგორ ვაკადრებდი ზედმეტი რამ მეთქვა, არ ვაკადრებდი ბაზრის ჩანთა დაეჭირა. ერთი გამოკვეთილი თვისება ჰქონდა – გამორჩეულად აფასებდა პატიოსნებას, ოჯახის სიწმინდეს. ამიტომ უყვარდა მედეა ჯაფარიძე, თამარ ციციშვილი, მზია მახვილაძე. ჩემთვის ჟორა იყო შეუდარებელი პარტნიორი, მეგობარი, ნამდვილი რაინდი.

... თავიდან რუსთაველის თეატრში ალექსანდრე ახმეტელის წყალობით შემთხვევით მოვხვდი, შალვა დადიანის „თეთნულდში“ ვთამაშობდი. თამარ წულუკიძემ მაიძულა მარჯანიშვილის თეატრში გადავსულიყავი. როცა საშა აღარ იყო, აკაკი ვასაძემ მე და ჟორას შემოგვთავაზა რუსთაველში დავბრუნებულიყავით, მაგრამ აღარ ღირდა, რეჟისორისგან და მისი მეუღლისგან მიყენებული დაუმსახურებელი წყენა და გულისტკივილი ვერ დავძლიეთ.

... პარიზიდან ჩამოსულმა ვასო ყუშიტაშვილმა დადგა სპექტაკლი „ჩვენ, ხალხი“. მე და ჟორა შეყვარებულები ვიყავით. ფარდის წინ ტანგოს ვცეკვავდი. ჟორამ ლამის

ტვინი წაუღო რეჟისორს – ვაჩნაძესთან მაცეკვეო. ერთდროულად სამ სპექტაკლში შეყვარებულები განვასახიერეთ. რეჟისორებმა თუ ბედისწერამ გადაწყვიტა ჩვენი ბედი. ვიდრე ცოცხალი იყო (49 წლის გარდაიცვალა) თეატრში თავს უბედნიერეს ქალად ვგრძნობდი. ბევრი მთავარი როლი განვასახიერე. ჟორას სიკვდილის შემდეგ ორი წელი ძლივს გავძელი თეატრში. სულ თვალწინ მედგა. მისი დაუშრეტელი იუმორი, თეატრის ფოიეში გარშემოხვეული მსახიობებით. ბოლოს „რიჩარდ III"–ში მარგარეტს ვთამაშობდი, ჟორა – ჰასტინგს. მისი გარდაცვალების შემდეგ ედიშერ მაღალაშვილმა შეცვალა, ვეღარ შევძელი და საბოლოოდ წამოვედი, თუმცა, ვერიკო ანჯაფარიძეს არ ვეთმობოდი.

... ოცდახუთი წლის ცოლ–ქმარი ვიყავით, ვერცხლის ქორწილისათვის ვემზადებოდით, ვადგენდით სიებს, უცნაური წინათგრძნობა ჰქონდა. ამბობდა – ისეთ კოშმარულ სიზმრებს ვხედავ, დაძინების მეშინიაო. ცამეტი რიცხვი საშინელების მომტანია ჩვენთვის, ცამეტ აპრილს დაიღუპა. დილის საუზმე მივართვი, მოვეფერე. არ ჭამა – წუხელი ჯოჯოხეთური ღამე მქონდა, სულ ვერ დავიძინეო. კინოსტუდიაში მიიჩქაროდა, ფილმში იღებდნენ, თეატრში შემოგივლიო – მითხრა. როცა კარებში გადიოდა, ასეთ ჯანმრთელ, რკინასავით კაცს რისი გეშინია–მეთქი, – კიბეზე დავაწიე. გუშინდელივით მახსოვს, იმ დღეს „შავთვალა გოგონაში" დედის როლს ვთამაშობდი. სოფელში სამუშაოდ წასულ შვილზე მოვთქვამდი. პირველ მოქმედებაში ტაში დავიმსახურე. უცებ გაირინდა დარბაზი. ვერ მივხვდი, რა მოხდა, ასეთი რა შემეშალა, როცა კულისებში გავედი, მედეა ჯაფარიძე მომიახლოვდა მთელი დასის ქალებით. ჟორაო, – თქვა და მივხვდი (ცრემლები ახრჩობს). გონება დავკარგე, მთელი ქალაქი შეიძრა, ფეხზე დადგა. იმ ავბედით დღეებში გონზე ნორმალურად აღარ მოვსულვარ. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, ჩვენც დავმორჩილდით ბედს. მაგრამ თურმე უარესი უბედურება წინ გველოდა.

ჟორას სიკვდილი დაგვავიწყა ჩემმა შვილიშვილმა

გიორგიმ. ჩემი გაზრდილი იყო, რვა წლამდე სულ ჩემთან იყო. ნამდვილი მეგობრები ვიყავით, გამოფენებზე ერთად დავდიოდით, ხელკავით დავყავდი. მიკვირდა, მოხუცთან სიარული ნეტავ როგორ სიამოვნებს–მეთქი. არ გამოეპარებოდა პაპა ჟორას დღე, გიორგობა. სამხატვრო აკადემია წარმატებით დაამთავრა, ასპირანტი იყო (მაგიდაზე დევს მოზრდილი ალბომი ცნობილი ადამიანების შეფასებებით, ნამუშევრები, გიორგის ლამაზი ფოტოებით), საკმაოდ განათლებული იყო, სულ ფილოსოფიურ ლიტერატურას კითხულობდა. სამი წლის წინ, ავადმოსაგონარ ცამეტ მარტს გუდაურში კაფეში გოგონასთან ერთად იჯდა, თორმეტი ბიჭი მიეჭრა, ჯანიანი იყო, პაპასავით ლამაზი აღნაგობა ჰქონდა. ამდენს როგორ გაუმკლავდებოდა, ტყვია ესროლეს. მჯერა მისი სახით ერთი საინტერესო ხელოვანი დააკლდა საქართველოს.

... დაგვრჩა ერთადერთი იმედი, ნუკრის გოგონა ქეთინო, ხელოვნებათმცოდნე. სამხატვრო აკადემიაში სადოქტოროზე მუშაობს, ორი შვილის დედაა.

... ნუკრი ტყუპისცალია. ჯუანშერი ორი წლის დაგვეღუპა. ბებიას გაუვარდა ხელიდან და სიმსივნე განუვითარდა თავში. როცა ბავშვები შეგვეძინა, გიორგი „კაკალ გულში“ კბილატკიებულ მოხელეს თამაშობდა. ყბა ახვეული ჰქონდა, უფროსს თხოვდა – სახლში გამიშვიო. სპექტაკლი იწყებოდა, შეიტყო ჩემი მშობიარობა, სახეაუხვეველი გასულა სცენაზე და ამაყად განუცხადებია – უფროსო, ტყუპები შემეძინა და სახლში წავალო. ისე ბუნებრივად გამოსდიოდა ყველაფერი, მაყურებელს ეჭვიც არ შეპარვია.

... ნუკრი კარგი მხატვარია. ჟორა ამაყობდა მისით. მამასავით მუსიკალურია, ყველა საკრავზე უკრავს, განსაკუთრებით გიტარასა და აკორდეონზე. მუსიკალური განათლება არ მიუღია. სამხატვრო აკადემიის მეორე კურსზე იყო პლასტელინით ფიგურა გამოძერწა. ჟორას მოეწონა, ნუკრიმ დაიწუნა, ხელი დაარტყა და ჩაზნიქა, მაშინ გიორგიმ თქვა – აი, ჩემი საფლავის ქანდაკებაო.

კარადის თავზე საგულდაგულოდ შემოდო, ხშირად ნახულობდა. დიდუბის პანთეონში მის საფლავს ოდნავ შესწორებული ეს ქანდაკება დავადგით.

... ისეთი შეგრძნება მქონდა, მოხუცი ჟორა ვერ წარმომედგინა. მისთვის არ არსებობდა მთავარი და ეპიზოდური როლი, მთავარი იყო დასაქმებული ყოფილიყო. სპორტული იყო, კარგად ცურავდა, სახლიდან ისე არ გავიდოდა, ერთი საათი არ ევარჯიშა. ისეთი ტანი უნდა გქონდეს, პლიაჟზე რომ გაიხდი, ყველას მოეწონოო, – იცოდა თქმა. მორცხვი და მორიდებული ადამიანი იყო, ყველგან განზე იდგა. თუ როლს არ მისცემდნენ, წყენასაც არ გაგრძნობინებდა. სახლში თუ იტყოდა, ისიც სხვათაშორის, თუმცა თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი იყო. ისეთს არაფერს იტყოდა, გული გტკენოდა. სულ ხუმრობდა, უნდოდა, ოჯახის წევრები სულ კარგ გუნებაზე ვყოფილიყავით. ხელგაშლილად არც მაშინ ვიყავით, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, გაჭირვება რა ყოფილა ახლა გავიგეთ. ჩვენმა უმცროსმა გიორგიმ ხომ მთლად მოგვიღო ბოლო. სადღაა ჩვენს ოჯახში სიცილი და მხიარულება.

... როცა გიორგი (უფროსი) გარდაიცვალა, პოეტმა მიშა ქვლივიძემ, რომელიც მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა, ექსპრომტად უძღვნა მშვენიერი ლექსი, დღემდე ყავლგაუსვლელია მისი შინაარსი: „რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც – კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, ან... „და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო, გვაცხოვრე ისე, რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს“.

– ქ–ნო ლიზა, გიორგის მეუღლეობა მძიმე ჯვარი იყო თუ ბედნიერება. ალბათ როგორ განიცდით, რომ სრულიად ახალგაზრდა, სიმწიფის ასაკში დაუხარჯავი წავიდა ამქვეყნიდან?

– ჟორა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი იყო, დრამატული და კომედიური როლები თანაბარი პროფესიონალიზმით განასახიერა. არა-ნაკლებია მისი სახასიათონიც. ცხოველმყოფელი

ტემპერამენტისა და დაუცხრომელი შემოქმედებითი ფანტაზიის პატრონი, დასამახსოვრებელია ჭყონდიდელი ლევან გოთუას დრამაში „დავით აღმაშენებელი“, კეისარი შექსპირის ტრაგედიაში „ანტონიუსი და კლეოპატრა“. საინტერესო იყო მის მიერ გამოძერწილი ძველი თბილისის მკვიდრთა სახეები: კინტო ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, საქუა ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, საიათნოვა ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“. სახასიათო როლები: ემოკრიტე ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, უკლება ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, კოხტა მ. ბარათაშვილის „მარინე“, ხარიტონი პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. რარიგ დასანანია, რომ გიორგი შავგულიძის თეატრალური სპექტაკლების არცერთი სახე არ შემოგვრჩა. მხოლოდ კინოფილმები: „დიადი განთიადი“, „ბედნიერი შეხვედრა“, „გაზაფხული საკენში“, „გიორგი სააკაძე“, „ქეთო და კოტე“. დავით გურამიშვილის როლით 1952 წელს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

მისი სტიქია მაინც კომედიური როლები იყო. განსაცვიფრებელ ეფექტს ახდენდა სხეულის პლასტიკით. არაჩვეულებრივი გარეგნობითა და დროის გაცნობიერების უნარით.

ამდენ გაჭირვებას რომ შევესწარი ახლა ვფიქრობ, ბედნიერია, რომ ამ ყოფას არ შეესწრო, წავიდა და თან წაიღო ამოდენა გულისტკივილი, ხალხის სიყვარული, რომელ ინტრიგებში გაერეოდა, ან რა ფულის მკეთებელი იყო.

რაც ვიცხოვრეთ, მოსაგონებლად ისიც კმარა. გული კი მაინც მტკივა, რომ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.

2001 წ.

მ ა მ ა

გულახდილად გვესაუბრება ქართული კომედიოგრაფიის დიდოსტატის – პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ–თანამშრომელი ***მანანა კაკაბაძე.***

– **ქ–ნო მანანა, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენსა და თქვენი ოჯახის შესახებ, რომელსაც დიდი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის შთამომავლობა ჰქვია, ხომ არავისში იფეთქა მამის ნიჭმა?**

– გენიოსების ნიჭი მათი კუთვნილებაა, ღვთისგან ნაბოძები. მომავალი თაობა იტყვის, თუ ვინმეში ნაპერწკალი მაინც გამოკრთება.

ოთხნი ვიყავით – სამი და და ერთი ძმა. და პედიატრიის მეცნიერებათა კანდიდატია, ოთხი შვილის დედა – ნათელა კაკაბაძე, ლაზეროთერაპიის სპეციალისტი, მზია ლიტერატორი – შარშან გარდაიცვალა. ძმა ისტორიკოსია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს. მყავს ერთი ქალიშვილი, მომავალი მხატვარი მარიამ გირკელიძე. მეუღლე სიკო გირკელიძე მოქანდაკეა, მამაჩემის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაიდგა მისი ქანდაკება დავით აღმაშენებლის პროსპექტზე. დედა – ლიუდმილა მიხაილიდი ბერძნული წარმოშობის ქართველი გახლდათ, კარგი მთარგმნელი და ლიტერატორი, ულამაზესი ქალი. დიდ მსახიობურ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, წარმატებით გამოდიოდა ქუთაისის თეატრის სცენაზე, იქ გაიცნეს ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი, მამა 10 წლით უფროსი იყო დედაზე. დედამ ქორწინებისთანავე უარი თქვა ყოველგვარ პირადულზე, შეეწირა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მამაჩემის შემოქმედებას. ოჯახი, ქმარ–შვილი იყო მისთვის ყველაფერი. კაკაბაძეების ჩვენი შტო ილორის წმიდა

გიორგის კუთვნილება იყო. ოჯახის სამაგიდო წიგნი იყო ბიბლია, მორწმუნე ოჯახი გვქონდა. ჩემი ლიტერატურული გამოკვლევები დაეფუძნა ბიბლიურ ლიტერატურას, სასულიერო პოეზიას. ასე დაიწერა ჩემი წიგნი „ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები“. 1962 წელს გაბედეს და „მნათობში“ დაბეჭდეს ჩემი ლიტერატურული გამოკვლევა „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა“, პარიზიდან მოვიდა გრიგოლ რობაქიძის წერილი, მოსწონებოდა. დიდ წინააღმდეგობებს წავაწყდი, როცა ხრუშჩოვი ეწვია საქართველოს, ჩემი თავი წარუდგინეს, როგორც ანტისაბჭოთა მოღვაწე, „იზვესტიაში“ ჩემზე წერილი დაიბეჭდა, ბრალს მდებდნენ მეფეების პოეზიაზე წერსო, აკრძალული იყო მაშინ ეს თემა. თითქმის ყველა რედაქციის კარი გამოიკეტა ჩემთვის.

– **როგორი იყო მამა ოჯახში, შვილებთან, მტერ–მოყვარესთან?**

– მეგობრული, თბილი, მოსიყვარულე, უბრალო, უპრეტენზიო. მისთვის გლეხი ისეთივე საპატივცემულო იყო, როგორც აკადემიკოსი. შესანიშნავი მეხსიერება და კრიტიკული ანალიზის უნარი ჰქონდა. მუდამ გვიჭირდა ეკონომიურად, მაგრამ ჩვენი სახლი მაინც სავსე იყო ღარიბი ნათესავებით. სტუმართმოყვარე დედა განაგებდა ოჯახის ბიუჯეტს, გაჭირვებულს უყოფდა ლუკმას. მამაჩემს მტრებიც კი ეცოდებოდა. რამდენჯერ უყიდია მათთვის წამალი, დიდი ენაკვიმატიც გახლდათ, ბოლომდე კი არავის გაწირავდა, სასტიკად ეზიზღებოდა ეგრეთწოდებული „ჩამშვებები“, მათდამი დაუნდობელი იყო. როცა ლაპარაკობდა, შემპასუხებელი არავინ ჰყავდა.

– **თითქმის ნახევარი საუკუნის წინ უარყო დრამატურგმა „კომუნიზმი“, „სოციალიზმი“, „საბჭოეთი“. თქვენ თუ იცოდით მაშინ ამის შესახებ, არ გეშინოდათ?**

– შეზღუდულები ვიყავით მუდამ. მას არ შეეძლო სხვანაირად ეწერა და ეცხოვრა. ოცდაჩვიდმეტში ღმერთმა გადაგვარჩინა, მამის ღვთაებრივმა სიბრძნემ და წინდახედულებამ გვიხსნა. გვასწავლიდა,

ბოროტება წარმოშობს სიძულვილს, შორს ჩვენგანო. სიძულვილით იყვნენ მაშინ ადამიანები ერთმანეთისადმი გამსჭვალულნი. ასევე მოხდა საფრანგეთის რევოლუციის დროს, უდანაშაულოებმა ერთმანეთი რომ ამოწყვიტეს. როცა ეშმაკები ებრძვიან ერთმანეთს, ყოველივე კრახით მთავრდება, კეთილი ადამიანი ბოროტი ძალისგან იღუპება, რადგან ბოროტს ვერ გააძღებ სისხლით, მუდმივ მორჩილებას ითხოვს შენგან. ასეთი იყო ჩვენი ოჯახის ცხოვრების წესი.

ხელოვნების პირველ დეკადაზე უნდოდათ „ყვარყვარეს“ წაღება, იდეურად მიუღებლად ჩათვალეს სპექტაკლი, ამ მოტივით თქვეს უარი.

– **მაინც როგორ მივიდა მამა „ყვარყვარეს“ შექმნამდე. ხომ არ ჰყავდა მეტ-ნაკლებად რეალური პროტოტიპი ამ უკვდავ სახეს?**

– ჰყავდა. მთელი თაობა კომუნისტების ლიდერებისა საქართველოშიც და რუსეთშიც ყვარყვარეს პროტოტიპი იყო. მამა შესანიშნავად იცნობდა ამ წრეს, თუმცა, მათ უამრავი ტკივილი მიაყენეს. ამ ადამიანების ბუნების გახსნამ, მათთან ურთიერთობებმა, განსაკუთრებით რევოლუციის ეპოქამ დაანახეს ლიდერის ტიპი. ყვარყვარეს სახე ზოგადია. იგი აწმყოში, წარსულში და მომავალშიც მარადიული იქნება.

– **თქვენ როგორ მიიღეთ რობერტ სტურუას მიერ ამ რამდენიმე ხნის წინათ დადგმული სპექტაკლი „ყვარყვარე“, რომელშიც ჩასმული იყო სცენა ბრეხტის პიესიდან („არტურ უის კარიერა“)!**

– უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს რეჟისორის მიერ სპექტაკლის ასეთი გადაწყვეტისადმი. მართალია, სპექტაკლი ნიჭიერად იყო დადგმული და მან ახალი სცენური სიცოცხლე მიანიჭა დრამატურგის ამ უკვდავ ქმნილებას, მაგრამ რეჟისორს ჰქონდა ისეთი თამამი წიაღსვლები, რომლის უფლებას, მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, არავის მისცემდა. არავინ იფიქროს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება მქონდეს სიახლის

მიმართ, დღეს რეჟისორები თავისუფლად ექცევიან ავტორისეულ ტექსტს, რაც გამოიწვია ერთმა გარემოებამ, ძნელია ყველა იმ სიღრმისა და სირთულის გადაწყვეტა სცენაზე, რომელიც მწერალმა ჩადო და ჩაიფიქრა თავის ქმნილებაში. ამიტომ ეძებს რეჟისორი გამოსავალს, რთულ სათქმელს ზოგჯერ გარეგნული ეფექტებით ცვლის. დაუშვებლად მიმაჩნია გენიოსების მიერ შექმნილ ნაწარმოებებში რეჟისორების უბოდიშო ხელის ფათური, საკუთარი სათქმელის შეტანა, რაც შეეხება ბრეხტისა და კაკაბაძის ერთ ასპექტში წარმოდგენას, ეს ორმაგად დაუშვებელია – სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა მსოფლმხედველობის ორი ავტორისა. მამამ ბრეხტი 1971 წელს გაიცნო, როცა მისი თეატრი გასტროლებზე ჩამოვიდა თბილისში. მასზე უარყოფითი შეხედულებისა იყო. ბრეხტი კომუნისტი იყო, მამა – ანტიკომუნისტი. ბრეხტი – ურწმუნო, მამა – ჭეშმარიტი მორწმუნე, ბრეხტი – ცინიკოსი. მის შემოქმედებას პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს. პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება მთლიანად პოეზიაა. მართალია, „ყვარყვარე თუთაბერი“ პროზაული ფორმითაა დაწერილი, მაგრამ იგი ნამდვილი პოეზიაა, მე ვიტყოდი, ბიბლიაც პოეზიაა. ქრისტიანული პოეზია ფსალმუნებიდან იღებს სათავეს, არ მერიდება ამის თქმა, ბიბლიური პოეზიაა პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების ლიტერატურული საფუძვლები.

– **ალბათ, კარგად გეხსომებათ ის წლები, როცა, რბილად რომ ვთქვათ, მამათქვენს არ წყალობდნენ. ვინ გედგათ მხარში, ვინ ამხნევებდა ოჯახს, ვისი ინიციატივით ხდებოდა, რომ პიესები მაინც იდგმებოდა?**

– მას მთელი ცხოვრება არ წყალობდნენ. ეს ბუნებრივი იყო. იმ წყობილების იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა მამის შემოქმედება, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება, მაგრამ ყოველთვის მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც უდიდეს გმირობას და თავგანწირვას იჩენდნენ. პირველი იყო კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც დადგა „ყვარყვარე თუთაბერი“, მოხდა ნამდვილი გადატრიალება

ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

– ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდი იმედი და გამამხნევებელი იყო მამა. სულით მაღალი, გაუტეხელი. ოჯახიც მუდამ იზიარებდა მის ჭირ–ვარამს, ყოველდღიურად მასთან ერთად განიცდიდა იმ საშინელებას, რაც ირგვლივ სუფევდა და ემუქრებოდა მწერალს. სიკვდილის სასჯელი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მამის ბევრი მეგობარი 1924 წელს დახვრიტეს, ბევრიც ოცდაჩვიდმეტმა შეიწირა, ზოგმა ვერ გაუძლო დროს და დაიხოცა, სულით გატყდნენ და დაჩიავდნენ. იმ მწერალთაგან, რომლებმაც დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, იყო დიმიტრი ბენაშვილი. თავგანწირვით იბრძოდა მამის დასაცავად. 1946 წელს დაიდგა „კახაბერის ხმალი“ (გენერალური რეპეტიციიდან მოხსნეს). ბატონი დიმიტრი მაშინ მწერალთა კავშირის პარტკომი იყო. „ყვარყვარეზე“ არანაკლებ მწვავე იყო სპექტაკლი. ძლივს გადაურჩა მამა დაჭერას. მაშინდელი „ცეკას“ მდივნები შედევრების ავტორებს უყურებდნენ, როგორც ქვეყნის იდეოლოგიურ მტრებს. მეტსაც გეტყვით, „ცხოვრების ჯარაში“, რომელმაც ძლივს იხილა დღის სინათლე, ერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ე. წ. გავლენიანმა პირმა თავისი თავი შეიცნო და პიესა მოხსნა მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან.

– **რამდენი ნაწარმოების ავტორია პოლიკარპე კაკაბაძე, ხომ არ დარჩა რაიმე გამოუქვეყნებელი?**

– მისი პირველი ნოველა იყო „ბრძენი მოქანდაკე“, შემდეგ რევოლუციის ამსახველი პიესა „გზაჯვარედინზე“, რომელიც წარმატებით დაიდგა ბაქოში, სადაც ქართული დასი მოღვაწეობდა. მომდევნო პიესებია: „სისხლი სინათლემდე“, „სამი ასული“, „ლისაბონის ტუსაღები“, პოპულარული „ყვარყვარე თუთაბერი“. შემთხვევით ამოტივტივებული ფოლკლორული გმირის ნაცარქექიას ნიღბით აღჭურვილი გაიძვერა მედროვე ყვარყვარე ზოგადსაკაცობრიო ტიპია. მომდევნოა კომედიები: „კოლმეურნის ქორწინება“, „კახაბერის ხმალი“, „ციცინათელა“, „პაექრობა“, რომელთა

საფუძველზე მოგვიანებით „ცხოვრების ჯარა“ შექმნა მწერალმა. პარალელურად დრამატურგი ინტენსიურად მუშაობდა ისტორიული დრამისა და ტრაგედიის ჟანრში, ამის დასტურია დრამები – „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“, „მეფე ბაგრატ მეშვიდე“, ტრაგედია „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ნიშანდობლივია, რომ დრამატურგის ყველა ქმნილების გმირი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. საინტერესოა, დღემდე უცნობი პიესა „ლოპიანე“, რომელშიც ასახულია საბჭოური სოციალიზმის სისასტიკე, რასაც კაცობრიობის ისტორიაში პრეცედენტი არ მოეპოვება. წინასწარმეტყველურია დრამატურგის სიტყვები, რომელიც სტალინის სიკვდილმა ათქმევინა – რაც არ უნდა მოხდეს, ეს აღარასოდეს განმეორდებაო. სოციალიზმის უარყოფამდე კიდევ დიდი დრო იყო.

– ადამიანებმა მოიშორეს „კომუნისტური“ წყობილების ბორკილები, თურმე როგორ მობეზრებიათ სიყალბე, სიცრუე, დესპოტიზმი, სისხლის ნიაღვრები, ცხრაკლიტულები, ამაზე უარი თქვეს მათმა თავკაცებმაც კი. დრამატურგის შემოქმედებაში აჟღერდა „საბჭოური სოციალიზმისათვის“ დამახასიათებელი ტკივილები, ტრაგიზმი, დრო, სადაც გაუფასურებულია სიკეთის ყველა ფენომენი, დამცირებული და უარყოფილია სული, უარყოფილია ღმერთი, აკრძალულია ლოცვა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი თავდაყირაა.

სოციალისტური რეალიზმი, ესაა იდეური ნაყოფი იმ ქვეყნისა, სადაც სახელმწიფოს სათავეში იდგნენ მთავარი დამნაშავე – ბელადი და მისი გუნდი, მკვლელები, დემაგოგები, ცინიკოსები, ათეისტები, ინტელექტუალური ბანდიტები, უვიცები, ქურდები, რომელთაც ძალუძთ კეთილი ბოროტად წარმოაჩინონ, ბოროტი – კეთილად, უნიჭო – ნიჭიერად, მხდალი და არამზადა – გმირად, ხალხის მეგობრად. ასეთ გარემოცვაში იცხოვრა პოლიკარპე კაკაბაძემ, თითქმის დევნილობაში გაატარა მთელი თავისი ცხოვრება.

– **დღეს ბ–ნი პოლიკარპე რომ ცოცხალი ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, რა აზრის იქნებოდა დღევანდელობაზე?**

– გაიხარებდა, საქართველო რომ ჩამოშორდა რუსეთს. ეს მისი სანუკვარი ოცნება იყო, მაგრამ რომ შესწრებოდა ქართველების დაპირისპირებას, მაშინ როცა შეეძლოთ თავისუფლება ეზეიმათ, ნამდვილად დაიტანჯებოდა. 79 წლისა გარდაიცვალა, 1972 წელს. სარეცელზე მიჯაჭვული ერის თავისუფლებაზე მელაპარაკებოდა. ღრმად სწამდა, საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. იგი ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ფიქრობდა, როცა საბჭოთა სისტემა ურყევი ეგონათ. თვლიდა, რომ სოციალიზმი განწირული იყო. ამ თემამ მის ნაწარმოებებში პოვა ასახვა. დაბეჯითებით ამბობდა: რუსეთის იმპერია ხელოვნურად შეკოწიწებულია, დადგება დრო, ყველა ერი თავისთვის წავა, რუსეთი დარჩება მის ბუნებრივ საზღვრებში, პროცესი იქნება მტკივნეული, მოყვება უამრავი უკანონობა და შეცდომები, რაც მთავარია, ეს გარდაუვალია, უკან აღარ დაბრუნდებაო.

... იდეა, რომელიც მწერალმა „კახაბერის ხმალში“ გამოხატა ხალხის სიტყვებით – „მოვიდეს „სამართალი“, თანდათან იძენს რეალურ ძალას.

1996 წ.

სახელმწიფო მუზეუმის გადამრჩენელი

ვესაუბრებით დიდი ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების დირექტორის ***სიმონ ჯანაშიას*** *ქალიშვილს ქალბატონ* ***რუსუდანს.***

სიმონ ჯანაშია ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ფართო მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, გახლდათ მრავალი ჯილდოს მფლობელი. მისი სახელობისაა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ქუჩები თბილისში, სოხუმსა და ოზურგეთში, დაწესებულია სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია.

ქ-ნო რუსუდან, ახლახან 55 წელი შესრულდა სიმონ ჯანაშიას გარდაცვალებიდან. ვისაუბროთ მასზე, როგორც მეცნიერზე, საზოგადო მოღვაწეზე, თქვენ, როგორც მის კოლეგასა და შვილს, გაქვთ ამის უფლება.

– ჩვენი ოჯახი სამეგრელოდან აფხაზეთში იყო გადასახლებული. სოხუმში დიდი საგვარეულო სახლი გვქონდა. ამ სახლთანაა დაკავშირებული ჩემი საუკეთესო წლები, ბავშვობა, ყმაწვილქალობა.

ჩვენი გვარის, უფრო ზუსტად, ჩვენი ოჯახის კაცები სუსტი გულისანი იყვნენ და ორმოცდაათ წელსაც ვერ მიაღწიეს. პაპა, მამა, ძმაც ადრე გარდაიცვალნენ. პაპაჩემი ნიკო - ზედმიწევნით განათლებული, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელი, ქართულ ენას ასწავლიდა მაკვანეთში, ძველ სენაკში. სოხუმში ასევე იყო მამაჩემიც. მისი ძალისხმევითა და მარიამ ანჩაბაძე-დადიანის ხელშეწყობით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა სოხუმში. პაპასთან მეგობრობდა ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი ნიკო მარი. მისი ნაჩუქარი ვერცხლის ნივთები დღესაც გვაქვს.

ბატონი ნიკოს მაშინდელი წერილები ზუსტად ესადაგება დღევანდელობას. ისეთი სიზუსტით აქვს აღწერილი შავარაზმელების დამოკიდებულება ქართველებისადმი. რუსმა როგორც კი შემოდგა ფეხი კავკასიაში, მაშინ დაირღვა სიმშვიდე და ყველაფერი აირიაო.

მამა 1900 წელს იყო დაბადებული. ივანე ჯავახიშვილის რჩევით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. როცა სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა, 18 წლის გახლდათ. დაამთავრა მეორე – ენათმეცნიერების ფაკულტეტიც. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში ეს ორი დარგი ავსებდა ერთმანეთს. მამასთან სწავლობდნენ და მეგობრობდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, ვახტანგ კოტეტიშვილი. 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მაგრამ ბევრი რამ მოასწრო. არმაზში, ბაგინეთში, ბოლნისში არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა.

როცა გარდაიცვალა ათი წლის ვიყავი, ლაშა ჩემზე ექვსი წლით უფროსი იყო. მეცნიერულ მოღვაწეობაზე ნაკლები როდი იყო მამის საზოგადოებრივი საქმიანობა.

... მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სიმონ ხოშტარიამ მე და დედას გვითხრა, რომ არა სიმონი, ჩვენი ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, არ გვექნებოდა, მთლად განადგურდებოდაო.

ომის დროს ამიერკავკასიის სარდლობას მიუღია გადაწყვეტილება, მუზეუმი სამხედრო ჰოსპიტლად გადაეკეთებინათ. მამას რომ შეუტყვია, დაურაზმავს ხალხი. თავადაც მათ შორის ჩამდგარა და უთქვამს, დავიჭიროთ ჯოხი, კეტი, ხმალი, ხანჯალი, ნებისმიერი ნივთი, რაც ხელთ მოგვხვდება და არავინ შემოვუშვათ. ასეთმა თავდადებამ შედეგი გამოიღო, მუზეუმს არავინ შეხებია.

1943 წელს მამას რედაქტორობით პირველად დაისტამბა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ავტორები ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი იყვნენ.

... ომის წლებში კანდიდ ჩარკვიანისა და ვალერიან ბაქრაძის თანხმობით ქეთევან მაღალაშვილს მამამ შეუკვეთა თამარ მეფის ცნობილი პორტრეტი, რომელიც

ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია დაცული. მაშინ თვითნებურად ვერავინ ვერაფერს შექმნიდა, ვერც დასტამბავდა.

... ბევრი გამოჩენილი გერმანელი იხსნა გადასახლებისგან, მათ შორის: რენე შმერლინგი, პროფესორი გეხტმანი, ბიუსი. მამა იყო ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე–პრეზიდენტი და მისი ერთ–ერთი დამფუძნებელი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ენისა და ისტორიის ინსტიტუტს. ფლობდა რამდენიმე ენას: რუსულს, გერმანულს, ფრანგულს, ძველ ბერძნულს, არაბულს, სპარსულს, აფხაზურს, მეგრულს. ზაფხულობით რომ ექსპედიციაში მიდიოდა, დასასვენებლად ჩვენც მივყვებოდით. ერთხელაც ვერ მოვასწარით თბილისში დაბრუნება და პირველკლასელი ორი თვე არმაზში ვსწავლობდი.

– დედა?

– დედაჩემი მართა მაჩაბელი ქსნის ერისთავთა შთამომავალი იყო. წმიდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. მუსიკას ასწავლიდა ბავშვებს. დედას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყოლია. მისი დეიდა იყო ანასტასია ერისთავ–ხოშტარია. ვანო მაჩაბელს ენათესავებოდნენ. მამას მეჯვარედ სიყრმის მეგობარი კონსტანტინე გამსახურდია აურჩევია. საქორწილოდ ბებოს ერთი ქათამი შეუწვავს. ბატონი კონსტანტინე კი ყვავილებით და სანოვაგით ხელდამშვენებული მოსულა. სად იყო მაშინ ასეთი წრეგადასული ქეიფები. მშობლები ამ დღეს დიდი სიამოვნებით იგონებდნენ. ჩემი ნათლია არნოლდ ჩიქობავა იყო. მამასთან მეგობრობდნენ: პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ანდრია აფაქიძე, იონა ტუსკია, შოთა მესხია, მაშინდელი ყველა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

რაც მამა გარდაიცვალა არ ყოფილა ისეთი წელი, 15 ნოემბერს მისი გარდაცვალების დღე ჩვენი სახელოვანი მეცნიერები მთაწმინდაზე, მამის საფლავზე არ შეკრებილიყვნენ. მათ შორის დღემდე განსაკუთრებული ერთგულებით ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე

გამოირჩევა.

... ოჯახში მშობლების სიტყვა კანონი იყო. რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა გურულ ბებიას, მამაჩემის დედას ელენე მუჯირს. ის იყო ოჯახის ნამდვილი ბურჯი, მოამაგე. არასოდეს გვეუბნებოდნენ, წაგვეკითხა წიგნი, გვესწავლა გაკვეთილები. როგორ მოვქცეულიყავით სტუმართან, როგორ დაგვეჭირა თავი საზოგადოებაში, მშობლები გვაძლევდნენ ამის მაგალითს.

მამა ცუდი მხედველობის გამო ელექტრონის შუქზე ვერ მუშაობდა. ამიტომ ღამე სტუმრებისათვის, ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა. სულ ვიღაცა ცხოვრობდა რამდენიმე წლით ჩვენთან. ჩამოდიოდნენ აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან, ბებიას როდის ეძინა ნეტავ? ჩვენი მომსახურებით იყო დაკავებული. არასოდეს დაუწუწუნია – დავიღალე, არაფერი გვაქვსო. თუმცა ზედმეტი ფუფუნებით არასოდეს ვყოფილვართ განებივრებულები.

– ქ–ნო რუსუდან, თქვენი ძმა ლაშა ასევე ახალგაზრდა გარდაიცვალა...

– მამის კვალს გაჰყვა, ისტორიკოსი გახლდათ, 50 წელი შეუსრულდა და გულმა უმტყუნა. დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა, სულ აწუხებდა, მამის შვილობით არავის გამოერჩია, უღალატო მეგობრობა შეეძლო. მისი კლასელები არიან გურამ ბარნოვი, თეიმურაზ საყვარელიძე, თამაზ ჭილაძე, შოთა ჭანიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე. ნუგბარს ისე არ შეჭამდა, არ ეკითხა, ხომ არავის უნდაო. ზედმიწევნით მოწესრიგებული იყო. როცა ძალიან ცხელოდა, დედა ეტყოდა, ცოტა შილიფად ჩაიცვიო. სახლშიც კი საკინძეშეხსნილი არავის გვინახავს. რომელ „შორტებზეა“ ლაპარაკი. ახლანდელი ზოგიერთი ახალგაზრდა ქუჩაში ისეთი აუტანელი ჟარგონით ლაპარაკობს, რომ შესწრებოდა, ნამდვილად ვერ მოითმენდა.

... ლაშამაც რამდენიმე ენა იცოდა: ინგლისური, ფრანგული, ძველი სომხური. ორი ზაფხული ერევანში გაატარა.

ნინო და კალისტრატე სალიებთან მეგობრობდა. მათი ბიბლიოთეკა ჩამოიტანა პარიზიდან და ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა. შესანიშნავი ოჯახი დატოვა. მეუღლე თინა კაპანაძე – ფიზიოლოგი, შვილები – თამარი და სიმონი – მეცნიერები. ჩვენი ოჯახის არცერთ წევრს საზღვარგარეთ სამუშაოდ დარჩენაზე არ უფიქრია. იყვნენ, ისწავლეს, დაბრუნდნენ.

– რას გვეტყოდით იმ დიდ ოჯახზე, რომელსაც სიმონ ჯანაშიას ოჯახი ჰქვია?

– წეღანაც გითხარით, ყველა ახლობელმა, ნათესავმა თითქმის ჩვენს ოჯახში მიიღო განათლება. სამი თაობა ჰარმონიულად, შეწყობილად ვცხოვრობდით ერთ ჭერქვეშ. არავითარი გაუგებრობა, უსიამოვნება, 39 წელი ჩვენი დამხმარე რუსი ლიდა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო. ბებომ გაამზითვა და გაათხოვა მანგლისში.

ძირითადი ოჯახი, სადაც ჩემი ძმისშვილები და რძალი ცხოვრობენ, თარხნიშვილზეა. მამის დაჟინებული მოთხოვნით ამ ქუჩას მოსკოვში მოღვაწე ცნობილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის სახელი ეწოდა. მისი კი გვერდით ქუჩას მიაკუთვნეს.

– ქ–ნო რუსუდან, სად საქმიანობთ?

– როცა დავბადებულვარ, ბებიაჩემის საპატივცემულოდ ელენე უნდა დაერქმიათ, მაგრამ რადგან ლაშა გვყავს, უპრიანია, რუსუდანიც იყოსო, – უთქვამს მამას.

– დღეს, შეიძლება ვინმეს გაეღიმოს, მე და ალიკა ალექსიძე სტალინური სტიპენდიანტები ვიყავით.

ვმუშაობ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად კავკასიურ ენებში, უნივერსიტეტის ამავე კათედრაზე ვკითხულობ ლექციებს. მისახედია მამას არქივი. ბევრ საინტერესო, გამოუქვეყნებელ მასალას მივაკვლიე, მათ შორის ეპისტოლარული ჟანრიც, რამდენიმე გამოვაქვეყნე კიდეც.

– როგორ ფიქრობთ, ძნელია ასეთი სახელოვანი მამის შვილობა?

– სულ წინ მხვდება მამის კეთილი საქმეები. მე და ლაშას ისეთ გარემოში მოგვიწია ცხოვრება და

მოღვაწეობა. ნიშნებს კი არ გვწყალობდნენ, პირიქით, სულ მეტს მოელოდნენ ჩვენგან, ამას ლაშა ორმაგად განიცდიდა, ყველაფერში მოწინავე იყო. ჩვენს წინ კარი მუდამ იღებოდა. ეს ძნელიც იყო და საამაყოც. დედა და ბებო შთაგვაგონებდნენ – თითქოს მამა გუშინ წავიდა. ერთი წუთითაც არ გვტოვებდა მისი აჩრდილი. ჯოჯოხეთია მოსაგონებლად ის წლები, ვახტანგ ბერიძე ერთგან წერდა მამაზე – „ჩვენს თავს თითქოს ცა ჩამოიქცა, ვინ დაგვიცავს აწი, ვინ იბრძოლებს ჩვენთვის?“ ეს იყო 1947 წელი...

– ყველაზე მტკივნეულად მაინც რა დაგამახსოვრდათ ბავშვობიდან?

– მამის გარდაცვალება და ბებოს დაკარგვის შიში. ორკლასდამთავრებულმა, მაგრამ ზედმიწევნით განათლებულმა, ჭკვიანმა ბებომ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“...

– ოჯახში ლექსებს ვინმე ხომ არ წერდით?

– მე არა. ლაშა კარგად ხატავდა. ლექსებსაც წერდა და ექვსი წლიდან კითხულობდა. დადიოდა კრივზე, კარგად ცურავდა. ლექსებს მამაც წერდა. გამორჩეული დეკლამატორი იყო, თარგმნიდა რუსულიდან, გერმანულიდან.

– ქ–ნო რუსუდან, თქვენი შეფასებით დღევანდელი გადასახედიდან როგორი მამა–შვილი იქნებოდით. იქნებ უპასუხოთ ჟურნალის რუბრიკას – მამები და ქალიშვილები?

– არ დაგვცალდა. პატარა ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა. მახსოვს, არაჩვეულებრივი, ნაზი, ალერსიანი მამა. 36 წლის იყო, როცა გავჩნდი. მაოცებდა დედის და მამის ურთიერთობა. ბებიასადმი მისი ყურადღება. კაცთმოყვარეობა. არ მახსოვს რაიმეზე გაბრაზებული. ნაწყენი ყოფილიყო. თუმცა... დაწყევლილი ნოემბრის დღეა. ლექსს ვერ ვსწავლობ სტალინზე, მამა იმ ერთხელ აღშფოთდა. რას ჰგავს ეს, რას ასწავლიან ამ ბავშვებსო. თავი ვერ შეიკავა.

... პალტო დამიმოკლდა. ბებომ გადამიკეთა, მაინც არ მომწონს და ნაღვლიანი ვზივარ. მამა მომეფერა. ეს პალტო კი არა, ჟაკეტი ყოფილაო, ასე გამომიკეთა

ხასიათი. ოჯახში დაცული იყო უფროს-უმცროსობა. არ არსებობდა ვინმე შემოსულიყო და მამა არ მიგებებოდა. განსაკუთრებით პატივს სცემდა დედაჩემის ნათესავებს.

– რა მიგაჩნიათ ოჯახური ბედნიერების აუცილებელ პირობად?

– ოჯახის წევრთა თანხმობა, ურთიერთგაგება და პატივისცემა. ჩემი მეუღლე გეოლოგ-პალეონტოლოგია – ირაკლი თაქთაქიშვილი, ერთი შვილი გვყავს დავითი. გული პაპასავით მასაც სულ არქეოლოგიური გათხრებისაკენ მიუწევს. ზაფხულობით დმანისის გათხრებზეა. ბედნიერი ვარ, ჩემი რძალი გამორჩეული ტრადიციული ოჯახიდანაა. ქუჩაში რომ ზოგიერთ გოგონას ვხედავ, ვფიქრობ, ნუთუ დედა ან მეზობელი არა ჰყავთ. ასეთი ჩაცმულები როგორ გამოდიან გარეთ-მეთქი. გვყავს შვილიშვილები მართა და მიშა.

– რაზე გტკივათ გული?

– ახლა კულტურა და მეცნიერება მოდაში აღარაა. ჩვენი სახელოვანი მეცნიერები ოდითგანვე არავის უდებდნენ ყადრს. გავიხსენოთ ფიზიოლოგ ივანე ბერიტაშვილის, მათემატიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ფსიქოლოგ დიმიტრი უზნაძის, ბოტანიკოს ნიკო კეცხოველის სკოლები.

ჩემი აზრით, მთავარია, რა პოლიტიკური მდგომარეობაც არ უნდა იყოს, საზოგადოებრივი ინტერესი არ უნდა ჩაიკლას ადამიანმა.

* * *

როცა სიმონ ჯანაშია (უმცროსი) მაგისტრატურის კურსს ჰარვარდის უნივერსიტეტში გადიოდა, შესასვლელში ფეხი შეუდგამს თუ არა, ასეთი წარწერა შეუნიშნავს „სიკეთე ცოდნის გარეშე უსუსურია, ცოდნა კი სიკეთის გარეშე საშიში“. დიდი სიმონ ჯანაშიას შთამომავალნი ფრანგების ჭეშმარიტად ამ ბრძნული გამონათქვამის ზუსტი გაგებით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

2002 წ.

ამ სახლს რომ სტუმრები ჰყოლია...

*ყოველგვარი ტიტულების გარეშე წარმოგიდგენთ ქალბატონ **სოფიკო ჭიაურელს**. თუ ჩარლი ჩაპლინისა და სოფი ლორენის პიროვნებებს არავითარი წოდება არ ამკობთ, ამით განა რაიმე დააკლდა მათ მსახიობურ ბიოგრაფიას? – ტიტულები საბჭოთა სისტემის გამოგონილი ატრიბუტია. – ასე ბრძანა ქალბატონმა სოფიკომ.*

– ქალბატონო სოფიკო, თქვენ ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ქალიშვილი ბრძანდებით. ეს უკვე ბედია. დედისერთა ხართ?

– არა, ჩვენ სამნი ვიყავით. ორი ძმა მყავდა – ოთარ და რამაზ ჭიაურელები. ორივენი 49 წლის ასაკში გარდაიცვალნენ, კინორეჟისორები იყვნენ, დოკუმენტურ კინოში მოღვაწეობდნენ. ძნელია საკუთარ ძმებზე ობიექტური ლაპარაკი, მაგრამ ვინც მათ იცნობდა, დამეთანხმება, რომ საოცრად ალალი და უსაყვედურო ბიჭები იყვნენ.

– ჩვენმა თაობამ შეგიყვარათ კინოფილმით „ჩვენი ეზო“. თქვენი პარტნიორი, ასევე ცნობილი ადამიანების – ნატო ვაჩნაძის და ნიკოლოზ შენგელაიას ვაჟი, გიორგი იყო. შემდეგ თქვენ შეუღლდით, იმასაც კი ამბობდნენ, თითქოს ამ ქორწინებაზე თქვენი მშობლები ადრევე შეთანხმდნენ.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ დღეს, როდესაც ჩვენ უკვე ერთად აღარ ვართ, ცოტა უხერხულია და არასასიამოვნო ამაზე ლაპარაკი? მაგრამ მე მესმის მკითხველის ცნობისმოყვარეობა და ამიტომ გიპასუხებთ: მე და გიორგის შორის 10 დღეა სხვაობა. იგი მოსკოვში დაიბადა. ჩვენი მშობლები დიდი მეგობრები იყვნენ. კოლიამ ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა ჩვენებს – „შეგვეძინა ვაჟი, თქვენგან ველოდებით სარძლოს“ – მართლაც ასე მოხდა.

„მე და გიორგი ერთდროულად ჩავირიცხეთ მოსკოვის კინოს–ინსტიტუტში, შევუღლდით, პირველ კურსზე

ვიყავით, როცა რეზო ჩხეიძემ მიგვიწვია „ჩვენს ეზოში“ გადასაღებად.

... ორი ვაჟი შეგვეძინა. ნიკოლოზი მხატვარია, სანდრო ვითომ მსახიობობას აპირებს, მაგრამ უფრო დედის შვილია, უჩემოდ უჭირს ცხოვრება, ცხრა წლის შვილიშვილი მყავს, ჩემი სიხარული – ნატალია შენგელაია.

– მკითხველს ყველაფერი აინტერესებს, თქვენი ოჯახური მდგომარეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა, შემოქმედებითი წარმატებები, კონტაქტები უცხოელ და საბჭოთა მსახიობებთან, რეჟისორებთან.

–ფეხბედნიერი გამოდგა ჩემთვის ფილმები: „ხევსურული ბალადა“, „ვერისუბნის მელოდიები“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „წუთისოფელი“, „ნატვრის ხე“, „არევიკი“, ყველა ამ ფილმმა ფესტივალებზე ან ჯილდო მიიღო, ან ქალის როლის საუკეთესო შესრულების პრიზი დავიმსახურე. თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა მაქვს შემოვლილი, არც ჩემს საქართველოში დამკლებია რაიმეს ნახვა.

ბევრ სახელოვან ადამიანს შევხვედრივარ, მოსკოვის კინოს ინსტიტუტში ვხვდებოდით მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორებს, მსახიობებს. პირადად ვიცნობდი ჟერარ ფილიპს, ჯულიეტა მაზინას, სოფი ლორენს, მარჩელო მასტროიანს...

– სახლი ფიქრის გორაზე... ამ სახლს რომ სტუმრები ჰყოლია! ვის გამოარჩევდით განსაკუთრებით მათგან?

– გამიჭირდება ყველას გახსენება და ჩამოთვლა. ჩვენი სახლის კარი ყველასათვის ღია იყო. ბევრი პატივცემული სტუმარი გვყოლია. უბრალო ადამიანებიც მოდიოდნენ, ჩემი მშობლები უარს არავის არაფერზე ეუბნებოდნენ. ომის წლებში მოსკოვის სამხატვრო თეატრი იყო თბილისში გასტროლებზე. მთელი დასი გვეწვია შინ – ნემიროვიჩ–დანჩენკო, კაჩალოვი... რუზველტის შვილიც კი ყოფილა ჩვენთან. ჩვენს ოჯახს ახსოვს კარგი ლექსი, კარგი ცეკვა. საქართველოს ლამაზმანების თავყრილობაც ბევრი ახსოვთ ამ კედლებს. ერთხელ ქალბატონმა ელენე ახვლედიანმა თავის სახელოსნოში,

სტუმრების საპატივცემულოდ კინტოური მაცეკვა, 14–15 წლის ვიქნებოდი. ჯილდოდ ეს სურათი მისახსოვრა. ასეთ საჩუქრებს არც ჩემს მშობლებს აკლებდნენ ცნობილი მხატვრები. ამიტომ გვაქვს ამდენი ორიგინალი.

... დედას ოცდაჩვიდმეტში ფუთა შეკრული ჰქონია, ეგონა დააპატიმრებდნენ და გადაასახლებდნენ. მიზეზის პოვნას რა უნდოდა მაშინ, განგებამ თუ იხსნა, გადარჩა. დედაჩემს სამი გადანასახლები, ნატანჯი მეგობარი დარჩა, ღიმილი არ შორდებათ სახიდან, ისეთი სათნოები და კეთილშობილები არიან, გაკვირვებული ვარ მათი სიმხნევით. ახლა? ვერ გამიგია, რა დაგვემართა, რამ დაგვიბნელა გონება, რამ დაბოღმა ასე ჩვენი დღევანდელი საზოგადოება, რამ ჩაუბუდა სულში ამდენი ნაღველი. მესმის, ძალიან გაჭირდა ცხოვრება, ყოველი წვრილმანი პრობლემად გვექცა, მაგრამ განა წინათაც არ იყო სიძნელეები, რად დაიკარგა კაცთმოყვარეობა, სიბრძნე, ურთიერთგატანა, ვერ ამიხსნია რატომ გადმოგვედო ჩვენთვის უცხო სიცივე და მიუკარებლობა?!

– შვილის თვალით დანახული და შეფასებული დედა, უსათუოდ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის, მითუმეტეს, როცა ორივენი ერთსა და იმავე მუზას ემსახურებოდით.

– დედა დედაა, ვინც უნდა იყოს იგი. როცა ცოცხალი იყო, არასოდეს მიგრძვნია მისი გენიალური მსახიობობა, ახლა კი თამამად ვამბობ, როგორც შვილი და კოლეგა, რომ მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, დიდი მსახიობი, სულით ამაყი და გაუტეხელი, ყოველდღიური პროზა არც მას დაჰკლებია. ბაზარში დადიოდა, ალაგებდა, რეცხავდა, სითბოს და ალერსს უშურველად გვინაწილებდა ყველას. განსაკუთრებით შვილიშვილებით ტკბებოდა.

მოსკოვში შემოქმედებითი საღამო გაუმართეს. სხვადასხვა სპექტაკლებიდან რამდენიმე ნაწყვეტი შეასრულა, ფაინა რანევსკაია, ეს უბრწყინვალესი მსახიობი, ისე მოიხიბლა სპექტაკლით „ხეები ზეზეურად კვდებიან“, რომ მან უარი თქვა ამ პიესაში თამაშზე, ასეთი ტალანტის ნახვის მერე აღარ ღირსო.

მჟავანაძის დროს დედა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორად უნდა დაენიშნათ. გამოიძახეს ცეკაში და უთხრეს, ახლავე დაწერე განცხადება, პარტიაში შესვლაზეო – მტკიცე უარი განაცხადა, სულაც არ მჭირდება თქვენი პარტია, თუ მაინცა და მაინც გინდათ ისე დამნიშნეთო. იმ დროს იგი ერთადერთი უპარტიო ხელმძღვანელი იყო, მას ეს სულაც არ აღელვებდა....

დედას არაფერი დაკლებია ამ ქვეყნად – სახელი, დიდება, აღიარება, ჯილდოები. მისმა აქტიორულმა ოსტატობამ და მაღალმა კულტურამ ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული თეატრის რეალისტური და რომანტიკული ტრადიციების განვითარებას. და, რაც მთავარია, 90 წლის ასაკშიც ქალად დარჩა.

... ქობულეთში ვისვენებდით. დედა ბაზარში ხილის საყიდლად შევიდა, რეპროდუქტორიდან გაისმა ბაზრის დირექტორის ხმა, - ქალბატონი ვერიკო იმყოფება ბაზარში, თავი არავინ შეირცხვინოთ და ფული არ გამოართვათო, დედა აღშფოთდა, ასეთი შემთხვევა უამრავი გვქონია.

არ შემიძლია გულისტკივილით არ ვთქვა, რომ დედას არც ერთი როლი ფირზეც კი არ შემორჩა შთამომავლობას. ძალიან მინდა ფილმი შევქმნა მასზე, ვნახოთ როგორ გავართმევ თავს.

– მამა? მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ბატონი მიხეილ ჭიაურელი - მაღალპროფესიული მსახიობი, თეატრისა და კინოს გამოჩენილი რეჟისორი, ნიჭიერი მხატვარი–მოქანდაკე, ცნობილი ტკბილმომღერალი, მუსკომედიის თეატრის შემქმნელი, ქართული ხალხური შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე, სამშობლოს მოსიყვარულე, კარგი მეუღლე, პროფესორი, დარჩა კიდევ რაიმე თვისება, რაც მის პიროვნებას ამკობდა?

– მამა უბრალო ოჯახიდან იყო, მაგრამ როგორც ბრძანეთ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ჭეშმარიტი პატრიოტი, კარგად იცნობდა საქართველოს ადათ–წესებს, ყოფას, ჩვევებს, ბევრს მოგზაურობდა. იაკობ ნიკოლაძის მოწაფე გახლდათ. ექვთიმე თაყაიშვილთან

ერთად მუშაობდა თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების შესწავლაზე.

როცა მამას ფილმი - „ბერლინის დაცემა“ მოსკოვში აჩვენეს, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, კარგა ხანს არ შეწყვეტილა ტელეფონის ზარი. მისი შემოქმედების მეორე ნახევარს მაინც მიადგა ჩრდილი, დასწამეს, სტალინს მიეყიდაო, მტკნარი სიცრუე იყო. მას ფანატიკურად უყვარდა სტალინი და აფასებდა მის ფენომენს, რაც უდავოდ მათი ურთიერთპატივისცემით იყო გამოწვეული, ამისთვის ხრუშჩოვმა სამი წლით სვერდლოვსკში გადაასახლა, მაინც არ უღალატნია რწმენისთვის, ბოლომდე მისი ერთგული დარჩა, თუმცა მის შემოქმედებას ამით ბევრი რამ დააკლდა. ის იყო ჭეშმარიტი სატირიკოსი. „ხაბარდა“ და „უკანასკნელი მასკარადი“ ამის შესანიშნავი ნიმუშებია. ზედმიწევნით მუსიკალური პიროვნება, კარგად იცნობდა ქართულ ფოლკლორს. როცა ბატონი გია ყანჩელი „ხანუმაზე“ მუშაობდა, საკონსულტაციოდ მამასთან მოდიოდა ხოლმე... ვამაყობ იმით, რომ ჩემში არის ანჯაფარიძეების, მესხების, ჭიაურელების სისხლი, სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების გენები.

– ერთ-ერთ საზღვარგარეთელ კინოვარსკვლავს ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა, რამდენჯერ იყავით გათხოვილი? – მსახიობისათვის არც ისე ბევრჯერო, მიიღო პასუხი.

–მიგიხვდით, რისი თქმაც გსურთ. ბედნიერი ხარ ადამიანი მაშინ, როცა ნამდვილ გულისსწორს შეხვდები ცხოვრებაში, არა აქვს მნიშვნელობა ასაკს, ოჯახურ მდგომარეობას. ბედნიერი ვარ მას შემდეგ, რაც კოტეს დავუკავშირე ბედი (ლაპარაკია ბატონ კოტე მახარაძეზე). იგი გახლავთ ყველა რაინდული თვისებით შემკული ინტელიგენტი. არასოდეს ავიწყდება, რომ ქალი ვარ, ბოლოსდაბოლოს, ცხოვრება ხომ ყოველდღიური წვრილმანებისგან შედგება, საოცრად რბილი და დამთმობია ურთიერთობაში. უნიკალური მეხსიერებითა და ნიჭით დაჯილდოებული მსახიობია. ახლახან ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის

ერთი მსახიობის თეატრმა მაყურებელს შესთავაზა ლევან სანიკიძის ისტორიული ნაწარმოები „ბაგრატიონები“. ჩვეული ოსტატობით ორსაათნახევარს შეუსვენებლივ სცენაზე იდგა კოტე. მსმენელის თვალწინ გაიელვა ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის მოღვაწეობამ.

– რას გვეტყოდით, სოფიკო ჭიაურელზე, როგორც დედაზე, მეუღლეზე, დიასახლისზე?

– მიყვარს და ვაფასებ ოჯახურ სიმყუდროვეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა გვერდით ჩემი საყვარელი ადამიანები არიან. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, როგორც უმეტესი ქალი, ოჯახის მთელი ტვირთი ჩემს კისერზეა: ბაზარი, მაღაზია, სახლი, რეცხვა, დალაგება, ძალიან მამშვიდებს კერვა. ადრე კარგ ტორტებსაც ვაცხობდი. მანქანის საჭესაც ვუზივარ, მაგრამ მაინც უსაშველოდ განვიცდი დროის დეფიციტს.

– მოკლედ, იქნებ თქვენს სამომავლო გეგმებზეც გვითხრათ.

– თითქმის ორი წელია, რაც ჩვენში მოიშალა ნორმალური ცხოვრების რიტმი. მინსკის კინოსტუდიამ მიმიწვია „ღამის პეპელაში“ ამერიკელი ქალის როლზე. მოსკოვის კინოსტუდიაში ვალერი ახადოვმა შემომთავაზა არც თუ ურიგო როლი, ვერ გადამიწყვეტია, დავთანხმდე თუ არა, ჩაფიქრებული მაქვს ერთი მსახიობის თეატრში მივიღო მონაწილეობა. ახლახანს მოსკოვის მცირე თეატრში ვაჩვენეთ ჩვენი თეატრის ყველა დროის საუკეთესო სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“, ეს არის კოტე მარჯანიშვილის, პეტრე ოცხელის და თამარ ვახვახიშვილის შემოქმედების საუკეთესო შერწყმა. სპექტაკლს შესაშური წარმატება ხვდა წილად. დაესწრნენ მოსკოვის ყველა თეატრის წარმომადგენლები, საელჩოს მუშაკები, ისინი, ვისაც ნამდვილად უყვარს და ესმის თეატრი.

... ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ, ღრმად მწამს, თუ თითოეული ჩვენთაგანი დროზე მოეგება გონს, ყველა თავის საქმეს გააკეთებს, ბედნიერი ხვალინდელი დღეც გაგვითენდება.

1992 წ.

არ მინდა გეჩხუბო, მინდა მიყვარდე...

დღეს ცნობილი კრიტიკოსის ნოდარ ჩხეიძის ოჯახში ვიმყოფები. იგი, თბილი, სიკეთითა და სტუმართმოყვარეობით სავსეა. ისეთი, როგორიც ამქვეყნიდან ნაადრევად წასულმა ოჯახის თავკაცმა დატოვა. ორი მშვენიერი ქალბატონი – მწერლის მეუღლე ***ლია მახარაძე*** *და ქალიშვილი* ***ხათუნა ჩხეიძე*** *კოპწიად გაწყობილ სუფრას მახვედრებენ, რაც უკვე იშვიათობადაა ქცეული. მესაუბრებიან გულახდილად, ისე, როგორც ბატონ ნოდარს ჩვეოდა. ალბათ, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, გამიჭირდებოდა, ვერ გავბედავდი მასზე დამეწერა. ყოველგვარი უხერხულობა ქრება და ჩვენ თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყოთ, ვსაუბრობთ გვიანობამდე. ოთახში მაღალი ოსტატობით შესრულებული მხატვარ ზურაბ სამხარაძის ნოდარ ჩხეიძის პორტრეტი ჰკიდია, გრუზა თმით, მისი დაუშრეტელი, მაძიებელი ბუნების, დაუხარჯავი ენერგიით სავსე ახალგაზრდა კაცის.*

მას ახლახან სამოცდათოთხმეტი წელი შეუსრულდებოდა.

– **ქ–ნო ლია, ერთი მისი რჩეული სტუდენტი ნოდარის სრულყოფილ პორტრეტს გვიხატავს წერილში სათაურით – „სინანული დაუწერელი წიგნების გამო“, ერთგან წერს – მისი სახე იოლ ცხოვრებაზე არ მეტყველებდაო. ხომ არ იცით, რას გულისხმობდა ამაში?**

– შვიდი წლისაც არ იყო, როცა დედა გარდაეცვალა. თბილისიდან ობჩაში მოუწია საცხოვრებლად გადასვლა. მამა ზედმიწევნით განსწავლული, პროფესიით აგრონომი გახლდათ. პარიზსა და ბრიუსელში ჰქონდა განათლება მიღებული, შესანიშნავად იცოდა ფრანგული და რუსული ენები. თავადები იყვნენ ჩხეიძეები. ჭკუასაკითხავი პიროვნება იყო ჩემი მამამთილი ბარნაბი. ნოდარის შემდეგ ათი წელი იცოცხლა. დედა პედაგოგი ყოფილა.

მამა იმდენად მომხიბლავი იყო, ორმოცდაათი წლის ასაკში თვრამეტი წლის ქალი უთხოვია, რომელიც დღესაც ცოცხალია. ნოდარს ექვსი და–ძმა ჰყავდა.

– **და იქვე ვკითხულობთ – ჩხუბისგან თავის არამრიდებელი, ფათერაკების მაძიებელი, არაორდინალურად მოაზროვნე...**

– გარეგნობით ნოდარი დიდი დევგმირი არ იყო, მაგრამ ჩხუბში გულდაგულ გადაეშვებოდა, არავის არაფერს შეარჩენდა, მაგრამ იცოდა თქმა – „არ მინდა გეჩხუბო, მინდა მიყვარდე!“ ასე მთავრდებოდა ყოველგვარი უსიამოვნება.

– **სად გაიცანით, როგორ მოვიდა სიყვარული. ერთგან ამბობს ნოდარი, მსოფლიოში ორი ქალი მომწონს, ლუჩია ბოზე და ჩემი ცოლიო?**

– უნივერსიტეტის ფოიეში მეგობრებში იდგა. ასპირანტი იყო, ჩემზე ოთხი წლით უფროსი. ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ვგრძნობდი, რომ მოვწონდი. ბესო ჟღენტი ცემდა სამოციანელების ალმანახს „სხივი“, მის განხილვას ვესწრებოდი. უკანა მერხიდან რეპლიკებს ისროდა, ვერ ისვენებდა. მერე ვიღაც გააკრიტიკა. მეორეკურსელ გოგონას თავშეუკავებელ უზრდელად მომეჩვენა. ექვსი თვე ვხვდებოდით. ისეთი ბედნიერი ვიყავი, არავის არაფერს ვეუბნებოდი, არავისთან ვყვებოდი, ბოლოს ჩვენი სიყვარული გაპარვით დასრულდა. დედა მსაყვედურობდა, უპატივცემულობად ჩამითვალა. კარგა ხანს არ მაპატია. მალე ხათუნა შემეძინა. ნოდარს არ უნდოდა მემუშავა, ერჩივნა სახლში ვყოფილიყავი. ბავშვებს ბევრი მოაკლდებათო. ნოდარის შემდეგ ლიტერატურის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, ვთარგმნიდი კიდეც, შვილები უნდა გამეზარდა.

– **ვისაც მასთან შეხება ჰქონია, ლაპარაკობენ მის უშუალობაზე, არაჩვეულებრივ მეგობრულ ურთიერთობაზე სტუდენტებთან. როგორი იყო ოჯახში, მეგობრებში?**

– ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი კი გახდა,

საზღვარგარეთის პრესას ასწავლიდა. ნარკვევის კურსსაც უკითხავდა ჟურნალისტებს. უნდოდა უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა გახსნილიყო, მისი გარდაცვალების შემდეგ ახდა ეს ოცნება. გარს ეხვია უამრავი უმცროსი და უფროსი თაობის მეგობარი, ძმაკაცი. იყო სამაგალითო მეუღლე, შესანიშნავი მამა, გამორჩეულად ანებივრებდა ხათუნას, ალბათ გოგო რომ იყო იმიტომ, თორემ შვილებს როგორ გაარჩევდა. ბევრს მუშაობდა, განსაკუთრებით ღამე, როდის ეძინა ვერ ვიგებდი. სამი-ოთხი წიგნი ერთად ჰქონდა გადაშლილი. ფლობდა გერმანულს, უნდოდა ესპანური შეესწავლა. კიდით-კიდემდე მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული. ერთი ზაფხული გიორგი შენგელაიასთან და გურამ რჩეულიშვილთან ერთად გაატარა ხევსურეთში. გაიჩინა ბევრი მეგობარი. ერთი მათგანის სიყვარულით შვილს გაგა დაარქვა. ზედმიწევნით პროგრესული ადამიანი იყო. წინასწარ ჭვრეტდა მომავალს. არ მახსოვს, სახლში ისე შემოსულიყო, რამდენიმე წიგნი არ ჭეროდა ხელში. ეს უნიკალური ბიბლიოთეკა სულ მისი შეძენილია. ბავშვები კარგად სწავლობდნენ. დაყავდა კინო-თეატრში, ურჩევდა ლიტერატურას. მახსოვს ფელინის „რვანახევარი“ სამჯერ ნახა, აკეთებდა ფილოსოფიურ დასკვნებს. იცოდა ნანახისა და წაკითხულის ამომწურავად შეფასება.

– **ხათუნა, როგორი გახსოვთ მამა?**

– თუ ფიზიკას ხუთზე ვისწავლიდი, იმ დღეს ჯილდო მელოდა – საღამოს მე და მამა ჭაბუა ამირეჯიბთან მივდიოდით. ჩაბნელებულ ოთახში ჭაბუა ბიძია კითხულობდა თავებს „დათა თუთაშხიადან“. შემოგვათენდებოდა, ვისხედით: რეზი თარხან-მოურავი, ჭაბუა და მამა. სამოციანელ მწერლებს ჰქონდათ თავიანთი სამყარო, კინო, მწერლები. იყვნენ კომუნისტური რეჟიმისგან განდგომილნი. დისპუტების, კამათის წარმმართველი მუდამ თავად იყო. არ დაჰკლებია სიყვარული, აღიარება, თითქოს ბედმა გააერთიანა გურამ რჩეულიშვილი და ნოდარ ჩხეიძე, თეთრი შურით შურდათ

მათი. ჩეხოვის ტომეულების უკან მუდამ აკრძალული ლიტერატურა ედო. ჩიტივით ეძინა. ერბო–კვერცხით შეეძლო ესადილა. სიგარეტი სულ ხელში ეჭირა, სრულიად უპრეტენზიო, არაგურმანი.

– **ქ–ნო ლია, რასაც მიაღწია, მაინც ბევრია. ის ხომ ორმოცი წლისაც არ იყო?**

– მე არ მინახავს კათედრაზე მდგომი ნოდარი – ლექტორი, რამდენჯერმე ლიტერატურულ საღამოზე ვნახე მხოლოდ. დახვეწილი ქართულით მოსაუბრე. შემოგვრჩა მისი ჩანაწერი – კითხულობს „ყივჩაღის პაემანს“. გამორჩეულად უყვარდა ლეო ქიაჩელის პროზა: „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“ და „ალმასგირ კიბულანი“ ნოველების შედევრებიაო. სამი მწერალი შედევრის შემქმნელი ვიციო: ლეო ქიაჩელი, სერგო კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე, აფასებდა ანა კალანდაძეს, ოთარ ჭილაძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, გურამ რჩეულიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, მურმან ლებანიძეს, გაუთავებლად შეეძლო ესაუბრა ჰემინგუეის სტილზე და ასევე შთაუნერგავდა სტუდენტებსაც.

– **მისი სტუდენტებისგან გამიგია არაჩვეულებრივი ლექტორი იყო, თუმცა ზოგჯერ უცნაურიცო.**

– როგორც ყველა ლექტორს, მასაც ჰყავდა გამორჩეული სტუდენტები. ერთხელ საპროტექციოდ მოვიდნენ, ერთ სტუდენტს ხუთიანი დაუწერეო. ჯგუფში 23 იყვნენ, კარგად მახსოვს ის უწყისი, ყველას ხუთიანი დაუწერა, რატომ მაინცდამაინც ის ერთი, სხვებმა რა დააშავესო, მაღალი შეფასების დაწერა არ უჭირდა.

– **ხათუნა, ოჯახში, შვილებთან როგორი იყო, აქტიურად ერეოდა თქვენს აღზრდაში?**

– სულ მამასა და ფიზიკის მასწავლებელს შორის ვიჭყლიტებოდი. მამას უნდოდა როგორც ყველა საგანში, ფიზიკა–მათემატიკაშიც ხუთოსანი ვყოფილიყავი. უკანასკნელად 9 იანვარს სახლიდან რომ გადიოდა, დამემშვიდობა და მითხრა, ფიზიკა კარგად მოამზადე და ჭაბუასთან გადავალთო (ახლოს ცხოვრობდა). მამა

რამდენიმე დღეში ორმოცი წლის უნდა გამხდარიყო. მე ცამეტი წლის ვიყავი მაშინ.

– ... ერთხელ, მაღალი სიცხე მქონდა, დამავალა „ხოგაის მინდია“ წაიკითხეო. სამი გვერდის მეტი ვერ შევძელი. როცა რაიმე ეწყინებოდა, გაფითრდებოდა, ხელით არასოდეს შეგვხებია. უნდა მივმხვდარიყავით, რომ მამას ძალიან ეწყინა. როცა გარდაიცვალა, გაგა თერთმეტი წლის იყო, ბაჩო – სამის.

– ... დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისურის განხრით დავამთავრე. ოცდათოთხმეტი წელია, რაც მამა აღარ არის და მაინც სულ თვალწინ მიდგას. ცოცხალი რომ ყოფილიყო, მჯერა, ჩემი ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა. გამორჩეული მეგობრები ვიქნებოდით. არ მავიწყდება მამის იდუმალებით სავსე დიალოგები. ერთხელ ჭაბუა ძიასთან მყუდროება დავარღვიე და ბავშვური გულუბრყვილობით ვიკითხე: რას ნიშნავს სიტყვა გაკოტრება–მეთქი. ჭაბუამ თავი დახარა. შეხედე, როგორი მელოტი ვარ, აი, ეს არის გაკოტრებაო. არცერთი საღამო ერთმანეთს არ ჰგავდა. გაუთავებლად კამათობდნენ. ზოგჯერ ჩხუბობდნენ კიდეც. მამა – მშფოთვარე, დამუხტული. მეგონა ჩვენი სახლი სადაც იყო გასკდებოდა. ერთხელ ჭაბუამ საინტერესოდ გვიამბო დაგრეხილი ბამბით საპატიმროში როგორ გადაიჭრა ვენები.

... როცა ჩვენს ოჯახში საინტერესო ადამიანები იკრიბებოდნენ და ეს თითქმის ყოველდღე იყო, ბავშვებს არასოდეს დაგვაწვენდა მამა – იყავით, ისმინეთ, ამაზე უკეთესი რა უნდა აკეთოთო.

... სკოლაში რეზო ინანიშვილი მოვიწვიეთ. დირექტორმა დამავალა, მისასალმებელი სიტყვა მეთქვა. ალბათ მამაჩემის იმედი თუ ჰქონდა. მამას ვთხოვე დამხმარებოდა, ავტირდი, დაწექიო, მითხრა და გამაფრთხილა, იცოდე, ეს იქნება პირველი და უკანასკნელი. ორი–სამი სიტყვით დაეწერა, მარტივად, მე ვიცნობ ამასა და ამას, ვიცი მასზე ესა და ეს, ზედსართავების გარეშე მასწავლიდა წერას.

როცა წავიკითხე, საშინლად არ მომეწონა, გავსკდი ტირილით. სკოლაში კითხვა ჩავამთავრე, რეზომ ყურში ჩამჩურჩულა – მამა აქ არის! მაგრძნობინა, ვიცი, ვისი შვილიც ხარო.

მახსოვს მამა პირით მდგარი წიგნებთან, თითების მოძრაობით როგორ გვირჩევდა ასაკისათვის შესაფერის წიგნს.

ერთხელ, ვახუშტი კოტეტიშვილმა მითხრა, ხათუნა, რა ძნელია კარგი მამის შვილი რომ ხარ! მითუმეტეს თუ ვინმემ გაგაგონა – ეს არ გეპატიება, ეს არ გეკადრება. დღესაც კი, სადაც შევდივარ, ყველას სახე უნათდება. ჩემი ძმა გაგა მანანა დუმბაძესთან მივიდა რაღაცაზე. მანანამ გააცნო თავისი შვილი ნოდარიკო, ბავშვმა არ დააყოვნა და ალალად თქვა, მეც არ ვიფიქრე, უცბად ასე როგორ გავთბიო.

... მამაჩემს ჩამოწერილი ჰქონდა შედევრების სია, რომელიც ჩემი ნათლიის, ნოდარ დუმბაძის მოთხრობებით იწყებოდა. ნოდარისგან მოდიოდა ადამიანური სითბო, სიყვარული... გულრიფშში ვისვენებდით, მამა ცურვას მასწავლიდა, მიმატოვებდა სიღრმეში, უნდოდა დამოუკიდებლად გამოვსულიყავი ნაპირზე. ერთხელ მწარედ ავტირდი, შემეშინდა. ნოდარმა უსაყვედურა მაშინ.

როცა მამა აღარ იყო, მის მეგობრებზე გადანაწილდა მისი სიყვარული. დღემდე ვგრძნობთ მათ დახმარებას, მხარდაჭერას, გვერდში დგომას, არ მინდა სათითაოდ ჩამოვთვალო, უხერხულია ვინმე არ გამომრჩეს. ნოდარი (ლაპარაკია ნოდარ დუმბაძეზე) შეუძლოდ იყო. ექიმებს მკაცრ რეჟიმზე ჰყავდათ, წვეულებაზე ვიყავით, ყურში ჩამჩურჩულა, ერთი სიგარეტი დამიტოვე, მენშევიკების „პარაოზის“ სუნი ამოგდისო.

... მამას მეგობრებს – სამოციანელებს ლომის გამოსახულებები ეკიდათ ყელზე, ერთმანეთს ასეთი სახელები შეარქვეს: ლომი გალიაში – ზაურ ბოლქვაძე, ლომთა ლომი – მამა, დაჭრილი ლომი – გურამ ფანჯიკიძე, მომცრო ლომი – ტარიელ ჭანტურია. ნაინფარქტალი ლომი

– ნოდარ დუმბაძე, ნეტავ შეიძლებოდეს იმ საღამოებზე დამსვა, რამდენიმე წლის სიცოცხლეს დავთმობდი!

... ვიდრე მამა ცოცხალი იყო, ბედნიერი ბავშვები ვიყავით, მამა გვერდიდან არ გვიშორებდა მე და გაგას. ბაჩო გვიან დაიბადა. გაგა და მამა თუშეთში, ხევსურეთში, დაღესტანში; მე და მამა მოსკოვში, – გამაცნო რუსი მწერლები, შემომატარა ღირსშესანიშნაობანი, ყველა მუზეუმი...

– **ქ–ნო ლია, ბევრს ჰყვებიან ბატონი ნოდარის ხელგაშლილობაზე; სტუმართმოყვარეობაზე.**

– ერთ–ერთი მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისება ყოვლად უანგარობა იყო, არავითარი ფულის ყადრი, მომჭირნეობა, ხეირიანად ფულის დათვლაც კი არ იცოდა, სად რა იხარჯებოდა, არ აინტერესებდა. ერთ დღეს ვეუბნები, სამი პატარა ბავშვის პატრონს სამი მანეთის მეტი არ გაგვაჩნია–მეთქი, მხოლოდ რძეს თუ ვიყიდით ხვალ. ეს არის და ეს. რა უნდა ვქნათ? ის სამი მანეთი სტუმრად მოსულ მეგობარს გადაუგდო ფანჯრიდან, შინ ტაქსით წადი, ავტობუსით არ იჩანჩალოო. მიუხედავად ხელმოკლეობისა, ხვალის შიში არ მქონდა, იმდენად ძლიერი, უშიშარი პიროვნება იყო, არც მერე შემშინებია. თხუთმეტი წელი ვიცხოვრეთ ერთად, ისე მიყრდნობილი ვიყავი მასზე, როგორც მყარ კედელზე. თუმცა ჩემის აზრით მარტოსული იყო, ფეთქებადი, ბოლომდე შეუცნობ და გაუხსნელ პიროვნებად დარჩა.

... ახალი წელი თენდებოდა, მეგობარი შეწუხებული ურეკავს, წუხელ ავტოფარეხში დაბმული ინდაური მომპარესო. დაუფიქრებლად, უცბად იცოდა გადაწყვეტილების მიღება, ინდაური და გოჭი უყიდა და მიუტანა.

... მთა იყო მისი საოცნებო წასასვლელი, არ მეთმობოდა, როცა წასვლას დააპირებდა, მოვიწყენდი, პატარა ბავშვებით მიჭირდა მარტო დარჩენა. ვკითხავდი, როდის მოხვალ–მეთქი. ჩამოვიდოდა, ჩაატარებდა ლექციებს და სახლში მოუსვლელად ისევ მთას მიაკითხავდა. ალბათ ახალგაზრდობა აკეთებინებდა, თორემ ჩვენი

თავი ქვეყანას ერჩივნა, უბავშვებოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა.

– **ხათუნა, მინდა ახლა სხვა კუთხით შეგხედოთ. თქვენს კაი ქალობაზე ბევრს ლაპარაკობენ, გყავთ ოთხი შვილი. და კიდევ, თქვენ რაღაც სერიოზული უსიამოვნებაც შეგემთხვათ ახალგაზრდობაში?**

– მანქანამ ორჯერ შემიცვალა ცხოვრების წესი – ორჯერ მივიღე საშინელი ტრავმა, ჯერ მამა წამართვა და მერე მე გამასწორა მიწასთან. 21 წლის ვიყავი, უცხოელი სტუმარი ანანურში წავიყვანე. საჭე ვერ დავიმორჩილე, ორი უახლოესი მეგობარი ჩემი მიზეზით დამეღუპა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, ნეტავ მე მოვმკვდარიყავი. ოცდასამი წელია, ვერ მოვინელე ეს საშინელება, ყველას ვევედრებოდი ციხეში ჩავესვი, უფრო მოვისვენებდი, მამას მეგობრები მამშვიდებდნენ, შენი პატიმრობით მაინც ვერაფერს შეცვლიო, ამნისტიამაც გამათავისუფლა, მაგრამ ასეთი ცხოვრება მაინც არ მიღირდა. მას შემდეგ მანქანას არ გავკარებივარ.

... მეუღლე – გია თარხან–მოურავი პროფესიით ფიზიკოსია, სასტიკად არ უყვარს, როცა მასზე ხმამაღლა ლაპარაკობენ. მოკრძალებული, თავმდაბალი ადამიანია. ოთხი შვილი გვყავს – თამრიკო, ნინო, ლიკა, დევი (მაზლის საპატივცემულოდ დავარქვით). ბავშვებს სპორტულად ვზრდით – მათი გართობა ცურვა, ცხენი, თხილამურებია.

– **ძმები რას აკეთებენ, მამის კვალს ხომ არ გაჰყვა რომელიმე?**

– გაგამ იენის უნივერსიტეტი დაამთავრა, კინოფესტივალის დირექტორია. ბაჩო – გამომცემლობა „ბენეფისის“ მენეჯერი.

– **ქ–ნო ლია, ბედნიერად თვლით თავს, რომ საინტერესო კაცის მეუღლე იყავით, თუმცა მასთან ასე ნაადრევად დაშორებამ რამდენი პრობლემა შეგიქმნათ?**

– არ მიყვარს წუწუნი, ვინმესთვის თავის მობეზრება, მიყვარდა და ვუყვარდი. იყო ჩუმი ღელვები, კამათი, გაბუტვა, თითქოს ჩვენზეა ნათქვამი „ცოლ–ქმრის ჩხუბი

ბრიყვს მართალი ეგონაო“.

მიკვირს, როგორ დაგთანხმდით. დასაწერად პირველად ამოვიღე ხმა ნოდარზე.

– ქ-ნო ხათუნა, მამამ რამდენ სტუდენტს ააღებინა ხელში კალამი მოთხრობის დასაწერად, ერთი მისი ყოფილი სტუდენტი მიამბობდა, რომ არა ნოდარის დაჟინება, ვერ გავბედავდი მოთხრობის დაწერასო, ან როცა იტყოდა, შენგან ნამდვილი ჟურნალისტი დადგებაო, წყალი არ გაუვიდოდა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, საინტერესოა, როგორ შეხედავდა ყვითელ პრესას, ნარკვევის ჟანრი თითქმის აღარ არსებობს, საერთოდ როგორ შეაფასებდა დღევანდელ მწერლობას და ჟურნალისტურ საქმიანობას, თქვენ საკმაოდ საინტერესო მოსაუბრე ხართ, იქნებ წარმოდგენა გაქვთ ამაზე?

– მამას ყველა თაობის უამრავი მეგობარი ჰყავდა. ყველა სპეციალობის. უყვარდა მოგზაურობა, მისი ჰობი წიგნი იყო, იქნებ გატაცებებიც ჰქონდა. დედას ამაზე არასოდეს უთქვამს. არც უგრძვნია, არც უნერვიულია. მამა ისეთი უპრობლემო იყო, ოჯახს ტკივილს არ მიაყენებდა. ყვითელ პრესასაც ყავლი გაუვა, ისევ დაიხვეწება ქართული ჟურნალისტიკა, როგორც მამას სწამდა. პუშკინს როცა ვკითხულობ, სულაც არ ვგრძნობ, თუ ორი საუკუნე გვაშორებს მასთან. მამას განსაკუთრებით უყვარდა ახალი სახელები, საოცარი აღქმის უნარი ჰქონდა. ლექსის ერთი სტრიქონით, პროზის ერთი ფრაზით შეეძლო ავტორის ნიჭის გამოვლენა. ბედნიერი იქნებოდა, როცა გვყავს აკა მორჩილაძე, რატი ამაღლობელი, სხვა ახალგაზრდები. ის თავისუფლად მოაზროვნე, პროგრესული ადამიანი იყო, მისი მოქალაქეობრივი მრწამსით, როგორც კრიტიკოსი ბოღმას და ბალღამს არასოდეს აფრქვევდა. კრიტიკის კრიტერიუმს მტკიცედ იცავდა. როცა კრიტიკულ წერილებს ვკითხულობ, დღევანდელი გადასახედიდან მიკვირს, როგორი ობიექტური შემფასებელი ყოფილა. სერგო კლდიაშვილი წერს ერთგან – რა საინტერესოდ, დამაჯერებლად წარმართავს ნოდარ ჩხეიძე

თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებსო. მაშინ, როცა პრესის თავისუფლების გარიჟრაჟიც არ შეინიშნებოდა. ამ გაჩაღებულ ლანძღვა–გინების კორიანტელში ვერ წარმომიდგენია, თუმცა ღრმად მჯერა, ყველაფერს თავს ღირსეულად გაართმევდა, არ შეიძლებოდა მისი ხედვის არეალს ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი არ დაენახა და მკერდით არ გადაფარებოდა. კაცი, რომელიც ეროვნული ტრადიციებით იყო ნასაზრდოები, ეპოქას მთელი საუკუნით უსწრებდა, თუმცა არ დაჰკლებია მოწინააღმდეგეები. თვალი გადავავლოთ წარსულს – რა უყვეს ერის ბერმუხას ილია ჭავჭავაძეს, სულხან–საბა წვერით როგორ ათრიეს. ჩემის აზრით, ნიჭიერი მწერალი დღესაც ბევრია. გვაკლია ჭეშმარიტი კრიტიკოსი.

* * *

ვემშვიდობები ღირსეულ მანდილოსნებს და მაინც უკმარისობის გრძნობით ვტოვებ ნოდარ ჩხეიძის მყუდო სამყოფელს. ღიმილით მაცილებენ და მესმის სიტყვები – უღრმესი მადლობა, რამდენი წელია ამდენი არ მილაპარაკია მამაზე და თურმე, როგორ მომნატრებია!

2002 წ.

სიამაყეა ჩემი ნაკლიცა და ღირსებაც

ამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქართველმა ერმა დიდი პატივი მიაგო თავის საყვარელ მსახიობს. აღინიშნა საპატიო საიუბილეო თარიღი, „ლეილა აბაშიძე – 60 წელი ეკრანზე“. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ისე იყო გადაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. ლეილა აბაშიძეზე ხშირად წერდნენ, რომ ასეთი მსახიობით ჰოლივუდიც იამაყებდაო.

– ქ–ნო ლეილა, გვიამბეთ მშობლებზე, ოჯახზე, ხელოვანთა ოჯახი გქონდათ?

– რეაბილიტირებულთა ოჯახის შვილი ვარ. მამა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს. წყალთა მეურნეობის მინისტრი იყო, საბჭოთა კავშირის რიგით მე–14 ლენინის ორდენოსანი, დედა მედიცინის დარგის მუშაკი. როცა მამა ციმბირში გადაასახლეს, დეკაბრისტების ცოლების მსგავსად დედა თან გაჰყვა. ჩემი ძმა იქ დაიბადა. ხუთი წლის ვიყავი, როცა საცხოვრებლად მაგადანში მოვხვდით. ხელოვანთა ოჯახი გვქონდა. ყველანი ვმღეროდით. ბებიაჩემი და ზურაბ ანჯაფარიძის ბაბუა და–ძმანი იყვნენ. მე და მამა ციმბირში პატიმრებისათვის ვმართავდით კონცერტებს. „სიბირსკაია პრავდაში“ ჩვენს აქტიორულ მონაცემებზე დაიბეჭდა სტატია „მამა–შვილი“. როცა მამა დახვრიტეს, იქ არაფერი გვესაქმებოდა და სამშობლოში დავბრუნდით, უსახლკარონი, უსახსრონი, არაფრის მქონენი, ცხოვრების დაწყება თავიდან მოგვიხდა.

– თქვენი ბედი „ქაჯანამ“ გადაწყვიტა თუ სხვა გარემოებამაც შეუწყო ხელი. როგორი ბავშვი იყავით – ცელქი, დინჯი, პრანჭია?

– ცხოვრებისეულმა გარემოებაც განაპირობა ჩემი მსახიობობა. ისეთი მგრძნობიარე ვიყავი, არაფრის გამო შემეძლო მეცინა, მეტირა, როცა სიკვდილმისჯილებთან შიო მღვიმელის „ობოლს“ ვკითხულობდი, სულ ცრემლებად

ვიღვრებოდი.

ახალი ჩამოსული ვიყავი „ქაჯანაზე“ კონკურსი რომ გამოცხადდა. მამიდამ კინოსტუდიაში მიმიყვანა, უამრავი მოვლილი, გალაღებული ბავშვი იღებდა მონაწილეობას ამ კონკურსში. საცოდავად გამოვიყურებოდი, დამიწუნეს. გულდაწყვეტილი, კიბის მოაჯირს მოვაჯექი და თავქვე დავეშვი, კინორეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილს ისეთი ძალით დავეჯახე, ქუდი გადაუვარდა. დავიხარე, მივაწოდე, ბოდიში კი მოვუხადე. ბატონი კონსტანტინეს თვალს რა გამოეპარებოდა და მეუბნება: გინდა კინოში გადაგიღო? – გინდა, გინდა–მეთქი (ქართული ხეირიანად არ ვიცოდი) ვუპასუხე, ნამდვილი ველური ციმბირელი ვიყავი, კინოც კი არ მქონდა ნანახი. მომიბრუნდა და ისევ მეუბნება, იცი, შენი ძმა დამუნჯდა (მართალი მეგონა), რომელი–მეთქი და საშინელი ღრიალი მოვრთე, ანეკდოტი მომიყვა, ამაზე ისტერიული სიცილი ავტეხე და ასე გადაწყდა ჩემი ბედი. „ქაჯანა“ მსოფლიო კინოს ათეულში შეიტანეს. მე და თენგიზ ამირანაშვილი ოქროს საათებით და „არტეკის“ საგზურებით დაგვაჯილდოვეს. ჩავედით „არტეკში“ და დაიწყო ომი, ვეღარ ვბრუნდებით საქართველოში. გულისშემძვრელი იყო უკრაინელი და ბელორუსი ბავშვების გოდება. დარჩნენ უსახლონი, უმშობლებოები... ყუმბარების წვიმა მოდიოდა. რის ვაი–ვაგლახით ჩაგვიყვანეს მოსკოვში, თვენახევრის შემდეგ ჩამოვედით თბილისში.

„ქაჯანასთვის“ მიღებული ჰონორარით ვიყიდეთ პაწია ოთახი კიროვის პარკთან ნავთის წერტის თავზე. ძმა ბებიასთან იზრდებოდა სოფელში. ჩამოვიყვანეთ და ერთად მოვიყარეთ თავი. ბატონ კონსტანტინეს მეორე მამად ვთვლიდი. იმდენი ამაგი ჰქონდა ჩემზე.

– რა დაამთავრეთ?

– თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

– საყვარელი როლი, რეჟისორი, პარტნიორი?

– კატო, მაია წყნეთელი – ნამდვილი ეროვნული გმირი, რომელშიც შევძელი აქტიორული გარდასახვა,

თუმცა, როგორც ყოველთვის უკმარისობის გრძნობა მაინც დამრჩა. ფილმებიდან „ჭრიჭინა“, „შეხვედრა წარსულთან“. რეჟისორებიდან მწყალობდნენ: სიკო დოლიძე, რეზო ჩხეიძე, ნიკოლოზ სანიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ნანა მჭედლიძე, ლანა ღოღობერიძე, ვინღა დარჩა, თითქმის ყველა. როცა ამერიკაში „შეხვედრა წარსულთან“ უჩვენეს, გაზეთ „დეილი უორკერში“ დაიბეჭდა კინომცოდნე ბენ ლევინის სტატია, საბჭოეთს ჰყავს საკუთარი მერი პიკფორდი ლეილა აბაშიძის სახითო. „ორომტრიალმა“ ტოკიოს მეორე მსოფლიო ფესტივალზე, რომლის თავმჯდომარე გრეგორი პეკი იყო, საუკეთესო რეჟისურისათვის პირველი პრემია მიიღო. ცალკე აღინიშნა ჩემი აქტიორული მონაცემები.

ვისთანაც მითამაშია ყველანი მიყვარს, გადაღების დამთავრების შემდეგ ლამაზად მთავრდებოდა ჩვენი ურთიერთობა. განსაკუთრებით გამოვყოფ ადამიანური, რაინდული თვისებების და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე თენგიზ არჩვაძეს.

– პირადი ცხოვრება, ოჯახი, მეუღლე, სხვა გატაცებები...

– ადრე გავთხოვდი. მყავდა მეუღლე ჩემზე საკმაოდ უფროსი, ექიმი პათანატომი, ცნობილი აკადემიკოსის სერგი დანელიას ვაჟი ბიჭიკო (გიორგი) დანელია. იგი ჩემი იდეალი იყო, როგორც მრავალმხრივ განათლებული, კარგი სპეციალისტი, ენების მცოდნე, ჯაზის პიონერი საქართველოში, გიტარისტი. კარგად ხატავდა, ხელს მიწყობდა მუშაობაში, არავითარი ეჭვიანობა. ჩვიდმეტი წელი გავატარეთ ერთად, არავითარი გატაცება არ ყოფილა, ისე დავშორდით. ვაჟი წამომეზარდა, თავს არ მივეცი უფლება ბედი თავიდან მეძებნა.

– რომელ რეჟისორთან მუშაობამ მოგიტანათ განსაკუთრებული აღიარება?

– ორი დიდი ჯილდო მარგუნა სიკო დოლიძის „ჭრიჭინამ“ და მისივე დრამამ „შეხვედრა წარსულთან“ საკავშირო ფესტივალზე პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ლენინგრადში მომცეს, მეორეჯერ

ამიერკავკასიის კინოფესტივალზე პრიზი–დიპლომი – „За подлинный драматизм и трагизм“, განსაკუთრებით მიზიდავდა დრამატული როლები. ბატონი სიკო უდავოდ საინტერესო დრამატურგი და რეჟისორი გახლდათ. უტყუარი ალღოს პატრონი, ნიჭის შემფასებელი. როცა „კაცია–ადამიანს“ იღებდა, დარეჯანის როლი შემომთავაზა. ავთო მახარაძეს – ლუარსაბის. გამიკვირდა, კაფანდრა ვიყავი, სად მე და სად დარეჯანი–მეთქი, თუმცა, რომ არ დაგიმალოთ, ვოცნებობდი ამ როლზე. მირეკავს ბატონი სიკო და მეუბნება – ლეილა, დაჯექი, გადაიკითხე ილია, ნახე, შენს ბუნებას როგორ ესადაგება, შენს მონაცემებს, შენს გარდასახვის უნარს, თავისუფლად შეგიძლია ქალის კი არა, კაცის როლიც დასძლიოო. გადამიღეს სინჯები, ღრჯოლებიანი, ბალიშებგამოტენილი გვერდებით, არც ისე ურიგო დარეჯანი გამოვდექი. სიკო შეუძლოდ იყო უკვე, მისი დაწყებული საქმე ქეთიმ გააგრძელა, მე და ავთო სხვადასხვა როლებში დავკავდით და ასე დასრულდა ეს შემოთავაზება.

– თქვენზე რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ – ჰოლივუდის ვარსკვლავობა შეეფერებოდაო...

– საკუთარ თავზე უხერხულია ამ ქათინაურის გამეორება, თუმცა როცა ჰოლივუდში გახლდით, ექვსი დღე ჩემს ფილმებს უჩვენებდნენ. ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა, ჩემი გვარი ვარსკვლავებად წოდებული ჯეკი კუგანის, ლიზი ტეილორისა და იაპონელი ჰირო–უ–სიუს გვერდით მოიხსენიებოდა.

იტალიაში და საფრანგეთში ორ–ორჯერ გახლდით საბჭოთა ფილმების კვირეულზე. იქ უამრავი სტატია დაიწერა „ჭრიჭინაზე“, „აბეზარაზე“ და „მაია წყნეთელზე“.

– თუ უხერხული არაა, გვიპასუხეთ რა მოხდა თქვენსა და გოჩა აბაშიძეს შორის. მის თვითმკვლელობას ავი ენები თქვენდამი სიყვარულს მიაწერდნენ და უამრავ ჭორს ავრცელებდნენ...

– გოჩას ყოფილმა ცოლმა, ნუნუ გაბუნიამ ერთ–ერთ ინტერვიუში თქვა – ლეილა გოჩას სიკვდილში

უდანაშაულოაო. ისინი უკვე დაშორებულები იყვნენ, თავს თავისუფალ კაცად თვლიდა, უთუოდ ჩემით გატაცებული იყო, მაგრამ მე ოჯახი მქონდა. იგი იყო პოეტი, ქართველი ჟერარ ფილიპი, არაჩვეულებრივი გარეგნობის პატრონი, როცა რაიმეზე განერვიულდებოდა, სვამდა, თავის მოკვლის მიზეზი უთუოდ სხვა რამ იყო.

– ალბათ, გული მაინც გტკივათ, მეტის გაკეთება შეგეძლოთ და ვერ დაიხარჯეთ, რას მივაწეროთ ეს გარემოება?

– 70–იან წლებში, ზენიტში ყოფნის დროს, როცა ზედიზედ ორი ჯილდო მივიღე, შეწყდა ჩემი კარიერა. უმჯობესია ამაზე კინომცოდნეებმა თქვან. სულ ველოდებოდი მიწვევას, ვემზადებოდი, მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ გავირიყე ჩემი საყვარელი საქმიდან, მინდა შემთხვევითობას მივაწერო.

– რას ნატრობთ?

– ჩემი ასაკისათვის შესაფერის კარგ როლს. ჩემმა სათაყვანებელმა სესილია თაყაიშვილმა „დათა თუთაშხიაში“ და „ცისფერ მთებში“ ისეთი ორი როლი შექმნა, უდავოდ „ოსკარს“ იმსახურებს. იმედს მაინც არ ვკარგავ. რეჟისორები გამიხსენებენ.

– თქვენი ჰობი?

– ჩემი შვილიშვილი გიორგი (ბაბუის სახელია). შემოქმედებით და სულიერ საზრდოს მუდამ ბავშვებისგან ვღებულობ. ვოცნებობ, საბავშვო ფილმი გადავიღო, პიპინაშვილის გზა გავაგრძელო.

– მორწმუნე ხართ, ბედისწერის გჯერათ?

– ბუნებით მორწმუნე ვარ. „ქაჯანა“ გერის წმიდა გიორგის ეკლესიაშია გადაღებული, ფილმის სცენარმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, ბევრი რამ შთამაგონა.

– ბედნიერ ქალად თვლით თავს?

– რა თქმა უნდა. ადამიანი ბედნიერია, რადგან გავჩნდით, მოგენიჭა სიცოცხლის უნარი. არ უნდა დაგვავიწყდეს, ხშირად ვიმეოროთ „მადლობა უფალო, რომ ცოცხალი ვარ“, რომ მზე დაგვნათის, ყუმბარები არ სკდება ჩვენს თავზე, უმადურობაზე ცუდი ამქვეყნად არაფერია.

– როდის იგრძენით რომ გიყვარდათ, რამდენი წლის იყავით?

– სულ პირველად პლატონურად ვიყავი შეყვარებული. არ ვიცნობდი, ხელში დაჭრილი ჯარისკაცი იყო. ჩემი სახლის აივნიდან ვხედავდი, ის ჩემი გმირი იყო, მერე უცბად გაქრა, ალბათ ომს თუ დაუბრუნდა.

– ქ–ნო ლეილა, როგორი დედა იყავით ერთადერთი ვაჟისათვის, როგორი ბებია ხართ?

– „გიჟი“ დედა ვიყავი, უსაზღვრო, თავდავიწყებული სიყვარული ვიცი. გავხალისდით, ჩემი რძალი ქეთი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, ჩემი გიორგის დედა. იგი ხელოვანია, ვეთაყვანები მის ვოკალურ ნიჭს. ჩემმა ვაჟმა რამაზმა უნივერსიტეტი დაამთავრა, მუსიკოსიცაა, მამამისივით ჯაზი იტაცებს.

– პრეტენზიული ხართ და ვის მიმართ?

– ცხოვრებამ არ გამანებივრა, აბსოლუტურად უპრეტენზიო ყველას მიმართ, მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, გულს ვიღრღნი, მხოლოდ საკუთარ ნაკლს ვხედავ, სხვებში დადებითს ვეძებ.

– არიან მსახიობები, რომლებიც აქტიურად ერევიან პოლიტიკაში, თქვენ?

– პოლიტიკას ახლოსაც არ ვეკარები, პატრიოტი ნამდვილად ვარ, მინდა ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, კარგად ცხოვრობდეს.

– როგორი ხასიათი გაქვთ, ფეთქებადი თუ მშვიდი?

ქეთი არ აცლის და თავად მპასუხობს:

დედა ზედმიწევნით მშვიდი, ხალისიანი, გაწონასწორებული, კაცთმოყვარე პიროვნებაა, ბედნიერებაა მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. არანაირ პრობლემას არ შეგიქმნის, არ მეგულება მეორე მსგავსი პიროვნება.

– რა განსაკუთრებული თვისება გაქვთ?

– სიამაყეა ჩემი ნაკლიცა და ღირსებაც.

ვცდილობ, სულ კარგ ხასიათზე ვიყო, არავინ დავამძიმო, მიხარია გათენება, ყოველი დღე ღმერთის საჩუქარია.

– უარყოფითი და დადებითი თვისება?

– მალე მავიწყდება წყენა. დიდი პატიება და მიტევება შემიძლია. ეს რომ არ შემძლებოდა, ამდენი წლის უმოქმედობას, ამდენ მიყენებულ დაუმსახურებელ ტკივილს როგორ დავძლევდი.

ადამიანი ტყვიით კი არა, მორალურადაც შეიძლება მოკლა, თუმცა ყველანაირ მდგომარეობას ადვილად ვეგუები.

ჩემი ყველაზე დიდი ამჟამინდელი ბედნიერება ბებიის როლი და ხალხის სიყვარულია.

– და ბოლოს, რარიგ დასანანია, რომ მარტო ეკრანით შემოიფარგლეთ, ბედი თეატრშიც ხომ არ გიცდიათ?

– როცა თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, კინოს ფაკულტეტი არ არსებობდა. „ქაჯანაში“ კატოს როლი, „აკაკის აკვანში“ ნაზიბროლა და „ოქროს ბილიკში“ მქონდა ნათამაშები. მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ვიყავი. რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე და მე „რუსთაველის“ თეატრში დაგვტოვეს. პირველი როლიც მომცეს, მაგრამ მალე გავთხოვდი, დეკრეტულ შვებულებაში გავედი. მერე „ჭრიჭინაზე მიმიწვიეს, ამას „აბეზარა“ მოჰყვა. ჩვენი სადიპლომო ნამუშევარი მიხეილ თუმანიშვილის საყვარელი სპექტაკლი ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“ იყო. ნატალია პეტროვნას ვასრულებდი. დიდი მაესტროს გემოვნებით დრამატული როლებისათვის უფრო მოვიაზრებოდი, ვიდრე კომიკურის. გამიტაცა კინომ, მიწვევა მიწვევაზე მქონდა, თეატრისათვის დრო აღარ მრჩებოდა. მსახიობს ყოველდღიური ვარჯიში სჭირდება. დიმიტრი ალექსიძე არ მეშვებოდა. გაჩეჩილაძის „ამირანში“ თეონას როლი განვასახიერე, „სეილემის პროცესში“ – აბიგაილი, „დაკარგულ ბარათში“ – კარაჯალი, პარალელურად მიღებდნენ ფილმებში „შეხვედრა წარსულთან“ და „შეხვედრა მთაში“. დირექციამ მომთხოვა ამერჩია თეატრი ან კინო! გავაკეთე ავბედითი გადაწყვეტილება, ორივეგან რომ ვყოფილიყავი, ხელი არ შემიწყვეს. ბატონ მიშას სასტიკად არ უყვარდა გაორება, იცოდა თქმა, ვინც კინოში წავა,

მისი ადგილი თეატრში აღარააო. თუმცა, მოგვიანებით კი დაუშვა გამონაკლისები. პაუზა დიდი გამომივიდა, დიდი სურვილი მქონდა თეატრში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ჩემთვის ყველა თეატრის კარი გამოიკეტა. ცუდი დროც დაგვიდგა. რუსული კინემატოგრაფიის ფუძემდებელი პუდოვკინი წერს: „მსახიობს ტალანტთან ერთად უნდა ჰქონდეს მგლის კბილები და მელიის კუდი“. სავალალოდ თუ საბედისწეროდ, მე არც ერთი მაქვს და არც მეორე.

* * *

ფილარმონიაში ქ–ნი ლეილას საიუბილეო საღამოზე ბატონმა რეზო ჩხეიძემ, ფართო აუდიტორიის გასაგონად ბრძანა: დროა, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე ნინო რამიშვილის, ნანი ბრეგვაძის და ლიანა ისაკაძის გვერდით ლეილა აბაშიძის ვარსკვლავიც აკაშკაშდესო.

ხალხიც ასე ფიქრობს!

2002 წ.

P.S. ასრულდა ბატონი რეზო ჩხეიძისა და ქართველი ხალხის ნება, ორი წლის წინ, ხელოვნების დარგის ღირსეული ადამიანების გვერდით ლეილა აბაშიძის ვარსკვლავიც კაშკაშებს.

სულის გადარჩენა სიყვარულს შეუძლია

*ასე ფიქრობს ფსიქოლოგი **ნანა ჩაჩუა**, ჭეშმარიტად ღირსეული ქალბატონი, საინტერესო მოსაუბრე, ინტელიგენტი, ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებულად საყვარელი, უშუალო და მარადღიმილიანი. უკვირს, როგორ „შევაცდინე“ და დავითანხმე. ეს მისი პირველი ინტერვიუა, თუმცა, შემოთავაზება ბევრჯერ ჰქონია.*

– **ქალბატონო ნანა, ერთ მშვენიერ დღეს ქართველმა მაყურებელმა აღმოგაჩინათ, გადაცემა „ფსიქოში“ იხილა ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა, სად მოღვაწეობდით მანამდე, რატომ იყავით ჩრდილში?**

– ჩემთვისაც აღმოჩენა და მთელი სიამოვნება იყო ამ გადაცემის ავტორთან გოგი გვახარიასთან შეხვედრა, რომელიც ყოველთვის მომწონდა და მიყვარდა. შეიძლება ადამიანი გიყვარდეს, მაგრამ არ მოგწონდეს ან პირიქით (მაგალითად, შვილი გიყვარს, მაგრამ შეიძლება არ მოგწონდეს, სახელმწიფო მოღვაწე მოგწონდეს, მაგრამ არ გიყვარდეს). თუ ადამიანი გიყვარს და მოგწონს, ეს მთელი ბედნიერებაა. მანამდე იყო სიჩუმე, ანუ როგორც თქვენ უწოდეთ „ჩრდილში ყოფნა“. სიმართლე რომ გითხრათ, მომწონდა და მიყვარდა ჩემი სიჩუმე, იგი ჩემი სახლი იყო, მაშინ „შინ“ ვიყავი. თუ რაიმე მენატრება, სწორედ ეს მენატრება. ჩემთვის ძნელი აღმოჩნდა „სცენაზე“ ყოფნა. არ ვიყავი ამ როლს ჩვეული, ამიტომაც არა მაქვს სცენის მანერები. უხერხულობას ვგრძნობ. ბევრ შეცდომას ვუშვებ. გმირს ვუწოდებ ყველას, ვისაც შეუძლია იყოს „გარეთ“ მოღვაწე. ვისი ცხოვრების დინამიკასაც საფუძვლად ერთნაირად უდევს როგორც ჭვრეტის, ასევე მოქმედების მუხტი, ასეთი ადამიანები გაბედულნი და უფრო რაციონალურნი არიან.

– სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე მომიწია

მუშაობა: ჯანდაცვის ნაციონალურ ცენტრში, ერისთავის სახელობის ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სკოლაში, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ასპირანტებთან, პრობლემურ ადამიანებთანაც. ყველაზე თბილი და საყვარელი ჩემთვის „ფსიქოში“ სტუმრობაა, ასევე მესათუთება და ვესიყვარულები რადიოგადაცემას „ფაქტი პლიუსს“ და მის ავტორს დოდო შონავას, „დილის გაზეთიც“ ჩემი პატარა სავანეა.

– **თქვენ მონაწილეობთ ტელეგადაცემებში, დისკუსიებში, ტელედებატებში, გისმენენ, გელოდებიან, გყავთ თქვენი მსმენელი, ეს თქვენთვის იძულებითი სამუშაოა თუ სიამოვნება, ალბათ გირეკავენ, რჩევასაც გეკითხებიან?**

– დიახ, ფსიქოლოგებს ურეკავენ, ეკითხებიან, თხოვენ, ზოგჯერ მათგან მოითხოვენ კიდეც. ეს ჩვენი პროფესიაა. არის იძულებითი მომენტებიც, სასიამოვნოც, დაძაბულიც, წარუმატებლობაც, წარმატებაც. ზოგჯერ ფსიქოლოგსაც სჭირდება ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი. ჩემი არაფსიქოლოგი მეგობრებიც შესანიშნავი „პროფესიონალები“ არიან. ჩემს ყოფილ სტუდენტს თამუნა შენგელიას, როგორც ფსიქოლოგს, არც თუ ისე იშვიათად მივმართავ, რომლისგანაც ბევრს ვსწავლობ. ფსიქოლოგია ასფურცელასავით იზრდება, ახალ–ახალი ემატება. ძველ თაობას მივეკუთვნები, მიჭირს დაწევა, ახალგაზრდები მეხმარებიან. ტელევიზია – არ მიზიდავს, არც როგორც რესპონდენტს და არც როგორც მაყურებელს. რადიო უფრო სასიამოვნოა. ერთხელ ახალგაზრდებმა მიმიწვიეს ღამის რადიოგადაცემაში. ეს იყო ერთი ულამაზესი გადაცემა. მთელი ღამე ისე საინტერესოდ გავლიეთ, დროის შეგრძნება დავკარგეთ.

– **კომუნისტებს ბევრი საინტერესო საჭირო, გასათვალისწინებელი რამ ჰქონდათ, თუნდაც ის, რომ დიდ საწარმოებში, სასწავლო დაწესებულებებში უნდა ყოფილიყო ფსიქოლოგი, თქვენც ასე ფიქრობთ?**

– ახლა უკეთაა საქმე. ადრე ფორმალურად იყვნენ ფსიქოლოგები წარმოება-დაწესებულებაში. მაშინ ანაზღაურება იყო მაღალი, ახლა მინიმალურიც არაა. ფსიქოლოგებს უყვართ მუშაობა. მათი არცერთი წუთი არ ჰგავს ერთმანეთს. ბეწვის ხიდზე დგახარ, მიგრძვნია მისი ძლიერი რყევა, ჩამტეხია კიდეც. ასეთ დროს გამოცდილებას ღებულობ, პროფესიონალურად იზრდები, თუმცა, მწარეა ასეთი გამოცდილება.

– **რა მოგვიტანა და რა დაგვაკარგვინა დღევანდელმა ყოფამ ე. წ. დემოკრატიამ, რომლის სიკეთე ჯერჯერობით ვერ შეიგრძნო ჩვენმა ერმა, თუ არაფერს ვიტყვით პრივილეგირებულებზე?**

– დავკარგეთ ურთიერთნდობა და გამოსარჩლების უნარი. მილიგრამობით ვწონით და მილიმეტრობით ვზომავთ ერთმანეთს, სისასტიკის რადიკალიზმს ვამჯობინებთ სიყვარულით მისაგნებ შუალედს, აღარ არსებობს ჩვენთვის შეცდომა, ყველაფერი დანაშაულის კატეგორიაში თავსდება. აღარ ისმის – „ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც“. ჩქარ-ჩქარა ვიწერთ პირჯვარს. იმატა მრევლმა, ლოცვამ იკლო. გაგვირთულდა დემოკრატია. „ამ ცნებას შეგავედრებ შენ, შვილო, ტიმოთე, იმ წინასწარმეტყველებათა თანახმად, რომელნიც შენთვის იღებენ დასაბამს, რათა იომო კეთილი ომით“. არ ვიცი, პავლე მოციქულის ამ სიტყვებს ვინ როგორ მიიღებს, მაგრამ თავად ძალიან მინდა ჩემს ქვეყანაში იყოს კეთილი ომი, რითაც შეიძლება აღსდგეს ე. წ. პრივილეგირებულთა მიერ ხელყოფილი სამართლიანობა.

– **თქვენ გაქვთ უფლება თქმის და ხართ ავტორიტეტიც, რა უნდა ქნას სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ხალხმა, თავი რომ გადაირჩინოს?**

– უსამართლობის წინააღმდეგ ზოგადად ვიბრძვით. კანონი და კანონმორჩილება უსერიოზულესი პრობლემაა დღევანდელ საქართველოში. მიტოვებული გვყავს ერთმანეთი. ურთიერთთანაგრძნობისა და მხარდაჭერის გარეშე, როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ

დონეზეც კი ძნელია კორუფციის შესუსტება. როცა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქანცგაწყვეტილს სიცილიც და ტირილიც, კანონიც და უკანონობაც ერთ განზომილებაში მოგექცევა. ცხადია, ქვეყნის დაქცევის ნატვრაც არ გაგიჩნდება, რადგან ფაქტობრივადაც იგი დაქცეული იქნება შენთვის. ვიდრე ჯერჯერობით მხოლოდ ჩემთვის და შენთვისაა დაქცეული ეს ქვეყანა და საყოველთაო დაქცევამდე არ მისულა საქმე, უნდა აღსდგეს კანონი. სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობას ელოდება სრულიად საქართველო. ცივილურ საზოგადოებაში ხსნა მხოლოდ კანონია, ცხადია, სამართლიანი.

– **ჩვენს მკითხველს, მსმენელს, ვფიქრობ აკლიათ ფსიქოთერაპიული რჩევები, რომელიც წამალზე არანაკლებ მარგებელია.**

– ქართული ფსიქოლოგიური სკოლა საკმაოდ მაღალი დონისაა. დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი ხშირად ატარებს ფსიქოთერაპიულ ტრენინგებს ფსიქოთერაპიის თანამედროვე მეთოდებით დაინტერესებულ პირთათვის. მუშაობს ახალგაზრდა ფსიქოთერაპევტთა ასოციაციაც. არა მგონია საქართველო ამ დარგის სპეციალისტთა დეფიციტს განიცდიდეს. იმ სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების ფონზე, რომელშიც იმყოფება ქვეყანა. ადამიანები მაინც აქტიურებად რჩებიან, რაც ყველაზე მეტ პატივისცემას იმსახურებს, ეს შემოქმედების უნარია, როგორც თვითგადარჩენისა და თვითზრდის უცილო პირობა.

– **ყველას ხომ არა აქვს თვითგადარჩენის უნარი, მითუმეტეს, როცა ასეთ ჯოჯოხეთურ ყოფაშია ჩვენი საშუალო და დაბალი ფენა?**

– პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, ვისაც ხელთ უპყრია სახელმწიფოს მართვის სადავეები. განსაკუთრებით დიდია საკანონმდებლო ხელისუფლების როლი. კანონი უნდა კანონობდეს. ამბობენ – დღეს

განხორციელებული უკანონობა ხვალ კანონი ხდება ანუ კანონდება უსამართლობა.

– **შეიმჩნევა ნერვოზების მომრავლება?**

– საკმაოდ. მაპროვოცირებელია ყოფითი მომენტები, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ასე გლობალურია. ადამიანს უჩნდება შინაგანი შფოთვა. ღია სივრცის შიში, უჭირთ ქუჩაში გასვლა, ხალხთან ურთიერთობა, მასიურად გავრცელებულია ფობიები. გარკვეულ მოთხოვნილებადაა ქცეული ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის კონსულტაციები. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ეკლესია, სასულიერო პირები უკრძალავენ მრევლს ფსიქოლოგთან ურთიერთობას, რაც მიუღებელია, როცა ადამიანს სპეციალისტის დახმარება ესაჭიროება.

– **ვინ არის ნანა ჩაჩუა?**

– ფსიქოლოგი. ორი ვაჟის დედა. მეუღლე – როინ ჯღარკავა რვა წლის წინ გარდაიცვალა, ფილოსოფოსი, მათემატიკური ლოგიკის სპეციალისტი იყო. უფროსი ვაჟი ლევანი ცოლ–შვილიანია, ოთხი შვილი ჰყავს. უმცროსი ილია უცოლოა. ორთავეს თანამედროვეობის შესაბამისი განათლება აქვთ. სპეციალობებთან ერთად იციან უცხო ენები, კომპიუტერი. სიყვარული და მეგობრობა შეგვიძლია, დაცინვის ატანა გვიჭირს, რაც სამწუხაროდ ხანდახან გვიწევს, პიროვნებებისგან ნაკლებად, უფრო ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების მხრიდან შეგვხვედრია უსიამოვნებები.

– **კეთილი შურით მშურს იმ ახალგაზრდების, იმ აუდიტორიის, სადაც თქვენ მოღვაწეობთ. რა აზრის ხართ დღევანდელ ახალგაზრდებზე?**

– მათ უკეთ იგრძნეს ეპოქის რიტმი. სამოქალაქო იდენტურობის გამოხატულება სტუდენტი–ახალგაზრდების მიერ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. ქვეყნის კულტურული ცხოვრების სახესაც ისინი ჰქმნიან, საკმაოდ საინტერესოდ და ნიჭიერად. იქნებ ამიტომაც ნაკლებად იგრძნობა ტრადიციული დაპირისპირება თაობათა შორის.

მათ მამებთან შედარებით საკმაოდ ადრე ეროვნული ღირსებისსიმაღლიდანგაითავისესმსოფლიო.ესისთაობაა, რომლისთვისაც სამშობლო არა მხოლოდ გრძნობის, არამედ ცნობიერების დონეზეა, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ზნე-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე გადამწვდომი პასუხისმგებლობა მუშაობს და ამიტომაც იგი ყოფითზე მაღლა მდგომი აღმოჩნდება. მეიმედებიან ისინი, ვფიქრობ მათი ცხოვრების წესისათვის მიუღებელი იქნება კორუფცია, მავნე ჩვევები, ცინიზმი, უცოდინარობით თავმოწონება, კარიერიზმი, ფარისევლობა... ახალგაზრდები მშობლებს უმეტესწილად არ პატიობენ კორუმპირებულობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი პირადი კეთილდღეობა კორუფციითაა უზრუნველყოფილი. ანეგდოტებით, გამოთქმებით დასცინიან მამათა მოქმედებას, ემიჯნებიან მათ მიუღებელ თვისებებს. თანამედროვეობა მჟღავნდება მოდაში, ქცევის კულტურაში, არიან ეპოქის რიტმში ჩართულნი, თამამნი, მოქნილნი, საღად მოაზროვნენი, ამაში ჩვენი ეთნოფსიქიკაც უწყობთ ხელს.

– **როგორია დედა-ფსიქოლოგი?**

– როგორიც ყველა დედა. თუმცა დედობრივი ინსტიქტი გამძაფრებული ნამდვილად მაქვს. არაფრის ისე არ მეშინია, როგორც სიყვარულის, არაფერს ისე არ გავუწვალებივარ, როგორც სიყვარულს. შვილები საკმაოდ დამოუკიდებლები იყვნენ. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მთელი რიგი საკითხები პრობლემური აღმოჩნდა მათთვის, უჭირთ მოგვარება. თინეიჯერები არ არიან, მსუბუქად რომ შეხედონ მოვლენებს. უსამართლობის, ძალადობის ქვეშ მყოფთ ყველანი ვსაჭიროებთ ურთიერთდახმარებას. თუნდაც სიტყვიერ თანაგრძნობას, რომელიც მატერიალურზე არანაკლებია. მშვიდი ოჯახი გვქონდა, სტუმართმოყვარე, ახლაც ასეა, მიუხედავად მრავალი ყოფითი პრობლემისა. მე და ჩემს მეუღლეს ყოვლისმომცველი ურთიერთობა გვქონდა. იმდენად შემწყნარებელი იყო, ერთხელ მის დაუკითხავად მოვიყვანე თანამშრომელი ოჯახში საცხოვრებლად. მაშინ

ვერ ვგრძნობდი, მეგონა ასე უნდა ყოფილიყო. ახლა ვხვდები, რა ფუფუნება იყო ასეთი მისგან მომდინარე, თანაც ასეთი დოზის უბრალოება. ბევრს კითხულობდა, ბევრი იცოდა, მაგრამ არ იცოდა, რომ იცოდა, მისგან ბევრი რამ „გადამედო“, ეს თვისებაც. მერე ამ თვისებამ უცხო გარემოში ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, თითქოს თავს ვიწონებდი ცოდნით. დიდხანს ვერ მივხვდი, როცა მივხვდი გვიანი იყო, ერთმანეთის გვჯეროდა, ისე ვენდობოდით ერთმანეთს, რომ ვერც ამას ვგრძნობდით, მისი გარდაცვალების შემდეგ ამ თვისებით გავედი საზოგადოებაში და... ესეც პრობლემად მექცა. დიდხანს იავადმყოფა. თითქმის თვრამეტი წელი. ფილტვ-გულის უკმარისობით გარდაიცვალა. უმეტესად საავადმყოფოებში ვიყავით. ბავშვები იქედან დადიოდნენ სკოლაში. სასაფლაოზე სიარული არ მიყვარს. სანთლის ანთებას ვამჯობინებ. არ მინდა მომენატროს. სამაგალითო იყო ყველაფერში, როცა ცუდად იყო, მის ლექციებსაც ვკითხულობდი. მისგან შევისწავლე მათემატიკური ლოგიკა, ფილოსოფია, ტოლერანტული ხასიათი ჰქონდა, გაბრაზებული მინახავს, განრისხებული – არასოდეს.

– **ბედნიერ ქალად თვლით თავს? რაში უნდა ხედავდეს ადამიანი ჭეშმარიტ ბედნიერებას?**

– სიყვარულში. ჩემი მეგობრები სხვადასხვა ასაკისანი, რწმენისა და შეხედულებისანი არიან. ოჯახის წევრებსაც ურთიერთგანსხვავებული პირადული სამყარო გაგვაჩნია. ბედნიერ ადამიანად იმიტომ კი არ ვთვლი თავს, რომ უბედურება არ დამტყდომია თავს, რამდენიც გენებოთ, მაგრამ არსებობს უბედურების ბედნიერებაც, სწორედ ასეთ ბედნიერებას ანუ უბედურების ბედნიერებას ბევრჯერ შევხვედრილვარ. ერთხელ ექიმი ლალი ბანძელაძე ისეთ დროს, ისეთ ადგილას, ისეთი სითბოთი და ღიმილით გამომეცხადა, ვუთხარი, ახლა შენ ჩემი უბედურების ბედნიერება ხარ-მეთქი! როცა გიჭირს და მაშინ გრძნობ სიყვარულს, ესაა ღმერთის პირდაპირი, უშუალო შეგრძნება, უფლის ხილვა, რა თქმა უნდა,

ჭეშმარიტი ბედნიერება, ანუ როცა ღმერთს ადამიანში დაინახავ.

* * *

ბევრი რამ მაინტერესებს. თემებს გვერდს ვუვლი. მინდა ვკითხო, თუნდაც მის დამოკიდებულებაზე რელიგიასთან. ვიცი, მონასტრული ცხოვრებით უცხოვრია, თანამედროვეობისაც კარგად ესმის. მასთან საუბარი საინტერესოა, თემები ამოუწურავი, მის ღიმილმოფენილ სახეს, თუმცა სევდანარევს, თვალს ვერ ვაშორებ. მხიბლავს მისი თავმდაბლობა და უბრალოება. ასაკი სულაც არ ეტყობა. ტელევიზორის ეკრანი ხანს მატებს, რა ლამაზი ყოფილა, მისი მშვენიერი შარმიანი გარეგნობა ერწყმის მის ნატიფ სულს. თემიდან ვუხვევ და ვეკითხები:

* * *

– **ქალბატონო ნანა, რა აზრის ბრძანდებით, მოზარდს უნდა ჰქონდეს ფული თუ არა?**

– რა თქმა უნდა, აქედან იწყება ნდობა.

– **ფსიქოლოგის თვალით დანახული და შეფასებული დღევანდელობა, მომრავლებული შუღლი, ბოღმა, გაუტანლობა?...**

– მეტისმეტად დაგვიგროვდა აგრესიის მუხტი. სახიფათოდ ვემსგავსებით იმ ეგვიპტელ მჩხიბავებს, რომელთაც ფარაონის მონდომებით ისრაელიანებისათვის ეგვიპტიდან გამოსვლის რწმენა რომ უნდა შეერყიათ. აი, რას ამბობს ბიბლია მათ შესახებ – „ვითარცა–იგი იანე და იამბრე უხდებოდეს მოსეს, ეგრეცა ესენი უხდებიან ჭეშმარიტებას“. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, კანონზომიერი პროცესია. ქვეყანა გადაიტანს ამას, მითუმეტეს ახალგაზრდები, რომლებიც სჩანან პოლიტიკაში, ხვალაც გამოჩნდებიან, განსწავლულნი და გულმოცემულნი.

– **მოგვიმრავლდა დანგრეული ოჯახები, იმატა განქორწინებამ, იკლო დემოგრაფიამ. ჩვენთვის მიუღებელი იყო განათხოვარი, შვილიანი დედიკოები. ნუთუ გადაშენდება ჩვენი მორალი, ადათ–წესები?**

– როცა მორალი ყულფია, თავად მორალი გადააშენებს

ქვეყანას და მის ადათ-წესებსაც. ადრეულ პერიოდში ურთიერთვალდებულება მორალით იყო განმტკიცებული. სიყვარულის ნაკლებობის დროს მორალი იწევდა წინა პლანზე. ეს ნამდვილი ტანჯვა და ჯოჯოხეთია. არასოდეს არ არის გვიანი, როცა სიყვარული არ არსებობს, შეცდომა განქორწინებით გამოასწორო. ასეთი მშობლები ვერც რიგიან შვილებს აღზრდიან. შვილების გამო არ ითმენენ, სიტყვის მასალად ამბობენ, თორემ ასეთი ურთიერთობა სადო-მაზოხიზმია. ებრაელებს აქვთ კარგი წესი. თვეობით ჰყავთ ოჯახში სასიძო. აკვირდებიან. ეჩვევიან ერთმანეთს. თუ მოეწონებათ, მერე ქორწინდებიან. თუ ქორწინება არ შედგა, წუნი არცერთს არ ედება. თანამედროვეობამ ქორწინების წინამოსამზადებელი პერიოდი უფრო თამამი ფორმებით დაამკვიდრა. არსებობს „ბოიფრენდის“ ინსტიტუტი.

– **საიდან გაჩნდა ლტოლვა ფუფუნებითი ცხოვრებისაკენ, თითქოს ეს სიღარიბეში გაზრდილთათვისაა უფრო დამახასიათებელი?**

– ფასეულობათა სისტემაზეა დამოკიდებული რა არის ადამიანისათვის უფრო ღირებული. მატერიალური უზრუნველყოფა დიახაც კარგია, მაგრამ როგორ, რა საშუალებებით?! პასუხისმგებლობა ფულსაც ეკისრება. ვუსმინოთ ეკლესიასტეს – „სამხიარულოდ იმართება პურობა: ღვინო, სიხარული ავსებს სიცოცხლეს, ხოლო ფული ყველაფერზე აგებს პასუხს“.

– პროგრესულად შეიმჩნევა ნარკომანიისა და პროსტიტუციის კლება. გამოიკვეთა ცხოვრების ფასეულობა – შენ ხარ შენი თავის წარმმართველი. წინა პლანზე ისევ ცოდნა, განათლება მოდის. თუ ვერ იქნები ძლიერი, მამაც ვერ დაგითმობს საკუთარ ქარხანას, შენი თავის მესაჭე უნდა იყო, ასეთია ხვალინდელი დღე.

– **როგორი დედა იყავით – მკაცრი, რბილი თუ დამთმობი?**

– ზედმიწევნით რბილი. ბავშვის ფიზიკური დასჯის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. გოეთესა და ჯეკ ლონდონის

ბავშვობა გამახსენდა. გოეთეს მიაჩნდა, რომ მას დედამ აჩუქა ბედნიერი ბავშვობა (დედა სამხრეთელი იყო, მამასთან შედარებით რბილი და თბილი), ხოლო ჯეკ ლონდონის დედა საკმაოდ ახირებული და უცნაური გახლდათ. ერთსაც აჩნდა ხასიათში დედის კვალი და მეორესაც. ბედნიერი ვარ მაშინ, როცა ვთმობ, უკან ვიხევ, კომპრომისზე მივდივარ, შემიძლია ბოდიშიც მოვიხადო. დაუმსახურებლად გამაკრიტიკეს, პირველმა გადავდგი ნაბიჯი, ავუხსენი, ვუთხარი, რომ სულაც არა ვარ გაბრაზებული. თუმცა ზოგჯერ ახსნასაც არა აქვს აზრი, მაშინ ასე ვიტყვი – „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“. დამთმობი მეტ ენერგიას იღებს, გვაქვს საკუთარი მეს განცდა, შეტევაში იფიტები, ძაბუნდები, უსუსური ხდები, როცა შინაგან ენერგიას გრძნობ, ხარ ამაყიც და ბედნიერიც.

– **ტრადიციული კითხვა – რას ურჩევთ მკითხველს, რა უნდა გააკეთოს, როგორ იცხოვროს, როგორ გაართვას თავი ამ ქაოსსა და გაუგებრობას, რომ პატივი და ღირსება შეინარჩუნოს, ამ შემთხვევაში ფსიქოლოგის სიტყვას მეტი ფასი აქვს?**

– არსებობს აღმოსავლური შეგონება: ღმერთო მომეცი ძალა, რათა შევეგუო იმას, რისი შეცვლაც არ შემიძლია; ღმერთო მომეცი გამძლეობა, რათა შევცვალო ის, რაც ჩემი შესაცვლელია; ღმერთო მომეცი სიბრძნე, რათა გავარჩიო ერთმანეთისაგან, რაა ჩემი შესაცვლელი და რა არა.

– და მაინც... როცა კრიტიკული სიტუაცია მქონია, როცა ჩემს კარგს ავად მიიჩნევენ, სიყვარულით სავსე გული ვერ დაინახეს, დავით გურამიშვილს დავსესხებივარ – „ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო, დიდება მოთმინებასა შენდა, უფალო, იესო“.

– **საბოლო რჩევა...**

– სიყვარული გადაგვარჩენს!

2003 წ.

გულით თუ არ იწამე...

ნუნუ დუღაშვილის შემოქმედება ქართული ჰანგის და მამულის სიყვარულითაა შედუღაბებული. მისი სიმღერები ძარღვიან ქართულ ლექსებზეა შექმნილი. მომხიბლავი, ეშხიანი, სიტყვაწყლიანი ქალბატონი ყველას უყვარს. მის სიმღერებს უდიდესი სიამოვნებით მღერიან და უსმენენ.

ახლახანს ქ–ნი ნუნუ აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი გახდა და ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

საინტერესო წარმოშობისაა დუღაშვილების გვარი. მამას, შავსიელს, შიშის სინდრომი ისე ჰქონდა სულში ჩაბუდებული, თავს არიდებდა გენეალოგიაზე საუბარს. ახალგაზრდა ბიჭს ორი კერძო სასტუმრო ჰქონია რუსეთში. თუ სადმე ძვირფასი ნივთები შეგხვდეთ ინიციალებით ი. დ. (ეროდიონ დუღაშვილი), იცოდეთ, თქვენიაო, – ეუბნებოდა შვილებს. მათი წინაპრები სასულიერო გვარის იყვნენ, დუღაისძეებად იწოდებოდნენ. დუღა ჯანდიერი, კახეთის ქორეპისკოპოსი, თელავიდან უბატონო ქიზიყში გადასულა, სადაც ერეკლე მეფის მეტი არავინ სწამდათ. მოგვიანებით მათი გვარი დუღაშვილად დამკვიდრდა. მამამ საეკლესიო ცხოვრებაზე უარი თქვა, მაგრამ, დღენიადაგ მოძღვრავდა შვილებს – იცოდეთ, არაფერი დააშავოთ, ღმერთი გხედავთო. პატარა ნუნუ ალავერდში მოუნათლავთ ნორა ბაგრატიონს და კახელ ქალებს.

... ქიზიყის, როგორც თავისუფლებისმოყვარე კუთხის ყველა, საუკეთესო თვისების მატარებელია ქალბატონი ნუნუც.

... დაამთავრა ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედი და თბილისის კონსერვატორია, საკომპოზიციო განხრით, ანდრია ბალანჩივაძის კლასი. მუსიკას ყოველთვის ცნობილი პედაგოგები ასწავლიდნენ.

ნუნუს ვაჟი, გიორგი გურგენიძე კინოდოკუმენტალისტია, მამის კვალს გაჰყვა. ნუნუ ადრე დაშორდა მეუღლეს. არ უყვარს მასზე აუგის თქმა, ის საინტერესო, განათლებული

პიროვნებაა, მაგრამ ხდება ხოლმე – ვერ გაუგეს ერთმანეთს.

ნუნუ დუღაშვილის, როგორც კომპოზიტორის ნათლობა, ჩეხოსლოვაკიის ჯაზფესტივალი იყო, რომელსაც ელა ფიცჯერალდი ხელმძღვანელობდა. ნუნუ იყო პირველი საბჭოთა კომპოზიტორი, რომელმაც სპეციალურად ჯაზისთვის დაწერა მუსიკა ინოლა გურგულიას მიერ შექმნილ ტექსტზე, გიული ჩოხელმა შეასრულა. სიმღერამ პრემია და მომღერალმა ოქროს მედალი აიღო, მწარედ გააკრიტიკა პრესამ, როგორ თუ ჯაზური მუსიკა დაწერა დამწყებმა ქართველმა კომპოზიტორმაო. ამან ბიძგი მისცა შეექმნა ეროვნული ხასიათის მუსიკა და შექმნა კიდეც ლირიკული „ქუთაისო, ქუთაისო, შენთან არის გული ჩემი“ და ოპონენტებს დაუმტკიცა თავისი მრავალმხრივობა. ლექსის დასაწყისი რეფრენი ნუნუსია, რაზეც ლექსის ავტორი – დავით კვიცარიძე, უყოყმანოდ დათანხმდა. ეს კომპოზიტორის ახირება არ გეგონოთ, მას ხშირად უხდება პოეტებთან შეთანხმებით ლექსის „სათავისოდ“ მორგება. ამ სიმღერამ დაამშვენა დოკუმენტალისტ შალვა ჩაგუნავას ფილმი „რიონის ხეობა“.

ნუნუ ბავშვობიდან მოხიბლული იყო იოსებ ნონეშვილის ლექსით „კახეთო, ჩემო კახეთო“, ხელის ერთი მოსმით ასეთი შედევრები არ იქმნება. იოსების შემოქმედება ნუნუს ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. პოეტი მის მეზობლად ცხოვრობდა, ბავშვებს შეკრებდა, უკითხავდა თავის ლექსებს, იქნებ იმიტომაცაა პოეტის ბევრი ლექსი კომპოზიტორისათვის ადვილად აღსაქმელი და დასაწერი... სიმღერამ „კახეთზე“ დიდი აღიარება მოუტანა, ბევრი ბედნიერი წუთი განაცდევინა. სიმღერა პირველად ბატონი იოსების იუბილეზე თავად ნუნუს შესრულებით მოისმინეს, წლის საუკეთესო სიმღერად აღიარეს და მას შემდეგ საკონცერტო რეპერტუარშია.

– **ქ–ნო ნუნუ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ გეტყვით, რომ ეს სიმღერა ქართულ ჰიმნს უფრო წააგავს.**

– თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამას ამბობს.

ეს სიმღერა ალბათ კახელს უნდა დაეწერა. იოსებმა სპეციალურად ჩემთვის დაწერა ლექსის ახალი ვარიანტი. დამიწერა ისე, როგორც მესახებოდა და ჩამესმოდა მელოდია. ასე, ჩემს თვალწინ დამიწერა „ღმერთი სიყვარულისა“, რომელსაც „ცისფერი ტრიო“ ასრულებს და თან მითხრა: ეს უნდა იყოს სიყვარულის ჰიმნიო. მართლაც და „გულით თუ არ იწამე“, არც სიმღერა გამოვა და ალბათ არც ლექსი დაიწერება.

... კომპოზიტორს კინოფილმებისთვისაც ბევრი სიმღერა აქვს დაწერილი. „ფიროსმანის ქალაქი“ მართალია ვერ გადაიღეს, მაგრამ შემოგვრჩა სიმღერა ნიაზ დიასამიძის ლექსზე „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“.

– **თქვენი საყვარელი პოეტები, ვისი ლექსებიც გულში ჩამწვდომ მელოდიებად იღვრება...**

– გალაკტიონი, გრიშაშვილი, ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი, მიშა ქვლივიძე, მედეა კახიძე, ნიაზ დიასამიძე, დოდო გვიშიანი...

გალაკტიონის „თეთრი პელიკანი“ – „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს“, სულით ხორცამდე შემძვრელია ჩემთვის. ლექსი ავსილია ქალაქური რიტმებით, ქალაქური მოტივებით, რაც ასე იშვიათია პოეტისათვის, თუმცა, ლექსის ბოჰემური განწყობილება სრულიად ჩვეულებრივია მისთვის.

მიყვარს ილია, აკაკი, ვაჟა, ლეონიძე, სამწუხაროდ არაფერი დამიწერია მათზე. როცა რაიმე მინდა შევქმნა, რაღაც იდუმალი მოქმედებს ჩემზე, ამოუცნობი. გამოგიტყდებით, ყველასაგან გამორჩეულად მაინც ნონეშვილი მიზიდავს, ჩემს შემოქმედებას ეთანაწყობა. როცა ტელევიზიის მუსიკალური გაფორმების განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ნუგზარ ფოფხაძის დავალებით დავწერე სიმღერა მიშა ქვლივიძის ლექსზე „ქართულო მიწავ“, რომელიც წლის საუკეთესო სიმღერად აღიარეს.

– **თქვენს შემოქმედებაში განსაკუთრებულად იგრძნობა ქართული მიწის, საქართველოს სიყვარული.**

– სწორი ბრძანდებით, მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა ვიყავი, სიყვარულზე წერა დროის დაკარგვად მიმაჩნდა. ლირიკა რა არის, თუ არა განწყობილება? ჩემი თავი კი ამისთვის არ მემეტებოდა, გამონაკლისის გარდა. მხოლოდ განწყობითაა დაწერილი სიმღერა დოდო გვიშიანის ლექსზე „გამიფრთხილდი, გამიფრთხილდი“. როცა ამ ლექსს შეყვარებულები მღერიან, ასე მგონია, ისინიც სამშობლოს უმღერიან–მეთქი. სამშობლო ჩემთვის ყველაფერია. ბათუმზე გამართულ რეტროში პირველი პრემია აიღო ჩემმა სიმღერამ „ბათუმი რად ღირს მარტო“, როცა ლანჩხუთის ფეხბურთელთა გუნდმა თასი მოიპოვა, მორის ფოცხიშვილის ტექსტზე – „გურია, გურია, საქართველოს თაიგულია“ ვუძღვენი.

– **მუსიკის რომელი ჟანრი გიყვართ?**

– კლასიკური. მალერის სიმფონიები, ვაგნერი, ბეთჰოვენი; ჩემი იდეალები არიან: ფალიაშვილი, რეზო ლაღიძე, სკრიაბინი, რახმანინოვი, ჩაიკოვსკი, აქვე მოვიხსენიებ ჯაზს, ნამდვილ ჯაზს...

ამერიკელები ამბობენ, ქართული ხალხური სიმღერები მსოფლიოს ფოლკლორის დედააო, რაც გვიან ვიგრძენი. როცა მარო თარხნიშვილს მოვუსმინე მაშინ „მოვიწამლე“, ტანზე დამბურძგლა, ლამის გავშეშდი. განსაკუთრებით მიყვარს გარეკახური საცეკვაო, ხორუმის რიტმები, „ოდოია“, „ჰარირა“, „ჩაკრულო“ და კახური ხალხური სიმღერები, რასაც ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. კომპოზიტორი მას ვერ შეეხება, ეს უკვე დაწერილია, თუ შეგიძლია, ახალი იმპულსი, ახალი სიცოცხლე, ახალი მარცვალი უნდა შესძინო.

... ქართული ჯარისათვის სამწყობრო სიმღერა დავწერე მორის ფოცხიშვილის ლექსზე.

ქალაქური ალბომისთვის დავწერე სიმღერები, რომლებიც გაჯერებულია თბილისური რიტმებითა და საცეკვაო ხასიათით. როცა თბილისი ინგრეოდა, მაშინ დავწერე მუსიკა ლადო ასათიანის ლექსზე „რუსთველის პროსპექტზე“ და მოგვიანებით ტიციან ტაბიძის

„ალავერდობაზე“.

გაგრაში დაღუპულ თბილისელ ჯარისკაცს ლექსი უძღვნა ჟურნალისტმა დოდო იორდანიშვილმა, ამაღელვა, დავწერე მუსიკა, გოგი დოლიძეს უნდა ემღერა, არ დასცალდა, ვეძებთ ახალ შემსრულებელს.

– **კომპოზიტორი რომ არ ყოფილიყავით, რა პროფესიას აირჩევდით?**

– პიანისტის. უზომოდ მიყვარს ქართული გრამატიკა, მთელი ცხოვრება მას ვუკირკიტებდი. ალბათ მთარგმნელი, ქართული ენის სპეციალისტი ვიქნებოდი. მიყვარს ბუნების წიაღში ყოფნა. ჩემი წინაპრები თითქმის ყველანი საუცხოოდ მღეროდნენ, გონაშვილების სისხლი მირევია. თქვენ რომ გგონიათ ის არა, სხვა გონაშვილი იყო.

* * *

... სიტყვაძუნწ კომპოზიტორს არჩილ ჩიმაკაძეს, კომპოზიტორების - ვაჟა აზარაშვილისა და მერაბ ფარცხალაძის თანდასწრებით ასეთი რამ უთქვამს ნუნუზე: – ჩვენ, გამოჩენილი კომპოზიტორები, ოფლს ვიწურავთ, ერთი–ორი მარცვალი ვიპოვოთ ჩვენი საკუთარი და ხალხურად ვაქციოთ, რა ბედნიერებაა, რომ ეს უნარი ასე უხვადაა მომადლებული ნუნუს შემოქმედებაში, თავისთავადობით ეს კომპოზიტორი მაგონებს ნიკო სულხანიშვილს, დიდ მუსორგსკის, გლინკას, რომლებიც რატომღაც ხალხურ მუსიკას უახლოვდებიან. ნუნუს სიმღერები ისეთი ძარღვიანია, მხოლოდ კაცები უნდა მღეროდნენო.

... „საქართველოს ქალი“ საყვარელი და საჭიროა ქართველებისათვის და არა მარტო მათთვის. გისურვებთ ისეთი ჟურნალი გეკეთებინოთ, თავისი შინაარსით, აქტუალობით ყოველი ქალის სასურველი საკითხავი ყოფილიყოს!

მრავალრიცხოვანი მკითხველი არ მოგკლებოდეთ!

1998 წ.

რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს

ოცდათორმეტი წელიწადი მოსკოვში გაატარა და მხოლოდ ცამეტი წლის წინათ მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა ჩვენი საყვარელი პოეტი ***მიხეილ ქვლივიძე.*** *ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გულწრფელად გვესაუბრება მისი განვლილი და ახლანდელი ცხოვრების შესახებ.*

– ბატონო მიხეილ, საკმაოდ დიდი დრო, თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაატარეთ, რა მოგცათ ამ წლებმა და რა დაგაკარგვინათ, რაიმეზე ხომ არ გტკივათ გული?

– მაშინ 27 წლის ვიყავი. ძნელია სასწორზე აწონო, რა მომცა და რა დამაკარგვინა დრომ, რომელსაც სამშობლოს დაშორება ჰქვია. ეს რომ არა, ასე არანორმალურად ნამდვილად არ მეყვარებოდა ჩემი ერი, ჩემი სათაყვანებელი სამშობლო. გაუნელებელ ნატვრაში გავლიე ის პერიოდი, ამიტომაცაა, რომ ვერ ვძღები მისი სიახლოვით, თუმცა უქმად არ გამიტარებია ის წლები, ჩემი სამშობლოს მაჯისცემაში ვიყავი ჩართული. სსრ კავშირის მწერალთა კავშირში ჩვენი წარმომადგენლის პოსტი მეკავა. იძულებული ვიყავი ყველაფერი წამეკითხა, ყველანაირ ლიტერატურას გავცნობოდი, რაც საქართველოს შესახებ იწერებოდა. „ჟანგბადის ბალიშისათვის“ წელიწადში სულ ცოტა ექვსჯერ მაინც ჩამოვდიოდი თბილისში.

– გვიამბეთ თქვენს ოჯახზე?

– ოქროს ბავშვობა მქონდა. დიდი, თბილი ოჯახი. ბაბო, დედა, მამა, და, ძმა, დიდი ნათესაობა. მამა ინჟინერი გახლდათ, გიორგი ქვლივიძე, პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული, როგორც „ხალხის მტერმა“ ოცდაათიან წლებში ორი წელი ციხეში გაატარა. დედა დიასახლისი იყო, წმიდა ნინოს რუსული პანსიონი ჰქონდა დამთავრებული, მისი წყალობით ბრწყინვალედ შევისწავლე რუსული ენა. ძმა სამამულო ომში დაიღუპა, მამაც იბრძოდა ქერჩში, სადაც დაინვალიდდა.

ჩემი პირველი ქორწინება ღვთის რწმენასთანაა დაკავშირებული: ორმოცდაორი წლის ასაკში გარდამეცვალა დედა, ღმერთს აღვუთქვი (მორწმუნე გახლავართ), მალე დავქორწინდებოდი, მეყოლებოდა პირველი შვილი, აუცილებლად ქალიშვილი და დავარქმევდი დედის სახელს – თამარს. ისე აგიხდეთ ყველაფერი, შევირთე უკრაინელი ქალი – ლილი ერქვა. შეგვეძინა ორი ქალიშვილი, რვა კვადრატულ მეტრ ოთახში ხუთი სული ვცხოვრობდით. უბინაობამ მაიძულა დამეტოვებინა სამშობლო. ასე დავსახლდით ხლებნიკოვოში. პედაგოგად ვერ ვივარგე, შვილებს ვერ შევასწავლე მშობლიური ენა. ჩემი მიზანი იყო – თავად არ გავრუსებულიყავი. ახლა თამარი ორმოცი წლისაა, ამერიკაში ცხოვრობს, გერმანული ენის სპეციალისტია, ორი შვილის დედა, მეუღლე დიპლომატი ჰყავს. უმცროსი ქალიშვილი ნატოც გერმანისტია, მოსკოვში ცხოვრობს, ოღონდ ერთი უცნაურობა ჭირს, ქმრებს ვერ ეგუება, მესამე ქმარს გაეყარა, ერთი გოგონა ჰყავს – ვერიკო ქვლივიძე. ახლახანს მძიმედ ვიყავი ავად, ამერიკიდან უმცროსმა შვილიშვილმა კატიუშამ „ბარბისთვის“ შეგროვილი ორასი დოლარი გამომიგზავნა, წამალი იყიდოს პაპამო.

ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა უკურნებელი სენით ლილი. მოსკოვში შევხვდი ასპირანტ მედეა შალამბერიძეს, მოვკიდე ხელი და მოვაშურეთ საქართველოს. ბედნიერი კაცი ვარ, ძლივს დავსახლდი თბილისში. - ჩამოსვლიდან რვა წლის შემდეგ, ჯუმბერ პატიაშვილს ვუმადლი, საკუთარი ჭერიც მეღირსა.

– „გაჩენის დღიდან მოძმის სულში ვიყურებოდი და ბოლოს მასში – საკუთარი თავი ვიცანი“... თქვენი სიტყვებია.

– ჩემს თავს არ გამოვარჩევ ნებისმიერი ქართველი კაცისგან, ჩემი ერის ნამდვილი შვილი ვარ, მისი ჭირ–ვარამის გამზიარებელი. ფუფუნებას მოკლებული, მანქანით არასოდეს მივლია, ზემოდან არავისთვის დამიხედავს, მებრალება მათხოვარი, უქონელი და უსასოო, შვიდ საათზე კაფეში ჩაის დასალევად გავსულვარ თბილისის ქუჩაში....

– თქვენი პოეზია გამსჭვალულია სამშობლოს, მშობლიური თბილისის სიყვარულით, რა იყო ეს, ნოსტალგია თუ პოეტის შთაგონების წყარო?

– არ ვაჭარბებ, თბილისის მემატიანე ვარ. მისადმი მიძღვნილი ლექსი მოსკოვიდან ტელეფონით საათობით წამიკითხავს ოთარ მამფორიასთვის. სტრიქონი არასოდეს დამიწერია რუსულად. ერთხელ ბატონმა პავლე ინგოროყვამ მითხრა, „რა ოხერი კაცი ხარ, საყველპურად გაიხადე რუსული, ქართული ლოცვისათვის შემოინახეო“.

– თქვენი პოეზია გამორჩეულია, რადგან მასში სინამდვილის უტყუარი სურათია დახატული.

– ჩემთვის სიყმაწვილიდან ყველაზე საინტერესო პოეტი იყო არჩილი, როგორც პატრიოტი და „მართლისა მთქმელი“. ერთი მისხალი ტყუილი სპობს ლექსს, ფასს უკარგავს. ლექსი ვერ ეგუება სიყალბეს, როცა ხალხი უბედურია და მწერალი წერს ბედნიერიაო, ეს ნამდვილი უხამსობაა.

უზომოდ მიყვარს ლადო ასათიანი, მისი პატრიოტული ლირიკა. სრული დაღვინება არ დასცალდა, ის ხომ გალაკტიონის სანაცვლოდ მოდიოდა, გალაკტიონი კი ჩემი ეტალონია. ჩემი აზრით, კარგი კაცის, კარგი პოეტის დაწერილ ლექსს რომ წაიკითხავ, უფრო უკეთესი უნდა გახდე, ვიდრე მანამდე იყავი.

– თქვენს ლექსებს მღერიან, ზეპირად სწავლობენ, მრავალრიცხოვანი მკითხველი გყავთ, ახლა კი არა იმთავითვე, როცა ფეხი შედგით მწერლობაში.

– ჩემი ღირსებაა ის, რომ გვარიანად ვკითხულობ ლექსს, ისე ვკითხულობ, როგორც ვწერ და ვწერ იმისთვის, რომ ახალი აზრი და გრძნობა მივაწოდო მკითხველს. თუ ლექსი მუსიკალურია, ამაში კომპოზიტორებიც მიწყობენ ხელს. ქალბატონმა ნუნუ დუღაშვილმა დაწერა შესანიშნავი მუსიკა ჩემს ლექსზე „... ქართულო მიწავ, შენს ქვიან გზებზე, სიმართლის მეტი რა მიძებნია“... ვფიქრობ, ლექსის კარგი წაკითხვა ხელს უწყობს ჩემს პოპულარობას, როგორც თქვენ ბრძანეთ.

– ბევრს მოგზაურობდით?

– მოსკოვი ჩემი მშობლიური ქალაქი რადგან არ იყო, ამიტომ ჩემთვის სულერთი იყო სად ვიქნებოდი – ხაბაროვსკში თუ სამარყანდში. დელეგაციების მეშვეობით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები კიდით კიდემდე მაქვს შემოვლილი, ბრესტიდან – კამჩატკამდე, სულ დავეხეტებოდი.

– ბევრი ლექსი გაქვთ მიძღვნილი კახეთისადმი, საიდან იცნობთ ასე კარგად სოფელს?

– მთელი ჩემი ბავშვობა დაკავშირებულია სოფელ ხაშმთან, საგარეჯოსთან. ვენაცვალე საქართველოს ყველა კუთხეს, მაგრამ ქართლ–კახური დიალექტი ხომ ძირის–ძირია ქართული ენისა.

– „ნეტა რა მეშველებოდა, ოცნება რომ არ მქონოდა“, ბრძანებთ ერთგან.

– სამშობლოს ნოსტალგიით შეპყრობილი, ოცნებამ გადამარჩინა. უკვდავია, ის ვისაც შეუძლია იოცნებოს. გარანტირებულია ერთდროულად იყოს აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიც.

– ბატონო მიხეილ, მაპატიეთ, ერთი უხერხული შეკითხვა: ლექსების მიხედვით დიდად შეყვარებული მეუღლე ჩანხართ... ნუთუ ცოლისთვის არასოდეს გიღალატიათ?

– ამაზე გიპასუხებთ ლექსით – „ჩემს მეუღლეს“.

ჩემზე კარგო და ჩემზე ჭკვიანო,
შენ შეგიძლია იეჭვიანო,
მე გაძლევ ამის საკმაო საბაბს,
მეოცნებე და სახით ვნებული,
ასე უზომოდ და ასე ხარბად
მთელ ქვეყანაზე შეყვარებული“.

და მაინც, მიუხედავად ამისა, არასოდეს მიღალატია ოჯახისათვის, შვილებისათვის, რასაკვირველია, მქონია გატაცებები, მაგრამ ამაშიც ვიცოდი ზღვარის დადება.

– მართლა „ოჯახის ზრუნვის ჯვარზე გაკრულმა“ გაატარეთ ახალგაზრდობა?

– დიახ, სრული სიმართლეა, თუმცა თვალი ყოველთვის უნებლიეთ გამირბოდა განზე!

– როდის დაწერეთ „ჩემო პატარა თამარ! ჩემო პატარა

ნატო, თქვენი ქართველი მამა ცხოვრობს თბილისში მარტო?!“

– სამშობლოს თავდავიწყებულმა სიყვარულმა ბევრჯერ მიმატოვებინა მოსკოვი, ერთხელაც მე და მეუღლემ „გავიყავით“ შვილები, უფროსი – თამრიკო თბილისში წამოვიყვანე, ორი წელი ჯვარს ვეცვით მეცა და ჩემი გოგონაც, მომკლა ფაფების ხარშვამ, ვერც სამსახური გამოიძებნა ჩემთვის და ვერც ბინა, მოსკოვში კი დიდ პატივში ვიყავი, ლამის კალთას მახევდნენ არ წამოვსულიყავი, იძულებული შევიქენი (უკვე მერამდენედ) დავბრუნებულიყავი უკან.

– „... გეტყობა, ტვირთი დაგაწვა მძიმე, ხუმრობა საქმე არ არის ცოლი! და იქვე „მართლა ტვირთია ბედნიერება“?

– ბედნიერებას გაფრთხილება უნდა. ყველა გრძნობით შეიძლება დაკმაყოფილდეს კაცი, სიყვარულით კი ყოველთვის მშიერი კვდები, სიყვარული დიდი დარდია, ზრუნვაა, პასუხისმგებლობაა, მაგრამ ამავე დროს, დიდი ბედნიერებაცაა. იმაზე ძვირფასი რა უნდა იყოს, როცა ვინმეს ჭირდები, უყვარხარ და გიყვარს.

– ბატონო მიშა, თქვენი შესანიშნავი ლექსი „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, რამდენმა ჟურნალისტმა გამოიყენა ეს ფრთიანი გამოთქმა.

– გიორგი შავგულიძე ახალი გარდაცვლილი იყო, სიზმარში ვნახე, ავდექი და ცხელ გულზე ეს ლექსი დავწერე, ღმერთს ვთხოვ, თითოეულმა ჩვენთაგანმა ისე იცხოვროს, რომ ოდესმე დააკლდეს ქალაქს.

– თქვენზე ამბობენ, საოცრად თბილი და უშუალო იყავით ქალებთან ურთიერთობაში, ქალი თქვენთვის მუდამ იყო სათაყვანებელი არსება.

– ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება დედამ მასწავლა, სათნოება, სითბო დედისგან მომდგამს. გუშინდელივით მახსოვს, საბანს როგორ მახურავდა, ხელს როგორ გადამისვამდა თავზე. ქალი არ შეიძლება ცუდი იყოს, იგი ხომ „კაცობრიობის მოწყალების დაა!“

– თქვენ მხატვარიც ბრძანდებით?

– წარჩინებით დავამთავრე თბილისის სამხატვრო

აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. შემდეგ ორი წელი ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ჩემი სათაყვანებელი პედაგოგები იყვნენ: კოტე ბაქრაძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მოსე გოგიბერიძე, გრიგოლ კიკნაძე, მაგრამ ომმა ხელი შემიშალა სწავლაში, ვერ დავასრულე უნივერსიტეტი. შრომით რეზერვებში მოვხვდი მობილიზაციით და ქარხანაში ხარატად დავიწყვე მუშაობა.

მხატვრობა ჩემთვის ჰობია. იგი თითქოს ლექსის წერაშიც მშველის, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, როცა ვწერ, ვხატავ კიდეც.

– ასევე ეწევით მთარგმნელობით საქმიანობას.

– რუსულად ლექსის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია. რამდენიმე პროზაული ნაწარმოები მაქვს ქართულიდან რუსულად თარგმნილი, მაგრამ ეს ჩემთვის შემოსავლის წყარო იყო, მეტი არაფერი. ვიცი პოლონური. ვისლავა შიმბორსკას ლექსები მომეწონა და ვთარგმნე ქართულად. რუსულად ვთარგმნე კინოფილმები: „ნატვრის ხე“, „მონანიება“, „იავნანა“, „უძინართა მზე“ და გავახმოვანე კიდეც.

– უთუოდ ბევრი მეგობარი გეყოლებათ მოსკოვში, კარგად იცნობთ რუსულ საზოგადოებას, გულთან თუ მიაქვთ ჩვენი დღევანდელი გასაჭირი და რას აკეთებენ ჩვენთვის, საერთოდ სიმართლისათვის?

– სამწუხაროდ, ბევრს არაფერს! მოსკოვში ცხოვრების დროს ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ: ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ალ. მეჟიროვი, ბულატ ოკუჯავა, ა. ვოზნესენსკი, ა. ტარკოვსკი, კ. სემიონოვი, ა. ახმატოვა, ნ. ზაბოლოცკი... ვერ გამიგია, რატომ სდუმან საქართველოს „უერთგულესი“ მეგობრები – ევტუშენკო, ახმადულინა და სხვები. არ მინდა ვიფიქრო, რომ ისინი ცუდი ხალხია, ეჭვი კი გამიჩნდა მათ მიმართ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა – ახმატოვა, ზაბოლოცკი და ტიხონოვი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ასეთ პოზიციას ნამდვილად არ აირჩევდნენ. ეტყობა ახალგაზრდებში მედროვეობის სიმპტომმა იმძლავრა.

– ახლა ჩვენი მიწა–წყლის შვილი, ქართველი მეუღლე გყავთ, მისგან ცამეტი წლის ბიჭუნა – გიორგი გულს გიხარებთ, ბედნიერი ხართ?

– ძალიან! მადლობას ვწირავ ღმერთს. საკუთარი ჭერი მაქვს, ჩემი სახლიდან, ლესელიძის 18 ნომრიდან, თოთხმეტი ეკლესია მოჩანს. ასე ადამიანურად არასდროს მიცხოვრია: რაც მაკლდა და რაც მენატრებოდა, შევისრულე, ცოლ–შვილს ქართულად ველაპარაკები. ჩემი გაგებით „ბედნიერი“ შეიძლება ეწოდოს იმ კაცს, ვისაც ისეთი ვინმე ჰყავს გვერდით, ურმოლისოდაც ორ წუთსაც ვერ იცოცხლებს, თუმცა, ამას ესეც მინდა დავუმატო:

„საჩუქარი ხარ ბედისა? რა ხარ?
თუ სასჯელი ხარ მაცდური ბედის,
და შენ იმიტომ მოხვედი ახლა,
როცა თავდება ჩემი ცხოვრება,
რომ კიდევ უფრო გამწარდეს ჩემთვის
წუთისოფელთან გამოთხოვება...“

ცოლისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებში, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

– ბატონო მიხეილ, თქვენი გატაცება?

– ძალიან მიყვარს მცენარეები, განსაკუთრებით ყვავილები. ამას ფილოსოფიური საფუძველი აქვს, ყველაფერმა რომ გიღალატოს, თუ თესლი ვარგისიანია, არ გიღალატებს, ნაყოფს გამოიღებს!

– რა აზრის ბრძანდებით ჟურნალისტებზე?

– მიყვარან. ბევრმა მათგანმა კეთილშობილური პოზიცია დაიკავა, ისინი მუშა ფუტკრებს მაგონებენ, შუამავლები არიან საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. მათთან ურთიერთობა ყოველთვის მახარებს.

– რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?

გეგმაში მაქვს, თუ მოვასწარი, ჩემი ლექსების სრული კრებულის გამოცემა, მაგრამ ეს უკვე ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რასაც ყველანი ვნატრობთ.

1997 წ.

ქართველი ქალი – პარიზის საპატიო მოქალაქე

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის პროფესორი *მერაბ ჩიჯავაძე* მადლობას უხდის ბატონ გურამ შარაძეს, რომელმაც მის სათაყვანებელ მამიდას, ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებლის სპირიდონ კედიას მეუღლეს სოფიო ჩიჯავაძეს წიგნში - „უცხოეთის ცის ქვეშ“ საპატიო ადგილი მიუჩინა. ბატონმა მერაბმა ერთი თვე დაჰყო პარიზში მამიდასთან და მკითხველისათვის ჯერჯერობით უცნობ რამდენიმე საინტერესო ფაქტებზე გვესაუბრა.

მამიდაჩემი განსწავლული პიროვნება გახლავთ. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა. პირველი ქართველი ქალია ამ უნივერსიტეტდამთავრებულთა შორის. მანამდე კი ალფეროვის კურსებზე ჩაირიცხა, მაშინ ეს რჩეულთა ხვედრი იყო, მაღალი ქულებით დაამთავრა და უგამოცდოდ მიიღეს უნივერსიტეტში.

ორი ძმა ჰყავდა. მამაჩემი ლონგინოზი, სამხედრო პირი იყო, ბელგიაში, ქალაქ ლიეჟის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მეორე ძმას – ირაკლის საფრანგეთში ჰქონდა განათლება მიღებული, ჩიჯავაძეები თელავის რაიონის კისისხევის თავადები იყვნენ, დღესაც დგას სოფელში ჩვენი საგვარეულო სასახლე.

მამიდაჩემიბავშვობიდანამაყი,შეუდრეკელი,ბუნებითკი დემოკრატი ყოფილა. ბებიასაგან მახსოვს, რომ სრულიად ახალგაზრდა მამიდა სოფიოს მათ მამულში მცხოვრები ხიზნები ბეგარისგან გაუნთავისუფლებია. ბებიაჩემს შური უძიებია: შემოსავალი დაგვაკარგვინაო და საზღვარგარეთ სასწავლებლად გასამგზავრებელი ქალიშვილი დაუსჯია, აღარ გაუგზავნია. მამიდას თავისი მაინც არ დაუშლია და

მოსკოვში სასწავლებლად საკუთარი ინიციატივით წასულა. სწავლის პერიოდში ვინ არ მოუხიბლავს სიდარბაისლით, სიბეჯითით, წინდახედულობით, ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი კდემითა და გარეგნობით. მოსკოვში შეხვედრია და გაუცვნია კოტე მარჯანიშვილი. რეჟისორს ქართული საღამო მოუწყვია, რომელსაც იუჟინი ხელმძღვანელობდა. მოწვეული ჰყოლიათ თარზე საუკეთესო დამკვრელი ირაკლი ამირეჯიბი. მამიდა განთქმული მოლეკურე ყოფილა, მას ამ საღამოზე მონაცვლეობით ეცეკვებოდნენ მიშა თუხარელი და ილიკო აბაშიძე, მათი შემყურე საზოგადოება ძალზე მოხიბლულა.

სამი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა, წმიდა ნინოს სასწავლებელში და ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მოგვიანებით იყო ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორი.

ამ წლებში გაიცნო სპირიდონ კედია, რომელიც საფრანგეთიდან ახალჩამოსული იყო. სპირიდონს მიტინგზე მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს. 1916 წელს ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე ერთხმად აურჩევიათ ამ პარტიის ლიდერად. სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა, სპირიდონი ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას, როგორც პუბლიცისტი, დეპუტატი, დამფუძნებელი კრების ასამბლეის წევრი, პარლამენტში ეროვნული ოპოზიციის მეთაური. ტრანსკავკასიის კომისარიატის მიერ დასახელებული იყო საქართველოს განსაკუთრებულ და სრულუფლებიან ელჩად ევროპაში. იყო დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი ჟურნალებისა „სამშობლოსათვის“ და „საქართველოს გუშაგი“, რომლებიც მაშინ საფრანგეთში გამოდიოდა.

.... 1919 წლის 19 ნოემბერს სოფიო ჩიჯავაძემ სიონის საკათედრალო ტაძარში ჯვარი დაიწერა სპირიდონ კედიაზე, რიტუალი კალისტრატე ცინცაძემ შეასრულა. ვინ იფიქრებდა, ამ ულამაზეს და უბედნიერეს წყვილს, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულთ და მისი ბედით

დღენიადაგ შეჭირვებულთ ამ ორ შეუდრეკელ პატრიოტს, განგება ასეთ მწარე ხვედრს – ემიგრაციაში ცხოვრებას არგუნებდათ.

სპირიდონ კედია ნოე ჟორდანიას იდეების შეურიგებელი მოწინააღმდეგე გახლდათ. მიუხედავად ამისა, როცა ემიგრანტების გემი ბათუმიდან უნდა გასულიყო, ნოე ჟორდანია სპირიდონსა და მის ოჯახს მთელი დღე–ღამე ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. სპირიდონი შეგნებულად არ ტოვებდა სამშობლოს.

ბოლშევიკებმა შემოსვლისთანავე დააპატიმრეს. მეტეხის ციხეში სამი წელი დაჰყო. დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ აბელ ენუქიძემ იხსნა და სასჯელი საფრანგეთში სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს. ოჯახი კი საქართველოში მძევლად დარჩა. დიდი მეგობრობა აკავშირებდა კედიების ოჯახს მაშინდელ ქართველ ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძესთან.

სპირიდონი სპეციალობით ქიმიკოსი, გიორგი მაჩაბელთან „პრინც მაჩაბლად“ წოდებულთან მუშაობდა ქალაქ კლამარში, სუნამოს საწარმოში. ოთხი წელი გაატარა მარტოდმარტომ, მომძლავრდა ეკონომიკურად და მხოლოდ მერე მიიწვია თავისთან მეუღლე და რვა წლის ქალიშვილი თეო. მათაც იძულებითი სამუდამო თავშესაფარი ჰპოვეს უცხოეთში, მაგრამ ყველაფერი იღონეს საქართველოს საკეთილდღეოდ.

სპირიდონი 1948 წელს გარდაიცვალა კლამარში, დაკრძალეს ლევილის ცნობილ სასაფლაოზე. ერთი წლის შემდეგ ოჯახი პარიზში დაფუძნდა.

მამიდაჩემი მუდამ ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას – საფრანგეთში იყო „ქართული კერის“ დამაარსებელი, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას ასწავლიდა ემიგრანტთა ოჯახის წევრებს. აწყობდა სხვადასხვა შეხვედრებსა და საღამოებს. თეომ პარიზის ცნობილი მუსიკის უმაღლესი ნაციონალური კონსერვატორია დაამთავრა ფორტეპიანოს განხრით,

მოიპოვა კონსერვატორიის ლაურეატის წოდება, იგი ერთ–ერთ საუკეთესო პედაგოგად ითვლება. დედის მსგავსად შესანიშნავად ფლობს ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებს.

ქალბატონ სოფიოს, შეუდარებელ პედაგოგს, საქართველოში დარჩა აღზრდილები, რომლებიც შორიდან აგრძნობინებდნენ გულის სითბოს: მაყვალა მრევლიშვილი, ქეთევან გოგიჩაიშვილი, თებრიკო ჩაილურელი, ნინო ზანდუკელი, კატო ციმაკურიძე, შალვა ცალქალამანიძე, ნინო რამიშვილი...

1985 წელს, ასი წლის ქალბატონ სოფიოს პარიზის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. პარიზის მერის, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ–მინისტრის ჟაკ შირაკის სახელით საგანგებოდ დამზადებული მედალი და დიპლომი მიართვეს ქართველ მანდილოსანს და საფრანგეთის უხუცეს მოქალაქედ აღიარეს.

1990 წელს პარიზის ქართულ–ევროპული ინსტიტუტის მიერ დაწესებული ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი პრემია მიიღო ქალბატონმა სოფიომ მემუარებისათვის „105 წლის გადასახედიდან ჩემს ერთადერთ ქალიშვილს“, რომელსაც მალე ჯანრი კაშია წიგნად გამოსცემს. ქალბატონმა სოფიომ საპრემიო თანხა ქველმოქმედების მიზნით გამომცემლობის ფონდს დაუტოვა.

107 წლის მამიდა დიდი პატივისცემით სარგებლობს მთელს პარიზში. მას შემორჩა ცინცხალი გონება. უნიკალური მეხსიერება.

... ახალგაზრდობაში იგი იოსებ გრიშაშვილის საუკეთესო ლირიკული ციკლის მუზა გახლდათ. ხარფუხში, პოეტის სახლ–მუზეუმში ერთი ასეთი ნიშანდობლივი წარწერაა „სონა ჩიჯავაძე. – ჩემი საუკეთესო ლექსები მას ეკუთვნის“.

1992 წ.

ლამაზი თვალით დანახული სამყარო

ცდება, ვინც ფიქრობს, სიტყვაძუნწია ***ბასა ფოცხიშვილი****, ჟურნალისტებს ნაკლებად წყალობსო. ამაში თავად დავრწმუნდი, როცა სტუმრად ვეწვიე. სიტყვაუხვმა მასპინძელმა სიამოვნებით და ერთგვარი სევდით გაიხსენა ყველასათვის საყვარელი პოეტი მორის ფოცხიშვილი: – მამა განსაკუთრებული ადამიანი იყო, შეიძლება ითქვას, არაამქვეყნიური. ხშირად ამბობდა, ადამიანს უნდა შეეძლოს ცხოვრებით ტკბობაო. მე და თამრიკოს ზედმეტად გვანებივრებდა, ყველაფერს გვისრულებდა. მისგან არ მახსოვს დატუქსვა, დასჯა. ძალიან მიჭირდა დილით გაღვიძება, დედას სულ საყვედურობდა, დაანებე თავი, იძინოსო. სკოლაში ხშირად მე-6 გაკვეთილზე მივდიოდი. ტექნიკურ საგნებს ცუდად ვსწავლობდი, თავს იმით ვიიმედებდი, რომ მამა სულ მეუბნებოდა, გააკეთე ის, რაც შეგიძლია და მოგწონსო. ამასთანავე მირჩევდა ბევრი მეკითხა. თამრიკოს ზედმეტი თქმა არ ჭირდებოდა, გონიერებით ასაკს მუდამ უსწრებდა.*

– ბატონი მორისი, გოგი ცაბაძე, ბუბა კიკაბიძე, შემოქმედთა თანავარსკვლავედი. საქვეყნოდ ცნობილია მათი სამაგალითო მეგობრობა, კიდევ ვისთან მეგობრობდა?

– მართლაც მისაბაძი მეგობრები იყვნენ, ერთი ოჯახის წევრებივით ვცხოვრობდით. მამა ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო გოგის 60 წლის იუბილეს. გოგიმ მიატოვა თავისი იუბილე, მორისის გარეშე რა ფასი აქვსო და რესტორნიდან საჭმელებით დატვირთული პირდაპირ საავადმყოფოში მოვიდა. როცა გოგი გარდაიცვალა, მე და თამრიკო მოსკოვში ვიყავით. იმ დღეს თურმე ჩვენი ჭაღი გასკდა, მამა შეშინებულა, ავის მომასწავებლად ენიშნა, წარამარა გვირეკავდა. დიდი მეგობრობა აკავშირებდა: შოთა ნიშნიანიძესთან, ნოდარ დუმბაძესთან, რეზო

ამაშუკელთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, გურამ ფანჯიკიძესთან, ჯემალ სეფიაშვილთან, ვაჟა აზარაშვილთან, ვერიდები ჩამოთვლას, არავინ გამომრჩეს.

– მორისის გულუხვობაზე ბევრს ლაპარაკობენ თანამოკალმენი. საჩუქრებით თქვენც განებივრებდათ?

– მამა ხშირად დადიოდა უცხოეთში. სულ რაღაცას ვაბარებდით, პირდაპირ გულს ვუწუხებდი, ტელეფონითაც ვახსენებდი, რომ არ დავიწყებოდა. ერთხელ ჯინსის შარვალი დავაბარე, ავუხსენი კიდეც როგორი მინდოდა, მაინც დავიწყნია და მოსკოვში უყიდია, სიცილით კინაღამ მოვკვდი ისეთი საშინელება იყო, მაგრამ გული მაინც არ ვატკინე. მოგვიანებით, როცა ჩვენ დავიწყეთ საზღვარგარეთ სიარული, ლამაზი ნივთებით ახლა მას ვანებივრებდით და ისიც ბავშვივით ხარობდა. ერთხელ მე და თამრიკომ შეცდომით წუნიანი პულოვერი ჩამოვუტანეთ, ჩვენი სიყვარულით მაინც დიდხანს ატარა.

– ვინ იყვნენ მისი ლექსების დამჭაშნიკებლები?

– დედა, თამრიკო და მე. ჩვენს გემოვნებას ბოლომდე ენდობოდა. მე ვიყავი მისი ლექსების გადამბეჭდავი, კორექტორი, ამის წყალობით კარგად ვიცი გრამატიკა, შრომაში მაღალ „ანაზღაურებას“ ვიღებდი, ფულზე უარს არასოდეს მეუბნებოდა.

– ინტელიგენტური, რბილი ხასიათით ბევრთაგან გამორჩეული, რაზე ბრაზდებოდა?

– უგუნურებაზე და გაუნათლებლობაზე. ეს ხომ იდიოტიზმიაო იტყოდა, თუმცა ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.

– როგორც რეჟისორმა, საკმაოდ ახალგაზრდამ, გამორჩეული ორიგინალობით მოიპოვეთ მაყურებლის აღიარება.

– ყველა წარმატებას ჩემს პედაგოგებს ვუმადლი. დავამთავრე თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი ლანა ღოღობერიძის და ომარ გვასალიას ჯგუფი. არაჩვეულებრივი ადამიანები მასწავლიდნენ: ოთარ იოსელიანი, ერლომ ახვლედიანი, ლევან პაატაშვილი, შურა მღებრიშვილი, ირაკლი

კვირიკაძე, ოლღა თაბუკაშვილი, ნათია ამირეჯიბი, მართლაც სერიოზული სწავლება იყო მაშინ.

– კლიპების გარდა რა ჟანრში მუშაობთ?

– თავდაპირველად კინოთი დავიწყე. გადავიღე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დასასრული“. მერე ყველაფერი გაჩერდა და დროებით უმუშევარიც ვიყავი.

... მამას ერთი ასეთი ლექსი აქვს - „წითელ ხიდზე გაგივლია, ოცნებაო ჩემო“, რაც საფუძვლად დაედო ჩემს კლიპს „მიჰქრის მატარებელი“, რომელიც გამორჩეულად მიყვარს. სულ ოცი–ოცდაათიოდე კლიპი მექნება გადაღებული. წელიწადში 2–3–ზე მეტ მუსიკალურ კლიპს არ ვიღებ. აქედან რამდენიმეს გამოვარჩევ: „ჭადრაკის დაფად ქცეულ მიწაზე“, „საკერავი მანქანები“ (ასრულებს მარიკა თხელიძე), „მგზავრები“ (შემსრ. ნანუკა ხუსკივაძე და მერაბ ნინიძე), მაია ჯაბუას და დათო ევგენიძის კლიპი „რა დროს რომანსეროა“ და ა. შ. ბევრს ვშრომობ, მამაც ასე იყო, სულ მუშაობდა, უსაქმოდ წუთითაც ვერ ნახავდით. მისი დასვენება იყო ფეხბურთი და კარგი ფილმი. სიბეჯითე სწორედ მამისგან მერგო მემკვიდრეობით (გულიანად კისკისებს, ძალიან უხდება სიცილი, სახეზე ნებისყოფა, ინტელექტი და გურული სიფიცხეც იკითხება). არის დღეები, როცა 2–3 საათი მძინავს. სამონტაჟო მაგიდაზე თავს ჩამოვდებ, თხუთმეტი წუთით წავიძინებ და მყოფნის.

– მსახიობებს თავად ირჩევთ?

– დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო ქართულ სამსახიობო სკოლაზე. დიდი სიამოვნებაა მათთან მუშაობა. ბევრს ვსწავლობ მათგან. არა და არ დამთავრდა ეს გარდამავალი პერიოდი, რის გამოც ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს ქართული კინო და შესაბამისად დაუსაქმებელია ჩვენი გენიალური მსახიობები. დასანანია, რომ უშედეგოდ იკარგება მათი საუკეთესო წლები.

– ვინ არიან თქვენი გუნდის წევრები?

– ჩემი მეგობრები, კინოდან მოსულები... ერთმანეთისათვის შეგვიძლია ბოლომდე დავიხარჯოთ. გადაღებებისას ყველანი ჩემს გვერდით არიან. თუმცა რამდენი კაციც არ უნდა მუშაობდეს, კინო და კლიპი მაინც

რეჟისორისაა.

– თქვენ მუდამ გამორჩეულად, ორიგინალურად გაცვიათ, კანის ფესტივალიდან თქვენი ყოველდღიური ჩართვები გამახსენდა, სად იძენთ ტანსაცმელს?

– უცხოეთში. ჩემზეა თითქოს ნათქვამი: ისეთი მდიდარი არა ვარ, ბევრი მქონდეს და იაფფასიანი. არასოდეს ვიყიდი უბრალოს, სერიულს, ასეთივე ნიშნით ვირჩევ მეგობრებს – მიყვარს ნიჭიერი, ლამაზი, ინტელექტუალი ადამიანები. მათ არ ვკარგავ, ვუფრთხილდები. ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, გაუნათლებლისგან ბევრი გულისტკენა და ბოროტება მოდის.

– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ, სამზარეულო გიყვართ?

–თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს. გამოგიტყდებით და არ მიყვარს სამზარეულო, რაც კარგად არ ვიცი, იმას არ ვიჩემებ. ჩემთვის ბედნიერებაა მზეზე წოლა, ცურვა, მეგობრებთან ყოფნა და რა თქმა უნდა, კითხვა.

– თქვენი მშვენიერი და, ნიჭიერი მხატვარი თქვენთან ერთად მუშაობს?

– ერთმანეთის გარეშე არ შეგვიძლია სიცოცხლე. ჩემი ყველა კინო, მუსიკალური კლიპი, რეკლამა მისი ხელდასხმულია. თამრიკო ზედმიწევნით შრომისმოყვარეა, მის ნიჭზე სხვები ლაპარაკობენ, ჩემგან უხერხულია ამაზე საუბარი, ეს იგივეა, საკუთარ თავზე ვილაპარაკო. მისი ბევრი ნამუშევარი კინოში, პრიზებით აღინიშნა ფესტივალებზე. საბედნიეროდ, მამა ჩვენს მიღწევებს მოესწრო, თუმცა შემოქმედებითი გზის დასაწყისს.

– ქალიშვილის თვალით დანახული დედა, დარბაისელი, კდემამოსილი ქალბატონი როზიტა, ჭეშმარიტი იდეალური მეუღლე, საზოგადოებაში მოკრძალებულ ადამიანად აღიარებული...

– მამასთან მიმართებაში დღემდე ინარჩუნებს დუმილის უფლებას, თუმცა, მართლაც სამაგალითო ცოლ–ქმარი იყვნენ ყოველმხრივ მისაბაძნი.

– მინდა ერთი გამონათქვამი შეგაგებოთ, „შვილმა უნდა იცოდეს სად შეჩერდა მამა?“

– მამა სამოცდასამი წლის გარდაიცვალა. იმ სიმაღლიდან ვერ გავაგრძელებ ცხოვრებას, სადაც ის გაჩერდა. მამა ჭეშმარიტი მორწმუნე იყო, ვერ გეტყვით, რომ რაიმე დარჩა გასაკეთებელი. ბოლო წლებში, როცა ჯანმრთელობა საკმაოდ შეერყა, ამბობდა, რადგან ღმერთს მივყევარ, კმარა სიცოცხლე, კმაყოფილი ვარ იმითაც, რაც შევძელიო. მთავარი ის კი არ არის რამდენს იცოცხლებ, მთავარია როგორ იცხოვრებ. დიდხანს სიცოცხლე არც ვარგა, იმდენ საშინელებას ნახულობს ადამიანი.

... მამა უწმიდესის და უნეტარესის კურთხევით მცხეთაში, დედათა მონასტრის ეზოში დაიკრძალა. სამუშაო მაგიდაზე მხოლოდ ილია II–ის ფოტო ედო. ჩვენ ყველანი ქვემოდან ზემოთ მივდივართ, ისეთი შეგრძნება მაქვს, ჩვენი პატრიარქი ზემოდანაა მოვლენილი. მუდამ ვლოცულობთ მისთვის.

– რა აზრისაა ბასა ფოცხიშვილი ფულზე?

– ფულზე შესანიშნავად თქვა გენიოსმა თეორეტიკოსმა აკაკი ბაქრაძემ: – „მე ფულის დიდი პატივისმცემელი ვარ, რადგან ფული ნიჭიერების ბადალია. ვინც ფულს ებრძვის, ის ან უსაშველოდ ბრიყვია ან გაიძვერა თვალთმაქცი. უფულოდ ნიჭიერება არაფერს შექმნის – არც სიქსტეს კაპელა იქნებოდა უფულოდ... არავინ უწყის, კაცობრიობას ბედნიერება ფულმა უფრო მოუტანა თუ ნიჭიერებამ. ამიტომ ფულზე ათვალწუნებით ლაპარაკი თავის გაბრიყვებაა და მეტი არაფერი...“

უკეთესად ვერ იტყვი!

ერთს დავამატებ – ფული ქველმოქმედებაა, თავისუფლებაა, მაღალხარისხოვანი განათლებაა. უფულოდ სახლიდან გასვლაც არ მინდა, საშინელებაა, როცა ამდენი მათხოვარი, გაჭირვებული შემოგყურებს ხელში...

– ამბობენ, ადამიანი თავად ქმნის თავის ბედსო?

– ადამიანის ბედს ღმერთი ქმნის. ჩვენ უბრალოდ უნდა შევძლოთ ცხოვრებით ტკბობა. ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობები. მშვენიერების აღქმას „ლამაზი“ თვალი უნდა, „მახინჯი“ თვალით სილამაზეს ვერ აღიქვამ.

სიამოვნება ყველაფერშია, ცუდი ამინდიც თავისებური სიამოვნებაა...

– რა მოთხოვნებს უყენებთ მამაკაცს?

– უნდა იყოს სულით ლამაზი, ვაჟკაცური თვისებებით შემკული, განათლებული, არა მეწვრილმანე, აუცილებლად უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, თუმცა შეიძლება ისე მოხდეს, ამ თვისებების საპირისპიროც მომეწონოს, რას იზამ, კაცია და გუნება.

– ეკლესიურად ცხოვრობთ?

– ჩემი სამუშაო გრაფიკის გამო მიჭირს რელიგიური წეს–ჩვეულებების ზუსტად დაცვა. წლევანდელი აღდგომის დღეებში მე და თამრიკოს დიდი ტურნე გვქონდა: ლონდონი, მიუნხენი, ფრანკფურტი – რეკლამას ვიღებდით. თბილისში გვიან დავრეკეთ, თამრიკოს შვილმა დათუნამ გვკითხა 20 წუთში რომ აღდგომა დგება, რას აკეთებთო, ისეთი გადაღლილები ვიყავით, არც გვახსოვდა. წამოვხტით, შეძლებისდაგვარად მაინც მოვემზადეთ დიდი დღესასწაულისათვის.

– ბატონი მორისის ლექსებზე ბევრი ქალაქური სიმღერაა შექმნილი...

– მამას ადამიანების სიყვარულის გამომჟღავნების დიდი ნიჭი ჰქონდა, ყველას პატივს სცემდა და აფასებდა, მეგობრობდა მისი სიმღერების შემსრულებლებთან, კომპოზიტორებთან, მათ შორის იყვნენ ქსოვრელებიც. პატარა ვიყავი, ქსოვრელებმა მამას სიყვარულის ნიშნად ეს ანტიკვარული ლამპა აჩუქეს.

... ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, როცა სრულიად უცხო ადამიანები მამას სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ, ამაზე უკეთესი განძი რა შეიძლება დაუტოვოს მშობელმა შთამომავლობას.

2005 წ.

დაუვიწყარი შეხვედრები

*წელს საქართველოს სახალხო არტისტის, **შალვა ღამბაშიძის** საიუბილეო თარიღია – დაბადებიდან 100 წელი. მის ქალიშვილს **ნანას** ვთხოვეთ ეამბნა ოჯახსა და მშობლებზე.*

– **ქ–ნო ნანა, ასე მგონია, თქვენი მამა–შვილობა სხვანაირი, გამორჩეული იყო...**

– მამა გამორჩეული პიროვნება იყო, ყველა საუკეთესო თვისებით შემკული. არასოდეს უფიქრია ფუფუნებით ცხოვრებაზე. თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, დაინტერესებული იყო მისი ბედით, ისტორიით, ხელოვნებით, მწერლობით... იმდროინდელი თითქმის ყველა მწერალი, მსახიობი, ხელოვანი მისი მეგობარი და ახლობელი იყო. სხვისი წარმატებით ხარობდა. შური, ბოღმა მისთვის მიუღებელი რამ იყო. 1955 წელს გარდაიცვალა, მაგიდაზე გადაშლილი დარჩა პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“.

... უბედნიერესი ბავშვობა მქონდა – მშობლების ნაზი სიყვარულით გალაღებულს და არა გათამამებულს. თითქმის თეატრში ვიზრდებოდი. ოცდაორი წლის ასაკში მამის დაკარგვა მეხის გავარდნის ტოლფასი იყო ჩემთვის.

– **შალვა ღამბაშიძის მთელი შემოქმედება აღბეჭდილია სიმართლით, კეთილშობილებით, ქართველი კაცის ხასიათში ღრმად წვდომით, მეტყველების დიდი კულტურით. და მაინც, სცენური სახეებიდან რომელს გამოარჩევდით?**

– აღსანიშნავია: ესტევანი – „ცხვრის წყარო“, კაკუტა – „ყვარყვარე თუთაბერი“, მოძღვარი – „მოძღვარის“ მიხედვით, დე სილვა – „ურიელ აკოსტა“, ოტელო – „ოტელო“, ბოროდინი – „შიში“, არჩილი – „ჩატეხილი ხიდი“, სოლომონი – „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, კათოლიკოსი – „დავით აღმაშენებელი“, კუტუზოვი

– „ბაგრატიონი“, მაკფერსონი – „რუსეთის საკითხი“, კნეროვი – „უმზვითვო“, გოროდინიჩი – „რევიზორი“, ანთიმოზი – „უფსკრულთან“, შოუზბერი – „მარიამ სტიუარტი“. არანაკლებ შთამბეჭდავი სახეები შექმნა კინოში: ბეკინა – „სამანიშვილის დედინაცვალი“, ყასაბი – „კომუნარის ჩიბუხი“, დავითი – „დარიკო“, ქარუმიძე – „დიადი განთიადი“, ანდუყაფარი – „გიორგი სააკაძე“, გრამიტონი – „ჭირვეული მეზობლები“, თავადი ელიზბარი – „დავით გურამიშვილი“, მაკარი – „ქეთო და კოტე“, ირაკლი – „ჭრიჭინა“...

– **დედა?**

– დედაჩემი ანეტა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, მწერალ თინა დონჟაშვილის და გახლდათ. კოტე მარჯანიშვილმა დონჟანელად „გადანათლა“. მამაჩემისგან განსხვავებით უფრო თავშეკავებული, ერთი შეხედვით სიტყვაძუნწი, მკაცრი ჩანდა, კახური თვისებები ჭარბობდა მასში. სინამდვილეში ალალი და გულკეთილი პიროვნება იყო, მამა – იმერელი, გაწონასწორებული. დედა მამის სიკვდილის შემდეგ ისე ჩაიკეტა, სიცოცხლეც აღარ უნდოდა, სახლიდან ფეხის გადგმა უჭირდა. ოცდარვა წლის ასაკში აღარც დედა მყავდა და აღარც მამა.

– **თქვენ ფილმებშიც ხართ გადაღებული?**

– მხოლოდ ორ ფილმში – „ორი ოჯახი“ და „ჭიაკოკონა“. მშობლების შემხედვარემ თავს ვერ მივეცი უფლება მსახიობი გავმხდარიყავი. თუმცა მაშინდელი თეატრების ყველა რეპერტუარი სულ ზეპირად ვიცოდი. პატარაობისას კულისებში მდგარი ვოცნებობდი, მოკარნახე მაინც შემეცვალა მისი არყოფნის დროს. მამა ათი წელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ბევრი სიკეთე უკეთებია – როცა დავით კაკაბაძე პოლიტიკურად არასანდოდ გამოაცხადეს და ეკონომიურად გაუჭირდა, თეატრში მიიწვია საარსებო წყარო რომ ჰქონოდა დიდ ხელოვანს. იცოდა სხვისი ჭირის გათავისება, ის ხომ სიკეთისათვის იყო დაბადებული.

– **ცნობილია, თქვენი ოჯახი გამოჩენილი ადამიანების თავშეყრის ადგილი იყო, ვის გაიხსენებდით?**

– მუდამ ინტელიგენციით ვიყავით გარემოსილნი თერთმეტსართულიან სახლში, სადაც ოცდახუთი წელი ვიცხოვრეთ. მოდიოდნენ: სერგო ქობულაძე, სილოვან კაკაბაძე, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი, ვასო პატარაია, რაჟდენ გვეტაძე, არჩილ კერესელიძე, გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობები...

... ომის დროს მამამ თბილისში ევაკუირებული მცირე თეატრის სამხატვრო დასის („მხატი“) მსახიობები ოჯახში მოიწვია. ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ჭიაურელიც გვესტუმრნენ. ქ–ნი ვერიკო როიალზე უკრავდა, მე ქართულს ვცეკვავდი, კაჩალოვმა ჩემთან ერთად წრე დაუარა, მერე ხელზე მაკოცა, მამამ ყურში ჩამჩურჩულა – „ნანა, კარგად დაიმახსოვრე ეს დღე!“

ნეტარებით მაგონდება სტუმრობა სიმონ და მარიკა ჩიქოვანების ოჯახში (მე და ნიკა ჩიქოვანი ვმეგობრობდით). ბატონ სიმონს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს ბევრჯერ კითხვაში თავზე დაგვთენებია. როგორ შეიძლება დანანებით არ მოვიგონო გურამ ასათიანი, ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი. ნაადრევად წასული გურამ თიკანაძე, ახალახან დიდი ტკივილი მოგვაყენა ქართული ფეხბურთის დიდმა ქომაგმა გურამ ქავთარაძემ, ძნელია ამდენი გაუნელებელი ტკივილის ერთად თავმოყრა.

– **ქ–ნო ნანა, პირად ცხოვრებაზეც გვითხარით ერთი ორი სიტყვა?**

– ჩემი პირადი ცხოვრება ჩემი შვილებია: შალვა ჯაფარიძე – არქიტექტორი, ნათია ჯაფარიძე – ფრანგული ენის სპეციალისტი და ჩემი სამსახური – ლიტერატურის ინსტიტუტი. ვარ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი. გამოვეცი წიგნი „ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის თავისებურებანი“. ინგლისურიდან ვთარგმნე საროიანისა და ჰემინგუეის ნაწარმოებები. მზად

მაქვს დასასტამბად ჰემინგუეის „ბერიკაცი და ზღვა“.

– **თუ მეხსიერება არ მღალატობს, ერთ დროს მხატვრების მუზაც იყავით?**

– სალაპარაკოდ არ ღირს, ეს ახალგაზრდობაში იყო. ეთერ კაკაბაძისა და ფარნაოზ მზარეულიშვილის მუდმივ ექსპოზიციაში ხელოვნების მუზეუმში ინახება ჩემი სკულპტურული პორტრეტები; ზურაბ ნიჟარაძემ და ედმუნდ კალანდაძემ დამხატეს.

– **ვისთან მეგობრობთ?**

– კლასელებთან (თბილისის ქალთა მე–6 სკოლა დავამთავრე), უნივერსიტეტის მეგობრებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან~...

– **როდის იყავით ბედნიერი?**

– ვიდრე მამა მყავდა. ეხლაც ბედნიერად ვთვლი თავს, ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობას რომ მოვესწარი. ბედნიერი ვარ, რომ მყავს კარგი შვილები, სამივენი შეხმატკბილებულად, ურთიერთგაგებით ვცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ.

– **რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებთ?**

– ძალიან პატარა, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის ლოჟაში ვიჯექი. სრული ანშლაგი იყო. მამა „ტარიელ მკლავაძეში“ ტარიელის როლს ასრულებდა. თოფი ესროლეს, წაიქცა, ისეთი ტირილი ავტეხე, სპექტაკლი ჩაიშალა. ვიდრე მამა ცოცხალი არ მაჩვენეს, ვერ დამამშვიდეს.

– **რა განიჭებთ სიამოვნებას?**

– ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები, კარგი წიგნი, კარგი სპექტაკლი, კარგი მუსიკა, საინტერესო ადამიანებთან საუბარი.

– **საყვარელი მწერალი, კომპოზიტორი, მომღერალი?**

– ქართველი კლასიკოსები და შემდეგ უცხოელები, რეზო ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, ნანი ბრეგვაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, მერაბ სეფაშვილი...

– **რაზე გტკივათ გული?**

– არ შემიძლია ერთ–ორი სიტყვა გულისტკივილით

არ გითხრათ იმ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებშიც ბევრი უხამსობა იწერება. ან საიდან მოედინება ღვარად ამდენი ბილწსიტყვაობა? ეს ქართული ბეჭდვითი სიტყვისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო. არავითარი ბარბარიზმი, კნინობითი სახელები. მეტი რუდუნებით უნდა მოვეკიდოთ ქართული ენის სიწმინდეს.

– **ოპტიმისტი თუ ხართ?**

– ვარ, ნამდვილად ვარ. მიუხედავდა იმისა, რომ ბევრმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით, სადაც კი ხელი მიუწვდა, გაყვლიფა და გააღარიბა ქვეყანა, მჯერა, რომ ეს ყველაფერი დროებითია. მჯერა, ჩემი ქვეყანა უსათუოდ იბედნიერებს. არ შეიძლება საბოლოოდ ადიდებული მდინარე არ დაიწმინდოს და თავის კალაპოტს არ დაუბრუნდეს, ასეთია ბუნების კანონი, ასევეა პოლიტიკაშიც.

1999 წ.

დავდგეთ შურზე მაღლა

„ქართული ხალხური მედიცინის შესახებ ძვ. წ. III-II საუკუნის ათასწლეულებიდან არსებობს ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და არქეოლოგიური მასალები... ამირანსა და მედეაზე არსებულ თქმულებებში, თრიალეთის კულტურისა და სხვა არქეოლოგიურ მასალებში, ბერძნულ–რომაულ ისტორიულ წყაროებში ჩანს ქართული ხალხური მედიცინის განვითარების მაღალი დონე. ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში საქართველოში სცოდნიათ სამკურნალო მცენარეებისა და მინერალური წყლების გამოყენება“, – ვკითხულობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, რომელშიც ბევრი უბადლო წამალთმცოდნისა და ხალხური მედიცინის მკურნალის გვარი, მათ შორის ასკურავა, უბრალოდ ნახსენებიც კი არაა. გასაკვირი ამაში არაფერია, ვინაიდან მაშინ დრო იყო ასეთი, ბევრი სახალხო მკურნალს „შარლატანსაც“ კი არქმევდა. მადლობა უფალს, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა, გზა გაეხსნა ხალხურ მედიცინას. მკურნალების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მათი სია გრძელია. ამჯერად, მოტეხილობის უთაბაშიროდ მკურნალობის დიდოსტატს **ბიჭიკო ასკურავას** წარმოგიდგენთ.

საგვარეულო საიდუმლოს ანალოგი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში. დღეს ფირმას ხელმძღვანელობს საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საგამოფენო ცენტრის ლაურეატი, ჩინეთ–ისრაელ–ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი ბიჭიკო (ვლადიმერ) ასკურავა.

ასკურავას მეთოდის ეფექტურობა უკვე მრავალ ქვეყანაშია ცნობილი. მსოფლიოს ორთოპედთა უმეტესობა აღიარებს ამ მეთოდის ეფექტურობას და თვლის, რომ სხვადასხვა სახის მოტეხილობის დროს იგი უფრო ეფექტურია ქირურგიულ ჩარევასთან შედარებით.

... ბატონმა ბიჭიკომ დაამთავრა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ – ფიზკულტურის ინსტიტუტი, არის სპორტის (ველოსპორტის) დამსახურებული ოსტატი, მეორე კატეგორიის მსაჯი და მწვრთნელი. ჰობი – ისევ სპორტი და ნადირობაა. ჰყავს მეუღლე, ქალ–ვაჟი, ოთხი შვილიშვილი, პაციენტთა დიდი არმია და უამრავი მეგობარი.

– ბატონო ბიჭიკო, თქვენი გვარი მოტეხილობასთან ასოცირდება, მერამდენე თაობა ემსახურება ამ საქმეს?

– უთაბაშიროდ მკურნალობა საქართველოში მეოთხე საუკუნიდანაა ცნობილი. ჩვენი გვარი ორსაუკუნენახევარია იყენებს მას. მეხუთე თაობის წარმომადგენელი ვარ. ჩემი საქმის გამგრძელებლები იქნებიან ჩემი შვილები, შემდეგ შვილიშვილები და ა. შ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ბიძაჩემი თავად კოჭლი იყო, სხვათა მოტეხილობების სამკურნალოდ კი სად არ დაჰყავდათ! ცხოველ–ფრინველსაც შველოდა. ასე იყო მამაჩემიც, ეს ჩვენი საგვარეულო ვალი და მოწოდებაა.

– წლების მანძილზე თქვენ „ნნეხის“ ქვეშ იყავით – ცალკე მთავრობა გდევნიდათ, ცალკე მედიცინა გებრძოდათ, თუმცა ბევრი ექიმიც უნახავთ თქვენს კარზე მოსული...

– მძიმე დღეები გადავიტანე. ერთხელ ერთ პაციენტს ჩემს ხარჯზე ფულის გაკეთება მოუნდა, გამომძიებელს შეეკრა. პროკურატურამ ბევრი მაწვალა, კომუნისტების ზეობის პერიოდი იყო. ჩემმა გაუტეხელმა, მართალმა ბუნებამ გადამარჩინა და ჩემს მიერ განკურნებულმა უამრავმა პაციენტმა მიხსნა. მათი წყალობით, ლესელიძის ქუჩაზე გაიხსნა საქართველოში პირველი კერძო კლინიკა.

– რას მივაწეროთ, რომ მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა ემიგრანტად არ იქეცით, ნებისმიერი ქვეყანა სიამოვნებით მიგიღებდათ.

– რაც გავაკეთე, ჩემი მშობლების, ოჯახური ტრადიციების, ქართველობის დამსახურებაა, სამშობლოს სიყვარულია, გაჭირვებულის თანადგომის სურვილია. თუმცა სამკურნალო კაბინეტები არ დამკლებია ისრაელში,

რუსეთში, მაღალ ანაზღაურებას მთავაზობდნენ იტალიაში, უნგრეთში, სომხეთში. ფული ხომ არაა ყველაფრის საზომი. სხვადასხვა ქვეყანაში მიწევს ჩასვლა, ათი დღის შემდეგ გაძლებაზე ვარ, სამშობლოს ნოსტალგია ქართველი კაცის გენეტიკურ კოდში ძევს.

– დაახლოებით თუ გაქვთ აღრიცხული, რამდენი ადამიანი გყავთ განკურნებული და კიდევ: მოტეხილობის გარდა სხვა ავადობასაც თუ შველით?

– ჩემი წამალი კარგად მოქმედებს ბავშვებში გავრცელებულ პერტესზე (მენჯ–ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა), ოსტეოქონდროზზე, ძვლის ანთებებზე, ძვალ–სახსრების დაავადებებზე, პოდაგრაზე...

რაც შეეხება ავადმყოფთა ზუსტ აღრიცხვას, კარგა ხანია ათასებს გადააჭარბა, შეუძლებელია ზუსტი ციფრის დადგენა...

– რა შემთხვევაში ეუბნებით უარს პაციენტს?

– თუ გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს, ხელს არ ვკიდებ, თუმცა გამონაკლისი არსებობს. როცა ოპერაცია გამორიცხულია (ავადმყოფი ვერ იტანს ნარკოზს, აქვს დიაბეტი და ა. შ.), ვეხმარები წამლით, შეღავათს მაინც ნახულობს. ჩემს კარზე მოსულს მაშინაც ვერ ვეუბნებოდი უარს, როცა მილიციაში მიბარებდნენ, ხელწერილს მაწერინებდნენ, ავადმყოფს არ გაეკაროო, მაფრთხილებდნენ. იქიდან წამოსული ავადმყოფთან მივიჩქაროდი.

– ბატონო ბიჭიკო, გულახდილად მითხარით: სად უფრო დაფასებული ხართ, სამშობლოში თუ საზღვარგარეთ?

– გული არაფერზე მწყდება. დაათვალიერეთ კლინიკაში განთავსებული ზღვა მასალა: აფიშები, პლაკატები, ფოტოები, პრესა, ჯილდოები, სქელტანიანი შთაბეჭდილებათა წიგნები და დასკვნა თავად გამოიტანეთ. ვინ არ ყოფილა ჩემი პაციენტი: იური ლუჟკოვი და მისი ოჯახის წევრები, ზურაბ წერეთელი, ევგენი ხარაძე, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ იოსელიანი, რობერტ სტურუა, ომარ ფხაკაძე, ნიკოლოზ დერიუგინი, დავით ყიფიანი, ჭაბუა

ამირეჯიბი, რეზო ჩხეიძე, ელენე ობრაზცოვა, ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, დოდო ჭიჭინაძე...

ჩემს ვაჟთან ერთად მიწვევები მაქვს სხვადასხვა ქვეყანაში, ორივეს გვაქვს კანონით მონიჭებული უფლება, ვიმუშაოთ ჩვენი სპეციალობით სხვადასხვა კლინიკაში. ორივემ ისრაელში დავამთავრეთ კოლეჯი, რის საფუძველზეც ჩინეთ–ისრაელ–ამერიკის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ ხალხურ მედიცინაში დამსახურებისათვის პროფესორის წოდება მომანიჭა.

– რომელია თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი დღე?

– გავიხსენებ ერთ–ერთს – სიცივე, უშუქობა, არ მუშაობს მეტრო, აუტანელი პირობებია. რკინიგზელთა სახლში შეხვედრა მომიწყვეს. დარბაზი ხალხით გადაიჭედა, პაციენტთა მადლიერებისგან სულშეძრულს ცრემლი მომერია, იმ დღეს მეორედ დავიბადე, ასეთი დაუვიწყარი დღეები უთვალავი მქონია, გადაცემები ტელევიზიით, პირადი შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. ერთ ასეთ შემთხვევაზე მინდა გიამბოთ – ამერიკის მოქალაქეს ნინო მიმინოშვილს ნიუ–იორკში მანქანა დაეჯახა. მიიღო მრავალი მოტეხილობა. ყველა ტრავმა განკურნეს ამერიკის ცნობილ კლინიკებში, მარცხენა ხელს კი ვერაფერი მოუხერხეს, უკვე ამპუტაციაზე იყო ლაპარაკი. ჩემთან ჩამოვიდა და სასწაული მოხდა – გაამართლა ჩემი მკურნალობის მეთოდმა.

...იური ლუჟკოვისა და ცნობილი მოქანდაკის ზურაბ წერეთლის ძალისხმევით უნდა ბ–ნ ბიჭიკოს ქართული ხალხური მედიცინის ცენტრის გახსნა მოსკოვში, სადაც პაციენტებს ასკურავას, თურმანიძის, ქარჩაულისა და სხვათა წამლებით უმკურნალებენ. მსგავსი ცენტრის გახსნაზე ზრუნავს ნინო მიმინოშვილი ამერიკაშიც.

– ეს ძვირფასი სამკურნალო კლინიკა თქვენი სახსრებით ააშენეთ თუ ვინმე დაგეხმარათ? სპონსორი ახლა მოდაშია, ხომ არ გყოლიათ?

– არავითარი სპონსორი – უფლის წყალობით,

პირადი დანაზოგით, ხალხის შემწეობით შევძელი ამის გაკეთება. მოუსვენარი ბუნება კი ნამდვილად მაქვს, დრო ძილისთვისაც მენანება. ვერ ვიტან, კაცს უსაქმოდ რომ ვხედავ. ამ სახლის მშენებლობაში ფიზიკურადაც ვმუშაობდი.

– ბატონო ბიჭიკო, ბევრს ყვებიან თქვენს პიროვნულ ღირსებებზე, ქველმოქმედებაზე. ახლა უსაშველოდ გაძვირდა ყველაფერი, განსაკუთრებით მკურნალობა, საგადასახადო თავისას ითხოვს, როგორ შეძელით სახელის შენარჩუნება?

– სრული პასუხისმგებლობით გეტყვით, ის თანხა, რასაც ავადმყოფებისგან ვიღებ, ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში ოფიციალურ გადასახადთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. უფასოდ ვმკურნალობ ლტოლვილებს, სპორტსმენებს, უსახსროდ დარჩენილ ჩვენს ინტელიგენციას. ერთ დღეს რეკორდი მოვხსენი, 196 პაციენტი მივიღე, აქედან ასი მაინც იყო უფასო. გურული იუმორი მშველის ადამიანებთან ურთიერთობაში – ბავშვებსა და მოხუცებს ერთნაირად ვეფერები. ქათინაურებს არც ისინი მაკლებენ, უკვირთ, სულ კარგ ხასიათზე როგორ ხართო – ფულს შენ მიხდი, ფეხი შენ გაქვს მოტეხილი, ტკივილისგან შენ იტანჯები და მე რატომ უნდა ვიყო ცუდ ხასიათზე–მეთქი, – ვპასუხობ.

– რამდენიმე წლის წინ თქვენზე, ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე ერთ–ერთ გაზეთში, მას შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?

– გავმრავლდით. მაშინ ორი შვილიშვილი მყავდა, ახლა ოთხნი არიან. ოჯახის იმედი და გვარის გამგრძელებელია შვილიშვილი დავით ასკურავა, მეშვიდე თაობა. სამაგალითო მიღწევები აქვს ველოსპორტში, აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე შვილიშვილი, ქალიშვილის მხრიდან, ანა მჭედლიანი ჩოგბურთის აკადემიაში სწავლობს, მონაწილეობს მსოფლიო დონის შეჯიბრებებში, მანაც დიდ წარმატებას მიაღწია ამერიკასა და საბერძნეთში. მომდევნონი პატარები არიან, კარგად

სწავლობენ. ოჯახი მრავალრიცხოვანია, ყველანი ერთად ვცხოვრობთ, მეუღლე, შვილები, რძალი, სიძე, შვილიშვილები, სრული ჰარმონია სუფევს ჩვენს ჭერქვეშ.

ბევრი რამ დამოკიდებულია მეუღლეზე მადონა ჩიტაიაზე. მუსიკალური განათლება აქვს მიღებული, მუშაობას ვერ ახერხებს. თუ რაიმეს მივაღწიე ცხოვრებაში, მისი დამსახურებაა.

– მორწმუნე ხართ, ეკლესიურად ცხოვრობთ?

– ჩემი მშობლები ჭეშმარიტი მორწმუნენი იყვნენ. წამლის საიდუმლოებასთან ერთად დედისგან ერთი შეგონება მომყვება – „არასოდეს არ გაასწრო სახელს, ეცადე სახელმა გაგასწროსო“. მამა მთხოვდა – წელიწადში ორი–სამი სიკეთე მაინც გააკეთე, მომდევნო წელს კიდევ მეტი და მეტი შესძელი, თუ გინდა სიკეთის ქმნას შეეჩვიოო, ეცადე, ვალი არასოდეს აიღო, შეჩვევა იცის და ვეღარ მოიშლიო... ასეთი სულისკვეთებით ვიცხოვრე დღემდე.

ვეთაყვანები სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ილია მეორეს. მისგან ბევრი მადლობა მაქვს მიღებული. რამდენიმე ბიბლია მისახსოვრა.

* * *

წამოსვლისას კიდევ ერთხელ გადავათვალიერე სქელტანიანი შთაბეჭდილებათა წიგნები. რა შინაარსის ჩანაწერებს არ წავაწყდი მასში, მაგრამ ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: „დავდგეთ შურზე მაღლა, ვაღიაროთ ბიჭიკო ასკურავა“.

2006 წ.

ორი მაესტროს წყალობით

კინომსახიობთა თეატრის ახალგაზრდა, ნიჭიერ, პოპულარულ მსახიობს ***რუსუდან ბოლქვაძეს*** *თავისი მაყურებელი ჰყავს. უყვართ, ინტერესით ელოდებიან მის ახალ როლებს.*

ვერ ვიტყვით, რომ მთლად შემთხვევით მოვიდა თეატრში. ბავშვობიდან უყვარდა ცეკვა–თამაში, გართობა, წამოზრდილი არქეოლოგობაზე ოცნებობდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სრულიად განსხვავებული პროფესია აირჩია. თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. ლამის ბეწვის ხიდზე გაიარა, გაუმართლა. ნამდვილ გამართლებად კი მიიჩნევს და უფალს მადლობას სწირავს, რომ ბედმა ქალბატონ ლილი იოსელიანს შეახვედრა, თუ რაიმეს წარმოადგენს და მიაღწია, სულ მის დამსახურებად თვლის.

სჯობს თვითონ მას მოვუსმინოთ:

ლილი იოსელიანი სრულიად თავისებური მოვლენაა თეატრალურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით თეატრალურ პედაგოგიკაში. ქალბატონმა ლილიმ ჯერ თავდავიწყებამდე შეგვაყვარა თეატრი, მერე კი უდიდესი შრომის ფასად, ჩვენგან, ნედლი მასალისაგან, გამოგვძერწა მსახიობებად, თანაც ისე, რომ თითოეულს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი შეუნარჩუნა. და, რა გასაკვირია, ყველა მისი შეგირდი დედას ეძახდეს.

ქალბატონ ლილიზე რომ ის ვთქვა, რასაც მასზე ვფიქრობ, ამას მთელი ჟურნალი ვერ დაიტევს. ერთი ბედნიერება იყო, რომ ის მასწავლიდა და მეორე ბედნიერება: მისი მეშვეობით მოვხვდი მიხეილ თუმანიშვილთან.

რუსუდან ბოლქვაძე დიდ მაესტრო მიხეილ თუმანიშვილზე:

– ბედისწერა... სხვა სიტყვით ვერ გადმოვცემ ჩვენს შეხვედრას, ჩვენს შემოქმედებით ურთიერთობას.

მე–15 საუკუნიდან მომდინარე თუმანიშვილების

გვარი ცნობილია საქართველოს მეფეთა კარის მდივან–მწიგნობრებად, რომლებიც იღწვოდნენ ქართული კულტურის სარბიელზე. ბატონმა მიშამ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული თეატრის აღმავლობას. ახლა მისი წიგნები რად ღირს: „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, „ახლა კი ფარდა“ – ყველა თეატრალის სამაგიდო წიგნებია.

... მესამე კურსის სტუდენტი, გამოუცდელი, უდარდელი, ქარივით დავქროდი დერეფნებში. უცებ, ჩემს წინ ბატონი მიშა აღმოჩნდა – დამაკვირდა, ხელი ჩამომართვა, ხელზე ელეგანტურად მაკოცა. ასეთი შეხვედრა დიდ რეჟისორთან შეიძლება ვინმეს დაავიწყდეს?

კინომსახიობთა თეატრი ახალი გახსნილი იყო, ოფიციალურად 1978 წელს დაფუძნდა ბატონ რეზო ჩხეიძის დიდი მონდომებითა და ხელშეწყობით. თეატრალური სახელოსნო ერქვა. ბრძენი ხელოვანი გახლდათ ბატონი მიშა. მან შექმნა თანამოაზრეთა ჯგუფი თავისი ლიდერით. ჩვენი სტუდია არ ჰგავდა სხვა თეატრებს. ვეძებდით ახალ გზებს. ჩვენი მაესტროს სურვილი იყო, ჰყოლოდა „სოლისტების ანსამბლი“, მისი ყველა მსახიობი ყოფილიყო თავისთავადი და გამორჩეული, რასაც უაღრესად დიდი შრომით, ჩვენი მონდომებითა და სიბეჯითით აღწევდა კიდეც. ბევრ ქვეყანაში დაიწერა მასზე, მის მსახიობებზე. მსოფლიო მასშტაბის რეჟისორი გახლდათ, აკი, რეჟისორთა საუკეთესო შვიდეულში შეიყვანეს. 1994 წელს ლონდონში გამართულ შექსპირის საერთაშორისო ფესტივალზე „ზაფხულის ღამის სიზმარმა“ საუკეთესოთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. უყვარდა თქმა – სპექტაკლს ჩემი ახლობლებისთვის ვდგამო. არ უყვარდა თავისი ნაშრომის აფიშირება, მაყურებლის ინტუიციას და გემოვნებას ენდობოდა, მაგრამ ლორკასი არ იყოს, მასაც მიაჩნდა, რომ თეატრმა უნდა ასწავლოს მაყურებელს და არა მაყურებელმა თეატრს. მის თეატრში „დროის მოსაკლავად“ არავინ მიდიოდა. თეატრი ოჯახის პრინციპზე ააგო, მისი როლი ოჯახის თავკაცისა იყო, როცა ოჯახის მამა მიდის ამ ქვეყნიდან, რაც გამოუცდელ

ოჯახის წევრებს ემართებათ, ჩვენც ის მოგვივიდა. მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ვიღაც კისრულობს უფროსობას და ძნელად, მაგრამ მაინც ვსწავლობთ მის გარეშე ცხოვრებას.

– სწორედ ეს მინდოდა მეკითხა, როგორ ცხოვრობთ ბატონი მიშას შემდეგ, რა ხდება თქვენს თეატრში, ვინ უდგას მას სათავეში?

– ამჟამად თეატრს მისი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი ნუგზარ ბაგრატიონი ჰყავს. ჩვენთან მუშაობენ რეჟისორები ქეთი დოლიძე და გოგი მარგველაშვილი, მაგრამ მისი არყოფნა ნამდვილად იგრძნობა.

ძველი სპექტაკლებიდან განურჩევლად იმისა, ვთამაშობდი თუ არა მასში, განსაკუთრებით მიყვარს „საქმე“, „შუშანიკის წამება“, „დონ ჟუანი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „წუთისოფელი ასეა“, „ვატერ–პო–ლოო“; დღევანდელი რეპერტუარიდან ყველა ერთნაირად მიყვარს, თითქმის ყველაში ვთამაშობ.

– მიხეილ თუმანიშვილს უკვე გარკვეული დრო გაშორებთ. ამ სიშორიდან როგორ აღიქვამთ მას?

– ჩემთვის ყველაფრის მომცველია ეს სახელი და გვარი. ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა მასზე, კიდევ მეტი დაიწერება მომავალში. როგორც ხდება ხოლმე, ჩვეულებრივი მოვლენა გვეგონა, როცა მის გვერდით ვიყავით, ახლა კი მისი სიდიდე განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს. კარგად თქვა ესენინმა „დიდი ყოველთვის უკეთესად მოჩანს შორიდან“.

– მიმზიდველი და პოპულარული ახალგაზრდა ქალბატონი ნუთუ დაოჯახებაზე არ ფიქრობს, არ ჰყავს გულის რჩეული?

– ქათინაურისთვის დიდი მადლობა. ამ საქმეს მარტო ფიქრი რას უშველის? პირადულზე საჯაროდ ლაპარაკი, თუმცა მოდაში შემოვიდა, მაგრამ არ მიყვარს. ის ჩემი ინტიმია, მხოლოდ მე მეკუთვნის.

– თქვენს პარტნიორებში რომელს გამოარჩევდით, ვისთან მეგობრობთ, ჭორები თუ გაგიგიათ საკუთარ პერსონაზე?

– ყველა ჩემი პარტნიორი, ცხოვრებაშიც ჩემი მეგობარია.

თეატრში ყველანი ერთმანეთის პარტნიორები ვართ, ხან ვისთან გიწევს თამაში და ხან – ვისთან. ჭორების მოგონებაზე ადვილი არაფერია, არც მე ვარ გამონაკლისი.

– როგორ უყურებთ ხელოვანის აქტიურობას პოლიტიკაში?

– პირადად მე არც მიყვარს და არც ვფიქრობ პოლიტიკაში ყოფნაზე, არც იმათი მესმის, ვინც პოლიტიკაშია ჩაბმული. მიმაჩნია, ნიჭიერი ხელოვანი თავისი ხელოვნებით უნდა ემსახუროს ქვეყანას. აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებია და ვინც ამის შეთავსებას შეძლებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

– ახლა ცოტა რამ თქვენს ოჯახზე. ბევრს ლაპარაკობენ თქვენს ბებია–შვილიშვილობაზე, სასიამოვნო მოსასმენი იყავით, სითბოთი რომ საუბრობდით ხანდაზმულ ბებიაზე. რამდენი თაობა ცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ?

– ოთხი თაობა. უფროსი – ბებია 102 წლისაა, სულ პატარა – ჩემი ძმისწული – რვა თვის. ბებიაჩემის განსაკუთრებულობა მის ასაკში როდია. დიდი ტრადიციების მქონე ოჯახის შვილია, დეკანოზის ქალიშვილი, გვარად ასათიანი. რაც მთავარია, სიცოცხლე უყვარს, ნათელი, ძლიერი, ღირსეული პიროვნებაა.

(კედელზე ჰკიდია ლამაზი გარეგნობის მოხუცების გადიდებული სურათები – რუსუდანის დიდი ბებია, ბაბუა, მათი დები და ძმები, თანამედროვე ოჯახებში დიდ იშვიათობად ქცეული).

დედ–მამა მუშაობდა. მე და ჩემს ძმას ბებია და ბაბუა გვზრდიდა. ოჯახი მყარ ტრადიციებზე იდგა, გვქონდა ოჯახური რიტუალები. ბაბუა თეთრგვარდიელი იყო. ბავშვებს სიყვარულის ატმოსფეროში გვზრდიდნენ. მამა ინჟინერი გახლდათ, დაკავებული იყო, მაგრამ ორი დღე კვირაში მაინც ჩვენ გვეკუთვნოდა. გვიან მოეკიდა ოჯახს და იქნებ ამიტომაც, განსაკუთრებული სინაზე იგრძნობოდა მის დამოკიდებულებაში ჩვენდამი. დედა ექიმია, – ის ნამდვილი დედაა, მოსიყვარულე, თავდადებული, ჩემი უერთგულესი მეგობარი.

როცა ბებია ასი წლის გახდა, ფართოდ გავაღეთ სახლის

კარი, ვინც კი მოისურვა, ყველა მოვიდა, ერთი კვირა ვილხენდით. იაპონიიდან გერონტოლოგებიც გვეწვივნენ, უნდოდათ, ბებიაჩემის სიცოცხლის ხანგრძლივობა მაწვნის სარგებლიანობით აეხსნათ, მაგრამ ბებომ ტყუილი არ იკადრა – მაწონი სასტიკად არ მიყვარსო! ფორტეპიანოს უჯდა და ისე ილხენდა. ზედმეტი ალერსით არასოდეს გვათავხედებდა, თუმცა ძალიან თბილი და მოსიყვარულე იყო.

... ორი დღის წინ შეუძლოდ გახდა – სიცხემ აუწია, სულ ხელებზე გვკოცნიდა, პირჯვარს იწერდა, გვეფერებოდა, ბუტბუტებდა – ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარხართო. ბედნიერი ქალია, ქრისტიანულად იცხოვრა, ყველა ასაკში პატივისცემითა და სიყვარულით იყო გარემოსილი. მისი დამსახურებაა, ჩვენს ოჯახში ჯანსაღი სულისკვეთება რომ სუფევს.

– რუსუდან, რას ნიშნავს თქვენთვის მაყურებელი?

– ძალიან ბევრს. მის გარეშე თეატრი მკვდარია. ჩვენ ხომ მათთვის ვართ, ისინი – ჩვენთვის, ორივენი ერთად ვქმნით თეატრს.

ჩვენს თეატრს უკვე თავისი საკუთარი მაყურებელი ჰყავს. ისინი ჩვენთან ერთად გაიზარდნენ, გვგულშემატკივრობენ, გველოდებიან, როდის გამოვჩნდებით სცენაზე. ამასწინათ, წვეულებაზე უკვე მელოტი, ორი შვილის მამა მიღიმის, მიახლოვდება, ქათინაურებით მავსებს – „ქალბატონო რუსუდან, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, თქვენს სპექტაკლებზე ვარ გაზრდილი, ახლა კი შვილებს დავატარებო“. ცოტა არ იყოს, შევცბი, თავი უფრო ახალგაზრდა მეგონა (ეს ხუმრობით) მიხარია, როცა მიღიმიან, ქუჩაში მცნობენ, სითბოსა და სიყვარულს მაგრძნობინებენ, მადლიერი ვარ მათი.

... ყველაფერში შეიძლება ბედნიერება იპოვო ადამიანმა და გაიხარო. ეს თავად ადამიანზეა დამოკიდებული. ცუდია უმადურობა. ბედნიერება ადამიანმა სხვასაც და საკუთარ თავსაც თავად უნდა მიანიჭოს. ბედნიერი ვარ იმით, რომ ბედნიერი ვარ.

1993 წ.

ღირსეული მამულიშვილის ღირსეული მემკვიდრე

ქართულ ლიტერატურას თითქოს იღბლად დაჰყვა რუსთაველიდან მოყოლებული მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთული გზა. მეტად პასუხსაგები მისია იკისრა მე–19 საუკუნის ქართული მწერლობის პლუტარქემ, როგორც მას სიმონ ჯანაშიამ შეარქვა, ***იონა მეუნარგიამ***. იგი თავის თავს „ქართული ლიტერატურის მეწვრილმანესა“ და „ფაქტების მომქუჩებელს“ უწოდებდა. 80–იანი წლებიდან მოყოლებული სიკვდილის ბოლო წუთებამდე ფანქარმომარჯვებული დაჰყვებოდა იმდროინდელ ყველა დიდ მოღვაწესა და მწერალს. ამ „წვრილმანებით“ მან ძალზე დიდი საქმე გააკეთა. დაგვიტოვა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი და დავით ერისთავების, მამია გურიელის, გრიგოლ ჭალადიდელის, კოლხიდელის, დავით და ნიკო დადიანების ცხოვრების აღწერა; მოგონებები ილიასა და აკაკიზე.

თბილისის სასულიერო სემინარიიდან განდევნილია იონა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, განათლების მისაღებად შვეიცარიაში გაემგზავრა. ორი წელი ისწავლა ჟენევის აკადემიაში, შემდეგ პარიზში, სადაც დაუახლოვდა ფრანგ განმანათლებლებს, საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებს, მათ შორის ვიქტორ ჰიუგოს. დიდ ფრანგ მწერალთან შეხვედრამ მის მომავალ შემოქმედებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

იონა მეუნარგიას ფუჭად არ გაუტარებია ორი წელი პარიზში. მან მოიკვლია იქაურ ბიბლიოთეკებში დაცული მასალა საქართველოს შესახებ.

სამშობლოში დაბრუნებულმა პირდაპირ „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციებს მიაშურა, შემდეგ იგი დიდხანს ამ ჟურნალების თანამშრომელი და თანარედაქტორი

იყო. რაფიელ ერისთავთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრულყოფას. ოჯახებში შეკრიბა პოემის 22 ხელნაწერი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მცხოვრებ ჟ. მურიესა და ბარონესა ბერტა ფონ–ზუტნერის დახმარებით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე. ამ საშვილიშვილო საქმისათვის ილიამ დიდი შეფასება მისცა მეუნარგიას. 1884 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა საფრანგეთის ელჩი. „დროების“ რედაქციამ შეხვედრა მოუწყო საპატიო სტუმარს. მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს ილიამ და აკაკიმ, შეეხნენ იონა მეუნარგიასეულ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანსაც.

უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ მეუნარგიას თარგმანის მიხედვით შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ილუსტრაციები, რომლითაც შემდეგ ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემა დასურათდა.

იონა მეუნარგიას შემოქმედება მარტო ამგვარი მოღვაწეობით როდი შემოიფარგლება, მას ქართველი საზოგადოებრიობა იცნობს როგორც პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, მკლევარსა და ხალხური მარგალიტების შემკრებს. იგი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ ყველა ქართულ და რუსულ ჟურნალ–გაზეთში. მისი სამოქმედო ასპარეზი იყო „ტიფლისკი ვესტნიკი“, „დროება“, „ივერია“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მოამბე“...

სერგეი მესხისა და შემდეგ ივანე მაჩაბლის დროს მეუნარგია ხშირად ასრულებდა „დროების“ რედაქტორის მოვალეობას, მისი ფსევდონიმები იყო „ლელო“, „ნაკვესი“, „ცაიშელი“.... გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის ორი მასალა არქეოლოგიურ მოგზაურობაზე – სვანეთსა და აჭარა–ქობულეთში. მან შეადგინა „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე.

იგი აირჩიეს სამეგრელოს სხვადასხვა საზოგადოებრივ

ორგანიზაციაში საპატიო წევრად და ხელმძღვანელ მუშაკად, ხოლო შემდეგ – მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. ამ უკანასკნელი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა 1919 წელს. დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ცაიშში, სადაც ახლახან გაიხსნა მისი სახლ–მუზეუმი.

ჩვენ გავიცანით მისი ერთ–ერთი შთამომავალი, შვილიშვილი (ქალიშვილის – სალომეს მხრიდან) ნუნუ ხუნდაძე, დასავლეთ საქართველოში ცნობილი დასტაქრის, მუხაძის ასისტენტის, აწ გარდაცვლილ გერმანე ჯიბუტის მეუღლე, რომელსაც ბაბუამისის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ძალზე საინტერესო მასალები და პირადი ნივთები შეუკრებია და შეუნახავს.

ღირსეული მამულიშვილის ღირსეული მემკვიდრე – ასე შეიძლება ვუწოდოთ ქალბატონ ნუნუს, რომელიც იონა მეუნარგიას არქივს, მის უნიკალურ ბიბლიოთეკას, მისეულ ნივთებს ფარვანასავით დასტრიალებს თავს. ნუნუ რომ არა, ალბათ იონას სახლ–მუზეუმს ბევრი რამ დააკლდებოდა. მაგიდაზე საკმაოდ მოზრდილი სია დევს იმ ნივთებისა, რომლებსაც ნუნუმ სამუზეუმო ღირებულება არგუნა: წიგნის კარადა ბროკჰაუზ–ეფრონის ენციკლოპედიის 82 ტომეულით, ნარდი, ხალიჩა, ლომბერნის მაგიდა, საწერი მაგიდის სამელნის კომპლექტი, სარწეველა–სავარძელი, სამი საუკუნის წინანდელი ინდური კირმანშალი, იონა მეუნარგიას მეუღლის ნინო ჯორჯიკიას სხვადასხვა ნაქარგობანი, ბაგრატიონ–მუხრანსკის გერბით დამშვენებული და მათ მიერვე ნაბოძები ვერცხლისა და მელქიორის თეფშები, სასმისები, აზარაფაშები, ძველებური ხუთი სასანთლე, დასაკიდი ლამპა, იონას ნაქონი ხელის ჯოხი და სხვადასხვა წვრილმანი ნივთები.

ქალბატონი ნუნუ ძალზე საინტერესო მოსაუბრეა, ოზურგეთის რაიონში მისი ერუდიციის გამო დაფასებული და პატივცემული. მეუღლის გლოვა არც კი დააცალეს, ისე მოაწყვეს მეგობრებმა ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღში

მუსიკის მასწავლებლად. იმ წლებში რაიონებში მუსიკის მასწავლებლების დიდი სიმცირე იყო. მან შესანიშნავად იცის რუსული და ფრანგული ენები, ბრწყინვალე ტრადიციებზე აღზრდილი ქალბატონი ყველა საინტერესო ღონისძიების მონაწილეა.

ჩვენი სასაუბრო თემა ისევ და ისევ მეუნარგიების ოჯახის ტრადიციებს, მათ წარსულს დასტრიალებს. მათ საოჯახო ალბომში ბევრი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილ ადამიანთა, მსახიობთა ფოტოსურათი ინახება. ოჯახის ახლო მეგობრები და ნათესავები ყოფილან ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე და მიხეილ შენგელაიები (ნიკოლოზ შენგელაიას მშობლები), ნატო ვაჩნაძე, თამარ ბოლქვაძე...

პარიზიდან სამშობლოში დაბრუნებულ იონას ბევრი საინტერესო მოსაზრება და წინადადება ჩამოჰყვა. მაშინ პარიზის სალონებში გავრცელებული ყოფილა კითხვა–პასუხის ალბომები. ერთ–ერთი ასეთი კითხვა–პასუხის ფურცელი ნუნუს ოჯახშიც ინახება, რომელიც იონასა და აკაკი წერეთელს შორის გამართულა. ალბათ ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ კითხვა–პასუხის გაცნობა.

მე ვკითხე აკაკის – მან მიპასუხა. ქალის რომელი თვისება მოგწონთ? გულწრფელობა და დაუდგრმელობა. მამაკაცისა? მამაცობა და სულგრძელობა. რა არის ყველაზე დიდი უბედურება? გულუმაძღრობა. ყველაზე დიდი ბედნიერება? გარემოების ატანა. რით განსხვავდება შენი ხასიათი? წვრილმანებზე უხასიათობით. სად უფრო გინდა ცხოვრობდე? ყველგან ან არსად. რომელი ყვავილი მოგწონს? ვარდი. რომელ სასმელს უფრო ეწყობი? წყალს. რომელი სახელები მოგწონს? ელენე და არჩილი. ისტორიული პიროვნება? გიორგი ბრწყინვალე. ქალთაგან რომელი გმირი მოგწონს? ნესტან-დარეჯანი. მამაკაცთაგან? ავთანდილი. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი ადგილი გიზიდავთ? ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნებული.

რომელი ქალია ქუთაისში ყველაზე ლამაზი? რომელიც მე მიყვარს. შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყვე? მაინც აკაკი.

ასეთმა კითხვა–პასუხის საღამოებმა გამოაფხიზლა ქართველისაზოგადოება.ოჯახურსალონებშიიმართებოდა აზრთა გაზიარება, ადამიანთა შორის მყარდებოდა ჯანსაღი ურთიერთობა, საქმიანი კონტაქტები.

დღეს საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს ნუნუ ხუნდაძე–ჯიბუტი – თავს დასტრიალებს №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, პატივს სცემენ და აფასებენ, მის აზრს ანგარიშს უწევენ.

1980 წ.

კალატოზოვის დაბრუნება საქართველოში

მიხეილ კალატოზიშვილი, ყველა დროის დიდი რეჟისორი, ქვეყანაში გამეფებული მრუდე პოლიტიკის გამო იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და მოსკოვში მიხეილ კალატოზოვად დამკვიდრებულიყო. კარგა ხანს არ გამოუხედავს საქართველოსკენ, თუმცა მუდამ მისი ყურადღების ცენტრში იყო ყველაფერი ქართული, განსაკუთრებით, კინო და ფეხბურთი. დიდი ტალანტისა და განუმეორებელი ხელწერის წყალობით, შეძლო გაეკეთებინა ის, რაც მანამდე საბჭოთა კინოს ვერცერთმა კლასიკოსმა ვერ შეძლო. კანის ფესტივალზე მისი ფილმი „მიფრინავენ წეროები“ საუკეთესო ფილმად აღიარეს და მთავარი პრიზი „ოქროს პალმის რტო“ მიანიჭეს. ეს გამარჯვება კოლეგებთან ურთიერთობაში თავისებურად აისახა: „მოსფილმში“ უყვარდათ, მიშიკოს ეძახდნენ და არა „მიხაილ კანსტანტინოვიჩს“, მაგრამ ეიზენშტეინის, დოვჟენკოს, პუდოვკინის გვერდით არასოდეს იხსენიებდნენ. სამაგიეროდ, მისი ფილმებით („მათი სამეფო“, „ჯიმ შვანთე“, „მამაცობა“, „ვალერი ჩკალოვი“, „განწირულთა შეთქმულება“, „ერთგული მეგობრები“, „პირველი ეშელონი“, „წითელი კარავი“, „მიფრინავენ წეროები“, „მე – კუბა“) აღფრთოვანებული მსოფლიო ლეგენდები: ფელინი, ჩაპლინი, კუროსავა, პიკასო საბჭოთა კინოს ლიდერად მიიჩნევდნენ. სხვათა შორის, ვიქტორ როზოვის სცენარის მიხედვით გადაღებული „მიფრინავენ წეროები“ კარგა ხანს იყო თაროზე შემოდებული. რადგან უკეთესი ფილმი ვერ მოიძიეს, „გოსკინო“ იძულებული გახდა კლატოზოვის ფილმი გაეგზავნათ კანში. რეჟისორი, ბუნებრივია, არ გაუშვეს, მისი ავადმყოფობა მოიმიზეზეს. მოგვიანებით „ოქროს პალმის რტო“ თავად ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ ჟორჟ სადუმ ჩამოიტანა მოსკოვში და პირადად გადასცა კალატოზოვს.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება დიდი რეჟისორის რძლის ჯინამიქაძე—კალატოზიშვილის მოგონებები:

– მიხეილ კალატოზოვი საქართველოს 30 წლის შემდეგ ეწვია „წითელი კარვით“. იმხანად ფილმი მხოლოდ იტალიასა და მოსკოვში ჰქონდათ ნანახი. ჩვენება „რუსთაველის“ კინოთეატრში გაიმართა. რეჟისორს გაუჭირდა მონატრებულ ქართველ მაყურებელთან შეხვედრა და ცრემლმორეულმა თავი კულისებს შეაფარა.

– არ ამბობდა, ვის ან რის გამო დატოვა საქართველო?

– თავის გულისტკივილს ოჯახის წევრებთანაც არ ამჟღავნებდა. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი მეგობრები ვიყავით, ჩემთანაც არ დასცდენია საყვედური. მიხეილ კალატოზოვის წარმომავლობაზე უამრავია სათქმელი, რა ჟურნალი დაიტევს... პირადი ცხოვრება კი... მისი პირველი მეუღლე, ჩემი დედამთილი, იტალიელი ჟანა ვალაცი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოში ცხოვრობდა. მეორე მეუღლე ლენინგრადელი მსახიობი, ულამაზესი ელენა იუნკერი იყო. მესამე კი ალექსეი ტოლსტოის ყოფილი ცოლი ლიუდმილა გახლდათ.

ჩვენს ოჯახში კარგა ხანს ინახებოდა ჩემს მამამთილთან დაკავშირებული მართლაც უძვირფასესი ნივთები, რომლებიც მოგვიანებით მუზეუმს გადავეცით: ჩარლი ჩაპლინის ფოტო–ავტოგრაფი, მისი ცნობილი ხელჯოხი, „ოქროს პალმის რტო“ და მრავალი სხვა.

– მისი ერთადერთი ვაჟი ტიტო – გიორგი თქვენი მეუღლე იყო. სამწუხაროდ, მის შესახებ ბევრი არაფერი იციან კინოს მოყვარულებმა.

– ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. მაგნიტივით იზიდავდა ადამიანებს. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მამას უნდოდა, რომ სწავლა ფიზიკა–მათემატიკურზე გაეგრძელებინა, რისი გაგონებაც არ უნდოდა ტიტოს. ამიტომ მამის უკითხავად მოეწყო მოსკოვის კინო–ინსტიტუტში, საოპერატორო ფაკულტეტზე. მისი, როგორც ოპერატორის ნამუშევრებია: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ქარავანი“, „ლონდრე“, შემდეგ რეჟისურაშიც მოსინჯა ძალები და

რამდენიმე ფილმი გადაიღო: „კავკასიელი ტყვე“, „ბებერი მეზურნე“, „ფილატელისტის სიკვდილი“, „სკაპენის ოინებზე“ მუშაობისას გარდაიცვალა 54 წლის ასაკში და ფილმი უმცროსმა მიშიკომ დაასრულა.

ტიტო ბევრ დროს უთმობდა სამეგობრო წრეს, რომელიც სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს აერთიანებდა. რომელი მათგანი გავიხსენო: ფარაჯანოვი, ვისოცკი, ტარკოვსკი, ახმადულინა, ბულატ ოკუჯავა, თამაზ მელივა, თემურ ჩირგაძე, თენგიზ ვაჩნაძე, გურამ ასათიანი, გიგა ლორთქიფანიძე...

ტიტოზე საინტერესო მოგონება დაწერა გია ყანჩელმა. ჩვენ არა მარტო ცოლ–ქმარი, განუყრელი მეგობრებიც ვიყავით, ერთმანეთისთვის დაბადებულნი. გული მტკივა, რომ ჩემი ბედი პირად ცხოვრებაში არც ერთ შვილს არ გამოჰყვა. რაც შეეხება ჩემს შვილებს – მიშა უფროსია. მოსკოვში კალატოზოვის ფონდი ჩამოაყალიბა და მისი პროდიუსერია. ჰყავს მეუღლე, დიდი თეატრის კოსტიუმების მხატვარი და ხუთი წლის გოგონა.

ანა სამი წლის ასაკიდან ხატავს. ჩვენი სახლი ნახატებს „მიაქვს“. შეიძლება ითქვას, სახელოსნოში ვცხოვრობთ. ბავშვობაში მსახიობობაზე ოცნებობდა, ბალეტიც იზიდავდა. სულით ხორცამდე შემოქმედია. ფულზე საუბარი ეუხერხულება, რის გამოც სრულიად უსასყიდლოდ აკეთებს ბევრ რამეს.

ანას ნამუშევრები დაცულია თბილისში, სანკტ–პეტერბურგში, მოსკოვში, ვენაში, პარიზში, მიუნხენში, ბარსელონაში, ნიუ–იორკში, ვაშინგტონში. მან გააფორმა მიშა კალატოზოვისა და ნატო ვაჩნაძის ფესტივალები, „სამეფო უბნის თეატრში“ „მაკნატუნა“, ამჟამად მარჯანიშვილის თეატრში გიზო ჟორდანია დგამს ბრეჰტის „სამგროშიან ოპერას“, რომელსაც ანა გააფორმებს. სულ ახლახან ქალბატონმა სოფიკომაც მიიწვია თეატრ „ვერიკოში“. საქმეში ყელამდეა ჩაფლული, თუმცა მანამდე საკმაოდ რთული პერიოდები ჰქონდა. კარგა ხანს

ცხოვრობდა ვენაში მეუღლესთან და პატარა შვილთან ერთად. ვიდრე გერმანულს დაეუფლებოდა, ბავშვებს რუსულს ასწავლიდა. სწორედ იქ გახდა ხელოვნების მაგისტრი. მაქსიმალურად ვუწყობ ხელს, მისგან მუდამ ახალ–ახალ იდეებს და წარმატებებს ველოდები. უდავოდ ნიჭიერი და შრომისმოყვარეა, ბაბუის ღირსეული მემკვიდრე.

საუბრისას ანა კალატოზიშვილიც შემოგვიერთდა:

– მხატვრის ბედი ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ მოზღვავდება შეკვეთები, ზოგჯერ კი... რთული პროფესია მაქვს. იცვლება ცხოვრების სტილი და წესი, შეძლებისდაგვარად მეც ვექვემდებარები ამ ცვლილებებს. ხელოვნებისთვის თითქოს შეჩერდა დრო. სამწუხაროდ, არ ფუნქციონირებს დიდი თეატრები, ამის გამო ბევრ რამეს ვერ ვაკეთებ ისე, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, თუმცა მომავლის იმედით ვცოცხლობ. და, რადგან სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყველაზე დიდი განძია ამქვეყნად, ღმერთს მუდამ ჩემი ოჯახის წევრების კარგად ყოფნას შევთხოვ.

მთელი სიამოვნებაა, როცა მნახველს მოსწონს შენი შემოქმედება. კოსტიუმების კერვის ყველა დეტალში აქტიურად ვერევი. თეატრი, კინო, მთელი კონცერნია. როცა მარტო არა ხარ და როცა ხან შენი პოზიციის დაცვა გიწევს, ხან კი დათმობა. თეატრში მუშაობის მეტი გამოცდილება დამიგროვდა. კინოს სხვა თავისებურებები ახასიათებს. იქაც მოვსინჯე ძალები, დიდი სიამოვნებაც მივიღე. ეს იყო ჩემი ძმის ფილმ „მისტერიაზე“ მუშაობა. მისი მეორე ფილმი „რჩეული“ თამარ ფოცხიშვილმა გააფორმა. ახლა მოსკოვში მესამე ფილმს ამთავრებს. მის მომდევნო ფილმს, რომელიც გეგმაში აქვს, ალბათ მე გავაფორმებ.

და მაინც ვთვლი, რომ ჩემი ადგილი თეატრშია.

– ჟურნალისტებს წყალობთ, თუ გაღიზიანებთ მათი ცნობისმოყვარეობა?

– არაჩვეულებრივი პროფესიაა, პატივს ვცემ. თუმცა

მაინცდამაინც არ მიყვარს ინტერვიუების მიცემა, პირად საკითხებზე საუბარი. პირადი ხომ იმიტომ ჰქვია, რომ ჩემია და მე მეკუთვნის. ვცდილობ, ნაკლებად გამოვჩნდე, მაგრამ ამას ხელოვნურად კი არ ვაკეთებ, არამედ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე. ჩემს საქმეს ვაკეთებ და თუ ვინმეს მოსწონს, რა თქმა უნდა, კარგია.

... გეგმები ბევრი მაქვს. მაგრამ წინასწარ ლაპარაკი არც ამაზე მიყვარს, რადგან ვერ გეტყვით, რამდენად შევძლებ მის განხორციელებას. ჩემი დღევანდელი ჩანაფიქრები მომავალში გამოჩნდება, როცა ხორცს შეისხამს.

2005 წ.

სიყვარული საუკეთესო წამალია

*შვიდასამდე ბავშვის ექიმი **ნელი დოლიძე**, თბილისის ყოფილი მე-9 პოლიკლინიკისა და ახლანდელი საოჯახო მედიცინის სასწავლო კლინიკური ცენტრის პედიატრია. იგი ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით, გულისხმიერებითა და პატარების სიყვარულით გამოირჩევა. მშობლებისათვის კი ნამდვილი ავტორიტეტია. სწორედ მისთანებზე უთქვამს შუა საუკუნეების დიდ მოაზროვნეს, ფილოსოფოს ავიცენას: „ექიმს მიმინოს თვალი, ქალის ხელები, გველის სიბრძნე და ლომის გული უნდა ჰქონდესო“, ძალზე ძნელია ისეთი პრესტიჟული უბნისა და იქ მცხოვრებთა გულების მონადირება, როგორიც ნელი დოლიძის სამუშაო უბანია, მაგრამ ქალბატონმა ნელიმ ეს ურთულესი საქმე შეძლო... ეს წერილიც პაციენტთა თხოვნით იწერება.*

იამზე ჟვანია: ჩვენი დიდი ოჯახის ბავშვების მთელი არმია – შვილები, შვილიშვილები ქ-ნი ნელის გაზრდილები არიან. მართლაც რომ ჩვენი იმედია. ამასთანავე, რაც იშვიათია, იგი არაჩვეულებრივი ადამიანიცაა. ბავშვების დაბადების დღიდან ჩვენს გვერდითაა. მისნაირი ექიმი სხვა არ მეგულება. არ ყოფილა შემთხვევა, დიაგნოზის დასმისას შემცდარიყო. რისკიანი, გაბედული პიროვნებაა, პატარებს მის დანახვაზე ავადმყოფობა ავიწყდებათ.

თეა გორგოძე: თექვსმეტი წელია, ნელისთან მაქვს ურთიერთობა, ყველაზე კარგ ექიმად მიმაჩნია. ჩემი პატარა ნინის სიცოცხლე მან გვაჩუქა. იმდენად ვაფასებ, რომ ჩემს ნაცნობ ყველა დედას ბავშვის მასთან მიყვანას ვურჩევ. პირადი სიმპათია რომ მაქვს, ეს იმიტომ, რომ თავად გახლავთ გულღია, უშუალო, საყვარელი და სასურველი ჩვენი ოჯახისათვის.

ქეთიხუროძე: უანგაროადამიანია. მისი კონსულტაციების წყალობით მშვიდად ვართ. თხუთმეტი წელია, რაც მისი

ყურადღება არ მოგვკლებია. ყოველგვარი მორიდების გარეშე ნებისმიერ დროს შეიძლება მასთან დარეკვა. გასაკვირია, რომ თქვენს ჟურნალში აქამდე არაფერი თქმულა მის პიროვნებაზე.

მარინე ჯიმშელეიშვილი: როცა მესამე შვილი შემეძინა, ქალბატონ ნელისთან მეგობრის რეკომენდაციით მივედი. განსაკუთრებული ადამიანი და ჭეშმარიტი პროფესიონალია, არასოდეს ცდება დიაგნოზის დასმისას, ტელეფონითაც შეუძლია რჩევა–დარიგების მოცემა. მისი კომუნიკაბელური ბუნებიდან გამომდინარე დიდ პატივისცემას იმსახურებს.

მშობლები სიყვარულითა და აღტაცებით საუბრობენ მასზე და ქების სიტყვებს არ იშურებენ.

და მაინც:

– ქ–ნო ნელი, პროფესიის არჩევა, ოჯახურმა ტრადიციამ გიკარნახათ თუ იმ დრომ განაპირობა, როცა მედიცინის დარგი პრესტიჟული იყო და ამის გამო იგი განუხორციელებელ ოცნებად დარჩა მრავალთათვის?

– არც მშობლები და არც ოჯახი არაფერ შუაშია. დედა ფილოლოგი იყო, მამა – აგრონომი. ჩემი მომავალი პროფესია ერთმა არცთუ სასიამოვნო შემთხვევამ განსაზღვრა. მოზრდილი ვიყავი, სასიკვდილოდ გადადებული, ვერავინ დამიდგინა დიაგნოზი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლეგენდარულმა ექიმმა–პედიატრმა, როგორც მას სამართლიანად უწოდებდნენ, ასმათ დოლიძემ, რომელმაც მეორედ მაჩუქა სიცოცხლე. უმწიკვლო და შეუმცდარ ექიმად ახასიათებდნენ მას და მინდოდა მისნაირი ვყოფილიყავი, ოთხმოცდაათ წელს მიღწეული ეს ქალბატონი დღესაც მუშაობს ჩოხატაურის ბავშვთა პოლიკლინიკასა და საავადმყოფოში, მთელი რაიონის სული და გულია.

– თქვენი მუშაობის მანძილზე, ყველაზე მძიმე რომელი შემთხვევა გახსენდებათ, თქვენს სულში წარუშლელი კვალი რომ დატოვა?

– 1992 წელი. მირეკავს მარინე ზოდელავა–ლაშხი.

რუსიკო მძიმედ მყავს და მიშველეთო. მომაკვდავ ბავშვს დავხედე თუ არა, თვალწინ წარმომიდგა ინსტიტუტში ნასწავლი ტოქსიკური დიფტერიის სურათი. დიფტერია, პრაქტიკულად, მაშინ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. ჩემზე ბევრად ხნიერი, გამოცდილი პედიატრებიც კი არ შეხვედროდნენ პრაქტიკაში ამ ავადობას. ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. გაფითრებულ დედას მიცვალებული ბებია ესვენა, იმ დღეს უნდა დაეკრძალათ. ჩემი მცდელობით, ბავშვი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადავიყვანე. სტაციონარში შესვლისთანავე ქ–ნ ეთერ ბოცვაძეს უხმეს. ცნობილ ინფექციონისტს გაუკვირდა, უბნის ექიმს საიდან აქვს ისეთი გამოცდილება, ერთი თვალის შევლებით რომ დაუსვა ზუსტი დიაგნოზიო. ეს იყო საცდელ–საჩვენებელი შემთხვევა. ქ–ნ ეთერს პალატაში მუდამდღე შეჰყავდა პრაქტიკანტები. მაშინ წესად ჰქონდათ ოჯახებს, აცრებს თავს არიდებდნენ. სად იშოვნიდი დიფტერიის შრატს თუ სხვა პრეპარატებს. მოსკოვიდან, გერმანიიდან მოახერხა წამლების მიღება ოჯახმა. სასწაული მოხდა, ბავშვი გადარჩა.

მეორე შემთხვევა იყო გორგოძეების ოჯახში. ერთი თვის ნინი თანდაყოლილი პათოლოგიით (საყლაპავი მილის შევიწროება) დაიბადა. დროდადრო კრუნჩხვები ემართებოდა. ბავშვის დედა – თეა გორგოძე, პროფესიით ექიმი, ვერაფრით შველოდა უმწეო პატარას. ერთხელაც, ვიდრე საავადმყოფოში მივიყვანდით, სამჯერ დაემართა კრუნჩხვა, ლამის ხელში ჩამაკვდა. დროდადრო გულიც უჩერდებოდა, ხელოვნური სუნთქვა დასჭირდა, სტაციონარში მოვხვდით, განგაში ავტეხე, სასწრაფოდ წვეთოვანი დაუდგეს, ათასნაირმა საშუალებამ ბავშვი მდგომარეობიდან გამოიყვანა, დღეს იგი სრულიად ჯანმრთელია.

... შემაძრწუნებელია ცრუ კრუპი, რაც მენინგიალურ სინდრომზე მიგვანიშნებს და არა ეპიდემიაზე, თუმცა, მძიმე, სულისშემძვრელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ვასმევთ სპეციალურ კოქტეილს, ინექციისა და „ინჰალაციის“

წყალობით შენს თვალწინ სიცოცხლე უბრუნდება უსუსურ არსებას, სუნთქვა უთანაბრდება, თვალები ეწმინდება, ნორმალური გამომეტყველება უბრუნდება...

უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო, რა დავიდარაბაც გადამხდენია თავს წლების მანძილზე; საბედნიეროდ, საბედისწერო შეცდომა არ მომსვლია.

ამჯერად გახშირებულია ენტერო ვირუსები – ღებინებით, ფაღარათითა და მუცლის მწვავე ტკივილით. ზოგიერთ გამოუცდელ პედიატრს ასეთ დროს საოპერაციო ჰგონია ბავშვი. მძიმეა ექიმის პროფესია, მაგრამ სიკვდილთან ჭიდილში გამარჯვებას დიდი ბედნიერებაც მოაქვს; რა მატერიალური ანაზღაურება გადაწონის ამ გრძნობას. მთელი სულითა და გულით მიყვარს ჩემი საქმე, უმწეო პატარები, ვცდილობ, არაფერი დავაკლო მათ.

– ვაკის უბანი, პრესტიჟული უბანია. მსმენია, ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი ხართ, მათი მხსნელი და იმედი. როგორ მოიპოვეთ ასეთი ავტორიტეტი?

– საათობით შემიძლია ბავშვის სასთუმალთან ვიჯდე, ვიდრე გამოკეთდება. სისტემატურად ვეცნობი სიახლეებს პედიატრიაში, ფარმაციაში. თავის დაზოგვა უცხოა ჩემთვის. მისხალი შეცდომის დაშვების უფლება არა მაქვს, ეკლესიურიც ვარ, უფალის მჯერა. გელბახიანების ოჯახს ექიმი არ აკლია, მაგრამ მათი პატარების ექიმიც ვარ. ჩემი პაციენტები მართლაც გამორჩეული ოჯახების შვილები არიან: გია ბარამიძის, ირაკლი მენაღარიშვილის, ქეთი დოლიძის, მერაბ ტყეშელაშვილის, ნატო დუმბაძის, გოგი ხარაბაძის, ზაზა ჩეჩელაშვილის, ნიკოლოზ სანიშვილის, ჯანელიძეების, ხუროძეების, ლაპიაშვილების... ნამუსზე რომ ხელი აიღო, ღმერთი არ გაპატიებს!

სხვა უბნის პაციენტებსაც მივუწვევივარ. გუშინ ორსულთან წამიყვანეს, ჩემი პაციენტი იყო, შეუძლოდ შეიქნა, ნელი დეიდა გამომიყვანს მდგომარეობიდანო, უთქვამს. ამაზე რომელი მკურნალი იტყვის უარს!

– როცა დიაგნოზს სვამთ, ეჭვი არაფერში გეპარებათ?

– ჩემი დასმული დიაგნოზის თავიდანვე მჯეროდა.

ბევრჯერ დავფიქრებულვარ, როგორ შევძელი უშეცდომოდ მემუშავა. დრომ, პრაქტიკამ და ასაკმა მოიტანა ცოდნა–გამოცდილება (ახალგაზრდულად გამოიყურება, ორმოცდაათ წელსაა გადაცილებული).

– გაგვაცანით თქვენი ოჯახი!

– ჩემი ქალიშვილი ირინე ორი შვილის დედაა. მანაც ჩემი პროფესია აირჩია. დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, მიიღო საერთაშორისო სერთიფიკატი. დიდი ფარმაცევტული ფრანგული კომპანიის მენეჯერია. თბილისში ცნობილი ოჯახის, ლამარა და შალვა მაისურაძეების რძალი, მეუღლე ალეკო ინჟინერია. ვაჟიშვილი, მიშიკო, კვების ტექნოლოგია, ნავთობკორპორაციის ფირმაში მუშაობს. ჩემი მეუღლე, თეიმურაზ ჩხიკვაძე, ინჟინერი გახლავთ. ტრადიციულ ოჯახში მომახვედრა ბედმა. დედამთილი მედიცინის დარგის მუშაკი იყო. მამამთილი მიხეილ ჩხიკვაძე, დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ჩაის ფაბრიკის დამაარსებელი და დირექტორი. მისი მცდელობით ქართულმა ჩაიმ საქვეყნო აღიარება მოიპოვა. ბედნიერი ქალი ვარ. თუმცა ჩემი პროფესორები ეთერ სიჭინავა და ირაკლი რცხილაძე მეტს მოელოდნენ ჩემგან. წარჩინებით დავამთავრე საშუალო სკოლა, წითელ დიპლომზე უმაღლესი, მოგეხსენებათ ქალის ბედი, ოჯახმა თავისი მოითხოვა. ჩემი შვილები დღესაც მაყვედრიან – შენთვის მთავარია, შენი პაციენტები იყვნენ ჯანმრთელები და ჩვენ მერე გაგონდებითო.

– იმ კოლექტივზეც გვიამბეთ, სადაც ოცდახუთ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობთ!

– ამ პოლიკლინიკაში მუშაობა ლეილა მაჭავარიანთან დავიწყე, მთავარი ექიმი იყო, ღირსეული ქალბატონი, ჭეშმარიტი ექიმი. მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ, დავოსტატდით. ყველასათვის მისაბაძი პიროვნება იყო. ამჟამად ჩვენი დირექტორი ენერგიული, საქმის მცოდნე მარინე შიხაშვილია. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა სინანულით აღვნიშნო: პედიატრიაში ყოვლად მიუღებლად

მიმაჩნია კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრება. ჩემი კოლეგები გამორჩეული სპეციალისტები არიან. საგანგებოდ გამოვარჩევ ქ–ნ დოდო მოსულიშვილს, ჩემს მარჯვენა ხელს, ჩემი უბნის მედდას, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, რომ მუშაობაში ურთიერთნდობა აუცილებელზე აუცილებელი პირობაა.

– ქ–ნო ნელი, როგორც პედიატრი, რას ურჩევთ ახალგაზრდა დედებს?

– ერთი პერიოდი იკლო შობადობამ და სავალალო მდგომარეობა შეინიშნებოდა გენოფონდში, საბედნიეროდ, ახლა შეიმჩნევა მატება. ახალბედა დედებს ვურჩევ, ნუ დატოვებენ პატარებს პროფილაქტიკური აცრების გარეშე. აუცრელი ბავშვის ჯანმრთელობა სავალალოა და მაღალია ინფექციების რისკიც. ვენდოთ პედიატრის ცოდნა–გამოცდილებას. უმნიშვნელო რესპირატორული დაავადების დროსაც კი მიმართონ ექიმს. ყოვლად დაუშვებელია თვითმკურნალობა. მინდა ყველა დედას ვურჩიო: გულისყურით იზრუნონ პატარებზე, იყვნენ ალერსიანები, იმეგობრონ შვილებთან, მეტი დრო დაუთმონ მათ, რადგან ბავშვისთვის ყველაზე მარგებელი წამალი სიყვარულია.

2006 წ.

„იავნანა“ – კეთილი მეგზური

– „იავნანა“ ხატია იმ ქვეყნისა, სადაც იგი იმღერება. „იავნანა“ ის კეთილი მეგზური იყო, რომელიც პატარა ადამიანს უადვილებდა შემოსვლას წუთისოფელში, ამან გვაფიქრებინა გადაგვეღო ფილმი, – თქვეს დამდგმელმა რეჟისორმა ***ნანა ჯანელიძემ*** *და სცენარის ავტორმა* ***ნინო ნატროშვილმა.***

ვიდრე ეს წერილი დაიბეჭდება, ვინ იცის, რამდენი ჯილდოს მფლობელი გახდება ფილმი. ჯერჯერობით კი, მოპოვებული აქვს – მოსკოვში გამართულ საბავშვო და საყმაწვილო ფილმების მე–16 საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურის მთავარი პრიზი რეჟისურაში და ქრისტიანული ჟიურის სპეციალური დიპლომი – დიდებული მხატვრული ფორმისთვის, იალტის საერთაშორისო კინოფორუმზე – მთავარი პრიზი ვერცხლის ლურსმანი, პატარა ნინო აბულაძეს – ვერა ხალოდნაიას სახელობის პრიზი – „ყველაზე ნორჩი“. იტალიის ქ. პეზაროში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმმა გრან–პრი დაიმსახურა. პოლონეთის ქალაქ ლაგოვოში – ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კინოფესტივალზე „ვერცხლის მტევანი“ და კინოკლუბების საპატიო ჯილდო.

ვესაუბრებით რეჟისორსა და სცენარის ავტორს.

– ქ–ნო ნანა, თქვენ სახელოვანი რეჟისორის თენგიზ აბულაძის რძალი ბრძანდებით, რა მოგცათ მასთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ?

–უპირველეს ყოვლისა, ბ–ნი თენგიზი ჩემი მასწავლებელი და გზის მაჩვენებელია. მან განსაკუთრებული ხელწერის სკოლა შექმნა ქართულ კინოხელოვნებაში. ბატონი თენგიზი წინააღმდეგი იყო ნაწარმოების პირდაპირი ეკრანიზებისა, მაქსიმალურად შორდებოდა მის პირველ

წყაროს, იმავდროულად, მონურად ერთგული რჩებოდა მწერლის სულისა. ამიტომ მისი არცერთი ფილმი არ ჰგავს ერთმანეთს. გავიხსენოთ – „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“. არაფერს ვამბობ მის ადრინდელ მოღვაწეობაზე.

როცა ბატონი თენგიზი „ნატვრის ხეზე“ მუშაობდა, მისმა სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკა ამ ფილმზე გავიარეთ. შემდეგ გავხდი „მონანიების“ სცენარის თანაავტორი, მეორე რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი.

ჩემი მეუღლე გია აბულაძე არქიტექტორია, იგი საბავშვო ქალაქ „მზიურის“ პროექტის ავტორია თავის კოლეგებთან ერთად.

ნინო ნატროშვილი: ბატონ თენგიზს გამორჩეულად უყვარდა და მოსწონდა ნანა, ენდობოდა მის გემოვნებას. აბიტურიენტობიდან მხედველობის არეში ჰყავდა, გვერდიდან არ იშორებდა, მეც მან ამირჩია და მიმიყვანა რედაქტორად კინოსტუდიაში. მას, როგორც ჩემს მასწავლებელს, ისე ვუყურებ დღესაც. მახსოვს, როგორ თავაუღებლად მუშაობდა ბ–ნი თენგიზი თავის სტუდენტებთან ერთად „ნატვრის ხის“ სარეჟისორო სცენარზე. ყოველ ეპიზოდს რამდენჯერმე მიუბრუნდებოდნენ, ამუშავებდნენ. დამდგმელი მხატვარი ბ–ნი რეზო მირზაშვილი ესკიზებს ქმნიდა, საინტერესო გუნდი შეიკრა. დაიწყო ექსპედიციები, მთელი კახეთი შემოვიარეთ, გადასაღებად სიღნაღის რაიონი ავირჩიეთ. ნანატრი დრო იყო...

– ამბობენ, „იავნანა“ ბატონმა თენგიზმა დაიწყო და მისი ავადმყოფობის გამო ნანამ გააგრძელაო?

– ასე თქვეს? სინამდვილეში წინააღმდეგი იყო ამ ფილმის გადაღების. ჩვენც ბევრს ვფიქრობდით, რატომ ვიღებდით ყველასათვის საყვარელ და ამიტომ საშიშ თემას. ხუთი წელი ოცნებაში გავლიეთ. გვინდოდა გადმოგვეცა ის სულისკვეთება, რაც ახასიათებს გოგებაშვილის შემოქმედებას. მისი „დედა ენა“, პატარებისათვის განკუთვნილი ყოველი მოთხრობა ხომ გამსჭვალულია

სამყაროსადმი დიდი მოწიწებით, ლოცვის განწყობით, ბავშვური ინტერესით ბუნების ყოველი მოვლენისადმი... გოგებაშვილისმიერი ქვეყნიერება მართლაც რომ „გვაქვს უთვალავი ფერითა“. პაწია ხორბლის თავგადასავალი, ან ორაგულის ცხოვრება არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე ქეთოს მშობლებთან მობრუნება. ეს სულისკვეთება იყო ჩვენთვის მთავარი, სამყარო, რომელიც უამრავ საიდუმლოს შეიცავს. თუ შესძელი საკუთარი ეგოიზმის დაძლევა, კვლავ მოიპოვებ სამოთხეს სულში.

საერთო არეულობამ ხელი შეგვიშალა, ფილმი სამ წელიწადს იყო წარმოებაში.

– ქ–ნო ნინო, როგორი ადამიანი და რეჟისორია ნანა?

– ნანას სახით თენგიზის სკოლა არ გაქრება. ის თითქმის თენგიზის განმეორებაა. მუშაობის პროცესში ყველას „მოგვიღო ბოლო“. სხვა რომ ისვენებდა, ერთობოდა, იძინებდა, ის ერთადერთი იდგა ფეხზე, დიდი შრომისმოყვარე, საინტერესო შემოქმედია, მომავალში მეტი ითქმება და დაიწერება მასზე. შემოქმედებით სიმწიფეში ახლა შედის. ორი შვილის დედაა, თორნიკე თხუთმეტი წლისაა, ნინო (ფილმში ქეთო) – შვიდი წლის. შვილებს და შემოქმედებით საქმიანობას ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება ნანა.

– ნანა, „იავნანა“ თქვენი მერამდენე ფილმია?

დამოუკიდებლად გადავიღე „ოჯახი“. „იავნანა“ ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. ალბათ ახლა უნდა შექმნილიყო იგი. ეს პატარა მოთხრობა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს დღეს. მსოფლიოში ერებს შორის ისეთი დაპირისპირებაა, რომ მკაფიოდ ჩანს, ადამიანებმა დაივიწყეს ბავშვობა, მისი პირველი ხატი – „იავნანა“, ის სიყვარულით გამსჭვალული სასწაულმოქმედი ჰანგი, რომელიც ერის მშვიდი და კეთილი ძალებით არის ნასაზრდოები.

– ქ–ნო ნანა, რას იტყვით ქ–ნ ნინოზე?

– „იავნანას“ გადაღების იდეა მისია. ერთხელ ხუმრობით მითხრა: – ქართველებს ისეთი ნაწარმოებები გვაქვს,

რომ შეიძლებოდეს, ჰოლივუდს მივყიდდითო. ადრე გაერთიანება „დებიუტში“ მუშაობდა. ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ბედნიერებაა ასეთ საინტერესო ადამიანთან თანამშრომლობა, ნინო ჩემი და თენგიზის აღმოჩენაა, ალბათ გამიჭირდება უმისოდ მუშაობა.

– რა ხდებოდა კადრს მიღმა?

– „მსხვერპლიანი“ ფილმი გამოდგა „იავნანა“. დიდხანს ვეძებდით ერთმანეთს. ძიების პერიოდი მძიმე და მწარე იყო, ვინც მთელი არსებით არ იყო ჩართული მასში, ვერ გაუძლო. როცა საბოლოოდ დალაგდა ყველაფერი, გაქრა დაძაბულობა, ერთმანეთს გავუგეთ. სცენარის ოთხი ვარიანტი დავწერეთ. ფილმი კი სულ სხვა გამოვიდა. მახსოვს, ეს მიკვირდა „ნატვრის ხეზეც“. სარეჟისორო სცენარის დამუშავებისას, მეგონა ყოველი დეტალი, ნიუანსი, ფერი, გააზრებული და დაფიქსირებული გვქონდა ქაღალდზე – ეკრანზე კი ფილმმა სულ სხვანაირი სიცოცხლე შეიძინა. „იავნანაზე“ თითქმის მთელი შემოქმედებითი ჯგუფი გამოიცვალა. მეხუმრებოდნენ – ახლა შენი თავიც შეცვალე და ყველაფერი მოწესრიგდება, გადაღებასაც მაშინ დავიწყებთო. თითოეული მონაწილის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ყველა მათგანი მომწონს და ვეთაყვანები მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს, ადამიანურ თვისებებს, პროფესიონალიზმს.

ერთმა თელაველმა მაყურებელმა შეკითხვა დაგვისვა, დაკარგულ ქეთოში დაკარგული აფხაზეთი ხომ არ გიგულისხმიათო. შინაგანად ვგრძნობდით, ერი კალაპოტიდან ამოვარდა. კულტურამ უნდა შეკრას და სასიკეთოდ შემოაბრუნოს იგი. გაუფაქიზოს სული, თუმცა ზოგჯერ ეკრანზე ნაწარმოების ზუსტად გადატანა არ ვარგა, წამგებიანია, იმას რასაც ნაწარმოები იტანს, ეკრანი ვერ აიტანს. ამიტომ ვთქვით ბევრ რამეზე უარი, მაგალითად დაღესტანზე.

– ქ–ნო ნანა, სად სწავლობდით?

– თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე თენგიზ აბულაძის სახელოსნოში.

– თუ საიდუმლო არ არის, რაზე მუშაობთ?

– თავს ვერ მივცემ უფლებას, რაიმე კონკრეტულზე ხმამაღლა ვთქვა. ფუტკარი რომ აგროვებს ყვავილთა მტვერს, იმ სტადიაში ვარ.

დღეს კინოსტუდია მკვდარია უსახსრობის გამო. ფილმის გადაღება შეუძლებელია. თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული რადიკალური ზომები, ქართული კინო, როგორც მოვლენა, ფენომენი, ჩენი ცხოვრების ერთ–ერთი წახნაგი დაღუპულია. იქმნება სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, იმედოვნებენ, იგი ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ქართულ კინოხელოვნებას.

– ქ–ნო ნანა, როგორც ქალი, დედა, რეჟისორი, რას უსურვებთ „საქართველოს ქალის“ მრავალათასიან მკითხველს?

– თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი გახლავართ. მომწონს შინაარსითაც, მხატვრული გაფორმებითაც.

დედებს ვურჩევ, უფრო მკაცრები და მომთხოვნები იყვნენ საკუთარი შვილების მიმართ, რათა ქვეყანა დაემსგავსოს ქვეყანას, ნუ დაგაბრმავებთ შვილის სიყვარული, ნუ დაემონებით მათ. გერცენს აქვს ასეთი გამონათქვამი – „მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც ვიქნებით უკეთესი მამულიშვილნი“. ჰოდა, თქვენი ჟურნალიც ხომ ამ წმინდა საქმეს ემსახურება – კარგმა დედებმა კარგი შვილები აღზარდონ.

1995 წ.

ნუცა

*ამ ზაფხულს, რამდენიმე დღით თბილისში ჩამოსული **ნუცა შანშიაშვილის** სტუმრობით ატეხილი ბუმი ვერაფრით გავარღვიე, ვერ შევხვდი პოპულარულ მომღერალს, ნამდვილ სუპერვარსკვლავს და, როცა დედამისს, ქალბატონ **მზია მაღლაკელიძეს** დავურეკე, მოკრძალებულად მითხრა, მობრძანდით, ვისაუბროთ ნუცაზე, იმაზე მეტი რა უნდა ეთქვა, რაც მე ვიცი მასზეო.*

რამდენიმე საათი ვუყურებდით ვიდეოკასეტებს, ვისმენდით ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს ეგზომ ცნობილ ოცდათერთმეტი წლის მომღერალსა და მსახიობზე, რომელსაც ფართო საზოგადოება უბრალოდ გვარის გარეშე ნუცად მოიხსენიებს. ქვემოთ მკითხველს შევთავაზებთ ნუცაზე რას ამბობენ: ელენე ობრაზცოვა, ალა პუგაჩოვა, ფილმის რეჟისორი, პროდიუსერი, ბუბა კიკაბიძე, მისი პედაგოგი ზურაბ ნიჟარაძე.

– ქ–ნო მზია, მოგეხსენებათ ჟურნალი „საქართველოს ქალი“ ოჯახისა და ქალებისათვისაა – ვისაუბროთ თქვენს ოჯახზე, სადაც ნუცა გაიზარდა.

– მეოთხე წელია ჩემი მეუღლე, საკმაოდ ცნობილი მოქანდაკე ჯემალ შანშიაშვილი აღარ არის. გულმა უმტყუნა. ჩვენი ოჯახი დიდი სიყვარულით, აბობოქრებული ვნებებით შეიქმნა. ორივენი სოხუმის თეატრის მსახიობები ვიყავით, ვასო ყუშიტაშვილმა შიუკაშვილის „სულელში“ მთავარი როლი – ლიზა შემომთავაზა. აკაკი ხორავას ჯგუფში მისი რჩეული სტუდენტი ვიყავი. დედის და დეიდების კალთის გარეშე ძლივს შევძელი დამეწყო ცხოვრება. დიდი ოჯახი გვქონდა. დედა თბილისში ქართული ენის ცნობილი პედაგოგი იყო, სოფიო ფხალაძე. შესანიშნავი ვოკალი. გიმნაზიადამთავრებული სამი დანი დამფოფინებდნენ თავზე, ასეთივენი იყვნენ ჯემალის

მიმართაც, მისი ნამუშევრების პირველი შემფასებლები. ნამდვილი ქიზიყელი ვაჟკაცი იყო ჩემი მეუღლე, უზომოდ ერუდირებული, განათლებული. 11 წლის ასაკში მთელი სტენდალი ჰქონდა გადაკითხული. მთვარის შუქზე, სოფელ მაჩხაანში წაეკითხა „წითელი და შავი“.

რეზო მირცხულავამ „ბახტრიონში“ მათამაშა, სერგო ზაქარიაძემ სოხუმის თეატრში ნახა ეს სპექტაკლი და მთხოვა, რუსთაველის თეატრში გადმოვსულიყავი. შემდეგ იყო რობერტ სტურუას „სეილემის პროცესი“. მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“. ფილმები, სპექტაკლები... როცა ჯემალმა მოსკოვში ოლივიე ნახა მსახიობობას მიანება თავი, თუ მისნაირი არ ვიქნები, არაფერი მინდაო. მოგვიანებით თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მოქანდაკე გახდა. მის ყველა ქანდაკებასა და ფუნჯის მონასვამში ვარ განსახიერებული, უსაზღვრო სიყვარული და მეგობრობა გვაკავშირებდა, ყოველგვარი ბზარის გარეშე გავლიეთ 37 წელი. ჯემალია ჩემი შემოქმედების, ჩემი ცხოვრების შეგნებული ნაწილი.

– ქ–ნო მზია, როცა გულდაწყვეტილმა გითხარით, რომ ვერაფრით ვერ შევძელი ნუცასთან შეხვედრა, რომ პირადად მესაუბრა მასთან, მაშინ თქვენ ბრძანეთ, მე იმაზე მეტს გეტყვით ნუცაზე, ვიდრე ისო.

– ჩემზე ამბობდნენ, რომ ნიჭიერი ვიყავი, ჩემი თავი რა მოსატანია ნუცასთან, რასაც მან მიაღწია ადრეულ ასაკში. იგი ჩემზე ბევრად დიდია, ძლიერი. მაჯობა. დიდი ტრიუმფით მიიწევს წინ, რასაც თეატრი, ესტრადა, მხატვრობა ჰქვია. აქ გადაჭარბებული არაფერია, თავად დარწმუნდებით, როცა ისმენ ადამიანების გამონათქვამებს ნუცაზე. ერთხელ ბავშვური გულუბრყვილობით მითხრა. მზია, ხომ არ გწყინს ამდენ საქებარ სიტყვებს რომ ისმენ ჩემზეო (ოჯახში ყველანი ერთმანეთს სახელებით მივმართავდით). ნუცა ყველას ზედმეტსახელებს გვიგონებდა. მე ხან მზექალა ვიყავი, ხან – მზეო. ასე იყო მამასთანაც.

– როგორც დედა, როგორც მსახიობი, როგორც პედაგოგი

(თეატრალურ ინსტიტუტში სასცენო მეტყველებას ასწავლის), რას იტყოდით ნუცაზე, როდიდან გამოიკვეთა მისი ბედი, იცოდით, რომ ასეთი პოპულარული იქნებოდა?

– უცნაური ბავშვი იყო, აქვს ხილვები, ხედავს მომავალს, რა ელოდება, როცა ჯემალი გარდაიცვალა და დავურეკე, არ გვაცალა გვეთქვა და გვკითხა – მზია თუ ჯემალი? არასოდეს არაფერს თხოულობდა. არასოდეს უთქვამს სიტყვა „მინდა“. „მიყიდეთ“. ყველაზე ლამაზად ჩაცმული კი გამოდიოდა. ჯემალის შარვალს ჩაიცვამდა, ბაფთას მიიბნევდა, რაღაც დეტალს შეთხზავდა, ორიგინალური იყო ყველაფერში. სამხატვრო აკადემიაში მოდელირებაზე მოეწყო, ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა. სანამ თბილისში ცხოვრობდა თავისთვის ღიღინებდა. როცა მასზე ორსულად ვიყავი და მუსიკას ვისმენდი მუცელში ისე გაინაბებოდა, უნდა დავწოლილიყავი. ერთი ბეწო იყო, თავად თხზავდა მელოდიებს, უკრავდა ვალსებს, არაფერი შემომრჩა, რა ვიცოდი, თუ ასეთი ბედი ეწერა. დიანა ხირსელთან დადიოდა მუსიკაზე. რასაც მოისმენდა, იმ წუთას იმეორებდა. „კავკასიურ ცარცის წრეზე“ მყავდა. სცენიდან ვადევნებდი თვალს. ლეილა სიყმაშვილი უკრავდა. ვხედავ ინსტრუმენტთან მოცუცქულს. იმ ღამეს ხელდაუბანელმა, პალტოგაუხდელმა სიზუსტით დაუკრა მთელი სპექტაკლი. ორი წელი თავაუღებლად ხატავდა.

სახლი სავსეა მისი ნამუშევრებით. მხატვარი **ზურაბ ნიჟარაძე**: „იყო თავნება, არასოდეს არ ემორჩილებოდა აკადემიის პროგრამების მიმართულებებს. ხატვის კანონებს. იმთავითვე ჰქონდა საკუთარი ხელწერა, ხედვა, მოხიბლული ვართ მისით. როგორც მხატვარი, მენანება. დაუბრუნდება ნეტავ ფერწერას? ორიგინალურად აზროვნებს, გამორჩეული პიროვნებაა“.

... როცა 21 წლის შესრულდა, ახლობელმა უყიდა ბილეთი, ჯიბეში ათი დოლარი ედო. ისე წავიდა მოსკოვში, რომ დამეშალა მაინც ვერაფერს გავხდებოდი. წავიდა როგორც მხატვარი. სიმღერაზე არ იყო მაშინ ფიქრი.

სცენით კი ნამდვილად იყო მოწამლული, სიმართლე გითხრათ, მენანებოდა, არ მინდოდა, როგორც მსახიობი, ვერ ვიმეტებდი ერთადერთ შვილს. ნაჩხაპნი დღიურები ვიპოვე, დარჩენოდა სავსე ლექსებით. ყველა მისი სიმღერა თითქმის საკუთარ ლექსებზე აქვს შექმნილი.

... ჩავიდა მოსკოვში. შემთხვევით შეხვდა ნაცნობ მსახიობს ჟან დანიელს. რომელიც წამყვანი მსახიობია რეჟისორ კირა მურატოვასი და ეუბნება, რომ იცის ხატვა და სიმღერა. გამომიყენეთო. ბედმა გაუღიმა. მიიწვიეს მუნიციპალურ თეატრ „კაბაჩოკში“. მთელი ღამე მუშაობდნენ. 10 საათიდან დილის 6 საათამდე. უზარმაზარი სკოლა გაიარა. ძნელია რუს მსმენელს მოაწონო თავი. თავიდან ჯაზში სცადა ბედი, გამოუვიდა. ბორის მოისეევმა ეკრანზე ნახა და გადაწყდა მისი მომავალი. შინაგანი ძალა მართავს, ფაქიზი, გემოვნებიანი, ძლიერი ქალია. დაუსრულებელი შემთხვევითობები მისი ბიოგრაფიის თანმხვედრია. აბა რას მივაწეროთ მოულოდნელი წარმატებები უცხო ქვეყანაში უპატრონოდ, ასე ადრეულ ასაკში?

„იალტა–95“ კონკურსზე ლაურეატი გახდა. აქედან მოყოლებული მოიარა მთელი რუსეთი, ამერიკა, ლათინური ამერიკა, მისი სავიზიტო ბარათი გახდა სიმღერა „Одинокая свеча“, რომელიც არანორმალურად შეყვარებულ მომავალ ქმარს, ასპისოვის შვილთაშვილს მიუძღვნა. ერთდროულად დაიბადა ამ სიმღერის ტექსტი და მუსიკა. შემდეგ იყო ამერიკა, როცა ფრენკ სინატრას დასაფლავების დღეს ბროდვეიზე ბორის მოისეევმა აიძულა ემღერა „ნიუ–იორკ, ნიუ–იორკ“. დამფრთხალი, შეშინებული პატარა გოგო ჯერ არ თანხმდებოდა. წარმოუდგენელი ტრიუმფი კი მოჰყვა. საღამოს დიდ, პრესტიჟულ დარბაზში გაიმეორა ეს სიმღერა. საყვარელ მომღერალზე მგლოვიარე მაყურებელი ფეხზე დამდგარი უკრავდა ტაშს. იყო 1998 წელი. სერიოზული გამოცდა მაშინ მოუწყო საკუთარ თავს ნუცამ. ერთი წლის შემდეგ იწერება

მისი სიმღერების დისკი რუსულ-ინგლისურად. ოლეგ ეფრემოვის ვაჟი მიშა ეფრემოვი აიძულებს, რომ უნდა იყოს რუსულ დრამატულ თეატრში სცენაზე მსახიობად და რუსულ ესტრადაზე, რომ იგი ეპოქის მონაპოვარია, შეუდარებელი, ყველასგან გამორჩეული.

... რეჟისორმა მიშა გორევოიმ მიშა ეფრემოვის რეკომენდაციით დადგა იზრაელ გორევეცის პიესა „ზღვარზე“. მოლის როლი ნუცამ შეასრულა, რაშიც მაღალი ჯილდო „ჩაიკა“ დაიმსახურა. ეს იყო პირველი ქართველი მსახიობისთვის ასეთი მაღალი ჯილდო, როცა ოთარ მეღვინეთუხუცესმა და რობერტ სტურუამ ეს ჯილდო დაიმსახურეს ნუცამ თავმდაბლად წარმოსთქვა: მე რა ვარ თეატრის ამ კორიფეებთან, ისინი ოსკარის ღირსებიაო.

... ნინო ანანიაშვილის იუბილეზე ნუცამ ედიტ პიაფის ორი სიმღერა იმღერა. ვიკტიუკმა მაშინ გადაწყვიტა დაედგა სპექტაკლი „ედიტ პიაფი“ და მთავარი როლი ნუცას შესთავაზა. ნუცამ ერთ წელიწადში შეისწავლა ფრანგული ენა, ერთ თვეში დაიდგა სპექტაკლი და კიდევ ახალი ტრიუმფი, კოლია დობრინინია მისი პარტნიორი, პროდიუსერი ტანია ბირკოვიჩი, რომელმაც სოლიდური თანხა ჩადო, რუსი და არა მარტო რუსი მსმენელი მას უიტნი ჰიუსტონს ადარებენ. მსახიობის და მომღერლის განუმეორებელი სინთეზიაო, ამბობენ მასზე. როცა ეს სპექტაკლი ელენე ობრაზცოვამ ნახა ჩელიაბინსკში, ხელიდან უძვირფასესი ბეჭედი წაიძრო და აჩუქა ნუცას. სანქტ-პეტერბურგში სპექტაკლის შემდეგ სცენაზე ავიდა ალისა ფრეინდლიხი, ხელები აღაპყრო და აღმოთქვა, „ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ასეთი მსახიობები იბადებიან!“ რიგაში აფიშები გაჩნდა წარწერით – ვიკტიუკს მოჰყავს ქართველი ედიტ პიაფი, სცენაზე აიჭრა ივა კალნიში, ხელში აიყვანა ნუცა და მათი დუეტით დასრულდა სპექტაკლი. ნუცა ოცნებობს ქართველმა მაყურებელმა ნახოს მისი „ედიტ პიაფი“ და ოთხი ბლოკი – სოლო კონცერტი: ფრანგული, ქართული, რუსული და

ინგლისური. ქართული ბლოკისათვის ნუცამ სპეციალურად ქართული ჩოხა და ხევსურული ტანსაცმელი შეიძინა, მერე რარიგ მოიხდენს!

... აი, რას ამბობენ მასზე: რეჟისორი მიშა გორევოი: „აღტაცებას ვერ ვფარავ, ეს ნიჭიერების შადრევანია. ვერ ვიგებ, საიდან მოდის ასეთი მოზღვავებული ბუნებრივი ნიჭი“. პროდიუსერი ტანია ბირკოვიჩი: „მინდა ჩვენ, ნუცას ახლობლებმა კი არ ვისმინოთ მისი არაჩვეულებრივი ხმა, არამედ ისმინოს მსოფლიომ და დატკბეს. დღეს ისე ცოტაა დადებითი ემოციები, ესაა ნამდვილი მოვლენა, გული მეკუმშება, როცა ის მღერის“. უამრავ საქებარ სიტყვებს უშურველად ამბობს მისი პარტნიორი „ედიტ პიაფში“ კოლია დობრინინი. რეჟისორი რომან ვიკტიუკი: „ჩემთვის ნუცა მოულოდნელობების ფოიერვერკია. არ ვიცი, როდის რას მოიმოქმედებს, ნამდვილი ბრილიანტი. რომელშიც უნდა ჩაიდოს დიდი ფული. მისი მოსმენის შემდეგ არ შეიძლება იყო გულგრილი, ისეთი დიდი დოზის ნიჭიერია, როგორც უიტნი ჰიუსტონი“. ელენე ობრაზცოვა: „ბრწყინვალე და შეუდარებელი მომღერალია და ასევე წარმოუდგენლად დიდებული, განუმეორებელი მსახიობი. მინდა მასთან ჯაზის სტილის სიმღერა შევქმნა“. ბუბა კიკაბიძე: „ამ სტილის მეორე მომღერალი არ მეგულება“. ალა პუგაჩოვა: „ჩემს შემცვლელს ნუცაში ვხედავ“.

... მოსკოვის ტელევიზიის კულტურის არხს დაუკვეთეს დოკუმენტური ფილმი ცნობილ ადამიანებზე – უპრობლემოდ შეირჩა ნუცა. ამიტომ იყო ნუცა ახლახან თბილისში პროდიუსერთან ერთად. სახლი, სახელოსნო, ოჯახი, ნახატები, მეგობრები, მისი ბიოგრაფიის საწყისი თბილისია. სექტემბერში ელოდებიან გადამღებ ჯგუფს.

– ქ–ნო მზია, როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, ნუცა რომ არ წასულიყო და საქართველოში დარჩენილიყო?

– ძნელი სათქმელია. იმღერებდა ქორწილებში, ქეიფებში, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, თუმცა შეიძლება სხვანაირადაც წარმართულიყო მისი ბედი და

იქნებ როგორმე მაინც გაეღწია. გაცლოდა აქაურობას.

– მის პირად ცხოვრებაში თუ ერევით?

– მთელი ჩემი ფული ტელეფონში მეხარჯება, ჩვენ მარტო დედა–შვილი კი არა, სულიერი მეგობრებიც ვართ. მუდამ მჯეროდა და მჯერა მისი. მისი ინტუიცია უფრო ზუსტი და უტყუარია, ვიდრე ჩემი, ამაში ბევრჯერ დავრწმუნდი. უნდა გვერდით ჰყავდეს მეგობარი? ეყოლება. არ მინდა თავზე მოვახვიო ჩემი აზრები, თუმცა ყურს მიგდებს, ისეთ ჰორიზონტზეა, მინდა ყოველმხრივ სრულყოფილი იყოს. ფაქიზი, ნაზი პიროვნებაა. სხვანაირი როგორ შეიძლება იყოს ერთმანეთთან შერწყმული მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი, პოეტი... რამდენიმე დღის წინ დამირეკა და მითხრა, მზია, სულაც არა ვარ ნიუ–იორკით აღფრთოვანებული, სიმართლე თუ გინდა გითხრა – თბილისი, მოსკოვი და ნიუ–იორკი ჩემთვის სულ ერთიაო. ქუდბედიანი დაიბადა. მისი ამჟამინდელი ერთ–ერთი პროდიუსერი უკრაინელი თაყვანისმცემელი ამერიკაში ცხოვრობს. ნუცასთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სცენაა. გატაცებებისათვის არ სცალია. ამისათვის დახარჯული დრო ენანება. უპრობლემოდ დაშორდა პირველ მეუღლეს.

– როგორ ეგუებით მარტოობას, ან ნუცა როგორ ძლებს უთქვენოდ?

– ნუცა შეჩვეულია მარტოობას. ათი წელი პატარა დრო არაა. ისეთი პიროვნებაა, ხელისშემშლელი არ უნდა ჰყავდეს. როცა მის ცხოვრებაში რაიმე ღირსშესანიშნავი ხდება, ან პრემიერაა, მის გვერდით ვარ. ღამე მუშაობს. რამდენჯერ წამომხტარა ლოგინიდან შუაღამეზე, მიჯდომია ინსტრუმენტს. ყველა ჩვენთაგანის ნიჭი მოხვეტა, შეირგო და შეძლო რეალიზება.

– ნუცას ამჟამინდელი საქმიანობა?

– ნუცა ისეთი დაკავებულია, ერთი წუთი მოცლა არა აქვს, უამრავი შეთავაზება აქვს. ერთ–ერთმა ამერიკელმა პროდიუსერმა შემთხვევით ჰკითხა. რაიმე ნახატი ხომ არ შეგიქმნიაო, როცა მისი სრული ნამუშევრები ნახა.

მომყიდეო თხოვა, ვერცერთი ვერ გაიმეტა და უთხრა, ნიუ–იორკში შემიქმენით პირობებიო. მომიწყვეთ სახელოსნო, რომ გააკეთოს კონცერტი–გამოფენა. ყველა სიმღერაზე ქმნის შესატყვის სურათს. ნუცა ამჟამად ორი თვით იმყოფება ნიუ–იორკში. ეს ორიგინალური კონცერტი–გამოფენა ამ შემოდგომაზეა დაგეგმილი, საგამოფენო დარბაზში გამოიფინება ნამუშევრები, მსმენელი იქვე მოისმენს მის სოლო ოთხბლოკიან კონცერტს.

* * *

მასალას, რომელიც ნუცა შანშიაშვილს ეძღვნება, სათაურად დავარქვით „ნუცა“, რამეთუ ფართო საზოგადოება, მსმენელი, მაყურებელი, მისი თაყვანისმცემელი სახელით იცნობს, ყველა მის აფიშას, დიდი ტირაჟით დასტამბულ კალენდარს აწერია მხოლოდ Нуца.

2002 წ.

მსახიობობა პროფესია კი არა, მძიმე ხვედრია

*რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ნანა ფაჩუაშვილი,** რომელსაც სამჯერ მიენიჭა წლის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, იუბილარია – მრგვალი თარიღი შეუსრულდა. სპექტაკლი დიურენ მარტის „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“, რომელშიც მთავარ როლს – კლარა ცახანასიანს ასრულებს, კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა საზოგადოებამ რუსთაველის პრემიაზე წარადგინა.*

– ქალბატონო ნანა, ორი შემოქმედის – ნანა ფაჩუაშვილისა და ტრისტან ყველაიძის ოჯახში ძნელი იქნებოდა ორი ხელოვანის, ორი პარტნიორის ერთჭერქვეშ ცხოვრება, რამდენი წლის ცოლ-ქმარი იყავით?

– ვფიქრობ, ეს დადებითი მოვლენაა, თუმცა ყველა შემოქმედი ასე არ ფიქრობს. მეტი ურთიერთგაგება, საერთო ტკივილი, სიხარული, კომფორტი ამთლიანებს ასეთ ოჯახს. ერთმანეთი სტუდენტობისას გავიცანით, მე პირველ კურსზე ვიყავი, ის – მეორეზე. ისე მოხდა, რომ მოულოდნელად გავთხოვდი თამაზ აფხაიძეზე. ტრისტანმა მაშინ თქვა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, ისეთი ვაჟკაცი იყო თამაზი. ოთხი თვის შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა, სამი თვის ფეხმძიმე დავრჩი. შემეძინა ვაჟი თამაზ აფხაიძე, ახლა 38 წლისაა. ჩემი და ტრისტანის სიყვარული ისევ განახლდა... მაშინ ჩემი შვილი თვეების იყო. ტრისტანმა გაზარდა. რუსთაველის თეატრის მსახიობები ვიყავით, როცა ვიქორწინეთ, შეგვეძინა ხათუნა, იგი თეატრმცოდნეა, უცხოელზე გათხოვდა და საზღვარგარეთ ცხოვრობს.

ცოლ-ქმრისთვის საერთო პროფესია ბევრს ნიშნავს, ერთი პერიოდი სცენაზე სულ პარტნიორები ვიყავით, ხან ცოლ-ქმარი, ხან შეყვარებულები. ბატონმა რობერტ სტურუამ პირველად ორკაციან პიესაში – გელმანის

„გასაღებში“ დიდ სცენაზე გამოგვიყვანა მე და ტრისტანი. სპეციალურად ჩვენთვის დაიდგა ეს სპექტაკლი. ერთ მოქმედებაში ცუდად გახდა, წამალი დალია, გული აწუხებდა, ხშირად გადიოდა კულისებში წყლის დასალევად, საშინლად განვიცადე, ნერვიულობისგან სულ ამოვვარდი როლიდან, საკუთარ თავს ვერ ვცნობდი.

ჩვენ ალბათ აუცილებლად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ერთ ბაღში დავდიოდით, ერთ აგარაკზე ვისვენებდით, თეატრალურ ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით. ქორწინებაც კანონზომიერი იყო, განგებამ ასე ინება.

– ბატონი ტრისტანი, მთის შვილი, რთული პიროვნება იყო?

– სხვადასხვა ხასიათი გვქონდა. ოჯახში ერთ–ერთი უნდა იყოს დამთმობი, ის დამთმობი იყო, მე უფრო აფექტების ქალი ვარ. იყო ზედმიწევნით განათლებული, ნაკითხი, სხვანაირად მოაზროვნე, განსაკუთრებით ფილოსოფიურ ლიტერატურას ეტანებოდა, თავადაც ფილოსოფიურად აზროვნებდა, ზუსტი ანალიზის უნარი ჰქონდა. საშინლად სტკიოდა სამშობლოს გასაჭირი. ჩვენი ვაჟი სამჯერ იყო აფხაზეთის ომში. ის ტკივილი, რაც მაშინ სუფევდა ირგვლივ, ჩვენს ოჯახსაც დაეტყო, ტრისტანს გულმა უმტყუნა, ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. სილამაზის საოცარი შეგრძნების უნარი ჰქონდა, პატივს სცემდა განათლებულ ადამიანებს, მათ მიმართ მოწიწებით იმსჭვალებოდა. როცა ავადმყოფობამ დარია ხელი, ჩაიკეტა, განმარტოვდა, მხოლოდ ახლო მეგობრებით შემოიფარგლა, სიმშვიდე უნდოდა. თავიდან ქეიფი უყვარდა, იყო ლაღი მთის შვილი, ამაყი, კარგად მღეროდა, ცეკვავდა, უყვარდა შვილები, შვილიშვილები, ოჯახი. ხელს მიწყობდა, როცა რთული რეპეტიციები ან პრემიერა მქონდა, სადილსაც შემაშველებდა, ისეთ კერძს დამახვედრებდა, რაც მიყვარდა. ამაგს ვუფასებდი, შეძლებისდაგვარად ყურადღებიანი ცოლი ვიყავი.

– დავაკონკრეტოთ, თქვენი დასამახსოვრებელი როლები სცენაზე: ევა – „ღვთაებრივი კომედია“, მზია –

„ჭინჭრაქა“, პოლი პიჩემი – „სამგროშიანი ოპერა“, სონა – „ხანუმა“, ანისია – „მეუფება წყვდიადისა“, ადელა – „ბერნარდა ალბას სახლი“, არიცია – „ფედრა“, ლედი ანა – „რიჩარდ მესამე“, კინოში?

– დაკონკრეტების წინააღმდეგი ვარ. ასამდე როლი მაქვს სცენაზე შესრულებული. კინო არ მწყალობდა, არც მე ვწყალობდი კინოს. ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში იყო ისეთი როლებიც, რომლებიც არც კი ახსოვს მაყურებელს. არ მინდა რომელიმე გამოვარჩიო. ყველა ერთნაირად მიყვარს, მთავარიც და ეპიზოდურიც. გავიხსენებ პირველს – „ღვთაებრივ კომედიას“, მე ვიყავი ევა, ადამი –კახი კავსაძე, ღმერთი – ეროსი მანჯგალაძე, ეშმაკი – გოგი გეგეჭკორი, ანგელოზები – კარლო საკანდელიძე და ბორია წიფურია. რა თანავარსკვლავედია არა, მეოთხე კურსის სტუდენტისათვის! ჩემი ბოლო ნამუშევარია დიურენ მარტის „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“ – კლარა ცახანასიანის როლი. იგი ერთ–ერთი მდიდარი ქალბატონია მსოფლიოში, რომელსაც საშუალება აქვს იმოქმედოს როგორც უნდა. აქვს მომადლებული იუმორის გრძნობა, ადამიანებს უყურებს როგორც საქონელს, სახმარ ღირებულებას, ყიდულობს მათ, მთელ გუბერნიასაც, საკმაოდ კლანჭებიანი ქალბატონია, ბოლოს სიყვარულს, შურისძიებას ეწირება.

– მინდა გამოკვეთილად შევეხოთ თემურ ჩხეიძის უკვდავ ტელესპექტაკლს „ჯაყოს ხიზნები“. მარგო–დაუვიწყარი ნანა ფაჩუაშვილი, შთამბეჭდავი, გამაოგნებელი ავბედითობით განწირული სახე ქალისა. როგორი თავდასხმა მოუწყო ქუთაისელმა ვაი–პედაგოგმა ამ სპექტაკლს, მე კი, მისი ბედით შეძრულს, სულ ცრემლები მდიოდა ღაპაღუპით.

– ბედისწერაა მსახიობისათვის, როცა დრამატურგიულად, რეჟისორულად, მხატვრულად ამაღლებულ ასეთ სპექტაკლში მოხვდება. ეს იყო ნიჭიერების ნამდვილი სინთეზი. რეჟისორის თამამი სვლა, რომელმაც დამაყენა ფეხზე. ჩემი შემოქმედების შემდეგი პერიოდი უკავშირდება ბატონ რობერტ სტურუას, მასთან გატარებულ ოცდახუთ წელს, გამოვარჩევ „რიჩარდ III“–ში ლედი ანას. დგება

რეზიუმე – ადრე ვიყავი გამოუცდელი, ახალგაზრდა, ვთამაშობდი გოგოებს, იდეებს შეწირულებს, რომელთა მიმართ ძალადობას იჩენდნენ. იყვნენ უსუსურებიც. შემდეგ იყო მარტოხელა, მარტოსული როლები, მქონდა სურვილი ასეთი ქალებისათვის გამეგო, მათკენ ვისწრაფოდი. ბოლოს, ძლიერი ამა ქვეყნისანი, იყვნენ – შეუპოვარნი, ამაყნი, ვნებებით გაჯერებულნი, ვცდილობდი სხვა ფერებში, სხვა ამპლუაში წარმოვჩენილიყავი.

– მსახიობობა პროფესია კი არა, მძიმე ხვედრიაო – წერდა ერთგან მსახიობი ტრისტან ყველაიძე. მასზე ამბობდნენ, სასწაულის მოხდენა შეეძლო სცენაზე. მერე და შინაგანად და გარეგნულად რა მომხიბლავი იყო, თქვენც ასე ფიქრობთ?

– ჭეშმარიტად მეც მაგ აზრის გახლავართ, თუმცა ტრისტანისთვის რომ ეს კითხვა დაგესვათ, ისეთი მომთხოვნი და კრიტიკული იყო საკუთარი თავისადმი, შეგეწინააღმდეგებოდათ, მე რა სასწაულის მომხდენი ვარო, იტყოდა. ნანობდა, შევცდი პროფესიის არჩევაშიო, არანაირ კომპრომისზე არ წავიდოდა, არ ჰქონდა ლავირების უნარი, ზედმიწევნით პრინციპული, მართალი პიროვნება იყო, ეს იყო მისი მთავარი ღირსება, უყვარდა თქმა – ყველაზე დიდი მტერი ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში მისი უდიდებულესობა ტრისტან ყველაიძეა, რომელიც ხელს მიშლის მუშაობაშიო.

– თქვენ ჩვენი კოლეგა ბრძანდებით, საინტერესოა თქვენი თეატრალური გადაცემები სატელევიზიო არხზე „ევრიკა“?

– ჟურნალისტობის არანაირი პრეტენზია არა მაქვს, გულწრფელი დიალოგის მომხრე ვარ, ჩემი რესპონდენტები ჩემი კოლეგები არიან, ვცდილობ მრავალმხრივად წარმოვაჩინო და ისე შევახვედრო მაყურებელს.

– რა დაგრჩათ გასაკეთებელი? თქვენი აუხდენელი ოცნება, როლი, რეჟისორი?

– კარგა ხანია ოცნების პერიოდიდან გამოვედი. ვარ რეალისტი, ოცნება ოცნებად რჩება. როლებიც ასევეა, ზოგჯერ სულ რომ არ ელოდები, ისეთი წარმატება მოგივა.

დავით ანდღულაძემ „მედეაში“ კირკეს როლი ჩემთვის შექმნა, არ ველოდი, ისეთი წარმატება ხვდა. ოთხ თეატრში ვარ დაკავებული: რუსთაველის, ახმეტის, თავისუფალსა და სარდაფის.

– ბედით კმაყოფილი ხართ?

– დიდი დანაკლისია ჩემს ასაკში მეუღლის დაკარგვა. მყავს შვილები, შვილიშვილები, ამაზე დიდი ბედნიერება არ მეგულება. როგორ შეიძლება ჩემი ბედით კმაყოფილი არ ვიყო, თუმცა ყველაფერი შედარებითია, შემოქმედებითად ნამდვილად გამიმართლა, პირად ცხოვრებაშიც ბედნიერ ქალად ვთვლი თავს: მქონდა ორი დიდი სიყვარული, ორი შვილი, ორი შვილიშვილი; ორი ცხოვრება – თეატრი და ოჯახი. მადლობა უფალს, რაც მარგუნა (მორწმუნე გახლავართ), ეს არის ჩემი ჯვარი, რაც ღირსეულად უნდა ვატარო.

– გიყვართ სამზარეულოში ფუსფუსი?

– როცა დიდი ოჯახი მქონდა, მიყვარდა სამზარეულო, ვწვებოდი ძალიან გვიან, ახლა აღარ მიყვარს, „სუპერმარკეტია“ ჩემი ხსნა.

– არ მერიდება იმის თქმა, რომ ჩვენი ცნობილი, სახელოვანი, ნიჭით მომადლებული, ბუნებით ლამაზი მსახიობებით უეჭველად იამაყებდა ჰოლივუდი.

– ჩვენი შეჭირვებული ყოფიდან გამომდინარე რამდენ რამეს ვიტანთ, გვიყვარს ჩვენი პროფესია, ამიტომ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არის ფანატიზმი, უცხოეთში არავინ არაფერს ქმნის უანგაროდ, უფასოდ ვემსახურებით ჩვენს საქმეს. კულისებში, საგრიმიოროში გამყინვარებაა, ჩაფუთნული ზის მაყურებელი, რას იზამ, როგორ ქვეყანაშიც ცხოვრობ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხურო, რამეთუ ჩვენთვის და მაყურებლისთვის თეატრი დღესასწაულია, განუმეორებელი სამყაროა, ზეიმია, სილამაზეა, სანახაობაა. თეატრი მსხვერპლსაც მოითხოვს, მოქმედებს ადამიანის შეგნებაზე, აფხიზლებს, ამდიდრებს, თეატრი ფანტაზიის კუნძულია, სადაც სხვის ტყავში ძვრები და სხვად გარდაიქმნები. შენი ხელოვნება სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს, შეიძლება უარყოფითი

როლი ითამაშო, სხვამ – კეთილი, ორივე შემთხვევაში სათქმელი დადებითი უნდა იყოს მაინც. მსახიობი მუდამ ახლის ძიებაშია, ახალ ხერხებს, ახალ ფორმებს და მეთოდებს ეძებს. ფუჭი ემოციით და განცდით მაყურებელს ვერ დაიპყრობ, შეძლებისდაგვარად უშეცდომოდ უნდა იმოღვაწო. ადამიანმა თავის თავს სხვისი თვალითაც უნდა შეხედოს, რომ ობიექტურობას არ ასცდეს. საფრანგეთში რამდენიმე მსახიობს დაუყენეს ფარული კამერა, მაია პლისეცკაიამ აიღო ესთეტურობისა და პიკანტურობის პრიზი. მიხვრა–მოხვრა, თავდაჭერა, მისი ქცევის კულტურა სამაგალითოდ მიიჩნიეს ფრანგებმა.

... გარდა იმისა, რაც მასთან საუბარში შევიტყვეთ, დამატებით შემიძლია გითხრათ, რომ უყვარს კინო, კარგი წიგნი, კლასიკური მუსიკა, ჰყავს უამრავი მეგობარი, მის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი თეატრის გარშემო ხდება. არის ზედმიწევნით სტუმართმოყვარე (რაშიც თავად დავრწმუნდი). მიუხედავად მეუღლის დაკარგვით გამოწვეული დარდისა (თვალები სულ ცრემლით აქვს სავსე), ცდილობს გარშემომყოფთათვის მოსაწყენი არ იყოს.

ნანა ფაჩუაშვილი ისეთ ასაკშია, წინ ახალი შემოქმედებითი წარმატებები კვლავ ელის.

2003 წ.

ბალეტი... მაგრამ მაინც თეატრი

მომხიბლავი, ნიჭიერი, კინოსა და თეატრში როლების წარმატებით შემსრულებელი, ცნობილი კინორეჟისორის გია მატარაძის მეუღლე ***მარინა კახიანი*** *ამაყობს, რომ წარმოშობით სვანია. მისი თავადური გვარის წინაპრები სვანეთიდან უსიამოვნებას გამოქცევიან და იმერეთში დასახლებულან.*

მამა – გიორგი კახიანი – დირიჟორი და კომპოზიტორი, თურქმენული პირველი ოპერის ავტორი, ტაჯიკეთის სიმფონიური ორკესტრის დამაარსებელი, ლენინგრადის საოპერო ხელოვნების მოღვაწე, თბილისის ოპერისა და ბალეტის და მუსკომედიის თეატრების დირიჟორი გახლდათ.

დედა – კონსერვატორიადამთავრებული ალექსანდრა ყუფუნია, მიუხედავად კარგი ვოკალური მონაცემებისა, ოჯახს შეეწირა.

ჰყავს ერთადერთი ვაჟი, იურისტი ვათა მატარაძე.

ქ–ნო მარინა, ცოტა რამ მიამბეთ ნაადრევად წასულ მეუღლეზე, ნიჭიერ რეჟისორ გია მატარაძეზე, როგორი პიროვნება, შემოქმედი და პარტნიორი იყო, სად გაიცანით?

– რომ არა თეატრალური ინსტიტუტი, ვერ შევხვდებოდი. გია ჩემზე თვრამეტი წლით უფროსი იყო. რობერტ სტურუას სტუდენტი გახლდით, პირველ კურსზე ვიყავი, ბატონი რობერტი ინგლისში გაემგზავრა სპექტაკლის დასადგმელად. ჩვენი ჯგუფი ლექციების წასაკითხად გიას ჩააბარა. ნანახი მყავდა, კინოსარეჟისორო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. დავახლოვდით როგორც სტუდენტი და პედაგოგი. იმთავითვე დიდი მითქმა–მოთქმა გაიმართა, ცოლიანი იყო, თუმცა, ვერაფერი დაგვაკლეს, ჩემთვის ძნელი იყო ამის დაძლევა, მძიმე ტვირთი ვიკისრე, ბოლომდე მაწუხებდა, ძნელად შევეგუე, ბედისწერის მჯერა, გვქონდა ნამდვილი, წმინდა, დიდი სიყვარული. ცამეტი წელი გავატარეთ ერთად, ოცდაცამეტის

დავქვრივდი. ჩემი ცხოვრება ვერ წარმომედგინა უმისოდ, იმ ასაკში ცხოვრებისთვის სრულიად შეუმზადებელი ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ის არსებობდა. გიასნაირები ცოტანი არიან. ისე ღრმად გაიდგა ფესვები ჩემს ცნობიერებაში, დავიწყება ვერ შევძელი, თუმცა, არც მიცდია. წლების მანძილზე გავურბოდი მასზე ლაპარაკს, მისი სახელის ხსენებაც უზარმაზარ ტკივილს მაყენებდა, ახლაც, რამდენიმე ფრაზას ვიტყვი და ჩემდაუნებურად ვწყვეტ. განა მარტო ჩემს მიმართ, ყველას მიმართ იყო განსაკუთრებული, ბევრი რამ ვისწავლე მისგან, როგორც მსახიობმა, პიროვნებამ, ქალმა.

– როგორც ვიცი, მეტამორფოზა განიცადეთ, გატაცებული იყავით ბალეტით, იგი დათმეთ და დრამის მსახიობი გახდით.

– ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე და კარგ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მომინდა ხმის ამოღება სცენაზე. ბალერინა პეპელას ჰგავს, ხანმოკლეა მისი მოღვაწეობა, რაგინდ პოპულარულიც არ უნდა იყოს, გარკვეულ ასაკში იცვლის პროფესიას, უკეთეს შემთხვევაში პედაგოგობას იწყებს. ძნელია თქმა, რომ ყველაფერი ზუსტად გავიაზრე და ისე ვიმოქმედე. მინდოდა დამემტკიცებინა, რომ კიდევ სხვა რაღაც შემიძლია, თავი გამოვცადე, ამაში უთუოდ დიდი როლი გიამ ითამაშა.

– როგორ გესმით ადამიანის თავისუფლება?

– ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი თავის მონები. ბერნანდას აქვს ასეთი ფრაზა – „ჩვენ ყოველთვის არ ვაკეთებთ იმას, რაც გვინდა, არამედ ვაკეთებთ – რაც საჭიროა“. ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრების კანონებს ბრმად დავექვემდებაროთ. ჩვენ თვითონ არ ვაძლევთ საკუთარ თავს თავისუფლების უფლებას, მკაცრები ვართ, ვიმძიმებთ ცხოვრებას, ვიტანჯებით...

– ბუნებით მეოცნებე ხართ, რაზე ოცნებობთ, გაქვთ თუ არა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა?

– ზედმეტად მეოცნებე ვარ. ოცნება ალამაზებს ქალის ცხოვრებას, უინტერესო იქნებოდა სიცოცხლე უამისოდ,

თუმცა მეოცნებენი რეალობასთან შეჯახებისას იჩაგრებიან, ოცნება ჩემი შველაა ყველაზე მძიმე წუთებში.

– ყოველდღიური მოსაწყენი გარემოსთვის, ყოფითი ამბებისთვის თავის არიდების მცდელობა თუ გქონიათ, კარგია იქ, სადაც არა ხართ?

– ადამიანის თვისება თვითგადარჩენაა, მძიმეა ცხოვრება ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორც ჩვენი დაუცველი ქვეყანაა, თუმცა, სულიერი შიმშილი მდიდარ ქვეყნებშიცაა. ჩვენი ქვეყნის ადამიანებს გამძაფრებული აქვთ ადამიანური გრძნობები. ჩვენი მთავარი მტერი შიშია, რაც გვიმწარებს ცხოვრებას, ქართველები ზედმიწევნით ადაპტირებულები, ამტანები, ყოველგვარი სიდუხჭირის გამძლენი გამოდგნენ.

– რითი ცხოვრობთ, რითი ხართ დაკავებული, თავისუფალი დრო ბევრი გაქვთ?

– საბედნიეროდ, ამჟამად დრო ცოტა მაქვს. ცოდვაა ის ადამიანი, რომელსაც ბევრი დრო აქვს, ესე იგი, არავის სჭირდება, რაც თრგუნავს, აკომპლექსებს... მიყვარს კითხვა, მძიმე პერიოდში მშველის წიგნები, კარგი ფილმები, მეგობრები...

– ქ–ნო მარინა, პატარა, ეპიზოდური როლი გაქვთ „მონანიებაში“. რაიმე საინტერესოს ხომ არ გაიხსენებდით გადაღებებიდან რაც არ თქმულა და მიიჩქმალა?

– ქართველი და არა მარტო ქართველი მაყურებლისთვის უძვირფასესია დიდი შემოქმედის ბატონ თენგიზ აბულაძის ყველა ფილმი, გიას პედაგოგი და უახლოესი მეგობარი იყო, მიუხედავად ამისა, მის მიმართ ჩვენი მხრიდან იყო დიდი მოწიწება, ასაკობრივი განსხვავებაც, თუმცა, ვერ ვგრძნობდით ყოველივე ამას, ორივენი მის მეგობრებად ვთვლიდით თავს, გვისაუბრია გატაცებებზე, შემოქმედებით ამბებზე, მართლაც საოცარი, გახსნილი ადამიანი და ჩვენი ნამდვილი სულიერი მეგობარი იყო. გიას გამორჩეულად აფასებდა, რაც დაფარული არასოდეს ყოფილა, დიდი პიროვნებების დამახასიათებელი ყველა თვისება ჰქონდა. ვათა ერთი წლის მყავდა, ჯანმრთელობის პრობლემა

მქონდა, გიამ და თენგიზმა მოსკოვში წამიყვანეს, პატარა ოპერაცია დამჭირდა, არაფრით არ მიგვატოვა, გვერდიდან არ მოგვცილებია.

– ბევრი წარმატებული როლი გაქვთ კინოში და თეატრში, რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

– კინოს და თეატრს აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკა აქვს. ჩემი უდიდესი სიყვარული თეატრშია ჩადებული. მიყვარს კინოც, მას ჯადოსნურ სამყაროს დავარქმევ, აქაც თავის მოსინჯვაა. გიყურებს კამერა, გადამღები ჯგუფი, ცდილობ შენი გრძნობები და შესაძლებლობები უშეცდომოდ გამოხატო. ირაკლი კვირიკაძემ მითხრა – კამერამ იცის, ზოგს შეიყვარებს, ზოგს არა, მე ვგრძნობ, თქვენ მას უყვარხართ. ჩემი მთელი ცხოვრება მაინც თეატრია, თეატრის მსახიობი ვარ, თუმცა, გულგრილი არც კინოს მიმართ გახლავართ.

– თქვენი ცხოვრების ყველაზე რთული მომენტი, რამაც გული ისე გატკინათ, რომ ვერ დაივიწყეთ?

– ყველაზე მძიმეა საყვარელი ადამიანების დაკარგვა, ასეთები იყვნენ ჩემთვის: ბებია, ბაბუა, მამა, გია. ყოველდღიურ ცხოვრებასაც მოაქვს ტკივილები, უხეიროდ ნათქვამი სიტყვები, უსაფუძვლო ჭორი, ვერ ამტკიცებ, რომ ეს არ ჩაგიდენია, მსახიობს უსასრულო განცდა, განუხორციელებელი ოცნებები აქვს.

– ხომ არ გქონიათ შემთხვევა, რეჟისორს ეთქვა, ეს როლი შენთვის შევქმენიო?

– 1991 წელს რუსთაველის თეატრში ვითამაშე ირაკლი სამსონაძის პიესაში „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ ლიდას როლი, რომელიც ერთ–ერთი უსაყვარელესია ჩემთვის, ჯილდოც დავიმსახურე, პრიზი წლის საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის, რეჟისორები რობერტ სტურუა და გოგა თავაძე არიან. წარმატება მომიტანა თანხვედრამ მსახიობსა და რეჟისორებს შორის. მივუახლოვდი ჩემს სახეს. შემდეგ იყო ირაკლი სამსონაძის პიესაში: „იქ, სადაც ღვარად მიედინება“ მარინას როლი, ამაზე კი მითხრა დრამატურგმა, ეს როლი შენთვის

შევქმენიო. გამორჩეულად მიყვარს, ჩემეული როლები: მარიამ სტიუარტი, ბერნანდა ალბა, საპოჟნიკოვა – „ლურჯა ცხენები წითელ ბალახზე“, კიტი – „დაკრძალვა კალიფორნიაში“, ლოლა – „რომაული კომედია“, ევა ბრაუნი – „ასერგასის დღე“, ნატო – „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, რებეკა – „კვაჭი კვაჭანტირაძე“, კანცატე – „ქალი გველი“, ნათელა აბაშვილი – „კავკასიური ცარცის წრე“, კლარა – „ნახვის დღე“, სუტკნეინა – „კაცია ადამიანი?!“, ვიოლა – „შექსპირის მე–12 ღამე“ და სხვა.

– რომელი ჟანრი უფრო გიყვართ, კომედიური თუ ტრაგიკული?

– ოც წელზე მეტია სცენაზე ვარ, უფრო დრამატული როლები მაქვს განსახიერებული. იყო ტრაგიკომედიურებიც. შარშან სარდაფის თეატრში მიმიწვია ციცინო კობიაშვილმა იტალიელი დრამატურგის დარიო ფოს პიესაში „თავისუფალი სიყვარული“, ვასიკო ოდიშვილთან ერთად კომედიური როლი ვითამაშე. თავი აქაც მოვსინჯე, მთელი სიამოვნებაა, როცა მაყურებელი ხალისობს.

– თითოეული ჩვენთაგანი მარტოობისთვისაა განწირული. დაბადებიდან სიკვდილამდე მარტონი ვართ. სიცოცხლის ბოლო წლები ბევრისთვის ტრაგედიაა. მართალია, თქვენ ამისთვის ძალიან ახალგაზრდა ხართ, მაგრამ გააჩნია ადამიანის ბუნებას, ამაზე ბავშვებიც ფიქრობენ. რას ფიქრობთ სიცოცხლეზე?

– თქვენ ისეთი კითხვა დამისვით, შეიძლება ამაზე ფილოსოფიური ტრაქტატი დაიწეროს. ფაინა რაინევსკაიას სიტყვებია – „სიცოცხლე დედის საშოდან საფლავამდე გაგრძელებული ნახტომია“. მას ჰქონდა ზედმიწევნით საინტერესო ცხოვრება. მთელი ჩვენი ცხოვრება ბრძოლაა, ზოგი მკაცრი მეთოდებით იბრძვის, ზოგი ლოიალურია, ზოგიც ვერ უძლებს წინააღმდეგობებს და უფსკრულში იძირება. მართალია, ამაზე ზოგი ბავშვობიდან ფიქრობს, აცნობიერებს სამყაროს, აკვირდება გარშემომყოფთ, იწყებს ფიქრს იმაზე, რა იქნება, რომ აღარ იქნებიან

მშობლები, ისადგურებს შიში, მართალია, ქრისტიანები ვართ და უნდა გვწამდეს სულის უკვდავება, მაგრამ მარტოობის შიში ადამიანის თანმდევია. მიყვარს ხალხში ტრიალი, ზოგჯერ მარტოობაც ფუფუნებაა, მარტოობაში ყალიბდება ხასიათი.

თქვენთვის რომელ რეჟისორთან მუშაობაა სასიამოვნო, არა აქვს მნიშვნელობა – თეატრსა თუ კინოში?

– ჩემი გზის გამკვლევი ბატონი რობერტ სტურუაა. ერთი წელი ჩემი პედაგოგი იყო. რუსთაველის თეატრში მისი შემწეობით მოვხვდი. მეოთხეკურსელი, შატროვის პიესაში „ლურჯა ცხენები წითელ ბალახზე“ მთავარ როლში მათამაშა. ეს ჩემი უსაყვარლესი როლია. თეატრის მთელი დასი გულისფანცქალით ველით მის ახალ შედევრებს, გვინდა ჩვენი პატარა წვლილი შევიტანოთ მის სპექტაკლებში, მან ბევრი როლი მაჩუქა, გამოვყოფ კორდილიას „მეფე ლირში“. მან გვაზიარა რუსთაველის თეატრის ტრიუმფალურ სვლებს, მის გვერდით გატარებული ყოველი დღე უდიდესი სკოლაა. ასევე მადლიერი ვარ ავთო ვარსიმაშვილის, გოგა თავაძის, გოჩა კაპანაძის, თეატრის გამო, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, კინოს ბევრ როლზე ვთქვი უარი, თეატრი ჩემი მეორე სახლია. ბედნიერი ვარ, რომ ვთანამშრომლობდი ისეთ კინორეჟისორებთან, როგორებიც არიან: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, ომარ გვასალია, ნანა ჯორჯაძე, როიზმანი, გია მატარაძე. გიამ შვიდი ფილმის გადაღება მოასწრო, გამოვარჩევ „მოკვეთილს“, „შვიდი მოთხრობა პირველ სიყვარულზე“, რომელმაც უამრავი ჯილდო მიიღო, ფილმი რაჭველებზე – „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“.

„იმედის“ არხმა აჩვენა სცენარისტ ნინო ბასილიას მრავალსერიანი ფილმი „მტვრის გემო“, სადაც მთავარ როლს ვასრულებ, დამდგმელი რეჟისორი დათო ჯანელიძეა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ ჯგუფში მოვხვდი. ჩემი დუბლიორი შიშველი რომ ვნახე, დათოს ვუსაყვედურე. სხვა ქვეყანაში რომ ვიყო, ნამდვილად გიჩივლებდი, არ გაპატიებდი–მეთქი, რა მექნა, ჩემსა

და რეჟისორს შორის არავითარი კონტრაქტი არ გაფორმებულა და დავთმე.

რამდენიმე კინოროლი მინდა აღვნიშნო: მანანა – „უმცროსი და“, ალტისიდორა – „დონ კიხოტი“, ელენე – „ყვითელი ჩიტი“, ქეთი – „გამოცხადება“, გულსუნდა – „მოკვეთილი“, მარინა – „მოდი, ვილაპარაკოთ“, მანანა – „ქართველები ცაში“, სერაფიმა – „მონანიება“, გერონტიუსი – „ათას ერთი სიყვარული“ და მრავალი ტელეფილმი.

– რა ნიშნით ირჩევთ მეგობრებს?

– მეგობრობის რეცეპტი არ გამაჩნია. ჩემი მეგობრები სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები არიან. მეგობრობა როგორც სიყვარული, ამოუცნობი რამაა, როცა ურთიერთინტერესი და პატივისცემა ქრება, სიყვარულიც მთავრდება, ასევეა მეგობრობა, ერთგულების გარეშე არც მეგობრობა არსებობს. ღმერთო, მიმრავლე ჭეშმარიტი მეგობარი, დამიფარე ცრუ მეგობრებისგან!

– საინტერესოა თქვენი აზრი ასე მომრავლებულ ტელეფილმებსა და კლიპებზე?

– სერიალი ან კლიპი თუ პროფესიონალური თვალსაზრისით დაბალ დონეზეა შესრულებული, რა თქმა უნდა, მაყურებლის ასეთით დაინტერესება დაბალ გემოვნებაზე მიგვანიშნებს. ტელევიზიის ხელმძღვანელობამ უარი უნდა თქვას მათ შესყიდვაზე. კლიპებზე საინტერესო, ნიჭიერი, გემოვნებიანი რეჟისორები მუშაობენ, კინოს წყურვილს ვიკლავთ ამით, დღეს მსოფლიოში აღიარებული ქართული კინო მიცვალებულ მდგომარეობაშია, ძვირი ფუფუნება გახდა.

– როგორც შემოქმედი, პოლიტიკური კატაკლიზმების მომსწრე, როგორ უყურებთ ამდენი ანგარებიანი ადამიანის მომრავლებას, სხვისი ლუკმის წამართმევთ, როცა ირგვლივ ამდენი მაწანწალა, მშიერია?!

–შემზარავი ფაქტია, თუმცა, ძალადობის მომხრე არა ვარ, ბუნებით ლოიალური პიროვნება გახლავართ. კორუფცია აყვავებულ ქვეყნებშიც ფესვგადგმულია. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, იგი დამღუპველი

გახდა. არავინაა იმის მომხრე, რომ არსებული სიტუაცია არ შეიცვალოს და არ აღმოიფხვრას. მისი შედეგი, რომ ჩაკვდა ქართული კულტურა, არ არსებობს კინო, არ იბეჭდება წიგნი, ვერ იდგმება სპექტაკლები, ერი კატასტროფამდე კორუფციამ მიიყვანა, გზა გაუხსნა ქურდობას, ბანდიტიზმს. საბედნიეროდ, მისი აღმოფხვრა დაიწყო.

– თუ საიდუმლო არაა, გაგვიმხილეთ, პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილი აკადემიური კონცერტის წამყვანად თქვენ და ზურა ყიფშიძე რა ნიშნით აგირჩიეს?

– შეიქმნა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებით დაკომპლექტებული სერიოზული კომისია. თავიდან ფიქრობდნენ წამყვანები ახალგაზრდები ყოფილიყვნენ. საბოლოოდ შეიცვალა აზრი და ჩვენ დაგვამტკიცეს. ჩაცმულობაზე იზრუნა მხატვარმა გიორგი ნადირაძემ. დიდი მსჯელობა იყო ჩემს კაბაზე, მე უფრო აკადემიურ სტილს ვამჯობინებ, ის კი ვარდების რევოლუციის სიმბოლოდ აღიქმებოდა, რაც შეეხება ზურას, ისე ვღელავდი, არ შემიხედია რა ეცვა, ფრაკი თუ სმოკინგი.

– ასეთი მშვენიერი, მომხიბლავი, ნიჭიერი მარინა კახიანი რას ფიქრობს მომავალ ბედზე, ახალგაზრდა დაჩაგრა ბედისწერამ, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა – „მთელი ცხოვრება მარტო არ დავრჩებიო“.

–კარგია, რომ ეს კითხვა დამისვით და საშუალება მომეცა, გამოვხატო წყენა, ჟურნალისტმა არასწორად გაიგო ჩემი ნათქვამი: რომ არ არის სასურველი ქალი მარტო იყოს-მეთქი. წლებია მარტო ვარ, მქონია შემოთავაზებები, თავს ვერ მივეცი უფლება, ახალი ცხოვრება მომეწყო, არა იმიტომ, რომ ვინ რას იტყოდა, ვერ შევხვდი მეორეს გიასნაირს. ჩემი ვაჟი ვათა ოცდაორი წლისაა, ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ. გია ხუმრობდა – ვათას ჰგონია მარინა მისი დაა, მთელი უბედურებაა, მარინასაც ჰგონია ვათა მისი ძმააო. პატარაობისას რუსთაველის თეატრის რამდენიმე სპექტაკლში ითამაშა, არ მოიწამლა სცენის მტვრით, იურიდიული განათლება მიიღო, ახლა ფიქრობს მამის კვალს გაჰყვეს, კინორეჟისორი გახდეს.

– ამ დღეებში სამოცდამეთექვსმეტეჯერ, 55 ქვეყანას უჩვენეს ოსკარის დაჯილდოების შოუ–ბიზნესი. მოგეწონათ?

– თავიდან ბოლომდე ვუყურეთ მე და ვათამ. დაგვრჩა უკმარისობის გრძნობა. მსოფლიოში ცნობილი ისეთი ოსკაროსანი ფილმების გვერდით, როგორიცაა: „რომაული არდადეგები“, „ქარწაღებულნი“, „მამაცი გული“, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „ტიტანიკი“ და მრავალი სხვა, წლევანდელი თერთმეტოსკაროსანი „ბეჭდების მბრძანებელი“ არ მესმის, რა ნიშნით შეირჩა. უინტერესო, არაფრისმთქმელმა, უღიმღამო ოხუნჯობებით გაჯერებულმა მთელი ღამის გადაცემამ დიდი ვერაფერი სიამოვნება მოგვანიჭა.

უსათუოდ, ფართო მაყურებელიც ასე ფიქრობს!

2004 წ.

ჩემი ვარსკვლავი გაბრწყინდება

ჯანო ბაგრატიონს, სახელოვან ქორეოგრაფს მკითხველთან წარდგენა არ სჭირდება. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს მის მომხიბლავ შვილიშვილს ლიზასაც.

– ლიზა ორიოდე სიტყვა თქვენს დიდ ოჯახზე, ბაბუაზე გვითხარით. ბაბუა კარგად გახსოვთ?

– ათი სული დიდხანს ერთად ვცხოვრობდით. ასე უნდოდა ბაბუას. გაუგებრობა არასოდეს გვქონია, ბიძაშვილები ნინო და ეკა ნამდვილი დებივით მიყვარს. ბაბუას ოცნება იყო ერთი ვაჟი შვილიშვილი ჰყოლოდა, არ გაუმართლა. ყველაზე ნაბოლარა მე ვარ, ნებიერა. ასე მეგონა ყველაზე მეტად მე ვუყვარდი, შეიძლება არც იყო ასე, მაგრამ... ჩუმად მაჭმევდა ნაყინს, შოკოლადის ფილა სულ ჰქონდა ჩემთვის გადანახული. ტკბილზე ტკბილი იყო ბაბუა. ოთხივეს შემოგვსხამდა ფანჯრის რაფაზე, უკრავდა დოლს, ჩვენ ვცეკვავდით, გაუთავებელი სიმღერა და მოლხენა იყო ჩვენს ოჯახში. ბაბუა იყო გამორჩეული თამადა, სუფრა ჩვენს ოჯახში ნამდვილი ფოიერვერკი იყო, სწავლობდნენ სიყვარულს, ერთმანეთის გატანას, კაცობას, იყო ჯანსაღი იუმორი. სათნო, ალალი, მოსიყვარულე, საწყალი გულის პატრონი, არ მახსოვს ვინმეზე აუგი ეთქვა. თუმცა გული ბევრჯერ დაუმსახურებლად ატკინეს, მეფის გვარის შთამომავალი ხარო, გასაქანს არ აძლევდნენ. არ ეპუებოდა, რამდენიმე ანსამბლი ჩამოაყალიბა, არცერთი არ შეარჩინეს, ყველა დაშალეს და გაუუქმეს. ნიაზ დიასამიძე გახუმრებია, შედით კომუნისტურ პარტიაში, იქნებ დაიშალოსო. არცერთ პარტიას არ გაკარებია. ერთხელ თბილისში თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვეს, თამარ ციციშვილი მოსკოვიდან დააბრუნეს, როგორც პოლიტიკურად „არასანდონი“. არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა, რესპუბლიკას არ გასცდენია. არ გვახსოვს

ხმისთვის აეწიოს, წონასწორობა დაეკარგოს, ნუთუ არაფერი ადარდებდა? ბაბუა თავისი გვარიშვილობით ნამდვილად ამაყობდა, თავდაჭერაც სხვანაირად იცოდა, დედაც კარგი წარმომავლობის ჰყავდა – ოლღა ამირეჯიბი. კარგად მახსოვს, სულ სამსახურს ეძებდა, გზები მისთვის გადაკეტილი იყო. ჭეშმარიტი, ეროვნული ქორეოგრაფი იყო. ბაბუაჩემის და თამარი ნიკოლო მიწიშვილის მეუღლე გახლდათ; ყოველ დღესასწაულზე ბაგრატიონები მათთან იკრიბებოდნენ. ერთხელ საზღვარგარეთულ პრესაში სენსაციისათვის დაიწერა, საქართველოში მეფის შთამომავალი ქორეოგრაფია, ნამდვილი ცეკვის ჯადოქარიო, მისი მოღვაწეობა ასეთი მწირი ინფორმაციით იფარგლებოდა.

– ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?

... მამაჩემი გიორგი – ინჟინერია, დედა – ეთერ ბაქრაძე – პედაგოგი, და თამუნა ფეხბურთელ მიხეილ ყაველაშვილის მეუღლე, ორი შვილით ციურიხში ცხოვრობს.

– როდის დაიწყეთ სიმღერა; სიმღერა სპეციალობაა თუ ჰობი?

– ინგლისური ენის სპეციალისტი გახლავართ. არცთუ ურიგოდ ვფლობ ენას. სხვადასხვა მისიით სამჯერ ვიყავი ამერიკაში. პირველად 14 წლისამ კონკურსში გავიმარჯვე, სამი თვე ვცხოვრობდი ოჯახში ნიუ–იორკში. სიმღერაზე რაც თავი მახსოვს, ვოცნებობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ისე, ჩემთვის ვმღეროდი ვიწრო წრეში, მეგობრებში. სცენა კარგა ხანს აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. ყველაფერი კი ბუნებრივად მოხდა...

... ზოგჯერ რომ დავფიქრდები, ასე მგონია ორი რამისთვის თუ ვინატრებდი სიკვდილს – თუ დედობა არ მიწერია ან ვერ ვიმღერებ. თუ ერთხელ სცენაზე მდგარხარ, ტაში დაუკრავთ, ამას ვერასოდეს შეელევი. თუმცა არავითარი პრეტენზია არა მაქვს სცენის. ჩემზე უკეთ ვინ იცის ჩემი შესაძლებლობა, თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, ყველა ემოციის გამოვლენა მხოლოდ სიმღერით შემიძლია. ამისათვის ბევრი რამ შემასწავლა

გიული დარახველიძემ.

... ჰო, სიმღერაზე მკითხეთ... ბიძაჩემ ჯანოზე გადაცემა იყო. მე და ჯანომ ერთად ვიმღერეთ გურამ ბზვანელის „ში-ში“, გურამმა თავის შემოქმედებით საღამოზე მიგვიწვია – ჯანო ბაგრატიონი, ეკა მამალაძე, გოგი დოლიძე და მე. თავი უმწიფარი მეგონა. ვღელავდი, მუხლები მიკანკალებდა. ვინ იცის, სახეზე რა ფერი მედო. კულისებიდან მამხნევებდნენ, დიდი ტაში დავიმსახურეთ. აქედან გავთამამდი, გზა გამეხსნა. მალე ჯემალ სეფიაშვილმა კონცერტი გამართა „ბრავო, მაესტრო“, მე და მამუკა ჩარკვიანმა პირველად მაშინ ვიმღერეთ „მუხამბაზი“. ჯემალი პატარაობიდანვე მათამამებდა, მომღერლობას მიწინასწარმეტყველებდა, მის ქალიშვილთან ცისანასთან ვმეგობრობდი. ბედი ნამდვილად მწყალობს. ამას მოჰყვა მამუკას შემოქმედებითი საღამო. ბასა ფოცხიშვილი ისე არ გააკეთებს კონცერტს, არ მიმიწვიოს. გული მტკივა, დღე არ გავა, რადიომ ჩემი და მამუკას დუეტი არ გაიმეოროს. მეტისმეტი მეჩვენება, მსმენელს უნდა მოენატრო, არ უნდა მობეზრდე.

– მართლაც მშვენიერი დუეტია – ლიზა ბაგრატიონი და მამუკა ჩარკვიანი. კიდევ ვინ არის თქვენი პარტნიორები?

– ბიძაჩემი ჯანო, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი... ყველანი სხვადასხვანაირები არიან. თემურისთან უფრო ლირიული დუეტი გამომდის, ჩემეული. მომღერალი ფონოგრამის გარეშეა პოპულარული: „ორერას“ და „ივერიას“ იმიტომ ჰყავდათ ბევრი თაყვანისმცემელი, რომ ცოცხალ ორკესტრთან მღეროდნენ.

– ლიზა, მაინც რა არის თქვენთვის სიმღერა, პოპულარული ხომ სიმღერით გახდით?

– რა პოპულარული მე ვარ. ძალიან მიყვარს მეგობრებთან, სუფრასთან, ბუხართან წყნარი, ლირიული სიმღერები. თუმცა არ ვპირფერობ, სიმღერა ჩემთვის ყველაფერია, წლების აუხდენელი ოცნებაა.

– რაიმე ახირება, უცნაურობა თუ გაქვთ. რა არის თქვენი

ძლიერი და სუსტი მხარე?

– ეს ალბათ დედაჩემს უნდა ჰკითხოთ. ვარ ზედმეტად ენერგიული, ხმაურიანი, დამღლელი. ოჯახის წევრებს ვქანცავ ჩემი აქტიურობით, მოუსვენარი ბუნებით.

დედა – ეთერ ბაქრაძე: ჩემი შვილები სრულიად განსხვავებულები არიან. ლიზა უფო პირდაპირი, მიზანსწრაფული და პრინციპულია, ამავე დროს ემოციური, ლაღი და არათავხედი ბუნებისაა. როცა საჭიროა, უკან დახევაც იცის, ბოდიშსაც მოიხდის, თვითკრიტიკულია, ნამდვილი მეგობრის ფასი იცის, თუმცა განწყობილებას ადვილად იცვლის, თუ რაიმე ამოიჩემა, აუცილებლად უნდა შეისრულოს.

– მშვენიერი გარეგნობა, ლამაზი სული, გვარიშვილობა, რას გვეტყვის ლიზა ბაგრატიონი პირად ცხოვრებაზე?

– ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. იმდენად იმპულსური და ემოციური ვარ, ამინდიც კი მოქმედებს ჩემს განწყობაზე. როგორც დედამ გითხრათ, ადვილად არ ვექცევი სხვისი გავლენის ქვეშ. ვერ ვიტყვი, რომ უბედო ვარ. მყვარებია და ვყვარებივარ. ისეთი დღეები მქონია, ასი ქალი ვერ ინატრებდა. იმედი მაქვს, ჩემი ვარსკვლავიც გაბრწყინდება. მყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, მასთან გატარებული დღეები დაუვიწყარია, მაქვს სასიამოვნო მოგონებები. ტრადიციულ ოჯახში შევედი, ორ წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე მათგან. ისევ მიყვარს დედამთილი, მამამთილი, ვმეგობრობ მულთან. როცა მენატრებიან გავრბივარ მოსანახულებლად. როცა რაიმე მჭირდება, ჩემს ყოფილ მეუღლეს გიორგის ვურეკავ. ამას იმიტომ კი არ გიამბობთ, რომ ვინმემ ჩემზე თქვას, ეს რა კარგი გოგო ყოფილაო, ან რა ორიგინალურად აზროვნებსო, სინამდვილეა. ბუნებრივად მოხდა ყველაფერი. იყო გაუგებრობა და დავშორდით. არ ვნანობ, კანონზომიერად მიმაჩნია, განა ღირს, ცხოვრება გაიმწარო?

ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა ყველანი კარგად მყავდნენ, ჯანმრთელად. ბევრი კარგი სიმღერა შევასრულო.

ვუყვარდე და მოვწონდე ჩემს მაყურებელს, თუმცა ქალისათვის მთავარი ოჯახი, დედობაა, მას ვერაფერი შეედრება.

* * *

სიყვარულით გარემოსილი, ლაღი და მიმზიდველი ლიზა ბაგრატიონი არ ჩქარობს პირადი ცხოვრება აიწყოს, კმაყოფილია ბედით, სულაც არ ნანობს ღირსეული ოჯახის – ლეონიძეების ყოფილ რძლობას. რაღაცაზე იქნებ გულიც ტკივა, არ გვიმხელს, თუმცა მოჭარბებულად გულახდილია, ნამდვილი თანამედროვე ქალია. ინტელიგენტური მოკრძალებით, მისთვის დამახასიათებელი ღიმილით მთხოვა, ლიზიკო არ დაწეროთ, არ მიყვარს. დიდი ბებიის სახელი – ლიზა ბაგრატიონი მქვიაო.

ნამდვილად კარგად ჟღერს!

2000 წ.

ადამიანი ერთ მუზას უნდა ემსახურებოდეს

ნათია გოგოჭურის და ზაზა კოლელიშვილის ოჯახი – ხუთი შვილი, სიძე, ორი შვილიშვილი, მარად მაძიებელი სულის ცოლ–ქმარი. ხალისიანად, იუმორში ვსაუბრობთ. ზაზა ავტოგრაფით, სახელდახელოდ შესრულებულ ჩანახატს მიტოვებს. ერთი ნახვით ემჩნევათ ყოველმხრივ სამაგალითო წყვილია.

– ბატონო ზაზა, თელავში გამორჩეულია თქვენი ოჯახი: მამა ვიქტორ კოლელიშვილი, დედა – ჩვენი კოლეგა ნუნუ მატარაძე ნიჭიერი, საინტერესო ქალბატონი, რაიონული გაზეთის წამყვანი მუშაკი, ბიძა ცნობილი კინორეჟისორი, ადრე წასული გია მატარაძე, სინდის–ნამუსიანი წინაპრები. ბედნიერი ბავშვობა გქონდათ?

– ნანატრი ბავშვი ვიყავი, პირველი შვილი, პირველი შვილიშვილი, მშობლები, ხუთი ბებია თავს მევლებოდნენ. ყველანი ჩემს განკარგულებაში იყვნენ, სულ ჩამესმოდა – რა ვაჭამოთ, რით ვასიამოვნოთ, სად წავიყვანოთ. ჩემს მსახიობად, კაცად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ბიძაჩემმა გიამ იკისრა. ჩემზე თექვსმეტი წლით უფროსი იყო, ადრე გარდაიცვალა, მაინც ბევრი მოასწრო.

– თქვენ ხომ პერსპექტიული სპორტსმენი იყავით?

– ხელბურთზე დავდიოდი. საქართველოს ჩემპიონი ვიყავი კრივში, ადრევე მივხვდი, ადამიანი ერთ მუზას უნდა ემსახურებოდეს. მაშინდელი გადასახედიდან მეგონა ვქმნიდი, ახლანდელით – ვფიქრობ ვაკეთებდი, სულ რაღაცას ვაკეთებ.

– არც თუ ისე ურიგოდ ხატავდით...

– ძიების წლებია ასეთი. დავამთავრე ფილოლოგიური ფაკულტეტი, სახვით ხელოვნებაში, ქანდაკებაშიც ვცადე ბედი. სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა დავამთავრე

თეატრალური ინსტიტუტი.

– როგორ აღმოგაჩინეს? ცეცხლოვანი, ენერგიული, ქართული ტრადიციების მიმდევარი შეთე თქვენი პირველი როლია. რა მოგიტანათ ფილმის რეჟისორთან მუშაობამ, როგორ მოხვდით ამ ბრწყინვალე მსახიობთა თანავარსკვლავედში?

– გიას წყალობით. თელავში „ნატვრის ხის“ ტიპაჟის შესარჩევად ჩამოვიდნენ: ბატონი თენგიზ აბულაძე, რეზო კვესელავა, რევაზ ინანიშვილი. ოჯახში მოვიწვიეთ. გია თენგიზის გამორჩეული მოწაფე გახლდათ. რამდენიმე ბიჭი შეგვარჩიეს, ჩემზე საგანგებოდ შეაჩერეს ყურადღება. მე და მაია, დუტა სხირტლაძის დედა, თელავის თეატრის კულისებში ვართ გაზრდილები. პატარაობისას „თევდორესა“ და „მედეაში“ პატარ–პატარა როლები გვქონდა ნათამაშები. შეთეს როლზე აუარებელი პრეტენდენტი იყო. გამიმართლა და ჩემი ბედიც ამან გადაწყვიტა. თვრამეტი წლის ვიყავი მაშინ, როცა ფილმი ეკრანზე გამოვიდა ოცისა, – უკვე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი. პარალელურად მიღებდნენ: გია დანელიას „მიმინოში“, „ამკლების დაბრუნებაში“, ლიტველი რეჟისორი მარიონის გედრისი „მტვერი მზის ქვეშ“.

ბედნიერი ვარ, სამ უძლიერეს, განსხვავებული სკოლის რეჟისორთან რომ მქონდა შემოქმედებითი ურთიერთობა. ბატონ თენგიზს ახასიათებდა უდიდესი ყურადღება და გულისხმიერება ახალგაზრდებისადმი; მთელი ბედნიერება იყო გია დანელიას სრულიად განსხვავებულ სამსახიობო სკოლასაც რომ გავეცანი. („შეთეა ჩვენი დამღუპველიც და აღმშენებელიც“ – კისკისებს ნათია).

– ხომ არ გწყინდათ ლამის მურტალო რომ შეგერქვათ ქეთი დოლიძის ფილმიდან „კუკარაჩა“, თქვენეული კეთილშობილება რომ შემატეთ მის უარყოფით გმირს. ნაწარმოების ავტორს იცნობდით?

– მადლობელი ვარ, რომ შეგნებული პერიოდი გავატარე ნოდართან. ყველაფერი იცოდა ჩემი, დიდი საიმედო დასაყრდენი დავკარგე. მისმა კეთილშობილებამ

გარდაცვალებისმერეციმოქმედაჩემზედაჩემსმომავალზე. მურტალოთი ახლაც მომმართავენ, კანონზომიერია, საწყენი ამაში არაფერია. ისეთი სახასიათო ტიპი შექმნა მწერალმა, დროს გაუძლებს.

– გადავუხვიოთ თემას და ჩვენი ჟურნალის პროფილს მივხედოთ – ჟურნალი ოჯახისა და ქალებისთვისაა. გყავთ სრულყოფილი ოჯახი, ყოველმხრივ მომხიბლავი მეუღლე, ხუთი ნიჭიერი შვილი, რომლებიც მიდრეკილები არიან მსახიობობისაკენ. რა სპეციალობა უნდათ?

– მშობლის ვალია, შვილებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს, აუხსნას, დააკვალიანოს, სულიერებისკენ მოუწოდოს. ადამიანი არ არის ქვის ან მუყაოს წარმონაქმნი, ყველაფერი თავიანთ თავს დააბრალონ, ჩვენი ვალია არაფერი დავაკლოთ. გოგონას მენეჯერობა სურს, ბიჭმა ბედი კინოში მოსინჯა, მოსწონს. ჩემი გზის გაგრძელება უნდა, ჯერ მსახიობობა, მერე რეჟისორობა.

– ქ–ნო ნათია, როგორი მეუღლეა ზაზა, სად გაიცანით, როგორ შეგიყვარდათ. ეჭვიანი ხართ, ასე მგონია მსახიობების მეუღლეებს, თანაც ასეთი პოპულარულის, მოუსვენარი ცხოვრება აქვთ. რა დამოკიდებულება გაქვთ მის პარტნიორ ქალებთან, თქვენ ხომ მისი სცენარების ხან ავტორი, ხანაც თანაავტორიც ხართ?

– ვთვლი, რომ ადამიანმა უნდა გაიაროს ბავშვობის, გოგოობის, სიყმაწვილის წლები და მერე მოეკიდოს ოჯახს, რამეთუ ქალისთვის მთავარი ოჯახია. გამოკვეთილად აქტიური ვიყავი, რასაც კანონზომიერებას მივაწერ, მამა – დავით გოგოჭური პროფესორი, ფოლკლორისტი იყო. ჩენ ოჯახებით ვმეგობრობდით, მე–9 კლასში ვიყავი, როცა ზაზა დედასთან ერთად თელავის ქუჩაში გავიცანი. ნუნუს უთქვამს, ნახე, რა კარგი გოგოაო. შემდეგ შევხვდით თეატრალურ ინსტიტუტში, არა როგორც უბრალო ნაცნობები, დავმეგობრდით, ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. თავად მსახიობმა კარგად ვიცი, რა არის პარტნიორი, არასოდეს მქონია ეჭვიანობის პრეცედენტი.

როცა ადამიანი გიყვარს, გიყვარს მისი წარსულიც და აწმყოც, პლიუს–მინუსებიანად. რომელიმეს გაიდეალება არაა საჭირო. მყავდა არაჩვეულებრივი დედამთილი, მტერ–მოყვრის შეკავშირების დიდოსტატი, ახლა უფრო განვიცდი უმისობას, როცა აღარ არის, ვნატრობ ენახა ჩვენი ოჯახი, შესწრებოდა ზაზას წარმატებებს, შვილიშვილებს დააკლდათ უფრო. ბედნიერია ნინო, მასთან იზრდებოდა, გაამართლა, იმხელა სითბო და კეითლშობილება მოდის მისგან. პატივს ვცემ ოჯახს. მის ტრადიციებს, ასევეა ზაზა. ემანსიპირებული ქალი არა ვარ.

მაღიზიანებს, როცა ქალი იტყვის, მეტ შვილს ვერ გავაჩენ, პირობები არა მაქვსო. ყველა ერთი შვილის დედა ეგოისტია. სიბერისთვის უნდა ის ერთი, წყლის მიმწოდებლად.

– რას საქმიანობთ, რითი ხართ დაკავებული, როგორ ართმევთ თავს ამ შეჭირვებულ ყოფას, ვინ გეხმარებათ, ფაქტიურად დღეს ხომ არ არსებობს ქართული კინო?

– ნათიას უჭრის კალამი, აქვს ორგანიზატორული ნიჭი. ტელეიმედმა გვიხსნა, – ოთარ შამათავამ და ბიძინა ბარათაშვილმა. თითქმის არ გავჩერებულვართ, სულ ვმუშაობთ ფილმებზე, კლიპებზე, რეკლამებზე. ამ არხმა ბევრი ნიჭიერი, დაუსაქმებელი ადამიანი დაასაქმა, შემოქმედებითი შიმშილისგან იხსნა ინტელიგენცია. ზოგან კარსაც არ გიღებენ, პოპულარული ქართული კინოს ეტაპი დამთავრდა, ახლა სხვა სახით, სხვა ტექნოლოგიით იქმნება ახალი. გვერდში გვიდგას სტუდენტობისდროინდელი სამეგობრო. უშურველად გვეხმარებიან: ვაჟა ლორთქიფანიძე, ავთო საყვარელიძე, გივი ასათიანი, ნუგზარ ფალიანი, ჩვენ რომ რაიმე გაგვიჩნდება, სხვებსაც ვუწილადებთ. ზოგჯერ სხვისი პატივისცემითაც იღლები.

– ზაზა ბატონო, ბევრმა ჩვენმა სახელოვანმა კინორეჟისორმა თავი მიანება კინოს და გადაინაცვლა პოლიტიკაში. ამ წინასაარჩევნოდ რომელიმე პარტიამ ხომ არ გადაგიბირათ?

– არანაირი სურვილი არა მაქვს გაპარლამენტარების.

მირჩევნია ვიყო აპოლიტიკური, არავის ვეკარები, თუმცა თითქმის ყველა პარტიაში ჩვენი მეგობრებია. ჩემი პოზიცია კი ნამდვილად მაქვს, არც პოზიცია და არც ოპოზიცია არ ითვალისწინებს ჩემს პოზიციას. ერი უნდა გადარჩეს. ჩვენ ნელ–ნელა ვშენდებით, ერი ამბობს თავის სიტყვას, ამის არდანახვა უსინდისობაა. 50 წელიწადში მსოფლიოში ერთ–ერთი ბებერი ერი ვიქნებით. ხან რომანტიკოსი ვარ, ხანაც სენტიმენტალისტი. ოცნებაში ყველა რომანტიკოსია.

– ნათია, ბედნიერი ხართ, მრავალრიცხოვანი ოჯახის თავქალი უპრობლემო ვერ იქნებით. რაზე გტკივათ გული, რის გამოსწორებას ინატრებდით?

– მცნება ბედნიერება ზოგადია. გააჩნია, ვინ რაში ხედავს მას. ბედნიერება პური არაა, გახვიდე და იყიდო. ვიღაცისთვის ავტომანქანა, ფუფუნების საგნები, ფული, სახლია ბედნიერება. ჩემი ბედნიერება ჩემი ოჯახი, ჩემი შვილები, ჩემი და ზაზას შემოქმედებაა. საკვები პრობლემაა, უიმისობას უბედურებას ვერ დავარქმევ. ვიცი, შვილები კარგები დაიზრდებიან, ამისი მონაცემები მათში არის. ვდარდობ, რომ რაიმე არ დავაკლო, უსახსრობის გამო გული არ ეტკინოთ. ბედნიერებაა ჩემი მეგობრები, მათთან ყოფნა, არასოდეს მაქვს უკმარისობის გრძნობა. უბედურება არაა, რომ შუქი არაა და ტელევიზორს ვერ ვუყურებთ. მე თუ მკითხავთ, დიდი სიამოვნებაა, როცა სანთლის შუქზე საღამოს მთელი ოჯახი ერთად ვართ, ვხალისობთ, ურიგო არ იქნება ჩვენი მთავრობაც რომ იჯდეს ხანდახან სანთელთან, გაუფაქიზდებათ და დაეხვეწებათ სული ფიქრისთვის, დადებითი მუხტისთვისაა სანთელი შექმნილი.

– ზაზა, თქვენს შემოქმედებას მივუბრუნდეთ. რა არის „ოტელო საქართველოში“, კერძოდ „ოტელო კახეთში“. რა ორიგინალური სათაურია, ვისია სცენარი?

– საავტორო ფილმების ტელე „იმედის“ მთავარი პროდიუსერის ოთარ შამათავას პროექტია. სულ ექვსი ორმოცწუთიანი ფილმია. შიდა ქარგა „ოტელოდანაა“, დღევანდელობასთან მისადაგებული. თითო ფილმს

იღებს თავისი რეჟისორი: ბ–ნი მერაბ კოკოჩაშვილი, გოდერძი ჩოხელი, ნანა ჯანელიძე, პაატა მილორავა, ოთარ ლითანიშვილი (უმცროსი) და თქვენი მონა–მორჩილი ზაზა კოლელიშვილი. ორი სცენარი ნათიასია. ნათია მრავალმხრივი პიროვნებაა. ჩემი თანამოაზრე, ყველაფერში სრულუფლებიანი პარტნიორი, ჩემი დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი, მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწირება ერთი შემოქმედი მეორეს. ფილმების ჩვენება ამ ტელეარხზე ექვსი დღე გასტანს. საინტერესო პროექტია. ჩემს ფილმში – „ოტელო კახეთში“ ჩვიდმეტი მსახიობი მონაწილეობს: მარინა კახიანი, დუტა სხირტლაძე, თემურ ნაცვლიშვილი, ჯაპანა, დათო როინიშვილი, მივაგენით სესილია თაყაიშვილს მაგვარ ნაირა გელაძეს. კურიოზს და თავსატეხს დღევანდელ რეჟისორს რა გამოულევს, ფიქრს სმა–ჭამაზე, შუქზე, თავს ვერაფერს გავართმევდი, რომ არა კახეთის გუბერნატორი ბიძინა სონღულაშვილი. გადაღებები გურჯაანში გვქონდა, გაუთავებელი ქეიფების გამო თელავს შეგნებულად ავუარეთ გვერდი. გუბერნატორი ზედ გადაგვყვა, თითქოს თავის პრობლემებში არ იხრჩობოდეს, ლამის შეგვეწირა, მთელი გურჯაანი ჩვენთან აღამ–ათენებდა.

– თეატრში ხომ არ გიცდიათ ბედი?

– მე და ნათიამ რუსთაველის თეატრში დავიწყეთ მუშაობა. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი რობერტ სტურუას, რამაზ ჩხიკვაძის, იზა გიგოშვილის, თათული დოლიძის, ჟანრი ლოლაშვილის გვერდით...

– ზაზა, „ნატვრის ხე“, „კუკარაჩა“, „გარიგება“ – საყოველთაოდ აღიარებული, ნაკლებცნობილ ფილმებზე რას გვეტყვით?

– ვერ დაგეთანხმებით. მსახიობისთვის მეორეხარისხოვანი ფილმი, ეპიზოდური როლი არ არსებობს. ახალგაზრდების პრობლემებზე შექმნილ ფილმში „ისინი“ მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის ოქროს არწივი მივიღე. მიყვარს „დედუნა“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ (რეჟ. გოგი

ლევაშოვ–თუმანიშვილი), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ხარება და გოგია“. ფილმში „ომი ყველასათვის ომია“ – იაკობ ჯუღაშვილის როლი განვასახიერე. ჩვენი სამარცხვინო ომის დროს გამოვიდა ეს ფილმი და მაყურებელმა ნორმალურად ვერ მიიღო.

– ამბობენ, „გარიგება–2“–ის გადაღებას აპირებთ, სცენარი ვისია?

– პირველი „გარიგების“ სცენარი დედაჩემმა და ნათიამ შექმნეს. დედამ სიუჟეტი სცენარისათვის სინამდვილიდან, სასამართლო დარბაზიდან აიღო – კახეთში მოხდა ეს ამბავი. მიუნხენში ბისეკის ფესტივალზე რძალ–დედამთილმა სცენარისათვის პრიზი დაიმსახურა: მსახიობთა იგივე შემადგენლობა იქნება ამ ფილმის გაგრძელებაში. სცენარი ნათიასია: გახსნილი აქვს შპს „მაჭანკალი“, მარტოხელა მოხუცებს „აბედნიერებს“. ჩემი აზრით, პირველს აჯობებს.

– როგორია რეჟისორ ზაზა კოლელიშვილის თვალით შეფასებული მსახიობი ზაზა კოლელიშვილი?

– შესაძლებლობა რომ მომცა, სულ გადავიღებდი და გადავიღებდი. საქმე იმაშია, რომ რეჟისორ ზაზა კოლელიშვილს გაუთავებელი კონფლიქტი აქვს მსახიობ ზაზა კოლელიშვილთან - ვერაფრით ვერ რიგდებიან.

– თუ მაყურებლის თვალით ვიმსჯელებთ, თქვენი ყველა როლი ისეთი სრულყოფილი, მაღალი პროფესიონალიზმითაა შესრულებული, წუნს ვერ უპოვი, ამაზე თქვენი უამრავი ჯილდო და პრიზი მეტყველებს, მაგრამ მაინც ზოგჯერ უკმარისობის გრძნობა ხომ არ გაქვთ ხოლმე?

– ყველა როლის შემდეგ ვფიქრობ, რომ მეტი შემეძლო, ჩემი საუკეთესო როლი ჯერ არ მითამაშია. ეს ათი წელი „უნებურად“ დაგვასვენეს, მაქვს მოლოდინი რაღაც საუკეთესოსი, საკუთარ თავში ძიების გაუთავებელი პროცესი. მაქვს საინტერესო სცენარები, რომლებშიც ვითამაშებდი. ასაკის გამო უფრო ასაკოვანი როლები შემეფერება.

– რამდენ ფილმში მონაწილეობდით და რამდენი ფილმის რეჟისორი ხართ?

– 35 ფილმის მსახიობი გახლავართ, 20 როლი თეატრში განვასახიერე. ვარ ხუთი ფილმის რეჟისორი, აქედან ორი მხატვრულის და სამი დოკუმენტურის. რამდენიმე კლიპი და რეკლამაც შევძინე მაყურებელს. „უზბეკფილმში“ და „ტაჯიკფილმშიც“ მითამაშია.

– ქ–ნო ნათია, ბ–ნო ზაზა, როგორ აფასებთ თქვენს გავლილ გზას?

– ვთვლით, რომ ჩვენს ოჯახურ და შემოქმედებით ტანდემს შესანიშნავად გავართვით თავი.

– როგორი მამა ხართ?

– ვცდილობ, ხანდახან მკაცრი ვიყო, არ გამომდის. ნამდვილი იტალიური ოჯახი გვაქვს, დადებით ემოციებსაც ხმაურით გამოვხატავთ.

– ზაზა, თქვენ კიდევ ერთი გამორჩეული თვისებით დაგაჯილდოვათ ბუნებამ – შესაშური იუმორით, რაც ნიჭიერებიდან მოდის.

– თუ კახურ ხასიათზე ვარ, კაცი ვერ მომეკარება, გინებაც ვერ მოვიშალე. იყო დრო, იუმორს ვერ ვიტანდი, ან რა საიუმოროდ გვქონდა საქმე. ბედნიერი ვარ ძველ მეგობრებთან, სასიამოვნო გარემოში ისე ვგრძნობ თავს, როგორ თევზი წყალში, მაშინ მოიაზრება ზაზა კომედიურ ჟანრში.

– ნათია, ერთმა თანამედროვე ცნობილმა მხატვარმა ასეთი რამ თქვა, შვილი არ ვიყოლიე, შემოქმედებაში ხელი შემეშლებოდაო. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორი აღიარებული, დიდი მოღვაწეც არ უნდა იყოს ადამიანი, ოჯახია მისთვის უპირველესი თუ შემოქმედება?

– ეს ფრაზა კომპლექსის დაფარვის მიზნითაა ნათქვამი. ზოგისთვის შემოქმედება შვილის ტოლფასია. ტატიანა დორონინამ სამი ქმარი გამოიცვალა და შვილი არცერთთან არ იყოლია. ის ალბათ იმ მხატვრის ტიპს განეკუთვნება. ბატონ სერგო ზაქარიაძეს ჰკითხეს, თუ თეატრში როლი გაქვთ და იმ დროს პელე თამაშობს,

რომელს ირჩევდიო? რა თქმა უნდა პელესო, – უპასუხა დიდმა მსახიობმა. ჩვენთვის პირველი ოჯახია, მის გამო გვიხარია ცხოვრება, შემოქმედებითი წარმატებები. ჩემი ყველაზე დიდი შედევრები ჩემი შვილები – სამი გოგონა, ორი ბიჭი და ორი შვილიშვილია. ქმარ–შვილის გამო მივატოვე რუსთაველის თეატრი, ჩემი თითოეული შვილი ჩემს პრემიერაზე მეტია. ზაზა იმდენად ნიჭიერი, საინტერესო, ყველაფრის მომცველია, რომ მისგან ვივსები. ნაკლებად ეგოისტი ვარ, შვილების და ზაზას წარმატებით ვხარობ. ვიქმნით ისეთ გარემოს, როგორიც გვინდა და მოგვწონს.

2003 წ.

ვისთვისაც მთავარი ოჯახი და მედიცინაა

*აუტანელი თბილისური სიცხის გამო ექიმების ერთ მშვენიერ ოჯახს ვესტუმრე აგარაკ ბაზალეთში. მომხიბლავი, ენაწყლიანი მოსაუბრე, მრავალმხრივ განათლებული ოჯახის ნამდვილი ბურჯი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სამედიცინო აკადემიის დოცენტი **გივი მაყაშვილი** აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის და პერინატოლოგიის ს/კ ინსტიტუტში მოღვაწეობს. აქვე მუშაობს მისი ვაჟიშვილი ლევანიც. მეუღლე - დალი ჯუღელი სტომატოლოგია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. რძალი ნატაც სტომატოლოგიას ეუფლება. ანანო და გივიკო ჯერ ისეთი პატარები არიან, არავინ იცის რა სპეციალობას აირჩევენ. არა მგონია ექიმების დინასტიას უღალატონ. ბატონ გივისთან მედიცინის გარდა ნებისმიერ თემაზე თავისუფლად შეიძლება საუბარი. ზედმიწევნით ყურადღებიანი, ხელგაშლილი, პურ-მარილიანი ადამიანია. განსაკუთრებულ დღეებში საგულდაგულოდ გაშლილ სუფრაზე მაგიდის თავშია მისი ადგილი, თამადობაში ვერავინ შეედრება. არა აქვს მნიშვნელობა ჭირია თუ ლხინია სადაც გივია სხვა თამადა არ მოიაზრება.*

- ბ-ნო გივი, საქართველოში რამდენიმე გამორჩეული გვარია, თქვენი - ერთ-ერთი იმათგანი, მის წარმომავლობაზე რას გვეტყვით, მარო მაყაშვილის შთამომავალი ხომ არ ბრძანდებით?

- საქართველო მდიდარია არისტოკრატული გვარებით. უმეტესობა თავადაზნაურთა შთამომავალია... არის გვარები, რომელთაც დამსახურების მიხედვით ებოძათ წოდებები. მათ შორისაა მაყაშვილები.

ცნობილი ექიმის ვაჟმა იური ჩიქოვანმა შექმნა ქართული გვარების გენეალოგია. მე–4 ტომი ქართველი თავადაზნაურებისადმია მიძღვნილი, იქ ვნახე მაყაშვილების გენეალოგიის ხე. მე–11 საუკუნეში როსებ მაყაშვილი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ყოფილა, ერთ რამედ ღირს, კაცი ამაყად რომ იტყვის, ჩემი ქმედებით გვარი არ შემირცხვენიაო. არ ვგულისხმობ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს, რაც მუდამ არსებობდა თავადაზნაურთა წრეებში. ზემო მაყაანელი მარო და კოტე მაყაშვილები იყალთოდან გახლდნენ. ჩვენ რუისპირელები ვართ. ეხლაც შემორჩენილია ჩენი საგვარეულო სამლოცველო თავისი გალავნით. ეს მამა-შვილი გვარის საამაყონი იყვნენ: მარო – სამშობლოსათვის თავშეწირული, კოტე – ქართული პოეზიის მშვენება.

– ოჯახის შექმნისას ფიქრობდით მეუღლეც სახელოვანი გვარიშვილი ყოფილიყო? ქ–ნი დალი თუ არ გვიწყენს, ახალგაზრდობაში როგორც გამიგია, მომხიბლავ მამაკაცად მიიჩნეოდით, ბევრისთვის სასურველ სასიძოდ.

– თუ ეს მართლაც ასე იყო, რასაც მეკითხებით, იმდროინდელმა ქალბატონებმა გაიხსენონ. პატიოსან მამაკაცთა კატეგორიას ვეკუთვნოდი. ბებიაჩემი ნინო ციხისთავი, თოჯინასავით ლამაზი ქალი, ამაყობდა თავისი წარმომავლობით, გვარიშვილობით, მაყაშვილების რძლობით. ჩაგვჩიჩინებდა გვარიშვილობა არ შეგვერცხვინა. დაწყევლილ 1937 წელში დავიბადე. ოცდაოთხიან წლებში დიდი უბედურება დაატყდა თავს ჩემს ოჯახს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბიძაჩემის ნათლია იყო, ჩვენი გვარი ლამის მიწასთან გაასწორეს. ერთ ღამეში თითქმის ერთიანად ამოწყვიტეს ვაჩნაძეები, ჯანდიერები, აბელიშვილები, ვახვახიშვილები, ჩოლოყაშვილები, ყარალაშვილები და ა. შ. პაპაჩემი იასონ მაყაშვილი ოთხი შვილის მამა, ჭკუასაკითხავი კაცი, მუდამდღე ელოდა აწიოკებას, თუმცა დიდ პატივს სცემდა მთელი სოფელი. ერთ ღამეს მას დააკისრეს ერთი ურემი ქალები და ბავშვები შუამთის ტყეში გადაეყარა. პაპაჩემმა

გმირობის ტოლფასი რამ მოიმოქმედა, ურემი სოფელს გაარიდა და სასიკვდილოდ განწირული ხალხი გააქცია. მეორე დღეს სოფელი ზეიმობდა „სისხლისმსმელი“ კონტრრევოლუციონერები მოვიცილეთო. პაპაჩემს მთელი სოფელი გადაეფარა და რაკი ამ უბედურებას გადაურჩა, გადარჩენილიშვილის გვარით გადანათლეს. ეს გვარი 1958 წლამდე შემოგვრჩა. ამ გვარით შეწირა თავი სამამულო ომს მამაჩემმა და ორმა ბიძამ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს დალი ჯუღელს, არც თუ ისე უბრალო გვარისშვილებია, მამა სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის კათედრის გამგე ჰყავდა, დედა – სტომატოლოგი, თვითონ ჩემი სტუდენტი იყო.

– როგორი ბავშვობა გქონდათ, ბრაზიანი იყავით, მუშტებზე იყურებოდით?

– კლასში ტანით ყველაზე პატარა ვიყავი. რომ არავის დავეჩაგრე, პატარაობიდანვე მივდევდი სპორტს. ტანვარჯიშში მაღალი თანრიგები დავიმსახურე. არასოდეს ვყოფილვარ კონფლიქტური, თუმცა თავის დაცვა შემეძლო. ამის ორ–სამ შემთხვევას გავიხსენებ, პირველად ცხრამეტი წლის ვიყავი, ჩემს ლამაზ დედას ქუჩაში რომ უღირსად შეხედეს ახალგაზრდებმა და მეორედ ინსტიტუტში სწავლისას უსამართლობამ ამაღებინა მუშტი.

– ბ–ნო გივი, დედაზე გვიამბეთ, ხშირად გითქვამთ, ჩვენ სხვანაირი დედა–შვილობა გვქონდაო.

– დედაჩემი თამარ ელოშვილი მოხევის ქალი გახლდათ. საოცრად თბილი, მოსიყვარულე. კახური სიჯიუტე და მოხეური ფეთქებადი ხასიათი ჭარბობდა მასში. სიმართლისმოყვარულს პირდაპირობა ახასიათებდა. 19 წლით უფროსი იყო ჩემზე. მამა ორმოცდასამში დაიღუპა, ოცდახუთი წლის დაქვრივდა. მან მთელი სიცოცხლე მე მომიძღვნა. სამაგალითო ქალობა გამოიჩინა. მამაჩემის მთელი ნათესაობა ჩენს ოჯახში იზრდებოდა. დიდი მეგობრები ვიყავით. უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. ომის დროს შუქშენიღბვა რომ დაიწყებოდა და პატრულის ხმა ისმოდა ქუჩიდან, ერთ საწოლში ერთმანეთს ჩაკრულებს

გვეძინა. ამხნის კაცს, რომ იცოდეთ, როგორ მენატრება! როცა გარდაიცვალა, ცრემლების არ მრცხვენოდა, ცრემლი კაცობის გამომხატველია ამ დროს, რასაც მივაღწიე, მისი უდიდესი დამსახურებაა. ჩამჩიჩინებდა კარგად მესწავლა, რომ არ დავჩაგრულიყავი. მისი სიყვარულით ვსწავლობდი თორემ, რომელ ბავშვს უნდა დღედაღამ წიგნებთან ჯდომა. ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით. 6 წელზე მეტია ის აღარ არის, გაუნელებელი სევდა დამიტოვა.

– ვიცი სცენის მტვრითაც იყავით ადრეულ ასაკში მოწამლული, თანაც საკმაოდ კარგად მღერით.

– როგორც ყველა ახალგაზრდა, მეც ვიყავი ამ სენით დაავადებული. ჩემს განუმეორებელ პედაგოგებს მიუძღვით ამაში „ბრალი“. თელავის I ვაჟთა სკოლა დავამთავრე. განთქმული პედაგოგები – ნინო ბოჭორიშვილი და თამარ მახარაძე მასწავლიდნენ. რა დამავიწყებს დავით გეგელიძის წაკითხულ „ვეფხის და მოყმის ამბავს“. ასაკობრივი ემოციები გაძლიერებული მქონდა მაშინ. ეს უსაშველოდ მაღალი, შავი, აწოწილი კაცი ულამაზესი მეგონა, ვბაძავდი, მინდოდა მასავით წამეკითხა. თელავი მდიდარი ტრადიციების ქალაქია. ვამაყობ თელაველობით. მისი თეატრალურობა ერეკლეს დროიდან მოდის. ჩვენი ქალაქის საამაყო მსახიობები გახლდნენ: ვახტანგ ჩელთისპირელი, პლატონ ახვლედიანი, თინა ბურბუთაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, დოდიკ სხირტლაძე, ქეთო და ვახტანგ ბოჭორიშვილები... ამ თაობამ გამზარდა. მათი ყველა სპექტაკლი ზეპირად ვიცოდი. ჩემი ჯგუფელია კაპელის უცვლელი ხელმძღვანელი გივი მუნჯიშვილი. დედას უნდოდა ექიმი გავმხდარიყავი, ამიტომ ჩემი მსახიობობის აუხდენელი ოცნება მას შევწირე. სამედიცინოზე მოულოდნელად ჩავირიცხე, ტაქსის მძოლს ძლივს გავაგებინე სად უნდა მივსულიყავი. გზა–კვალიც არ ვიცოდი ხეირიანად. მაშინ სამედიცინოზე მოწყობა ბევრისთვის მიუწვდომელი ოცნება იყო, ამიტომ მძღოლს შევეცოდე კიდეც – გზა არ იცის და მოწყობის იმედი გაქვსო? თეატრში წასვლა დღესაც

ზეიმია ჩემთვის. მთელი კვირა ვემზადები. ოპერაციას, ამ ჩემს ურთულეს და უმძიმეს საქმეს, ხელოვნების მუხტით ვაკეთებ.

– ბ–ნო გივი, ადამიანის თვისებებიდან მხიბლავს იუმორის გრძნობა, გონიერმა ადამიანმა, ჯანსაღი იუმორი ყველგან და ყველაფერში უნდა მოიშველიოს, რომ ცხოვრების წესი გაიხალისოს, თქვენ ადამიანის რა თვისებებით იხიბლებით?

– კაცის სიცოცხლე, რომელსაც ცხვირი ნიკაპზე უდევს და უჟმურია (როგორც რუსები ამბობენ), არაფრად ღირს. იუმორი ნახევარი სიცოცხლეა. ექიმი ვარ და ვიცი, როდესაც ადამიანი ხუმრობს, იცინის, მის სისხლში ისეთი სასარგებლო ნივთიერებები წარმოიქმნება, სიცოცხლეს ახანგრძლივებს, ააქტიურებს და ალამაზებს.

– ბევრ დროს უთმობთ ოჯახს, შვილს, შვილიშვილებს?

– განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია ოჯახში მამაკაცს, იგი თვალისჩინივით უნდა მოეპყრას მეუღლეს, რომლის გარეშე ნორმალური ოჯახი ვერ იარსებებს. ქალი, უფლისგან დავალებულია გადაიტანოს უმძიმესი გადასატანი, რასაც სიცოცხლის მოვლინება ჰქვია. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს როგორ იბადება ადამიანი, როგორ განსაცდელშია იმ დროს ქალი, თუ ის ნორმალურია, შეუძლებელია დიდი პატივისცემა და მოწიწება არ ჰქონდეს ქალისადმი, სწორედ იმიტომაც ავირჩიე ეს სპეციალობა. ევროპაში მიღებულია ქმრის მშობიარობაზე დასწრება. მშობიარის დაჟინებული თხოვნით, ჩვენთანაც ყოფილა ასეთი შემთხვევები. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე მე სხვადასხვა მოსაზრების გამო ამის წინააღმდეგი ვარ.

– ბ–ნო გივი, (არ გეგონოთ ქათინაურს გეუბნებოდეთ), ჩემს ნაცნობებში, თქვენნაირი სიტყვის კაცი, გაუტეხელი ბუნების, მორალის დამცველი, ალბათ ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თუ მეგულება. რა არის თქვენი კაცობის საზომი?

– მადლობთ ასეთი სიტყვებისათვის. ჩემი კაცობის

საზომი, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, ის პატარა ღმერთია, რასაც სინდისი ჰქვია.

– თქვენს ოჯახში ახლახან ერთი სასიამოვნო რამ მოხდა, რაც თქვენს ვაჟიშვილს ლევანს ეხება.

– ჩემი ლევანი ნაგვიანევი შვილია – პირველი და უკანასკნელი. მისი გაჩენის დღიდან, როგორც ყველა ნორმალურ მამას, მინდოდა ჭეშმარიტ კაცად ჩამოყალიბებულიყო. პატარაობიდანვე თმასაც მოკლედ, ბიჭურად ვკრეჭდი. გაგვიმართლა, კარგად სწავლობდა. მისი წარმატებები მახარებს, არც თუ ურიგო ექიმი დადგა. საკმაოდ ახალგაზრდა ურთულეს სამეანო–გინეკოლოგიური ოპერაციების ტექნიკას ფლობს. მეგობრებშიც უღალატოა, ორი შვილის მამაა. ცოტახნის წინ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, დიდი სიხარული მოგვიტანა ოჯახს და მის კოლექტივს. მხიბლავს მისი სიყვარული, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი. კლინიკიდან გამოუსვლელად შეუძლია დღეები გაატაროს პაციენტთა გვერდით.

– თქვენნაირი დადებითი ენერგიით დამუხტული ადამიანი იშვიათია.

– სასიამოვნოა, რომ ასე ფიქრობთ. ვცდილობთ ადამიანები უარყოფითი ემოციებით არ დავმუხტო. ჩემთვის მთელი ბედნიერებაა, როცა სტუდენტები, ახალგაზრდა კოლეგები მეუბნებიან, კიდევ როდის გვექნება თქვენი ლექციაო.

– თუ არ მეშლება, ჩინელებს ერთ დროს ჰქონდათ კანონი: ქირურგს, რომელსაც ოპერაციაზე პაციენტი შემოაკვდებოდა, ხელს კვეთდნენ.

– ეს წესი თუ კანონი, მგონი ჩინელებს კი არა, ძველ რომაელებს ჰქონდათ, ეს უფრო ჩვენამდე მოღწეულ თქმულებას ჰგავს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინდელი ექიმებიდან ბევრი ცალხელა იქნებოდა. მედიცინაზე თავშეწირული ადამიანები, ადრეულ ხანაში, მეცნიერების წინსვლისათვის, როცა გვამის გაკვეთა კანონით აკრძალული იყო, ამას მალულად მაინც ახერხებდნენ.

არსებობს სამედიცინო შეცდომა და გულგრილობა დაკისრებული საქმისადმი, რაც დასჯას იმსახურებს.

– როგორ უყურებს გივი მაყაშვილი შერეულ ქორწინებას?

– თქვენ წარმოიდგინეთ, მქონდა გარკვეული შიში სხვა ერის ქალებისადმი. ფიქრში ვუშვებდი, შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, არ დაგიმალავთ, მზარავდა. ეს შიში გამიქარწყლა ჩემმა რძალმა, ყველასთვის საყვარელმა ნატაშამ, ჩვენებურად, როგორც მას ვეძახით ახლა – ნატომ. მას იმდენად მოსწონს ქართველები, ხიბლავს ჩვენი ტრადიციები, ოჯახური ადათ–წესები, ნათესაური ურთიერთდამოკიდებულებანი, რომ ოთხ დღეში ისწავლა ქართული ანბანი, ექვს თვეში თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. საოცრად საინტერესო მოსასმენია თავისი სამი წლის ბიჭუნასი და მისი რუსულ–ქართული საუბარი.

– რა არის თქვენთვის ცხოვრებაში მთავარი?

– ცხოვრებას რომ ახლა ვიწყებდე, მაინც ამ გზას გავივლიდი. მთავარი ჩემთვის ოჯახი და მედიცინაა, შემდეგ ხელოვნება, სცენა, თეატრი, მეგობრები...

– თქვენი ცხოვრების წესი განსხვავებულია იმათგან, ვისაც „სხვისი მკვდარი მძინარე ჰგონია“?

– რასაკვირველია. ვისაც სხვისი მკვდარი მძინარე ჰგონია. ის „დაცურებულია“, ასეთებს სხვა სიტყვას ვერ ვუძებნი. სხვისი ჭირი გულთან არ მიიტანო, მასთან წილი არ იყარო, უცხოა ჩემთვის. გაჭირვება ისეთი აქლემია, ყველას კართან დაიჩოქებს. ნორმალური ადამიანი წარმოუდგენელია ამის გარეშე. მაშინ იქცევი ცხოველად, რომელიც მხოლოდ ჭამს და სძინავს. თუმცა, ჩემმა ძაღლმა ლომამ დედა რომ დაიღუპა, ხუთი დღე საჭმელი არ მიიკარა, ვიდრე დავკრძალეთ, მის ცხედარს ვერ მოვაცილეთ...

– ლეონიძის სიტყვებს შეგახსენებთ – „ჭირის თქმა დამწვარ გულს ანელებს“, ვინ არიან თქვენთვის ასეთები?

– პირველ რიგში ოჯახის წევრები, რომელთაც მთელი გულით და შეგნებით შეუძლიათ გამიგონ რა მაწუხებს, კიდევ რამდენიმე მეგობარი, რომელთაც შემიძლია

გავუხსნა გული. ორ მათგანს გამოვყოფ განსაკუთრებით – ქალბატონ თამარ დეკანოსიძეს და ბატონ პალიკო კინტრაიას.

– თუ არ ვცდები, გზის გამკვლევი არავინ გყავდათ, ე. წ. „კრიშა“. როგორ დაიმკვიდრეთ ადგილი, სახელი, ავტორიტეტი მედიკოსთა ფართო წრეში?

– მესამე კურსიდან ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა პედაგოგი, რომელიც დღემდე ჩემი მასწავლებელი და გულითადი მეგობარია. თბილისში, ერთი უბრალო, უპატრონო, კარგად ნასწავლი კახელი ყმაწვილი ჩამოვედი. ქალბატონმა თამარ დეკანოსიძემ შემამჩნია და თავისი მფარველობის ქვეშ ამიყვანა. მათ ოჯახში (ეს იყო 60–იანი წლები) მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ქართული მეცნიერების ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ: გიორგი თავზიშვილი, ბიძინა ბალავაძე, გივი სარალიძე (ქ–ნი თამარის მეუღლე) და თავად დიდი ქალბატონი თამარი. ამ წრეში ვისწავლე ბევრი რამ, ქ–ნ თამარის „კრიშის“ ქვეშ ყოფნა ნიშნავდა შრომისა და წიგნის სიყვრულს, ტვინის დაუსრულებელ ვარჯიშს, აზროვნებას მედიცინისა და ბიოლოგიის გარდა ლიტერატურაში, ხელოვნებაში და ა.შ...

– ბატონო გივი, საგულდაგულოდ თქვენ გესადაგებათ ეს სიტყვები – „მტრობას სჯაბნის სიყვარული“!

– ბრძნული ნათქვამია. თუ კაცს სიყვარულის უნარი არა აქვს. მას არც პედაგოგობა და სხვა რამ შეეძლება. მე რომ არ მიყვარდეს ჩემი საქმე, ჩემი ოჯახი, ჩემი სტუდენტები, მათთან ორმოცდაორი წელი ვერ ვიქნებოდი. მიფიქრია იმ ადამიანებზე, გარშემო სულ მტრობა და მტრები რომ ელანდებათ. იყავი სიყვარულით, სიკეთით, დადებითი მუხტით სავსე და ვინ რას დაგაკლებს, ვერავინ მოგერევა. ვისაც სიყვარული შეუძლია, აქა–იქ შემოპარულ მტრობასაც იოლად დაძლევს.

– თქვენი კიდევ ერთი თვისება, გამორჩეულთა შორის გამორჩეული თამადობაა. თამადის ინსტიტუტი საქართველოში ოდითგან ფასობდა. თქვენზე ამბობენ – ერთი კაცის ფასი თამადობა იცისო.

– ქართული სუფრა განსაკუთრებული ინსტიტუტია. ჭეშმარიტ ქართულ, ტრადიციულ სუფრაზე მოგახსენებთ და არა დღეს მოდაში შემოსულ ეგრეთწოდებულ „ტუსოვკაზე“, რომლის ქართული თარგმანი ვერსად მოვიძიე. კახეთში ამას იუმორით ტურების თავშეყრას ეძახიან. სუფრა გულისხმობს არა ღრეობას და წრეგადასულ ლოთობას, არამედ ლამაზ სუფრას, გემრიელ საჭმელებს, ნორმალურ სასმელს და რაც მთავარია, განათლებულ საზოგადოებას, რომელმაც იცის მოლხენა, ცეკვა–სიმღერა, აქვს მოსმენის კულტურა, ძალუძს ურთიერთქება სადღეგრძელოებით გამოხატონ. თამადის მოვალეობაა სიამოვნება მიანიჭოს სუფრის წევრებს.

– რა არის თქვენი თავდაცვის იარაღი, ნიჰილიზმი თუ იმედი?

– ბოლო წლებში საქართველოში იმძლავრა ნიჰილიზმმა, რასაც უიმედობა ჰქვია. შვილის, შვილიშვილების პატრონი ვარ, მაქვს დიდი სურვილი და იმედი რომ ჩვენი ერი მალე იცხოვრებს მძლავრ, განათლებულ საქართველოში.

– გივი ბ–ნო, როგორც ექიმ–გინეკოლოგს, ჭეშმარიტ დასტაქარს, ბანალურ კითხვას დაგისვამთ: რა პრაქტიკულ რჩევას მისცემდით ჩვენს ქალბატონებს?

– ვურჩევ წელიწადში ერთხელ მაინც შეიხედონ გინეკოლოგის კაბინეტში, რომ თავი დაიზღვიონ უსიამოვნო დაავადებებისგან. დროულად გამოვლენილი ნებისმიერი დაავადება სასურველი შედეგით მთავრდება. რამეთუ, ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობა ქალზეა დამოკიდებული. შვილებს ჯანმრთელი დედები სჭირდებათ.

2004 წ.

პედაგოგებად იბადებიან

პედაგოგი ბერძნული სიტყვაა და აღმზრდელს ნიშნავს, რომელიც სწავლა-აღზრდის პროცესს წარმართავს. მასწავლებლის ოსტატობა დამოკიდებულია პიროვნების ზნეობრივ დონეზე, პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით უნარზე. თითოეული პედაგოგი ვალდებულია აღზრდის პროცესი, მოსწავლეთა საქმიანობა ისეთნაირად წარმართოს, რომ მოზარდებმა შეძლონ თავიანთი ინტერესებისა და მიდრეკილებების სრულად გამომჟღავნება და სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბება. საქართველოში მასწავლებელს ძველად მოძღვარს, გამზრდელს, ოსტატს უწოდებდნენ. ამ მოთხოვნებს, ვფიქრობთ სავსებით აკმაყოფილებს კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თბილისის 155–ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარიკა გელიაშვილი, რომელსაც მესამედ მიანიჭეს „წლის საუკეთესო მასწავლებლის“ წოდება, „იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა“ და საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. ქ–ნმა მარიკამ შრომითი საქმიანობა ჟურნალისტობით დაიწყო გაზეთ „ნორჩ ლენინელში“, რამდენიმე წელი ჩოხატაურის რაიონულ გაზეთშიც მუშაობდა. თუმცა საბოლოოდ მისი პროფესია ოჯახურმა ტრადიციამ განსაზღვრა: მამიდა და ბიძა - მარიკა და გიგო გელიაშვილები ფილოლოგები იყვნენ.

სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, შემდეგ სწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. მეცნიერების რთულ გზას ცოცხალი ლეგენდები: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, აკაკი ურუშაძე უკვალავდნენ... უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე რეკომენდაცია მისცეს ასპირანტურაში ჩასაბარებლად, თუმცა ადგილები,

უკვე გადანაწილებული დახვდა. უნივერსიტეტთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია. ოცი წელი ლექციებს კითხულობდა მეტყველების კულტურაში, ახალ ქართულ ენაში, პრაქტიკულ სტილისტიკაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკებს.

სკოლაში მუშაობის დაწყებას ღვთის ნებად თვლის. 155–ე სკოლის დირექტორი სოფიო მორჩილაძე ისე მოიხიბლა მისი ერუდიციითა და ცოდნით, რომ თავისი საათები თანაბრად გაუყო. მას შემდეგ საკმაო ხანმა გაიარა. შრომა ღირსეულად დაუფასეს: არის რაიონის მთავარი მეთოდისტი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, თემატიკით მდიდარი მისი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტით ვინ არ მოხიბლულა. თუმცა მისთვის ყველაზე დიდი მიღწევა მოსწავლეების სიყვარულია, რითაც სამართლიანად ამაყობს კიდეც. თავის წარმატებებს ცნობილ პედაგოგებს რუსუდან ებრალიძესა და სოფიო მორჩილაძეს უმადლის, რადგან თვლის, რომ სწორედ მათი პროფესიონალიზმი და პირადი მაგალითი გახდა მისი ცხოვრების გზამკვლევი.

მასწავლებლებად იბადებიან. შემთხვევითი ადამიანი სკოლაში არ უნდა მუშაობდეს, რადგან ბავშვი უშეღავათოა, უფროსებზე უკეთ გრძნობს სიყალბესა და გულგრილობას, – ამბობს ქ–ნი მარიკა, რომელიც შეიძლება ითქვას ოცდაათ წელზე მეტია ქარგავს და აქანდაკებს ბავშვის სპეტაკ სულს... სათუთად ინახავს ყოფილი მოსწავლეების წერილებს და ხშირად ცრემლმორეული ღიმილით კითხულობს:

„ჩემო მარიკა მასწავლებელო, იმედია იცით, თუ რარიგ მიყვარხართ! უფალს ვუმადლი, რომ თქვენ არა მარტო მასწავლებელი, არამედ შესანიშნავი მეგობარი და მრჩეველიც გვყავდით... მასწავლებელი, რომელიც კი არ ასწავლის, არამედ მისგან სწავლობენ... მე და ჩემი მეგობრები რჩევის საკითხავად მუდამ თქვენთან გამოვრბოდით, სკოლაში უმეტესწილად თქვენი ნახვის სურვილი მომიყვანს აწი. რა დამავიწყებს გიორგი მეფის

სიკვდილის გამო დაღვრილ თქვენს ცრემლებს, ანდა ბავშვების გულწრფელ ხუმრობებზე თქვენს გულიან სიცილს. გაბრაზებაც მიყვარდა თქვენი, რადგან ვიცოდი, რომ სიბრაზეს მალე მხიარულება და სიხარული მოჰყვებოდა კვალდაკვალ... **დიანა თიგიშვილი**".

„ჩემო მარიკა მასწავლებელო, ძალიან მიყვარხართ, უდიდეს პატივს გცემთ. ძალიან მიჭირს ამ წერილის წერა, რადგან ვერ წამომიდგენია თქვენთან განშორება. ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, რადგან შეგიძლიათ დიდი სიყვარული დათესოთ თქვენი მოსწავლეების გულებში. თქვენ შეგვაყვარეთ და დაგვანახეთ ქართული ენის თავისებურებები და ხიბლი. ახლაც თვალწინ მიდგას თვალცრემლიანი როგორ გვიხსნიდით: ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონს... თქვენ მაზიარეთ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას". **თამარ ბურღაშვილი**".

„... თქვენი სიტყვები და სითბო მეგზურად გამყვება ცხოვრების გზებზე. მინდა თქვენ გგავდეთ. თუ ერთი ბავშვის სულში მაინც დავტოვებ ისეთ ღრმა კვალს, რაც თქვენ დატოვეთ ჩემში, ბედნიერი ვიქნები. თქვენ ჩაგვინერგეთ სამშობლოს, მშობლიური ენის, სარწმუნოების სიყვარული, გვასწავლეთ, რომ ადამიანი ფასდება სულის სიწმინდით, გრძნობების სიღრმით, თავგანწირვისა და მსხვერპლშეწირვის უნარით, წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

მაია ქსოვრელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მომავალი პედაგოგი".

ქ–ნ მარიკას, ჭეშმარიტ მორწმუნეს, სწამს, რომ ყველაფრის მამოძრავებელი ძალა სიყვარულშია და რომ ამ უდიდესი გრძნობით აღვსილი ადამიანი ცოდვას არასოდეს ჩაიდენს. ნებისმიერი საქმის მხოლოდ სიყვარულით კეთება, – აი, ეს არის მისი ცხოვრების წესი.

... მარიკა გელიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. დღეს ბევრს კამათობენ განათლების სისტემის რეფორმაზე. ვისარგებლეთ

შემთხვევით და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:

– იმდენად უზარმაზარი შრომა იყო გასაწევი, რომ ვშიშობდით კიდეც, ყველაფერს თუ ღირსეულად მოაბამდნენ თავს. საბედნიეროდ, ზუსტად იმუშავა ყველა რგოლმა და შედეგიც საუკეთესო მივიღეთ. ისეთმა ბავშვებმა იხილეს უნივერსიტეტის კედლები, სხვა ვითარებაში რომ არ ეღირსებოდათ იქ მოხვედრა. თუმცა ვაღიარებ, რომ თავდაპირველად მეც ვერ წარმომედგინა, რა მექანიზმით იყო შესაძლებელი აღებ–მიცემობის, ნაცნობობის აღმოფხვრა. დღეს კი სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, არანაირ მიკერძოებას და არანაირ „ჩაწყობას“ არ ჰქონია ადგილი. გამოცდები მართლაც ობიექტურად და სამართლიანად ჩატარდა.

– განათლების სისტემა დაღუპვის პირას იყო მისული, ამდენად, რეფორმას აუცილებლად საჭიროებდა. პირველი ნაბიჯები გადადგმულია, ახლა მთავარია, სწორ გზას არ გადავუხვიოთ.

... მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა მითხრეს: მისგან ვისწავლეთ სიყვარული, მეგობრობა, ერთმანეთისათვის თავდადება და რა თქმა უნდა ცოდნის ფასი და აუცილებლობა, როცა გვსჯიდა მაშინაც გვიყვარდა, რადგან ვგრძნობდით მართალი იყო. მე კი ბერნარდ შოუს სიტყვები გამახსენდა: „ამქვეყნად ყველა იმას აკეთებს, რისთვისაც ღმერთმა გააჩინა. ცხოველებისაგან განსხვავებით, თავის დასაცავად, ადამიანს არც რქები აქვს, არც კლანჭები, არც ეშვები. ერთადერთი რაც უნდა გააჩნდეს ინტელექტია, მისი ხსნა და მისი ძალა ამაშია“. ქ-ნი მარიკა ბედნიერად თვლის თავს, რადგან აკეთებს იმას, რაც უფალმა დააკისრა.

. . .

მარიკა გელიაშვილი ჭეშმარიტი ქართული, ტრადიციული ოჯახის დიასახლისიცაა. მეუღლე, მუხრან დოლიძე, პროფესიით ფსიქოლოგია. ჰყავთ ორი ვაჟკაცი – გუბაზი, ცნობილი სპორტსმენი, სპეციალობით ინჟინერ–

ეკონომისტი და ზვიადი ისიც ეკონომისტი – ძეგვის უპატრონო ბავშვთა სახლის დიდი გულშემატკივარი და ქომაგი, რძლები მედეა და გვანცა. მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე, რასაც ამ ქვეყნად ვერაფერი შეედრება, ერთმანეთზე უკეთესი ექვსი თვალხატულა შვილიშვილია.

2006 წ.

P.S. ოჯახს კიდევ ერთი შვილიშვილი შეემატა. ამ დღეებში ერთი ცნობილი ჟურნალისტი შემეხმიანა - ჩვენს კოლეგას მარიკა გელიაშვილს ისეთი ნიჭიერი, კალმის დიდოსტატი შვილი ჰყავს ზვიად დოლიძე (გურული), გაზეთ „კვირის პალიტრასთან ერთად სერიული გამოცემების ანოტაციების ავტორი, კარგი იქნება, თუ ახალბედა, დამწყები ჟურნალისტები მიბაძავენ, მეტი გულმოდგინებით მოეკიდებიან ამ საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს, რასაც წერის კულტურა ჰქვია.

მეც ასე ვფიქრობ.

მანანადან – „ოქროს არწივამდე“

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა ***ნანული სარაჯიშვილმა*** *ფილმ „გარიგებაში“ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „ოქროს არწივი“ დაიმსახურა. ახლახან ანაპის ფესტივალზე გოდერძი ჩოხელის ფილმმა „სამოთხის გვრიტები“, რომელშიც ნანული მხატვრის როლს თამაშობს „გრან-პრი“ მიიღო.*

– ქ-ნო ნანული, თუ უტაქტობაში არ ჩამომართმევთ, რამდენი წლის ბრძანდებით?

– მარტო იმას გეტყვით, ორმოცდაათიან წლებში დავიბადე, მაგრამ სულ მგონია, ბავშვი ვარ, ასაკს არ ვგრძნობ. ყოფილ ბელინსკის ქუჩაზე ვცხოვრობდი, სადაც ვაკის რჩეული ბიჭების ბირჟა იყო. აქ იკრიბებოდნენ: ასტამბურ აჩბა, უმცროსი ჯანო ბაგრატიონი, ტოგრიკ ტოგონიძე, ნიაზ დიასამიძე... როგორც კი გამოვჩნდებოდი, მიმღეროდნენ, მეფერებოდნენ, როგორც პატარა ბავშვს მანებივრებდნენ. სკოლას ვამთავრებ და ერთმანეთს ეკითხებიან, რაღა დროს საბავშვო სიმღერებია, ეს გოგო მგონი ქალდებაო და...

ნიაზ დიასამიძე ჩემი კარის მეზობელი იყო, ბევრი კარგი სიმღერა მან შემასწავლა, ბევრი რამ ჩემი უბნელებისგან შევითვისე.

– „მანანას“ შემდეგ მსახიობობის გარდა სხვა პროფესიაზე, ალბათ არც იოცნებებდით.

– მართალია, დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი, სამსახიობო ფაკულტეტი. ჩემი თანაკურსელები იყვნენ: გია ფერაძე, ამირან ბუაძე... ნეტავ შეიძლებოდეს ის დრო დაბრუნდებოდეს...

– თქვენი არ იყოს, ჩვენც „მანანათი“ დავიწყოთ, ცოტა რამ ამ ფილმზე მუშაობიდან უთუოდ გემახსოვრებათ.

– ისეთი ბედნიერება, რაც მერგო წილად ამ ფილმით, ათასში ერთხელ თუ ეწვევა ადამიანს. ერთი უღიმღამო, უფერული, კუთხეში მიგდებული ბავშვი ვიყავი. ჩემი დალია,

ლამაზი, აღიარებული, „საბუდარელ ჭაბუკში“ და „ჩვენ ეზოში“ უკვე გადაღებული... ერთხელაც რეკავს ბატონი რეზო ჩხეიძე, ნანული წამოიყვანეთ და კინოსტუდიაში მოდითო. იფიქრეს ეშლებაო, ლიას დაავლეს ხელი და წავიდნენ. ლია ასაკის გამო დაიწუნეს. აბა ჩემზე ვინ ფიქრობდა? მეორე დღეს ნათლიამ ისე, სხვათაშორის წამიყვანა და რას ვხედავ, ულამაზესი ბავშვები შეკრებილან. შევცბი, დავიმორცხვე, არც ლექსი ვთქვი, არც ვიმღერე, არც ვიცეკვე. ამ ბავშვებში აბა მე რა გამოსაჩენი ვარ–მეთქი. მეორე დღეს, არ მომეშვნენ და ისევ წავედით... ბავშვური ჟინი მომერია, შევხტი მაგიდაზე, ლექსიც ვთქვი და მთელი ჩემი შესაძლებლობებიც გამოვავლინე. აი, ნამდვილი მანანაო თქვეს. იმ ღამეს სიხარულისგან მაღალი სიცხე მომცა. წარმოიდგინეთ, ათი წლის ბავშვისთვის რას ნიშნავს სესილია თაყაიშვილთან, ალექსანდრე ჟორჟოლიანთან, იაშა ტრიპოლსკისთან, მედეა ჩახავასთან, იპოლიტე ხვიჩიასთან თამაში. იმთავითვე, მათ მეგობრად ვთვლიდი თავს. იაშაზე მამაჩემიც კი ეჭვიანობდა, ისე გავითავისე როლი. მეგონა ისინი ჩემი ნამდვილი ბებია, ბაბუა და მამა იყვნენ. თითისტოლა ბავშვი თავიანთ თანასწორ პარტნიორად მაქციეს.

– სარაჯიშვილების რომელ შტოს ეკუთვნით?

– ვანო სარაჯიშვილი, ბაბუაჩემის ალალი ძმა, უშვილო იყო. ჩვენ მის შვილიშვილებად გვთვლიდნენ. მამაჩემს პეტრე ერქვა, მეღვინე იყო. შესანიშნავად ცეკვავდა, მღეროდა, უკრავდა და აღიარებული თამადა იყო. დედა აფაქიძის ქალია.

– თუ არ ვცდები, შემდეგი კინოროლი „ვერის უბნის მელოდიებში“ მიიღეთ.

– დიახ, ჩემი უსაყვარლესი პატარა როლია კინოში, გიორგი შენგელაიას ვუმადლი ასეთ ნახტომს, ბავშვიდან პირდაპირ ქალად, თანაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალად მაქცია ეკრანზე.

– ახლა, თეატრალური როლებიც გავიხსენოთ, მაგალითად „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“, – ექსტრავაგანტურ ქალს თამაშობთ.

– ასევე ჩემი საყვარელი სპექტაკლია. აქ ჩვენ რომ დრო ვატარეთ, ნუ იტყვით. ბატონი რობერტ სტურუა გახლავთ რეჟისორი. რაღაც ყოველთვის ეცოტავება, არ მოსწონს, არ აკმაყოფილებს ჩვენი როლი, თან დრამატურგსაც ხომ უნდა გაუწიოს ანგარიში; და გარისკა... ასეთი პასაჟი დაამატა: მანანა გამცემლიძე – ჩემი პარტნიორი ენაბლუდ აქცია, მე – მის თარჯიმნად და უკვე საინტერესო გამოვიდა. დრამატურგმა რეზო ჩხაიძემ ძლივს იცნო თავისი პიესა, მოეწონა, სიცილისგან თავს ვერ იკავებდა.

– „გარიგებაში“ მშვენივრად ხართ მორგებული კახურ კოლორიტს.

– ალბათ კახურმა გენმა იმძლავრა ჩემში. ერთ საღამოს ზაზა კოლელიშვილი მირეკავს სახლში: ხვალ თელავში მივდივართ, ჩაალაგე ჩემოდანი და წამოდი. შევცბი, ცოლი ხომ გყავს? – ხუმრობითვე ვეკითხები. სად მიგყავარ?! გადაღებაზე, მამშვიდებს ზაზა, მაგრამ მე ვმშვიდდები, რო? ფრთხილი, მშიშარა და მორიდებული ვარ, როცა როლს მთავაზობენ. ვღელავ, რას იტყვის მაყურებელი, როგორი გამომივა.

ერთხელ „დეზერტირების“ ბაზარში ყველს ვყიდულობთ. აქ არიან „ჩემი საყვარელი ქმარი“ გოგა პიპინაშვილი და მარინა საღარაძე – ჩემი კარგი მეგობრები. მთელი ბაზარი ლამის შემოგვეხვია – მარო, ეს რა ჰქენი, ქმარი როგორ გაასხვისე? ჩემი ბედიც ეგ ყოფილა–მეთქი – ვპასუხობ. გვერდით მიდგას მარინა, – მერე, ქალო, ქმრის წამრთმევს ასე მშვიდად როგორ ელაპარაკები? – არ ცხრებოდნენ გლეხები. ხუმრობა იქეთ იყოს და ამ ფილმმა, მართლაც, აღიარება მომიტანა, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „ოქროს არწივი“ მომენიჭა.

– ამბობენ, როცა მსახიობი მთავარ რეჟისორთან კარგ განწყობილებაშია, მისი ბედის ჩარხი წაღმა ტრიალებსო, მართლა ასეა?

– ცუდად არავისთან ვარ, მითუმეტეს, რეჟისორებთან. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ არ დავძაბო სიტუაცია. თუმცა, ეს როდი წყვეტს საკითხს: თუ რეჟისორს როგორც მსახიობი არ მოსწონხარ, ფუჭია ყველაფერი. ბედნიერი

იყო ჩემი შეხვედრა გოდერძი ჩოხელთან მის ფილმში „სამოთხის გვრიტები“, მხატვრის როლს ვასრულებ. ფილმმა ანაპის ფესტივალზე გრან-პრი მიიღო.

– კიდევ რომელ ფილმებში ხართ გადაღებული და რა სპექტაკლებში თამაშობთ?

– დღევანდელი რეპერტუარიდან ვითამაშე რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის შემდეგ სპექტაკლებში: „კავკასიური ცარცის წრე“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, „დედა ენა – „იაკობის სახარება“. ქ–ნმა ქეთი დოლიძემ პოლონეთში გადაიღო ფილმი „და სახლში ჰპოვებს სიხარულს“, ბეატა ტიშკევიჩია ჩემი პარტნიორი. ვმონაწილეობ ფილმებში – „ატრაქციონი“, „ერთი ნახვით შეყვარება“, „უჩინმაჩინის ქუდი“...

კახა მელითაური და თინა მენაბდე ახალ ფილმს იღებენ. იქაც ვარ მიწვეული. ჯერ არ ვიცი, რა როლს შემომთავაზებენ, ან რა ერქმევა ფილმს.

– გატაცებები გქონიათ?

– აბა უმაგისოდ როგორ შეიძლება ცხოვრება? გათხოვილი არასოდეს ვყოფილვარ. როცა ჩემი და ლია სულს ლევდა, პირობა მივეცი, მის შვილებს მზრუნველობას არ მოვაკლებდი, დედობას გავუწევდი. უფროსი კახა – 29 წლისაა, ცოლ–შვილიანი, უმცროსი ირაკლი ჩემი ნამდვილი შვილია, ნათქვამია დეიდას დედის სუნი უდისო, მას არასოდეს ვუღალატებ. ბედის ამბავია, ალბათ, ასე უნდოდა განგებას. მთელი ოჯახი ჭეშმარიტი მორწმუნეები ვართ. კომუნისტების დროს რამდენჯერმე შეგვაწუხეს ეკლესიაში რატომ დადიხართო.

– ბევრი მეგობარი გყავთ?

– ბედნიერი ვარ. მყავს არაჩვეულებრივი ბავშვობის მეგობრები, მერე შეძენილები, კოლეგები. ყველა ძალიან მიყვარს. სიძულვილი, აყალ–მაყალი არ შემიძლია, ვერცერთს ვერ გამოვყოფ არავინ გამომრჩეს.

– ფილარმონიის სცენაზეც მშვენივრად გამოიყურებოდით.

– ალბათ, იმ გადაცემაზე მეკითხებით – „კინომსახიობები

სცენაზე“. მე და ამირან ბუაძე ვმღეროდით, რატომღაც ეს დებიუტი ტელევიზიამ საახალწლოდ რამდენჯერმე აჩვენა.

– მსახიობობა იყო თქვენი მოწოდება თუ რაიმე შემთხვევამ განაპირობა?

– პედაგოგობა მინდოდა. მიყვარს ბავშვები, მინდოდა დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვყოფილიყავი, მაგრამ ქალბატონმა სესილია თაყაიშვილმა შთამაგონა, მსახიობი გავმხდარიყავი, არ ვნანობ, კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით.

... რუსთაველის თეატრში, ასე ვთქვათ, ცეკვით მოვედი. ბატონმა რობერტ სტურუამ „ხანუმა“ დადგა, ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი „ბაღდადურს“ ცეკვავდა ამ სპექტაკლში, როცა მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა, მეორე კურსის სტუდენტი ამ როლში მიმიყვანეს საცეკვაოდ. ჩემი პირველი სერიოზული როლი „ყვარყვარე თუთაბერში“ იყო. მე და ჯემალ ღაღანიძე წამყვანები ვიყავით.

– რა თვისებებს აფასებთ ადამიანში?

– ერთგულებას, იუმორის გრძნობას. იუმორს ხომ თავდაცვის უნარი აქვს.

– სამზარეულო გიყვართ, როგორი დიასახლისი ხართ?

– ეს სფერო დედაჩემს აკისრია. არ მცალია, ოჯახში ქალიც მე ვარ და კაციც. მანქანა რომ არ მქონდეს ალბათ გამიჭირდებოდა ამდენი საქმის მოგვარება.

– თქვენი ჰობი და ჰოროსკოპი?

– თხის რქა. მოგზაურობა. რუსთაველის თეატრს ვუმადლი, ლამის მთელი მსოფლიო მოვიარე „კავკასიური ცარცის წრითა“ და „რიჩარდის“ წყალობით.

– ბედნიერი ხართ?

– ბედნიერება პირობითი მცნებაა. სრული ბედნიერება არ არსებობს ამ ქვეყნად. გააჩნია, ვინ რაში ხედავს მას. ღმერთს მადლობას ვწირავ ყველაფრისთვის. ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი იმ ეპოქაში, რომელშიც ბატონ რობერტ სტურუას მოუწია მოღვაწეობა.

საერთოდ, ოპტიმისტი ვარ და მომავლისაგან მხოლოდ კარგს მოველი.

1998 წ.

მუდამ ვერ იქნები პოპულარული

ეკა მამალაძე – ნანი ბრეგვაძის ერთადერთი ქალიშვილი, 36 წლის.

დაამთავრა მუსიკალური ათწლედი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით. ჩვიდმეტი წლის გათხოვდა, პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა. ჰყავს სამი შვილი: 17 წლის ლევანი, 16 წლის გიორგი და 5 წლის ნატალია. მეუღლე მერაბ ქუთათელაძე ბიოლოგია. ჩვენი ინტერვიუც მის ოჯახზე საუბრით დაიწყო.

– ოჯახი, სამი შვილი, ესტრადის პოპულარული მომღერლობა, ალბათ ძნელია ყოველივე ამის შეთავსება. თან ისე, რომ ყოველთვის „ფორმაში“ იყოთ.

– ცხადია, დიდი ოჯახი, ქმარ–შვილი გარკვეულწილად მზღუდავს, ხშირად ვერ დავდივარ გასტროლებზე. ჩემი პოპულარობა ტელევიზიამ განაპირობა. ორი წლის წინ მაინც მოვახერხე დედასთან ერთად ამერიკაში გასტროლებზე წასვლა. დედაჩემს ახალგაზრდობიდანვე ყველანაირად გზა ხსნილი ჰქონდა. ოჯახი მისთვის არასოდეს ყოფილა ტვირთი, რადგან ოჯახის ბურჯი ბებო იყო – ცაბუ საყვარელიძე – სამი წლის წინ გარდაიცვალა. დედა კინაღამ შეიშალა ჭკუიდან, ისე განიცადა. ბებია ჩემი ნამდვილი დედა გეგონებოდათ. მისი გაზრდილი ვარ, ოჯახის მთელი ტვირთი მას ჰქონდა წამოკიდებული, მისთვის დიდი ბედნიერება იყო, ჩვენთვის შეემსუბუქებინა შრომა, ყველა საქმეს სიამოვნებით აკეთებდა, არც არასდროს უწუწუნია.

– ეკა, ფრიად პატივცემული, თბილისში ერთ–ერთი პრესტიჟული სკოლის დირექტორის ქალბატონ ლამარა მარგველაშვილის რძალი, ხშირად მინახავს, თქვენი გოგონა კალთაში უზის ბებოს, ასე მგონია, იგი მკაცრი და უკარებაა, როგორია თქვენს მიმართ, ოჯახში?

–არაჩვეულებრივიადამიანია.ავკარგიანი,ყველაფერში ხელს მიწყობს. ჩემი უფროსი შვილები მისი მოწაფეები იყვნენ, გადაყოლილი იყო მათზე, როგორც ნამდვილ შვილიშვილებზე, ეხლა ლევანი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, გიორგი – მეათეკლასელი. ექვი წელია მისი რძალი ვარ და ერთი გაუგებრობა არ გვქონია, ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ, ერთმანეთის მესაიდუმლენი. მიკვირს, რძალ–დედამთილს რა აქვთ გასაყოფი, რატომ ვერ ეწყობიან ერთმანეთს? ცალი ხელი მუდამ ჩემკენ აქვს, მას ხომ ქალიშვილიც ჰყავს.

– რას იტყვის მომღერალი ეკა მამალაძე ქართული ესტრადის ვარსკვლავის ნანი ბრეგვაძის შესახებ.

– დედა მუდამ ყველაფერში ჩემი იდეალი იყო. განცდა დღემდე მაქვს გამოყოლილი – მინდოდა სულ ჩემთან ყოფილიყო. რაც დრო გადის, უფრო ვხვდები, რომ დედა დიდი მომღერალია. სახლში ჩვეულებრივი დედაა, თბილი, დამთმობი, მოსიყვარულე. როცა გასტროლებზე ვართ, სხვა თვალით ვხედავ, რომ იცოდეთ, როგორი ზუსტი და პუნქტუალურია. როცა რაიმე არ მოსწონს, უშეღავათოა. რაც ბებო გარდაიცვალა, მისი მოვალეობა მე გადმოვიბარე, დედას ოჯახური საქმეებისათვის არ სცალია, უფრო სწორად, არ ვტვირთავთ და არც ეხერხება, ის ჭეშმარიტი შემოქმედია. როცა მოეხასიათება, სამზარეულოში იცის ფუსფუსი, ჭურჭლის რეცხვა უყვარს (ამ დროს ისმის ქალბატონი ნანის ხმა სამზარეულოდან – „ეკა, თუ დროზე არ მოგვხედე, დავიხოცებით ამდენი სული უჭმელები“). ეს იმიტომ, რომ ოჯახის მთელი საოჯახო საქმე მე მეხება, სადილი, ბაზარი, მტერ–მოყვარე, მოხუცი ბაბუა...

– როგორც მომღერალს, ზოგი თქვენ განიჭებთ უპირატესობას, ზოგი – დედას. მოგიკრავთ ყური ამისთვის?

– პირშიც უთქვამთ, მაგრამ არ მჯერა. ყველა ადამიანმა კარგად იცის, ვინ არის. როცა კონცერტიდან ვბრუნდებით, მაშინ ვაფასებთ ერთმანეთს მე და დედა. მშვენივრად გვესმის და გვჯერა ერთმანეთის. ნანის (შვილიშვილებიც სახელით მიმართავენ) ათი–თხუთმეტი წელია არ უმღერია

თბილისში. მაყურებელი თითქოს გადაეჩვია. იქნებ, ერთი მხრივ, კარგიც იყო, უნდა მოენატრო მსმენელს, გადაჭარბებული არაფერი ვარგა. ახლახან ჩატარდა ნანის ბენეფისი, ყველაფერში მივიღე მონაწილეობა, შავი საქმიდან დაწყებული. დედა ძალიან ლამაზი, მომხიბლავი და ამაღლებული იყო იმ დღეს, ასეთი დღეები არ შეიძლება უამრავი იყოს ადამიანის ცხოვრებაში, რაგინდ დიდი პიროვნება იყო. ხომ არ შეიძლება მხატვარმა ან მწერალმა უამრავი შედევრი შექმნას, ასეა მომღერალიც. დედა მიწიერი არაა, ასე მგონია, სულ ზეცაში დაფრინავს. „ორერას“ დროს იმდენი იმოგზაურა, შეჯავრდა გასტროლები, ახლა ირჩევს დიდ ქალაქებს, ყველა მიწვევას არ თანხმდება. საქართველოს ქალაქებს და რაიონებს ერიდება, ეს მისი რაიმე ახირება არ გეგონოთ, უბრალოდ, გაურბის მოუწყობელ, ცივ სასტუმროებს, ცუდ საკონცერტო დარბაზებს. მოკლედ რომ ვთქვა, დედამ იცის თავისი ფასი, ან რაა ამაში უცხო და გასაკვირი, ზემოთაც მოგახსენეთ, ადამიანმა, თავად უკეთ იცის, რას წარმოადგენს, რა ნიჭის პატრონია.

– მეჩვენება თუ ვცდები, სიმღერის დაწყებამდე თითქოს დაჭიმული ხართ, ასეა?

– როცა სიმღერას ვიწყებ, მუდამ ვღელავ, არაფერი შემეშალოს, მერე ყველაფერი ბუნებრივად მიდის. არ მიყვარს პრემიერა, პირველი ნამღერი სიმღერა თითქოს უცხოა ჩემთვის, რაგინდ მარტივიც იყოს ტექსტი და მელოდია. მერე და მერე უფრო ჩემეული ხდება.

– მერე და, რა მშვენიერი თანავარსკვლავედი იყო: ჯანსუღ კახიძე, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე და გოგი დოლიძე, განუმეორებელი, შეუდარებელი...

– სავსებით გეთანხმებით, ასე იყო. მაგრამ მაინც ვფიქრობ, არ უნდა მობეზრდე მაყურებელს. თუგინდ ის კონკრეტული კონცერტი, რომელზეც თქვენ ბრძანებთ, იმდენჯერ აჩვენეს ტელევიზიით. მსგავსის შექმნა კი ნამდვილად ძნელია.

– ალბათ როგორ განიცადეთ გოგის სიკვდილი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მაყურებელს, თითქოს სცენაზე

გეთაყვანებოდათ, გათამამებდათ?

– მარტო გოგი კი არა, ჩვენი დიდი მაესტრო ბატონი ჯანსუღ კახიძეც, მოგეხსენებათ, როგორი მკაცრი და მომთხოვნია მომღერლის მიმართ, რაც უნდა შემეშალოს, მაინც მოფერებით სულ „ეკუნათი“ მომმართავს.

გოგის სიკვდილი მოუნელებელია. ის ყველასთვის იყო, მისთვის – არავინ. ვერ დააფასეს ისე, როგორც ეკადრებოდა, თუმცა თაყვანისმცემელი უზომოდ ბევრი ჰყავდა. სამგლოვიარო დღეებში რუსუდან სებისკვერაძემ სპეციალურად გოგის უძღვნა სიმღერა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე. თავზარდაცემული ვმღეროდი. მერედა, როგორი ხელგაშლილი იყო, ალალი და უღალატო, შენი გულისთვის თავდაყირა დავდგებიო, მეტყოდა. ყველა სურვილს მისრულებდა, შუაღამეზე შემეძლო ამეყენებინა, თუ რაიმე დამჭირდებოდა.

– გოგის შემცვლელი თუ გეგულებათ?

– ნამდვილად არ მეგულება. ეს იყო ჩემი სადუეტო ეტაპი, რომელიც დამთავრდა. პარტნიორს არც დავუწყებ ძებნას, მასზე უკეთესს მაინც ვერ ვიპოვი, მირჩევნია, მარტომ ვიმღერო. მექნება ნოსტალგია იმ დუეტებისა, რომლებიც მე და გოგიმ ერთად შევქმენით.

– მეგობრების ფართო წრე გყავთ?

– შეზღუდული. ხუთ–ექვსი გოგონა ვმეგობრობთ. ნაცნობი – უამრავი. ბავშვობიდან მერჩია ჩემთან მოსულიყვნენ. თუმცა ყველანაირ სიტუაციას ადვილად ვეგუები, ვარ კაცთმოყვარე და კონტაქტური.

– დიდ დროს უთმობთ გარდერობს, ყოველთვის გემოვნებით ჩაცმული გამოიყურებით, ვინ ზრუნავს თქვენს გარეგნობაზე?

– არავითარი იმიჯმეიკერი, მე თვითონ ვარ ჩემი თავის ბატონ–პატრონი. ეკონომიურად ძალზე ჭირს დღეს ცხოვრება, ესტრადასაც დიდი პრეტენზიები აქვს, მაგრამ მაინც ვახერხებ, სცენაზე სასიამოვნოდ გამოვიყურებოდე.

– ოჯახში თუ გეხმარებათ ვინმე?

– მეუღლე, დედამთილი, ბებოს ნაამაგარი ახლობელი ლიანა ჩემი დამხმარეები არიან. ერთი მოძველებული

ავტომანქანა გვყავს, საჭეს ვუზივარ, მაგრამ მრავალრიცხოვანი ოჯახის გაძღოლა მაინც ძნელია. ძალიან მიყვარს დილის ძილი, რასაც ვერასოდეს ვახერხებ.

– სამზარეულოში ფუსფუსი გიყვართ?

– დიდ სიამოვნებას არ მანიჭებს, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება მაინც მიწევს, კარგ ტორტებს ვაცხობ, ბებო საუკეთესო დიასახლისი იყო, მისგან ბევრი კარგი რამ ვისწავლე.

– რა არის თქვენი ჰობი?

– მოგზაურობა, რომელიც ასე მაკლია.

– დედას უნდოდა, მომღერალი გამოსულიყავით?

– თავიდან თითქოს არ უნდოდა, მერე ყველაფერი თავისთავად აეწყო, სულ გული ტკივა, ისე მაინც ვერ გიწყობ ხელსო, დანანებით ამბობს. უნდა, ბოლომდე გამომჟღავნდეს ჩემი შესაძლებლობები.

– როგორი დამოკიდებულება გაქვს მამასთან, ისიც ხომ არ მღერის?

– მამა არ მღერის. კარგა ხანია სხვა ოჯახი ჰყავს. საოცარი სიბრალულის განცდა მაქვს მის მიმართ. მამა ჩემი სათუთი გრძნობაა, იქ თორმეტი წლის ნახევარძმა მყავს, მათთვის ნაკლებად ვიცლი, ამასაც განვიცდი (ეკა მამალაძე მომხიბლავი, სათნო და საყვარელი პიროვნებაა. ვინც მას ახლოს გაიცნობს, არ შეეპარება ამაში ეჭვი).

– ეკა, რას უსურვებთ თქვენს მაყურებელს და მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს?

– მადლობის მეტი რა მეთქმის, ტაშს მიკრავენ, ქუჩაში მცნობენ, ტრანსპორტში მიღიმიან, სასიამოვნო გრძნობაა, ამას გაფრთხილება უნდა, ვაი, რომ დადგება დრო, არავის ენდომები ალბათ, აღარც ემახსოვრები, ადამიანი ხომ არ შეიძლება სულ იყო პოპულარული, მაგრამ მაყურებელი, რომლისგანაც ამდენი სითბო მახსოვს, ყოველთვის მეყვარება.

1997 წ.

რწმენა სიყვარულიდან მოდის

*მაკა მახარაძისა და მურაზ მურვანიძის უფროსი ქალიშვილი **ნატო**, არანაკლებ ცნობილი ოჯახის, საქართველოს სახალხო არტისტის, „სამეფო უბნის თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის, კინორეჟისორ მერაბ თავაძისა და სახალხო არტისტის იზა გიგოშვილის რძალია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მისი ნიჭიერება და ყველა დადებითი თვისება იმ ოჯახიდან მომდინარეობს, რომელიც მედეა ჩახავასა და კოტე მახარაძის სახელთანაა დაკავშირებული. თბილი, გაწონასწორებული მოსაუბრე. მაყურებელმა განსაკუთრებით შეიყვარა და დაიმახსოვრა ფილმიდან „იავნანა“.*

– თქვენი ოჯახის წევრები არიან ის ადამიანები, რომლებმაც შეძლეს ქართული კინოსა და თეატრის ისტორიაში, თავიანთი ფასდაუდებელი შემოქმედებით შეექმნათ დასამახსოვრებელი სახეები, რითაც კიდევ უფრო გააღრმავეს ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციები.

– ძნელია და ადვილიც ასეთი ოჯახის შვილობა, რადგან შენი ცუდიც და კარგიც სხვანაირად აღიქმება. მუდმივად გაკვირდებიან, თითქოს ფარული კამერით გაფიქსირებენ, უფრო მეტსა და მეტს მოელიან შენგან, რაც პასუხისმგებლობის გრძნობას გიმძაფრებს. მუდამ ჩარჩოში ვიყავი თითქოს, თავისუფლად და ლაღად დაბადების დღეებზეც კი ვერ ვგრძნობდი თავს. მყავდა ბებია, მუსიკის მასწავლებელი, თბილისში სილამაზით განთქმული ტუსია გიორგობიანი, მისი სახელი მქვია. საოცარი მშვენიერების გამო ბევრს დაარქვეს ნატო. რაც შეეხება ჩემს უსაყვარლეს ბებიას, მედიკოს, მოუცლელობის გამო პატარაობისას იშვიათად ვხედავდი. ის ჩემთვის კარგა ხანს ამოუცნობი პიროვნება იყო, ახლა კი დიდი მეგობრები ვართ. საკმაოდ

მკაცრიც იყო, მომთხოვნიც. თავისუფალ დროს საუბრებით გვივსებდა. გვიკითხავდა მხოლოდ ქართულ ზღაპრებს და მოთხრობებს... როცა დავიბადე, ბაბუაჩემი უკვე ჩვენთან აღარ ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენ მაინც ერთ დიდ ოჯახად ვითვლებოდით, რადგან მუდამ ერთად ვიყავით, ჭირსა თუ ლხინში. კოტე რბილი, მიმტევებელი, დამთმობი ადამიანი იყო, ჭეშმარიტი ჯენტლმენი, უზომოდ განათლებული, თაობების აღმზრდელი, შვილიშვილებს გვანებივრებდა. ბებო ჩვენს ურთიერთობებს გონივრულად აბალანსებდა.

– თქვენ და ანას როგორი ბავშვობა გქონდათ?

– კატა და ძაღლივით ვიყავით. ახლა ის ბევრად უფრო ძლიერია ჩემზე. მშობლების ურთიერთობა სამაგალითო იყო ჩვენთვის. ჩემი კლასელები მუდამ შემოგვნატროდნენ. სიყვარულში გაგვზარდეს. როცა ეგვიპტეში ნეფერტიტისა და ეხნატონის რელიეფი ვნახე, მაშინ თვალნათლივ მივხვდი, რას ნიშნავს მეუღლეების ჰარმონიული თანაცხოვრება.

– სად შეხვდით ნიკას, რომანტიკული შეყვარებულები იყავით?

– როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვენი ნაცნობობა ოთხი–ხუთი წლის ასაკიდან დაწყებულა, ყოველ შემთხვევაში, ასე იგონებს ნიკუშა. ბებიაჩემს ხშირად დავყავდი გასტროლებზე. ნიკას პირველად სოხუმში ვუნახივარ, სასაცილო, გამხდარი, გაკნაჭული, კიკინებიანი (ახალაც უბრალოდ, უმაკიაჟოდ დადის, თავისუფალი, ტანზე მორგებული ტანსაცმლით, უფრო სპორტულად უყვარს ჩაცმა). მაგრამ ამ მომენტს ვერაფრით ვერ ვიხსენებ. მერე ერთ კურსზე მოვხვდით თეატრალურ უნივერსიტეტში, როცა ერთად ვმუშაობდით ეტიუდზე, სიყვარულიც გვეწვია. ცხრამეტი წლისანი დავქორწინდით. დღემდე ისევ ისე მომწონს და მიყვარს, როგორც მაშინ. გვყავს თექვსმეტი წლის დათა და სამი წლის მაკა.

– როგორი დედამთილი იყო იზა გიგოშვილი?

– მე და იზა განსაკუთრებით ბოლო წლებში დავმეგობრდით. რძალ–დედამთილს დრო უწყობს

გამოცდას. თავზარი დამეცა, როცა ხელიდან გამომეცალა. ჩემს გვერდით იყო ნიჭიერი, საყვარელი პიროვნება, რომლის ხსოვნას ვერაფერი წაშლის. მერაბი ცდილობს, ერთგვარი კომპენსაცია გაუკეთოს ამ დიდ დანაკარგს.

– თქვენი საყვარელი ფილმი, რეჟისორი?

– ჩემი სპექტაკლები უფრო მიყვარს, ვიდრე ფილმები. ფილმს მეტი პასუხისმგებლობით უყურებ, კრიტიკული თვალით აფასებ. სპექტაკლის დროს კი ვერ ვხედავ საკუთარ თავს, უფრო შევიგრძნობ როგორი ვარ სცენაზე. ოცამდე სრულმეტრაჟიან ტელეფილმში, პროექტში ვმონაწილეობდი. აქედან დიდი სიყვარულით „იავნანას“ გამოვყოფ. საოცარი ჯგუფი შეკრიბა ქალბატონმა ნანა ჯანელიძემ. მართლაც ყოველმხრივ გაწონასწორებული, მოწესრიგებული და დიდი პროფესიონალია. დედის როლზე პირადად ბატონმა თენგიზმა ამიყვანა. მთელი გადაღებების პროცესი იყო დაძაბული შრომა და არა ფუჭი დროს ტარება, რის გამოც ფილმმა ბევრი დამსახურებული ჯილდო მიიღო. მთელი ოთხი წელი მე და ნიკუშა სპექტაკლებში ან მამა–შვილს ვთამაშობდით, ან და–ძმას. „იავნანაში“ ვიყავით ცოლ–ქმარი, რაც სასიკეთოდ წაგვადგა ცხოვრებაშიც.

მიჭირს, გამოვყო რომელი რეჟისორია ჩემთვის გამორჩეული. ხოლო, თუ რაღაც არ გამოვიდა, ან ვერ მოვერგე ფილმს, ამაზე არასოდეს არ ვლაპარაკობ.

– მსახიობობაზე პატარაობიდანვე ოცნებობდით?

– მსახიობობა ნამდვილად არ მინდოდა. კარგად ვძერწავდი, უფრო მამაჩემის პროფესიისკენ ვიხრებოდი, მხატვარი მინდოდა გავმხდარიყავი, მაგრამ მეგობრებმა ძალით შემატანინეს საბუთები თეატრალურზე. მისაღებ გამოცდებზე არავინ იცოდა ვისი შვილი ვიყავი, ვიღაცამ დედას მიმამსგავსა, ვიღაცამ ცეკვით ამომიცნო და ასე გაიგეს ვინც ვიყავი. მახსოვს, ქ–ნმა ეთერ გუგუშვილმა უსაყვედურა კიდეც ბებიაჩემს, საქმის კურსში რატომ არ ჩაგვაყენეთო.

– შემოქმედება თუ ოჯახი?

– ოჯახს და შემოქმედებას სასწორის სხვადასხვა პინაზე ვერ დავდებ. ჩემთვის ყველაფერია ჩემი ოჯახი, შვილები ჩემი სიცოცხლის აზრია. როგორ შეიძლება ვინმეს ან რამეს გვერდით დაუყენო. ეს დედისთვის შეუცვლელი ფენომენია.

– რომელ თეატრში თამაშობთ?

– ძირითადად მარჯანიშვილში. მიწვევით რუსთაველის, კინომსახიობთა, სამეფო უბნის თეატრებშიც მითამაშია. სტუდენტი ვიყავი, როცა ბატონმა რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში სპექტაკლში „ცხოვრება სიზმარია“ – როლი შემომთავაზა. პრემიერა ესპანეთის ქალაქ სევილში შედგა. შემთხვევით სასტუმროში შევხვდი მამაჩემს, რასტრაპოვიჩთან ერთად ფესტივალზე იყო ჩამოსული. რა დამავიწყებს იმ დღეს. შევდივარ ნომერში და საწოლზე მხვდება საუცხოო ქურთუკი და თბილი ბარათი, ლამაზი სიტყვებით. მამაჩემს უყვარს სიურპრიზები...

... მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძემ „ანტიგონე“ დადგა, მთავარ როლზე მიმიწვია, ჩემი პარტნიორი დიდი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი გახლდათ. ვერ ვხსნი, რას ნიშნავს მთავარი და ეპიზოდური როლი. ყველა როლი ერთნაირად საპასუხისმგებლოა ჩემთვის.

– დასამახსოვრებელი ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან?

– ყველაზე დიდი სიხარული ჩემი შვილების და დისშვილების დაბადებაა. ახალი სიცოცხლის მოვლენას ამქვეყნად რომელი შემოქმედებითი წარმატება შეედრება!

– ბედი შემოქმედი ქალისა.

– ბევრი რამ ამ ასაკამდე უნდა გამეკეთებინა (35 წლისაა), მაგრამ ვიზარმაცე, რადგან ნაკლებად აქტიური ადამიანი ვარ. ხან შემეშინდა, ხან უკან დავიხიე, ვაი, თუ ისე არ გამომსვლოდა. მერე კი მქონდა სინანულის გრძნობა. დამოკიდებული ვარ ჩემს ოჯახზე. საინტერესო პროექტებზეც მიმიწვიეს რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ ვერ გავბედე, უარი ვთქვი, ისევ და ისევ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე.

– რა ჩვევა გაქვთ?

– მე და ნიკუშას გურული სიფიცხე გვახასიათებს. ვართ ერთ ჭიდილში. თუმცა ერთმანეთს უსაზღვროდ ვცემთ პატივს, თანაც ჩვენი სიყვარული არსად არ წასულა, ისევ ისეთია, როგორიც თექვსმეტი წლის წინ...

– ნატო, ჟურნალისტებს წყალობთ?

– ჟურნალისტისა და რესპონდენტის ურთიერთობა არ არის კომერციული გარიგება, ეს საქმიანი დამოკიდებულებაა. ორივე მხარემ ელემენტარული ეტიკეტი უნდა დაიცვას. მქონდა შემთხვევა, როცა მატკინეს გული, ისეთი მყვირალა სათაურით დაბეჭდეს სტატია ჟურნალში, რომ გავვოცდი, მაგრამ მათიც მესმის, ეს კეთდება იმისათვის, რომ პრესა გაიყიდოს, ამიტომ ყვითელ პრესას გავურბივარ.

– რამდენიმე წელი ჩამოცილდით თქვენს საყვარელ საქმეს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე შვილის შეძენა...

– როცა მაკა შემეძინა, იმდენად დიდი ბედნიერება მომიტანა, არც კი მჯეროდა, რომ ჩემი იყო. თითქოს ისევ იმ ასაკს დავუახლოვდი, როცა დათა დაიბადა. მისმა მოვლინებამ სრულიად შემცვალა. ჩემი და ნიკას ურთიერთობა საგრძნობლად გამყარდა. ეს იყო მიზეზი ხუთი წელი რომ ჩამოვშორდი ჩემს საქმეს.

– მეუღლე განებივრებთ?

– ვთვლი, რომ ნიკუშა ღმერთის საჩუქარია. არ მეშინია იმის თქმა, რომ ბედნიერი ქალი ვარ, ისეთი ადამიანი მყავს გვერდით და ისეთი მამა ჰყავთ ჩემს შვილებს. რაც შეუძლია მაქსიმუმს აკეთებს ჩვენთვის. დათა და ნიკუშა ტოლებივით არიან. მაკას კი ზედმეტად ანებივრებს.

– რა არის თქვენი ჰობი. მაგალითად დემი მური ძვირადღირებული თოჯინებითაა გატაცებული.

– ვოცნებობდი, მხატვრების ტილოების კოლექცია მქონოდა. თუ საშუალება მექნება, ამ სურვილს უთუოდ ავისრულებ. მეგობრები თავიანთ ნახატებს მჩუქნიან, რაც უდიდესი სიამოვნებაა ჩემთვის (კედელს ანა კალატოზიშვილის და სხვების ნამუშევრები ამშვენებს).

ძალიან მიყვარს მცენარეები. მამაჩემის სახელოსნოში გვქონდა პატარა ბაღი, ნამდვილი ოაზისი. წეროვანში აგარაკი გვაქვს, სადაც მცენარეებისა და ცხოველების გარემოცვაში ყველანი კომფორტულად ვგრძნობთ თავს. აგარაკზე ჩემი მუდმივი ადგილი სამზარეულოა. ძირითადად ხილითა და ბოსტნეულით ვიკვებები. დათა ერთი წლის იქნებოდა, ჩემში გარდატეხა მოხდა, მას შემდეგ ხორცი არ მიჭამია.

– ამბობენ, თითქოს შეიცვალა სილამაზის შეფასების კრიტერიუმი, რომ რჩეული მსახიობი ქალები ადრე უფრო ლამაზები იყვნენ, თქვენც ასე ფიქრობთ?

– სილამაზე მარადიული ცნებაა. ლამაზი ყველა დროში ლამაზია, თუმცა ყველა ეპოქას შეფასების სხვადასხვა პარამეტრები გააჩნია. მაგალითად ლიკა ქავჟარაძე, ჩვენი თაობის მსახიობი, რომელ დროს და ეპოქას არ დაამშვენებს...

წარსულის გარეშე მომავალს ვერ ააშენებ. შვილებსაც ვასწავლი სხვის ნაკლზე ნაკლებად იმსჯელონ, დადებითი ნაკლის გარეშე არ არსებობს. უნაკლო ამქვეყნად არაფერია. ჩვენ გარდამავალი თაობა ვართ. მოკვდავნი, ხიდი მშობლებსა და შვილებს შორის.

2005 წ.

სიკეთე ჰქმენ!

*რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ესტრადის მომღერალს, **ირმა სოხაძეს** მკითხველის წინაშე საგანგებო წარდგენა არ სჭირდება. ჩვენი მიზანია სხვა ამპლუაში წარმოგიდგინოთ. ირმა სოხაძე – ქველმოქმედი.*

– ქალბატონო ირმა, დღეს საქართველოს არნახულად უჭირს. უჭირს ეკონომიკურადაც, დასამალი არაა, სულმთლად გაპარტახებული ჩაიბარა იგი დღევანდელმა მთავრობამ. ჩვენ რა გვავალია? ალბათ ის, რომ რითაც შეგვიძლია, უნდა ვემსახუროთ სამშობლოს...

– დიახ, ყველამ თავისი საქმე კეთილსინდისიერად უნდა აკეთოს. ეს გაცვეთილ სიტყვებად ნურავის მოეჩვენება. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. დღეს არავის ჭირდება ლიტონი სიტყვებით დამოძღვრა. ხელოვნებაც დიდებული რამაა, მაგრამ როცა შენს ერს უჭირს და შენ რითიმე შეგიძლია ტკივილი დაუამო, უშურველად უნდა გაიღო მისთვის, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ტაძარში ლოცულობ. დღეს არავის არაფერი აქვს მოჭარბებული. მოზღვავებული ათასი საფიქრალია, მაგრამ ქველმოქმედება მაინც მთავარია, თუნდაც ჩვენი სულის გადასარჩენად... ტელევიზიაში შემთხვევით შევხვდი სასოწარკვეთილებამდე მისულ კოხტა კოხტაშვილს, მისი შვილის, შვიდი წლის აჩიკოსათვის ლონდონში, სტარკის კლინიკაში გულის სასწრაფო ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ, რისთვისაც ორმოცდაათი ათასამდე დოლარს ითხოვდნენ, სულისშემძვრელი შემთხვევაა, პატარა ლამის განწირულია, სად უნდა იშოვო ამდენი ფული. გამოვედი ტელევიზიით. საგანგებო ყუთი დავდგით ჰოლში წარწერით – „აჩიკო“, გულისხმიერი ადამიანების წყალობით, იმდენი ფული მოგროვდა, ყუთი დღესაც გაუხსნელია, როცა გაიხსნება, იგი სხვა ბავშვს მოხმარდება. საახალწლოდ აჩიკო

მშობლებით ლონდონში გავამგზავრეთ. თვენახევარში გამოჯანმრთელებული დაგვიბრუნდა. ჰოი, საოცრებავ, ხელის შეხებისაც შემეშინდა, მისი ნაჭრილობევი სხეული რომ წარმოვიდგინე.

საქართველოში ოფიციალური მონაცემებით 5 ათასამდე ბავშვია დაავადებული სარკომითა და ლეიკემიით. ყველა მათგანი მსოფლიოს სხვადასხვა კლინიკებშია გასაგზავნი. წინადადებით გამოვედი და მოვუწოდე ქართველ ერს მატერიალური დახმარების საზოგადოება ჩამოგვეყალიბებინა. ნებაყოფლობით, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, თვიურად გაეღო თითო მანეთი – ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ამ დაავადებული ბავშვებისთვის. დიდი მხარდაჭერა მოყვა, ბევრს ეცოტავა კიდეც მანეთი.

– თქვენ ახლახან გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი გახდით...

– ჩემთან ერთად ეს პრემია მიიღეს ბატონმა რევაზ თაბუკაშვილმა (გარდაცვალების შემდეგ), ბატონმა პაატა ბურჭულაძემ და მე. ბატონმა ლაშამ, მამის კუთვნილი თანხა მთლიანად გადასცა ხუთშვილიან ოჯახს, მე კი ლეიკოზიით დაავადებულ ერეკლე გაბუნიას და ნათია მახარაძეს ვუწილადე. ნათიას კიდურის თანდაყოლილი შეზღუდულობა აქვს, ბოსტონის კლინიკაში კეთდება ნერვის გადანერგვა, იქ მარტივ ოპერაციად ითვლება. ჩვენთან კი ეს შეუძლებელია...

12 თებერვალი პაატა ბურჭულაძის დაბადების დღეა. ამ დღეს ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა დიდი კონცერტი გამართა შვეიცარიაში. მოიწვია მსოფლიოს საოპერო ხელოვნების გამოჩენილი ვარსკვლავები. საღამოს შემოსავლით შეიძინა უნიკალური წამლები და გამოუგზავნა საქართველოს ბავშვთა ფონდს. პრემიის თანხასაც ბავშვთა ფონდს მოახმარს.

– კიდევ ხომ არაფერს დაამატებდით თქვენი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ?

– სამი წლის წინ, მოსკოვში ოპერეტის თეატრში

დაიდგა ჩემი მინი ოპერა ბარბიუსის „სინაზის“ მიხედვით, ჰონორარი – ათასი მანეთი იქიდანვე ბავშვთა ფონდს ჩავურიცხე. მოგვიანებით ჩაის სახლში ჩავატარეთ საქველმოქმედო კონცერტი მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის. შემოსავალი მთლიანად ბავშვთა სახლებს გადავეცით. ალბათ გემახსოვრებათ, დიდი კონცერტი ფილარმონიაში. მოწვეული გვყავდნენ ჩვენი ცნობილი საესტრადო მომღერლები, 50 ათასი მანეთი იმ ღამესვე შეგროვდა. დღესაც გრძელდება ჩარიცხვები, საკმაოდ დიდი თანხაა შეგროვილი, ზუსტი ციფრი კი არ ვიცი. გული მტკივა, როცა ბავშვთა ფონდზე და მის მესვეურებზე აუგს ამბობენ, თითქოს ფული არადანიშნულებისამებრ იფლანგებოდეს, ეს ყოვლად დაუჯერებელია, არ შეიძლება ყველაფრის გაუფასურება, უმადურობა საშინელი სენია.

– ტელევიზიაში მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქტორი და მუსიკალური გადაცემის წამყვანი ბრძანდებით – კარგი მოსაუბრე და დეკლამატორი, და რაც მთავარია, ოჯახის დიასახლისი. დროს როგორ ანაწილებთ?

– გმადლობთ, კომპლიმენტისთვის. ბედნიერად ვთვლი თავს. შესანიშნავი მეუღლე მყავს, რეზო ასათიანი, საამშენებლო სამმართველოს უფროსია, ადრე ჩემთან ერთად მღეროდა, ეხლა თავი მიანება სიმღერას და თავის სპეციალობას მიუბრუნდა. ნამდვილი მამაკაცია, გრძნობს მოვალეობას ცოლ–შვილის, ოჯახის წინაშე, გააჩნია ყველა რაინდული თვისებები. ჰარმონიული, ტრადიციული, ქართული ოჯახი გვაქვს. ჩემს წარმატებებში მნიშვნელოვანი წილი მასაც უდევს.

ჰოროსკოპით მშვილდოსანი ვარ, მიყვარს მოგზაურობა, ადრე ბევრს დავდიოდით, ახლა რატომღაც დრო აღარ მემეტება სამოგზაუროდ, მინდა ჩემს ხალხთან ვიყო, მნიშვნელოვანი მოვლენა არ გამომეპაროს.

ორი შვილის დედა ვარ. სალომე თხუთმეტი წლისაა. ნატა – ხუთის.

– ამ ბოლო დროს მოგვიმრავლდნენ ე. წ. პოლიტიკოსი ქალები.

– არ მწამს ქალთა ასოციაციები, ქალი და კაცი ერთად უნდა იყოს. მოხარული ვარ რვა მარტის გაუქმებისა, არაფრისმთქმელი, გამოგონილი „დღესასწაული“ იყო. ერთხელ სცენიდან დარბაზს თვალი მოვავლე, ორი ათასამდე ქალი იჯდა, შეურაცხყოფილი ვიყავი, სიმღერის გუნება გამიფუჭდა. ჩვენ არ გვყვანან პოლიტიკოსი ქალები, ის კი არა, ჭეშმარიტად პოლიტიკოსი კაცებიც კი თითზე ჩამოსათვლელია, განა მკერდზე ხელის ბრაგუნი და ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი პოლიტიკოსობაა? ქალი ბუნებით მოქნილი არსებაა, ბევრი სასარგებლო რამის გაკეთება ისედაც შეუძლია. როცა ტელეეკრანიდან მაყურებელს რაიმეს პირდები, უფრო მეტი სათქმელი უკან უნდა გრჩებოდეს.

– ტრადიციულ შეკითხვას გვერდს ვერ ავუვლი, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– ამ ბოლო დროს ხშირად მესმის, რა ამბავია ამდენი ქველმოქმედება, პირდაპირ დაიღალა ხალხიო. რამ დაგვღალა, ეს–ესაა აღვადგინეთ ჩვენი წინაპრების ფერფლ მიყრილი, დავიწყებას მიცემული დიდებული ტრადიცია.

განა შეიძლება ადამიანი სიკეთის კეთებით დაიღალოს? უსინათლო გოგონას, დიანა ღურწკაიას, ჩემთან ერთად გატაცებით რომ მღერის, მთელი საქართველოს ძალისხმევით შეიძლება თვალის ჩინი დაუბრუნდეს.

...დებორას კლინიკის აპარატურა რომ შეგვეძინა, 240 ათასი დოლარი იყო საჭირო, ვერ შევძელით, ფული არ გვქონდა, სომხები ყაირათიანი ხალხია, დატრიალდნენ, იშოვეს ეს თანხა და ჩვენთვის განკუთვნილი ხელსაწყოები მათ წაიღეს, დოყლაპიობა ამაზე მეტი გაგონილა? მაშ არ გვჭირდება ქველმოქმედება?

– ახლა სხვა დროა... მართალია კრიზისი კარს მოგვადგა, მაგრამ მიუხედავად ამისა ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საბავშვო ფილარმონია, რომელიც დაგეგმილია, აშენდეს

საბავშვო ქალაქ „მზიურში“.

ჩაფიქრებული მაქვს საქველმოქმედო კონცერტი მივუძღვნა ჩვენს მარტოხელა მოხუცებს – მოხუცთა სახლებისა და პანსიონატების ბინადართ. არ ვაპირებ, ვინმეს დადანაშაულებას, არავის ვთხოვ პასუხს, მოვალეობას ვინ როგორი კეთილსინდისიერებით ეკიდება. უბრალოდ, მინდა გულის სითბო მათაც ვუწილადო. მშობლის სიყვარულის გარეშე შეუძლებელია საკუთარი შვილი გიყვარდეს. დიდ კონსტანტინეს დავესესხები: „ ...თუ გიყვარს ალვის ხე ტანკენარი, ცაში ალანძული, მისი დაღვარჭნილი და ტალახიანი ფესვებიც უნდა გიყვარდეს“.

მიწვეული ვარ ისრაელში, მოგვიანებით ვაპირებ გამგზავრებას, ვოცნებობ ვიზიტი კიდევ ერთხელ დავამთხვიო მსოფლიოში ქრისტიანთათვის ერთ–ერთ ყველაზე საუკეთესო დღესასწაულის – იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლის დღეს.

1991 წ.

ხე ნაყოფით იცნობა

ამჯერად, ერთ ბედნიერ, *თამარ და მამუკა არჩვაძეების* შვიდშვილიან, თბილისურ ოჯახს ვსტუმრობ. თვალს ახარებს ხუთი ერთმანეთზე უკეთესი გოგონა და ორი ბიჭუნა – ლამაზები, ნიჭიერები, ზრდილები, მორწმუნენი... ოჯახში სრული ჰარმონია სუფევს. ასე გადაჭრით ამის თქმის უფლება მაქვს, რადგან მათთან დიდი ხნის ახლობლობა მაკავშირებს.

ოჯახი ტრადიციულია, ჯანსაღ ფესვებზე აღმოცენებული. მისმა თავკაცმა, ვაჟკაცობით ცნობილმა გურამ არჩვაძემ ყველაფერი გააკეთა, რათა შვილები წელში გამართულები ყოფილიყვნენ. შვილებმა, რომ იტყვიან, ივარგეს, მშობლებს იმედები გაუმართლეს და კარგი სპეციალისტები გახდნენ. მამუკას შვიდი შვილი ჰყავს, კახას – სამი. ბავშვები, როგორც მრავალშვილიანი ოჯახებისთვისაა დამახასიათებელი, ზედმიწევნით მოკრძალებულები არიან, ხანდახან ხუთი წლის ბარბარე და ორი წლის თეკლე თუ წაიცელექებენ... მათი შემხედვარე ბედნიერი მშობლების გამომეტყველებას არაფერი შეედრება. უფროსი გოგონები პატარებზე ზრუნავენ. დედა მშვიდად ადევნებს მათ თვალს, აკვირდება, წარბიც არ უტოკავს, თამარი ასეთი გაწონასწორებული რომ არ ყოფილიყო და უაზროდ დახარჯულიყო, ვერ შეძლებდა ასეთი მყუდრო სავანის შექმნას და ოჯახის ღირსეულად გაძღოლას. შვილებს არ ახსოვთ გაკაპასებული დედა. ამიტომაც ქალიშვილივით შეიყვარა და შეითვისა დედამთილ–მამამთილმა ნანატრი რძალი. ყველა სიკეთესთან ერთად, ამ ოჯახს თავიდანვე დაბედებული ჰქონდა გაჭირვებულის დახმარება და ხელის გაწვდენა. ოჯახის დიდმა ბებია–ბაბუამ ნადია გიორგობიანმა და ვასილ არჩვაძემაც ასეთი სულისკვეთებით იცხოვრეს. გამართლდა ნათქვამი – „ხე ნაყოფით იცნობა, ბოროტი ხე არასოდეს გამოისხამს კეთილ ნაყოფსო“.

– თამარ, ბედმა გარგუნათ საპატიოზე საპატიო ხვედრი, ყოფილიყავით მრავალშვილიანი დედა. ეს თქვენი კეთილშობილური ბუნებიდან მომდინარეა თუ სხვა რამ არის მიზეზი ?

– მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა. მისი ნებიერა შვილი ვიყავი და, ბუნებრივია, საშინლად დავითრგუნე. მაშინ მეორე შვილზე გახლდით ფეხმძიმედ. ცუდად ვიყავი, ტოქსიკოზი მომეძალა. ნათია ორი წლის მყავდა, ვაი–ვაგლახით გაჩნდა შორენა. მალე მესამედ დავფეხმძიმდი, სულიერად დავძაბუნდი, შიშმა შემიპყრო, მეგონა, მათ შორის მცირე ასაკობრივი სხვაობის გამო, ვერ შევძლებდი სამი პატარის გაზრდას. დამხმარეები კი მყავდა, მაგრამ ეკლესიური არ ვიყავი, შვება რომ მეპოვა. თუმცა გავაცნობიერე, ეს იყო უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობა, ვგრძნობდი, მთელი ძალისხმევის მობილიზება მომიწევდა, რათა დამეძლია წინააღმდეგობები... არც მეუღლესთან მიღირდა კონფლიქტი. მას შვილები უნდოდა. ვიდრე ვიქორწინებდით და ჯვარს დავიწერდით, მამუკა ეკლესიური იყო (ამ თემაზე ოჯახში ნაკლებად საუბრობენ, ამაზე სასტუმრო ოთახში დაბრძანებული უამრავი ხატი მიგანიშნებთ). რადგან ეს ეხებოდა ახალი სიცოცხლის დაბადებას, უნდა დამეძლია ყველა წინააღმდეგობა, სულიერიც და ფიზიკურიც. ასე მოგვევლინა სალომე. დანარჩენი ოთხის გაჩენა უკვე ჭეშმარიტმა რწმენამ მიკარნახა. ვიწამე, ცოდვას ვერ ჩავიდენდი, რამდენსაც უფალი მარგუნებდა, უნდა გამეჩინა. ნათია, შორენა, სალომე, გურამი, გიორგი, ბარბარე, თეკლე ღმერთის წყალობაა. ძალა, სულის სიმტკიცე ეკლესიურობამ შემმატა. უფლის ძალა მკარნახობს, რასაც ვაკეთებ. გოგონებმა მართლმადიდებლური გიმნაზია დაამთავრეს, ჩემი მოძღვარი გახდა მამა ბესარიონ მენაბდე, თავადაც მრავალშვილიანი, თერთმეტი შვილის მამა, თქვენი ჟურნალის წინა ნომერში გააშუქეთ მისი ოჯახი, უკეთილშობილესი პიროვნებაა. მეექვსე შვილზე, ბარბარეზე იმდენად ცუდად ვიყავი, ეგონათ, ხუთი შვილი

ობლად დამრჩებოდა. ექიმები მირჩევდნენ, არ გამერისკა, მაშინ იყო თუ იყო, ჩემს სულში ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, რწმენამ და მამა ბესარიონის მცდელობამ გაიმარჯვა, მმოძღვრავდა გამეძლო, მაძლიერებდა ლოცვებით, ზიარებებით. კრწანისის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლი ჩემთვის ლოცულობდა.

– ჩვენი ნებიერი ქალბატონები, უფრო მეტად მატერიალურად უზრუნველყოფილები, ერთი–ორი შვილის ყოლას ძლივს ახერხებენ.

– გულსატკენია, რომ ასე იქცევიან. შენს აზრს ვერავის მოახვევ. პირადი გამოცდილებით, შვილის სიყვარულს მეტად შეიგრძნობ, რაც მეტი გყავს. გაიზარდნენ, გვერდში მიდგანან, ერთმანეთზე ზრუნავენ, ერთმანეთს მფარველობენ, საოჯახო საქმეებში მეხმარებიან... როცა გავთხოვდი, არაფერი მქონდა დაგეგმილი, არც ისე პატარები ვიყავით, მამუკა ოცდაცხრის იყო, მე – ოცდაოთხის, რომ ეთქვათ, ბევრი შვილი გეყოლებათო, ვერ დავიჯერებდი, ყველაფერი თავისთავად და ბუნებრივად მოხდა. ყველას ვურჩევ, განეცადოს ის დიდი ბედნიერება, რაც მრავალშვილიან ოჯახში სუფევს.

– თამრიკო, თქვენ ხომ ექიმი ხართ, გული არ გწყდებათ, რომ არ მუშაობთ?

– ჩემი სპეციალობა შვილების გაზრდაში გამომადგა (იცინის). თუმცა, ზოგჯერ ვნანობ კიდეც. უფრო იოლია იმუშაო ექიმად, დიდი დრო გაატარო სამსახურში, მე კი შვილებისთვის ყველაფერი პირადული გვერდზე გადავდე, როცა შვილებს ვუყურებ, არ ვნანობ, პირიქით, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, შვილები ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ადამიანი ისე ვერ დაიხარჯება, რომ შინ და გარეთ ერთნაირად წარმატებული იყო, ამისათვის მე ოჯახი ვირჩიე...

– სულ მოწესრიგებული ხართ, როგორ ახერხებთ ამხელა ოჯახის გაძღოლას, თანაც მუდამ კარგ ფორმაში იმყოფებოდეთ?

– ბუნებით მშვიდი ვარ, ხასიათი მამის მხრიდან,

დაუშვილებიდან მომდგამს. ყოველთვის მყავს დამხმარე ქალი, ძიძა, გვერდში მიდგას დედა. გული მწყდება, ჩემი დედამთილი, ზედმიწევნით კარგი ადამიანი, თამილა დოჭვერი ვერ მოესწრო ჩემს შვილებს, ადრე გარდაიცვალა. არ არსებობს ადამიანი, მოინდომოს და რაიმე წინააღმდეგობა ვერ დაძლიოს.

– როგორი მეუღლეა მამუკა არჩვაძე?

– ყოველმხრივ სამაგალითო. ყველასათვის მისაბაძი მამა და მეუღლე. ცუდი ქმრისგან ქალი ამდენ შვილს არ გააჩენს. უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს. მარტო ის მუშაობს, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა მას აკისრია. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მამამთილ–დედამთილისაგან გვერგო, რაც ფასეული გაგვაჩნია, მათი წყალობაა. შემოსავალი ბავშვებს სრულად ხმარდებათ.

– ეზოპეს სიტყვებს მოვიშველიებ, „მადლიერება კეთილშობილი სულის ნიშანია“, თქვენ ვისი მადლიერი ხართ?

– მადლობა უფალს. ყველაფერი მისი წყალობაა. მადლობა ჩვენს სულიერ მამა ბესარიონს, ჩემს მეუღლეს და მის ოჯახს თანადგომისათვის, დედაჩემს და ჩემს ექიმს ნათელა გობრონიძეს, რომელმაც შვიდჯერ მიხსნა განსაცდელისაგან, აკი ნათქვამია, ორსულ ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო...

ბატონი მამუკა მოკრძალებით, ჩვეული სიდინჯითა და სიდარბაისლით შიგადაშიგ გვერთვება - საუბრობს ეკლესიურ სიწმიდეებზე, ოჯახურ სიმტკიცეზე, სიყვა-რულზე, გვიხსნის, რატომ გვიყვარს ჯერ უფალი და მერე შვილი, მოყვასი, სამშობლო, მეტი დამაჯერებლობისთვის მოყავს მაგალითები ბიბლიიდან და დასძენს, ჩვენი ოჯახი ჩვენი მცირე ეკლესიაა.

– და მაინც, როგორ ახერხებთ, რომ, თქვენს შვილებს არაფერი აკლიათ, ყველა სიკეთით სარგებლობენ: სათანადო სწავლა–განათლება, ჩაცმა–დახურვა, ენები, მუსიკა, სპორტი...

– უფლის ხელით გვეძლევა დახმარება. გადაჭარბებული

არაფერი არ ვარგა. არ გვშია და არც გვწყურია, არც თავზე გვაწვიმს, რაც მთავარია, ბავშვები მშვიდ გარემოში იზრდებიან, ლაღად გრძნობენ თავს. ნათია ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის მეორე კურსის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტია, შორენა – აბიტურიენტი, სალომე მე–9 კლასშია, სწავლობს ინგლისურ ენას და ქართული ცეკვების სტუდიაში დადის, გურამი მე–7 კლასშია, დადის კალათბურთზე და სწავლობს უცხო ენას, გიორგი მე–3 კლასშია, ჰოკეითაა გატაცებული, ორივე ბიჭი „ბიჭების“ გუნდში მღერის, ბარბარე ფიგურულ სრიალზე დაგვყავს, პატარა თეკლე ორი წლისაა, მას ჯერჯერობით არაფერი ევალება.

– არა მგონია, თქვენს ოჯახზე ბედნიერი ბევრი ოჯახი კიდევ იყოს, ბედნიერების კრედოს რაში ხედავთ?

– ჩემი უპირველესი მოვალეობა შვილების კეთილსინდისიერი აღზრდაა, ჩემთვის სხვა ბედნიერება არ არსებობს. ახლახან წავიკითხე ყველასათვის საყვარელი მწერლისა და მთარგმნელის ვახუშტი კოტეტიშვილის ბრწყინვალე წიგნი „ჩემი წუთისოფელი“. მოვიხიბლე მისი ბრძნული გამონათქვამებით, რომელშიც ნათლადაა ასახული ოჯახის, შვილების, ცოლ–ქმრული, დედა–შვილური, ნათესაური ურთიერთობები, უფროს–უმცროსობის მადლი, ურთიერთპატივისცემა, ქართული ეროვნული ტრადიციებით გაჯერებული ნაშრომი, სევდანარევი სიცილ–ტირილით ჩავიკითხე. საგულდაგულოდ დამამახსოვრდა ასეთი რამ – „კაცს ბოღმა და შური ასნეულებს, ის უჭამს ჯანსა და გულს, სიკეთე უწყინარია“, ხოლო „ყოველგვარი შურისძიება ახალი ბოროტების საწყისია“, ვურჩევ, ყველამ წაიკითხოს, მშობელი ამ მარგალიტებზე უკეთესს ვერაფერს ჩათესავს ყრმის სულში...

– ჩემო თამრიკო, თქვენ და მამუკა ჭეშმარიტი მორწმუნენი ხართ, ბავშვებიც მორწმუნეები არიან?

– უფროსმა გოგონებმა ადრეული ასაკიდანვე გაითავისეს, რა არის ცოდვა–მადლი, რა არის მისაღები და

აკრძალული, ანუ ცხოვრობენ ეკლესიურად. მარხულობენ, აბარებენ აღსარებას, ეზიარებიან, რაც ჩემთვის მათ ასაკში უცხო იყო. ღმერთს შევთხოვ შვილების კარგად ყოფნას, მათ ბედნიერ მომავალს, მშვიდობას და სამშობლოს გაძლიერებას, რომ ყველა ოჯახში დაისადგუროს მშვიდმა გარემომ.

– ეგზიუპერის სიტყვებით, „ამქვეყნად ყველაზე დიდი ფუფუნება ადამიანთა ურთიერთობაა“, მეგობრებისთვის, გართობისთვის დროს თუ პოულობთ?

– მეგობრები მეუბნებიან, რომ უფრო ვახერხებ მათ მონახულებას. მყავს ბავშვობის, სტუდენტობის დროინდელი მეგობრები. თოთხმეტ მაისს, თამარობას ვიკრიბებით ჩემს მეგობარ თამარ ნატროშვილთან, თეკლეს ნათლიაა. საღამოობით ისეთი გადაღლილი ვარ, ზოგჯერ შვილებთან ერთად ვიძინებ. თავის დროზე ბევრი რამ მაქვს წაკითხული, ახლა უფრო საეკლესიო ლიტერატურა მაინტერესებს (როგორც შევნიშნე, მათ მდიდარ ბიბლიოთეკაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია საეკლესიო ძვირფას გამოცემებს, რაც ბატონი მამუკას დამსახურებაა).

... სამწუხაროდ, თანამედროვე ოჯახებში ვერ ხერხდება ერთად სადილობა, გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. დღის განმავლობაში ჩვენი სახლის კარი უამრავჯერ იღება და იხურება, ვინ საით გარბის და ვინ საით...

დიდი ფუფუნებაა, როცა ყველანი გავდივართ ქალაქგარეთ, ან აგარაკზე, ამისათვის სპეციალური თორმეტკაციანი „ჯიპი“ გვაქვს.

– ე. ი. თქვენ კიდევ აპირებთ შვილების ყოლას? მანქანაში გქონიათ სამი ზედმეტი ადგილი.

– თუ უფალმა ინება, რას ვიზამთ... (ხუმრობანარევი სიცილით მითხრა, დამაჯერებელი ტონით, თან მთხოვა, არ ჩაწეროთ. დედაჩემს ნერვიულობით გული არ გაუსკდეს, კარგა ხანია მემუდარება, გეყოფა თამრიკო, ხომ იცი, უკვე ასაკში ხარ, საშიშიაო! დედის გულს ვერც ვერაფერს უკარნახებ და ვერც აუკრძალავ).

– როგორც ღირსეული დედა, ჭკუასაკითხავი ახალგაზრდა ქალბატონი, უფლება გაქვთ, მკითხველს რჩევის სახით უთხრათ რამდენიმე სიტყვა.

– ჩემი ფიქრის თვალსაწიერი შვილებითაა შემოფარგლული, ქალის უპირველესი ვალი შვილების აღზრდაა, რაც ეკლესიური ცხოვრებით მიიღწევა. ქალმა, რომელსაც უფალი ამ მადლს არგუნებს, ეს საპატიო მისია ღირსეულად უნდა შეასრულოს. რა თქმა უნდა, ამაში ოჯახი, მეუღლე და ეკონომიკაც უნდა უწყობდეს ხელს, არ მართლდება – ღმერთის გაჩენილს, ღმერთი დაარჩენსო, თუ მშობლებმაც არ გამოიღო ხელი და პასუხისმგებლობა არ იკისრა.

* * *

ვიდრე ამ ბედნიერ, სტუმართმოყვარე ოჯახს დავემშვიდობებოდი, გულითადად გამიმასპინძლდნენ, პატარა ოჯახური კონცერტიც გამიმართეს, დედამ და სამმა ქალიშვილმა გიტარის თანხლებით შესანიშნავად იმღერეს ქართული და ბოშური სიმღერები. ჩოხოსანი გურამი და გიორგი ფანდურზე უკრავდნენ. ბიჭები სამების ეკლესიაში უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორის „ბიჭების“ გუნდში საზეიმო დღეებში გამოდიან ხოლმე. ბარბარე და თეკლე გულიანად კისკისებდნენ და შეუსვენებლივ დარბოდნენ. მათთვის ზედმეტი შენიშვნა არავის მიუცია...

... ეს მართლაც სასიამოვნო და დაუვიწყარი საღამო იყო.

2006 წ.

დიდი ოჯახის შთამომავალი

საქართველოს დამსახურებული არტისტი ***ეკატერინე ვაჩნაძე***ქართული სცენის ბრწყინვალე ოსტატის ელისაბედ ჩერქეზიშვილის ოჯახში აღიზარდა (ელისაბედის უშვილო ქალიშვილმა ნინო მაჩაბელმა თავისი მულის, სოფიო ანდრონიკაშვილისა და გიორგი ვაჩნაძის 3 წლის გოგონა იშვილა). იგი არის რესპუბლიკის სახალხო არტისტის მერაბ გეგეჭკორის მეუღლე, ცნობილი იუმორისტის გურამ გეგეჭკორის დედა.

მისი გენეალოგიის რთულ ლაბირინთებში ძნელია გზის გაკვლევა, შეცდომა იქნება, ერთი–ორი სიტყვით არ მოვიხსენიოთ იმ საინტერესო ადამიანების გვარი და სახელი, რომლებიც პატარაობიდანვე გარს ეხვივნენ ეკატერინეს. ჩერქეზიშვილების ცნობილ ოჯახში, დიდი ამაგი დასდეს მისი კეთილშობილური ხასიათის ჩამოყალიბებას, გზა გაუკვალეს მსახიობად კურთხევაში.

ვის არ იხილავდით მაშინ წილკნის (დღევანდელი ღამბაშიძის) ქუჩაზე ელისაბედის ბინაში. მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ: ელო ანდრონიკაშვილი, ნიკო გოცირიძე, ტასო აბაშიძე, ცაცა ამირეჯიბი, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის იმდროინდელი დასის წევრები. ამ სახლის ფასადს დღეს ორი მემორიალური დაფა ამშვენებს – ერთი ელისაბედს ეკუთვნის, მეორე მის სიძეს, მერაბ გეგეჭკორს.

საინტერესოდ იცხოვრა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა. მისი მეუღლე ნიკო ხიზანიშვილი, „ურბნელის“ ფსევდონიმით ცნობილი, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი ყოფილა, იურიდიული განათლება ოდესაში მიუღია და „ივერიაშიც“ კარგახანს უმუშავია. ელისაბედის ლამაზ ყელს ამკობდა ილიას ნაჩუქარი გულქანდი. ნიკოს კი ილიასაგან სამახსოვროდ დაბადების დღეზე ბზის კალმისტარი მიუღია, ვინაიდან ღორის მწვადები ჰყვარებია, ღორის

გამოსახულებიანი სამელნეც თან დაუყოლებია დიდ პოეტს და ასეთი ლექსი უძღვნია ექსპრომტად: „შენს სახეს რომ შევხედავ, მაგონდება ყასაბ ღაღო, რით ვერ გაძეხ ღორის ჭამით, შენ მსუნაგო ყურმუსაღო“ (ეს ექსპონატები და სხვა ილიასეული ნივთები ამჟამად ილიას სახლ–მუზეუმის კუთვნილებაა).

ელისაბედის უფროსი ვაჟი შალვა ნათლული გახლდათ ოლღა გურამიშვილისა, მეორე ვაჟი ვახუშტი – მაკო საფაროვასი. ელისაბედი 1948 წელს გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. ელ. ჩერქეზიშვილი საფრანგეთში სამჯერ ყოფილა ვაჟიშვილის სანახავად, რომელიც ბალეტმაისტერი იყო და დიდხანს ცხოვრობდა პარიზში. რეჟისორ კოწო ანდრონიკაშვილსა და ელისაბედს იქაური საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანიათ შესანიშნავი „ლეკურით“.

საგულისხმოა, რომ ელისაბედის ქალიშვილს ნინოს პარიზში და ჟენევაში ჰქონია განათლება მიღებული. ურიგო არ იქნება აქვე მოვიხსენიოთ ეკატერინეს მშობელი დედა სოფიო ანდრონიკაშვილი, სილამაზითა და ქართული კდემით საქვეყნოდ განთქმული დარბაისელი მანდილოსანი, რომელსაც სამეჯლისო ცეკვებში პრიზიც ჰქონია მიღებული, ხოლო დიდედა თებრო, გრიგოლ ორბელიანს ერთ–ერთ თავის ნაწარმოებში ჰყავს მოხსენიებული: იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონის მოყვარულთ თარზე დაკვრით და მშვენიერი ტემბრის ხავერდოვანი ხმით ატკბობდა თურმე. ეკატერინეს მსახიობური ნიჭის გამობრწყინებაში ლიზა ბებოს (როგორც ელისაბედს ოჯახში უწოდებდნენ) დიდი ღვაწლი მიუძღვის, მან დამოძღვრა საკუთარი ლეჩაქით საყვარელი ერთადერთი შვილიშვილი ქართულ სცენაზე (სამწუხაროდ, – სამი შვილისგან ნამდვილი მემკვიდრე არ დარჩენია – ეკატერინე ითვლება მის კანონიერ შთამომავლად, ამიტომ ელისაბედის მთელი საგვარეულო ქონება, ნივთები და ძვირფასი არქივი ეკატერინემ უყოყმანოდ გადასცა თეატრალურ მუზეუმს).

1942 წელს თბილისს ეწვია მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი: ნემიროვიჩ–დანჩენკო, კაჩალოვი, თარხანოვი, მასალიტინოვა, კნიპერ ჩეხოვა. მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა აკაკი ხორავამ ისინი გიორგი ტოვსტონოგოვის სპექტაკლ ა. ბრუშტეინის „ცისფერი და ვარდისფერის“ სანახავად მიიწვია. სპექტაკლში სხვა ახალბედა მსახიობებთან ერთად ეკატერინეც მონაწილეობდა. სტუმრები მოიხიბლნენ დამწყები მსახიობების ოსტატობით და სამახსოვრო სურათიც გადაიღეს მათთან.

ეკატერინე თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში დაოსტატდა. მისი პედაგოგები იყვნენ: აკაკი ფაღავა, გიორგი ტოვსტონოგოვი, ვახტანგ ბერიძე, მალიკო მრევლიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, რევაზ ნათაძე, გრ. კიკინაძე და სხვანი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა, სადაც დღემდე მუშაობს. ალღოიანმა, ნიჭიერმა მსახიობმა იმთავითვე იპოვა თავისი ადგილი თეატრის კოლექტივში, აქ ჩამოყალიბდა, როგორც სახასიათო როლების უბადლო შემსრულებელი. თუმცა მსახიობი ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება როგორც მთავარ, ისე მეორეხარისხოვან როლებს – ზოგჯერ ქარაფშუტა ქალიშვილია, ან ძუნწი ვაჭრის ცოლი, ხან გონებაშეზღუდული მეუღლე, მოხერხებული, გაიძვერა მაჭანკალი ან ჩლუნგი ბეჩავი გლეხის ქალია, ხან კიდევ ანგარებიანი, მეშჩანური ხასიათის, ფლიდი, ფუფუნების მოყვარული, ფუქსავატი დედაკაცი. მას აქვს კომიზმისა და ტრაგიზმის შერწყმის საოცარი უნარი. მაყურებელს კარგად ახსოვს მის მიერ განსახიერებული ლიზა – როსტანის „სირანო დე–ბერჟერაკში“, სონა – გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში“, ლირსა – პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, სონა – გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანში“, მარიამი ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, პეპელა – ი. ვაკელის „საქმიან კაცში“, მადამ დრაგა – ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში“, კოკონა

– კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისაში“, თამარი – გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელში“, კაროჟნა – დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებში“, გალჩიხა – ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენში“, მაიკო – სუმბათაშვილის „ღალატში“, მაკინე – მ. ელიოზიშვილის „ბებერ მეზურნეებში“, ვარა – ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“, დიდედა – ცაგარელის „ხანუმაში“, მარგალიტა – კარსანიძის „მარად მწვანე ქედებში“, მადამ კარპოვნა – კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“... აი, არასრული სია იმ სპექტაკლებისა, რომლებშიც ეკატერინეს შთამბეჭდავი სახეები შეუქმნია. ერთ–ერთ სეზონზე იგი დიდი წარმატებით გამოვიდა ბათუმის თეატრის სამ სპექტაკლში: გ. გაბესკირიას „ქეთევან წამებულში“ შეასრულა იათამზეს როლი, „მარტოხელაში“ – რუსუდანის, გოლდონის „სასეირო ოინში“ – მარიანასი.

ქალბატონი ეკატერინე დღეს დიდი ინტერესით მუშაობს გამოჩენილ ადამიანთა მონოგრაფიებზე. რამდენიმე გამოაქვეყნა. ბევრი ღონისძიება დაუმშვენებია ასეთ საინტერესო მოგონებებს.

საგულისხმოა ერთი ბარათი, რომელსაც მუდამ თვალცრემლიანი კითხულობს ქალბატონი ეკატერინე. ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“ ეკატერინე ვარას როლს ასრულებდა. სერგო ზაქარიაძე – შაქროსას. იყო 1965 წელი. რატომღაც ბატონმა სერგომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მოისურვა ჯერ სამახსოვრო სურათი გადაეღოთ ერთად და მერე ასეთი შინაარსის წერილი დაწერა: „ვარა, ხომ ხედავ, ამ ოქროს ქორწილში როგორ ყოჩაღად გამოვიყურებით, არა? ჩემო კატუშა, გენაცვალე, შენი ნიჭი და კეთილი ადამიანობა არ მოეშალოს მთელ თეატრს და მე კი შენი პარტნიორობა“. დასანანია, რომ ეს სურვილი ადრე დასრულდა. სერგო ზაქარიაძე მალე გარდაიცვალა.

1987 წ.

თუ გინდა იყო ბედნიერი, გადაარჩინე ადამიანი

„მინდა ჩემმა შთამომავლობამ იცოდეს, არამარტო საქართველოს, არამედ ჩემი, ჩვენი ოჯახის ისტორიაც, რამეთუ ქვეყნის ისტორია და მისი წარსული, ჩემი ოჯახის წარსულიცაა, მინდა ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა, მათმა შვილებმა იცოდნენ, როგორი წინაპრები ჰყავდათ, ვისთან მეგობრობდნენ, რას საქმიანობდნენ, რა თვისებები გააჩნდათ, როგორები იყვნენ ფიზიკურად, სულიერად, ოჯახში, რას წარმოადგენდნენ საზოგადოებისათვის, რა ქველმოქმედებას ეწეოდნენ, დაუფასდათ თუ არა გაწეული შრომა“. ბროშურად გამოცემული ასეთი შინაარსის, მოკრძალებული მონოგრაფია უძღვნა მონატრებულ მამას ჩემმა მერხის მეგობარმა რენადა თოდრიამ, ჩვენი სკოლის დირექტორს, ახალგაზრდა თაობების აღმზრდელს, შალვა თოდრიას – უანგაროს, მრავალმხრივ განათლებულს, ჯილდოების მფლობელს, წლების მანძილზე რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე იწვევდნენ, იყო საშუალო სკოლების დირექტორი ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში, რომელიც მისი მოსწავლეებისგან ბოლომდე იმსახურებდა რიდს, მოწიწებას, შიშსაც. ერთმა თანაკლასელმა ამასწინათ ალალად, გურული იუმორით მოიხსენია, მისი საფლავის ქვის სურათის შეხედვა თურმე დღესაც ზარავს, ჰგონია, როგორც სჩვეოდა ისევე დატუქსავს, რატომ არ გინდა ისწავლო, ყურის ბიბილოსაც შეეხება, ხეპრე და გაუნათლებელი ნუ დარჩებიო. ასეთები იყვნენ მაშინდელია აღმზრდელები, სიპატიოსნით, სიწმინდით, პროფესიონალიზმით გამორჩეულები, უვარგისი პედაგოგი აქა-იქ სარეველასავით თუ გამოერეოდა. ჩვენ იმ თაობის მოსწავლეები ვიყავით, ბევრი არაფერი რომ არ ვიცოდით ჩვენი პედაგოგების ყოფითი ამბების შესახებ,

ვინ მიგიშვებდა ახლოს, გვაინტერესებდა როგორები იყვნენ ოჯახებში, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ თუ მართლაც ზეკაცებად იყვნენ დაბადებულნი. მე თუ მკითხავთ, დიდი ვერაფერი ბედენაა ახლანდელი ზღვარწაშლილი პედაგოგ–მოსწავლეობა. გუშინდელივით თვალწინ მიდგას მუდამ შემართული, მოწესრიგებული, ამაყი, ჭეშმარიტი აღმზრდელი, მარცხენა ლოყის ქვემოთ კუნთი უკრთოდა, დამსახურებულად მოძღვარს ეძახდნენ მისი შეგირდები. ნამდვილი სტალინელი იყო, რაც ნამუსის, პატიოსნების სიმბოლო იყო მაშინ. ასეთი უანგარო ადამიანები ახლა სანთლით საძებარია. მაპატიოს მისმა სულმა, თუ სიცოცხლეშივე ვერ მივაგე პატივი და პატარა ჩანახატი ვერ მივუძღვენი, როგორც მას უწოდეს, სკოლისთვის დაბადებულ კაცს. იცოდა თქმა, თუ გინდა ადამიანი გიყვარდეს და არ გძულდეს, მასში ეცადეთ დადებითი თვისებები ეძებოთო. ასე წვრთნიდა და ამზადებდა ცხოვრებისათვის ორმოც წელზე მეტხანს მთელ თაობებს.

... ახლა ამ ოჯახში სამი თაობა ცხოვრობს. უფრო წელგამართული და ეკონომიკურად მოძლიერებულია მათი ოჯახი, რომელსაც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ. ოჯახის თავკაცმა სიძემ, სპეციალობით ეკონომისტმა მამული გუდავაძემ ითავა და წარმატებითაც გაართვა თავი მისი საგვარეულო წამლის შექმნას და ფართო მოხმარებას. წამალს თავიდან გუდავაძის გვარით იცნობდნენ. 25 წლის ისტორია აქვს მის მოხმარებას. ორი წელი მე–8 საავადმყოფოს ბაზაზე 50 ავადმყოფზე გამოიცადა. აკვირდებოდა ფიტოთერაპიის კათედრა. წამალმა ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა და ამავე კათედრასთან გაიხსნა სამკურნალო კაბინეტი ექიმის შტატით, წამალს „მამქოლი“-გუდავაძე ეწოდა. დამკვირვებლები და ათეულობით მომხმარებელი ხელაღებით ამტკიცებენ, რომ წამალი უებარია და გამოიყენება ღვიძლის პათოლოგიური დაავადებების, ქრონიკული ჰეპატიტების და სანაღველე გზების

დისკინეზიის სამკურნალოდ. დღეს მთელი მსოფლიო მუშაობს ჰეპატიტ C–ზე. მის სამკურნალო მედიკამენტების უმეტესობას ახასიათებს ძვლის ტვინის ფუნქციის მოშლა და ნერვული ფსიქიკური აშლილობანი. „მამქოლს“ უკუჩვენება არ აღენიშნება. სოფლებში, კერძოდ გურიაში ამ ჰეპატიტით დაავადებულთ, როცა მუცელში წყალი უდგებოდათ, წყალმაკეობას ეძახდნენ, სხვაგან – წყალმანკობას, მათი გადარჩენის არავითარი შანსი არ არსებობდა და იღუპებოდნენ. უმეტესწილად დაავადება ნარკომანების ხვედრია. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ვირუსი ოთხმოცი დღე ცოცხლობს, გადადის ინექციით და სისხლით. რაც შეეხება ჰეპატიტ B–ს, „მამქოლის“ წყალობით მისით დაავადებულის აბსოლუტური განკურნების უამრავი შემთხვევაა. უკეთეს შემთხვევაში დაავადება ქრონიკულში გადადის და ავადმყოფები ჩვეულებრივი ცხოვრების წესით წლობით ცოცხლობენ. „მამქოლის“ მოხმარების სპექტრი ფართოა: საქართველო, ამერიკა, რუსეთი, გერმანია, შვეიცარია, კანადა, ისრაელი, ესპანეთი, (გავეცანი ამონარიდებს აღნიშნული ქვეყნების ბარათებიდან).

ჩემს შეკითხვაზე აქვთ თუ არა საიტი ინტერნეტში, აი რა მიპასუხა ბატონმა მამულიმ: – ჩემი წამალი ცხრა კომპონენტისგან შედგება, აქედან ოთხი სახეობა საყოველთაოდ ცნობილია: კრაზანა, გვირილა, ღიღილოს ყვავილი, ნიახურას ფესვები, დანარჩენი ხუთი ოჯახის საიდუმლოა. ბალახები ძირითადად გურია–აჭარა–იმერეთის მაღალმთიან კლდეებზე იზრდება. დასაქმებული გვყავს თვრამეტი ოჯახი (ამდენ ადამიანს რომ საარსებო წყარო გავუჩინეთ ესეც ხომ საქმეა), ტანმორჩილ ბიჭებს კლდეებზე ცოცვა უნდა შეეძლოთ – უამინდობა, ქვეწარმავლები, ნადირი, რამდენი წინააღმდეგობის დაძლევა უწევთ. ვღელავთ, ვიდრე ოჯახში დაბრუნდებიან. სპეციალური მაკრატლებით მუშაობენ, რომ მცენარეს ფესვი არ დაუზიანდეს. ერთი სახეობაა, მის გაზრდას 25 წელი მაინც სჭირდება. მოკრეფისას თვეებს, მთვარესაც

აქვს მნიშვნელობა. არ უნდა იყოს ნაწვიმარი. მცენარეს მზე აღმოსავლეთიდან უნდა ხვდებოდეს. წამალს მთელი პასუხისმგებლობით ვამზადებთ. ვიცავთ ჰიგიენის ნორმებს, რაც ოჯახის პირობებში უფრო მოსახერხებელია, ვიდრე აფთიაქში. ამით ფალსიფიცირება გამორიცხულია. გვაქვს ყველანაირი მოწყობილობა – სპეციალური საშრობები, ბალახის საჭრელი მანქანა, ზუსტი დასაფასოებელი. ჩვენი წამალი იმდენად რთული მოსაპოვებელია, რომ წელიწადში ათასზე მეტ ავადმყოფს ვერ ვაკმაყოფილებთ, ამიტომ ვიკავებთ თავს ინტერნეტზე. სხვა დაავადებების წამლებიც ვიცი, მაგალითად პროსტატის, თუმცა არ მიცდია მისი დარეგისტრირება, დიათეზის, ბუდობრივი თმის ცვენის (გამელოტება), სკლეროდერმიის (კანის კვდომა), ბუასილის და სხვა. ჩამოგითვალეთ ის დაავადებები, რომელთა განკურნების მომსწრე თავად გახლავართ.

... მომხიბლავია ამ კაცის გულმხურვალება, კაცურობა, ჭირში დგომის საოცარი თვისება. მთელი მისი ოჯახი ამ სულისკვეთებით მოვიდა აქამდე. კაცი დღეს მარტო პირადი კეთილდღეობით რომ შემოიფარგლება, ასეთ კაცს კაცად ვერ აღვიქვამო, – დაამატა. ხელგამოსული ვაჟკაცია, შეძლებული ოჯახის პატრონი. ეწევა მეფუტკრეობას, მესაქონლეობას, ჰყავთ ყველანაირი ფრინველი, საუკეთესოდ მოვლილი ბაღ–ვენახი. გვერდში უდგას დიდებული მეუღლე რენადა – პედაგოგი, ბაგა–ბაღის გამგე. მისი ოჯახის მატერიალური ხელშეწყობით გაჭირვების წლებში ბაღს არსებობა არ შეუწყვეტია. სიდარბაისლით გამორჩეული ქალბატონია. ბევრი ჭკუას ეკითხება, თემიდას სასწორივით ზუსტია მისი გადაწყვეტილება. ადამიანების შეცნობის უტყუარი ალღო აქვს, მის სიტყვას ფასი - შინ და გარეთ. ჰყავთ მშვენიერი რძალი ნინო, წიგნიერი, სამაგალითო პედაგოგი. ჩვენი თანამოკალმე. მისი ჩანახატები, წერილები იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთებში. ოჯახის და გვარის ტრადიციების გამგრძელებელია ერთადერთი ვაჟკაცი დავითი. ორი საამაყო შვილიშვილი სალომე და მამუკა.

სალომე სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება. მამუკა ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, უნდა მომავალი საეკლესიო მსახური გახდეს. რომ იტყვიან, ბუნებამ მათ ყველა სიკეთე დააბერტყათ. კიდევ ერთი სამაგალითო თვისება, – ქველმოქმედებაც ახასიათებთ. მამულის არ უყვარს სიკეთის აფიშირება. დიდიხნის ოცნება ამ დღეებში აისრულა. უნდოდა სოფელს საკუთარი სამლოცველო – ეკლესია ჰქონოდა. ამ დიდ საქმესაც შეეჭიდა, გვერდში მდგომები ვერ შემოიკრიბა. მარტომ ჩაუყარა მის მშენებლობას საძირკველი. ოჯახი სტუმრიანია. მის კარზე უსასრულოდ მოდიან შეჭირვებულებიც. ათი პაციენტიდან სამი–ოთხი უფულოა. მეგობარმა გამომგზავნა, პურის ფული არა მაქვს, არ ვიცი ბავშვებს რა ვაჭამო, უკან დასაბრუნებელი ფული ვისესხე, გულისამაჩუყებელი სიტყვები არ ილევა, მათთვის წამალი შეღავათიანია.

... მაგიდაზე ჟურნალ–გაზეთების, სამადლობელო წერილების გროვაა. „საიქიოდან მობრუნებული“ ადამიანების გრძელ სიას მთავაზობენ. პაციენტთა შორის არიან ცნობილი პოლიტიკოსები, მეცნიერები, მედიკოსები, მსახიობები, უმეტესობა ანონიმურობას ითხოვს. გამოვყოფ „მამქოლის“ ერთ–ერთ მომხმარებელს ინეზა თევდორაძეს ქუთაისიდან, რომლის მკურნალობის შედეგით განცვიფრებულია მოსკოვის გამალეის სახელობის ჰეპატიტის ლაბორატორია.

... ხალხურ მკურნალს მამული გუდავაძეს ქართული ფლორის სასწაულების სჯერა – თუ ბუნების ყველა საიდუმლოს ამოხსნას შესძლებს ადამიანი, უკურნებელი სენი არ არსებობსო. იგი ერთ–ერთი იმათგანია, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა საოცრების საოცრება. ახალგაზრდობაში ჰქონდა პატარ–პატარა შეცოდებები: ურეჟიმო ცხოვრება, მოჭარბებული ქეიფები, მოკლედ, ყველაფერი ნახა და გამოსცადა. ზედმეტმა ალკოჰოლმა ღვიძლი დაუზიანა, ექიმებმა ვერაფრით უშველეს, მის გადარჩენას აღარავინ ფიქრობდა, ყველას ხელი

ჰქონდა ჩაქნეული, რომ იტყვიან „შარი ხეირად ექცა“ – სიზმარში ბებია ნახა, მისი წამლის ზუსტი რეცეპტი შესთავაზა სიკვდილის პირას მისულ შვილიშვილს. ბებიის დანატოვარი ჩანაწერები წაკითხული კი ჰქონდა, მაგრამ მისი გამოყენება აზრად არ მოსვლია. მამას გაენდო, რომელმაც ბევრი იხეტიალა მთებში, შეგროვილი ბალახებით დამზადებულმა წამალმა საბოლოდ ერთ თვეში განკურნა. ასე დაედო სათავე რამდენიმე წლის წინ. მართლაც სასწაულ „მამქოლი“ – გუდავაძეს.

მოვუსმინოთ თავად მამულის:

– მახსოვს, ბებიაჩემი სალომე ცინცაძე–გუდავაძე სასწაულ წამლებს ამზადებდა. საიდან არ აკითხავდნენ, ათასგვარ დაავადებებს კურნავდა. განსაკუთრებით ღვიძლის დაავადებებს. საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ნაღვლის (სევდის) ბუშტი არ აწუხებდეს, მაშინ ციროზი არ იცოდნენ, მუცელში წყალი ჩაუდგაო იტყოდნენ. ამ ავადობას ბებიაჩემი თავისუფლად კურნავდა. როგორც ხალხურ ე. წ. საგვარეულო წამლებს ახასიათებს, მისი დამზადების საიდუმლო მემკვიდრეობით მოვიდა ჩვენი ოჯახის წევრებზე. ჩემმა რძალმა და ვაჟიშვილმა უკვე იციან ეს საიდუმლო. თავად, თუ გარანტირებული არა ვარ, რომ ჩემი წამალი მოარჩენს პაციენტს, ისე არ ვაძლევ. თუ მივეცი, დარწმუნებული ვარ განკურნავს. სპეციალობით ექიმი არ გახლავართ, ვეყრდნობი ავადმყოფის თვალებს, ენას (თვალზე და ენაზე ვატყობ რა მდგომარეობაშია ღვიძლი) და ექოსკოპიის პასუხს. ჩემი წამალი გამოიცადა 50 ავადმყოფზე, ორი წელი ინფექციურ და მე–8 საავადმყოფოებში, რის საფუძველზეც მომცეს ლიცენზია, სერთიფიკატი და გამიხსნეს სამკურნალო კაბინეტი. მიკავშირდებიან სხვადასხვა ქვეყნებიდან, მთავაზობენ საკმაოდ სოლიდურ თანხას, ბუნებით მოკრძალებული კაცი ვარ, ფულს გადაყოლილი არასოდეს ვყოფილვარ, მირჩევნია, მეტ გაჭირვებულ, უიმედო პაციენტს აქ ვუშველო, მსოფლიო მედიკოსები დღენიადაგ ებრძვიან

დაუმარცხებელ ციროზს. „მამქოლმა“ ეს საკმაოდ წარმატებულად შესძლო. ათიდან ექვს–შვიდს რომ უშველი, დიდ მიღწევად ითვლება მედიცინაში. კიდევ, იცით რას გეტყვით – ხელი ისე უნდა გამოიღო, უფალი არ გაანაწყენო, სიკეთე თესო და შედეგსაც მოიმკი, უმადურობა საშინელი სენია. კულტურის კერად ცნობილი შალვა თოდრიას და ნორა რამიშვილის ოჯახის ტრადიციას შეძლებისდაგვარად ვაგრძელებთ. სათქმელი ჩემი სიმამრის სიტყვებით მინდა დავასრულო, რომელსაც უზომოდ დიდ პატივს ვცემდი – „ადამიანში ცუდს და უარყოფითს ნუ ჩაეჭიდები, კარგი კუთხით შეხედე, მოყვასათ შეიცანი, თუ გინდა თავად იყო ბედნიერი“.

2004 წ.

ლეილა სიყმაშვილს მრეცხაობა სურდა და სცენაზე აღმოჩნდა

– ქ-ნო ლეილა, გვიამბეთ თქვენი ოჯახის, მშობლების შესახებ.

– დედა, პროფესიით ექიმი, სანდრო ახმეტელის ალალი ბიძაშვილი გახლდათ, თეატრი არ უყვარდა, კონცერტებზე არ დადიოდა, სმენის ნატამალიც არ გააჩნდა. სამაგიეროდ, მამას – ქიზიყელ მეტყევე-ინჟინერს ჰქონდა უნიკალური სმენა, მღეროდა, შესანიშნავად უკრავდა. მისი წყალობით, ბავშვობიდან სულ რუსთაველის თეატრში „ჩემს“ ლოჟაში ვიჯექი. მახსოვს, პირველი სპექტაკლი, რომელიც ვნახე „დიადი განთიადი“ იყო. ზეპირად ვიცოდი მთელი მაშინდელი რეპერტუარი. ხუთი წლიდან ფორტეპიანოს ვუჯექი, ორი რეპეტიტორი მყავდა. დედა ძალით მასწავლიდა მუსიკას. პატარაობაში ძუნწი და უკარება ვიყავი, ოჯახში „მეგერას“ მეძახდნენ, მერე ისე გამოვსწორდი, სულ გავაჩუქე დედ-მამის დანატოვარი ქონება.

კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით დავამთავრე. სულხან ცინცაძემ, როგორც „უვარგისი“ სტუდენტი, კონსერვატორიიდან გამრიცხა, ბიძინა კვერნაძემ რის ვაი-ვაგლახით აღმადგინა. შემდგომ ამ „უნიჭო“ ქალმა, მუსიკის წყალობით, ლამის მთელი მსოფლიო შემოვიარე. ესეც ფორტუნაა.

– სად მოღვაწეობდით რუსთაველის თეატრში მისვლამდე?

– ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მომაწყვეს კონცერტმაისტერად, რადგან კონსერვატორიაში მოსახვედრად სტაჟი იყო საჭირო. თერთმეტი წელი გავატარე იქ.

ვახტანგ ჭაბუკიანთან მუშაობა რთულიც იყო და ბედნიერებაც. მასაც, როგორც ყველა დიდ შემოქმედს,

თავისებური ხასიათი ჰქონდა. ყველას მოუმატა ხელფასი, მე – არა. მეწყინა და წამოვედი. იური ზარეცკისთან ვმეგობრობდი, მირჩია რუსთაველის თეატრში მეცადა ბედი. გამიმართლა. ბულგაკოვის „ფარისეველთა შეთქმულებას“ დგამდნენ, მუსიკალურად გია ყანჩელმა გააფორმა. სცენაზე არ ვიყავი ნამყოფი, საორკესტრო ორმოში ჩამსვეს, „იონიკაზე“ ვუკრავდი. როცა თვალი სცენის მაშინდელ კორიფეებს შევავლე, თავგზა სულ ამებნა. ექსტრავაგანტურად ვიცვამდი, რამაზ ჩხიკვაძემ და რეზო მირცხულავამ „ქათინაური“ მომაძახეს – გოგონა, ცხენი გარეთ გეყოლება დაბმულიო. ეროსის საშინლად არ მოვეწონე, ჯმუხი და უკარება ვგონებივარ, სომეხი იქნებაო, უთქვამს. როცა უთხრეს, კახელიაო, უხუმრია, მერა რა განსხვავებაა კახელსა და სომეხს შორისო. მალე დავმეგობრდით, ბოდიშიც მომიხადა, ალბათ გული გატკინეო. კარგი პიროვნება იყო.

... ბატონი რობერტი „ყვარყვარეს“ დგამდა. ერთ დღეს მითხრა სცენაზე უნდა დაჯდეო. ნამდვილი კახური ისტერიკა მოვუწყვე. მაინც მაჯობა და თავისი გაიტანა.

... „ყვარყვარე“ განსაკუთრებულად ორიგინალური გამოვიდა, ახლებურად გააზრებული, მასში ბერტოლდ ბრეხტის „არტურო უის კარიერიდან“ იყო მონაკვეთი ჩართული. მოსკოვში გასტროლებზე ყოფნისას, ბრეხტის შთამომავლები დაესწრნენ სპექტაკლს და უზარმაზარი თანხა მოითხოვეს. მაშინ სხვა დრო იყო, ვის ჰქონდა მაგის საშუალება და სპექტაკლი მოიხსნა, მოიხსნა სამუდამოდ. დღესაც მისტირის მას დიდი რეჟისორი. 1975 წელი იყო, ცხრა თვეში კი „კავკასიური ცარცის წრე“ დაიდგა და თეატრის აღმასვლა დაიწყო. ალბათ ჩემი ბედისწერაც ეს იყო.

პარადოქსია, მაგრამ უბრალოდ მრეცხავი მინდოდა ვყოფილიყავი, ვთქვათ, ჭურჭლის, სცენაზე კი ამოვყავი თავი და მერე ვის გვერდით: რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, ედიშერ მაღალაშვილი, ბადრი კობახიძე, სალომე ყანჩელი, ნანა

ფაჩუაშვილი...

ხუთი წელი მიშა თუმანიშვილთან ვიმუშავე კონცერტმაისტერად თეატრალურ ინსტიტუტში, ყველა მის სპექტაკლს მუსიკალურად ვაფორმებდი.

– „ყვარყვარე“, „კავკასიური ცარცის წრე“, კიდევ რომელ სპექტაკლებში იყავით დაკავებული?

– სპექტაკლში - „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ ისე გავთავხედდი, რომ ვცეკვავდი კიდეც, ხოლო „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ პედაგოგის როლს ვთამაშობდი. ჩემით იწყებოდა სპექტაკლი, რა თქმა უნდა, ვუკრავდი კიდეც. ინგლისში გასტროლების დროს სპექტაკლ „რიჩარდ III“–ში ჩემი ხუთი ორკესტრანტით სცენის შუაგულში მოგვიწია ჯდომა – თეატრს, სადაც გამოვდიოდით, არც ლოჟა ჰქონდა და არც კულისები.

შემდეგი იყო „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის, ბოლო – „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“.

– კინოსთან თუ გქონიათ შეხება?

– „ვერის უბნის მელოდიებში“ ყველა სიმღერა ჩემი აკომპანემენტით სრულდებოდა, ალისა ფრეინდლიხის მაგიერაც მე ვუკრავ. კინოფილმების - „აურზაური სალხინეთში“, და „პირველი მერცხალი“ მუსიკალური გაფორმება სულაც ჩემია.

– როცა არა ხართ სცენაზე?

– თეატრი ჩემი ორგანული ნაწილია. როცა სპექტაკლს ვუყურებ, თითქოს ძარღვებში ყოველი არტისტის სისხლი მიდუღს. 30 წელია თეატრით ვცოცხლობ, სხვა სიცოცხლე არ გამაჩნია.

– დღეს რომ აღარ არის რეპერტუარში სპექტაკლები თქვენი მონაწილეობით?

– რუსთაველის თეატრის შტატში ვირიცხები. ისტორია მეორდება – იყო მარჯანიშვილი, ახმეტელი, დღეს არის სტურუა. რობერტ სტურუა თანამედროვეობის დიდი ხელოვანია, შემთხვევით ხომ არ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორთა შორის. დღეს რუსთაველის თეატრის ირგვლივ აჟიოტაჟი შენელდა, მაგრამ ეს

დროებითი მოვლენაა. მწამს, თეატრი კვლავ დაიბრუნებს ძველ ღირსებას.

– საინტერესოა მკითხველისათვის რაიმე კურიოზი გეამბნათ თქვენი ცხოვრებიდან.

– 1985 წელს თბილისში საცხოვრებლად ჩამოვიდა სვეტლანა ალილუევა, თან თხუთმეტი წლის ქალიშვილი – ოლია–ქრისტინე პიტერსი ახლდა. ჩვენმა მაშინდელმა მთავრობამ ყოველგვარი პირობა შეუქმნა, რათა სტალინის უძღებ შვილს თავი ლაღად ეგრძნო, სითბო და სიყვარული არ მოაკლეს. სვეტლანამ, ბინაში თუ რამ უცხოური დაახვედრეს, სამამულო ნაწარმით შეაცვლევინა. მუსიკის მასწავლებლად მიმიწვიეს, ქალიშვილისთვის ქართული სიმღერები უნდა მესწავლებინა. ჩვენს შორის თბილი ურთიერთობა დამყარდა. გოგონას ისე შევუყვარდი, დედას მეძახდა. ზოგჯერ მათი ოჯახის მძღოლის ფუნქციასაც ვასრულებდი (საკუთარი ავტომანქანა მყავდა). გოგონამ შესანიშნავად შეისწავლა ქართული, რუსული, კარგად ხატავდა, იპოდრომზე დადიოდა – ცხენით ჯირითი მოსწონდა. დედამისი შედარებით რთულად შემოდიოდა კონტაქტში, ხან რა მოეჩვენებოდა, ხან – რა. ხასიათით მამას ამგვანებდნენ. მიუხედავად ამისა, შევძელით საერთო ენის გამონახვა, ოლიას მანდობდა, მთავრობასთან კი ვერაფრით მორიგდა. მართლაც, უხიაგი ხასიათის პატრონი იყო... ღამის ორი საათი იქნებოდა, თავსხმა წვიმა იყო. შეშინებული ბავშვი მირეკავს – დედა მცემს და მიშველეო. რა მომასვენებდა, მაშინვე გავვარდი ჩემი მანქანით და რას ვხედავ, სვეტლანა შვილს ნაჯახით ემუქრება. ოლია სახლში წამოვიყვანე. მეორე დღეს სვეტლანამ საშინელი დღე მაყარა, ჩემს საქმეში რატომ ჩაერიეო. შემდეგ თავის მოგონებების წიგნში შეიტანა ეს შემთხვევა.

– ახლა რას საქმიანობთ, რითი ცხოვრობთ?

– ოჯახმა ჩამითრია – ქალიშვილი, შვილიშვილი... ინტენსიური გასტროლები, რომ დაიწყოს, ალბათ ვეღარც შევძლებ გამგზავრებას. ოჯახის ქალი ვარ, აკი გითხარით, ერთ დროს მრეცხაობა მინდოდა–მეთქი. მინიმალური

ანაზღაურებით აბიტურიენტებს ვამზადებ, რაც ვიცი, მინდა სხვებსაც ვასწავლო.

– რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

– 1991 წელს თეატრის თოთხმეტი მსახიობი ავსტრალიაში გახლდით მიწვეული რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებით გალასპექტაკლზე. დიდი მოწონება დაიმსახურა ქართველმა მსახიობმა. საღამოს ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი არმან ასანტე დაესწრო, რომელმაც ნაპოლეონის როლი შეასრულა კინოში. სპექტაკლის შემდეგ ფეხი არ მოიცვალა, რამაზს ხელით უნდა შევეხოო და დასძინა, ამის შემდეგ კინოში თამაში ნამდვილად მრცხვენიაო.

* * *

იყო დარდი, სევდა, განცდა, თეატრის წარმატებული აღმასვლა, რომელშიც ჩემი უმნიშვნელო წვლილიცაა, საორკესტრო ორმოში „იონიკას“ ვუჯექი, სცენასა და პარტერს შორის – როიალს, ბოლოს სცენის შუაგულშიც აღმოვჩნდი.

მოსაგონარი მართლაც ბევრია.

2000 წ.

მსახიობის სარფიანი ჰობი

ბატონმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა: „ახალგაზრდული თეატრის უპირატესობა აკადემიურ თეატრთან შედარებით ისაა, რომ შური და შეჯიბრი არ იცის. ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული ეგოიზმს თრგუნავს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ თვისებას ბოლომდე ინარჩუნებენ, მაგრამ სამწუხაროდ ეს იშვიათია“. ამ ტიპის თეატრებად მოიაზრება პატარა, ე. წ. ანტეპრიზის თეატრები: სარდაფის, ჯიბის, ერთი მსახიობის, ზღაპრის, თავისუფალი.

გვესაუბრება სარდაფის თეატრის მსახიობი ბარბარე (ბაია) დვალიშვილი.

– ბაია, როგორ შეაფასებთ სარდაფის თეატრის არსებობას, რით გამოარჩევთ სხვათაგან?

– იგი ხუთი წლისაა: როცა ამ თეატრში ირაკლი სოლომონაშვილის „ქვირითობაში“ და ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიან ოპერაში“ როლები შემომთავაზეს, სიმართლე გითხრათ, ხასიათი გამიფუჭდა. საქინფორმის გამოთხრილი სარდაფიდან ბიჭები აუარებელ ნაგავს და მიწას ეზიდებოდნენ. ილუზია მეგონა. რა თეატრი უნდა ყოფილიყო ამ ჯურღმულში. უარი მაინც არ მითქვამს, და როცა ეს ასკაციანი დამოუკიდებელი თეატრი ამოქმედდა, ილუზიამ ნაყოფი გამოიღო, დღემდე გაუჩერებლივ მუშაობს, მივხვდი, რომ დაუჯერებელი და მიუღწეველი არაფერია. მისი დამფუძნებლები არიან რეჟისორები: ლევან წულაძე, ოთარ ეგაძე, გოგი მარგველაშვილი, შოთა გლურჯიძე (მხატვარი).

დრომ მოიტანა. რუსეთში, საზღვარგარეთ დიდი ხანია ამ პრინციპის თეატრები არსებობს. თავისუფალი თეატრი ნიშნავს, რომ იქ მიწვეულები ვართ, ე. წ. სტუმრის სტატუსით, ხელშეკრულებით, თეატრს არ ჰყავს

მუდმივი დასი, სამხატვრო საბჭო, დირექტორი. ამ ტიპის თეატრებში ჩვენი მუშაობა სისხლის გადასხმას ჰგავს. რეპერტუარი მდიდარია, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ყველა სპექტაკლი შემოქმედებითად მაღალ დონეზეა. აკადემიური თეატრები თავს ვერ ირჩენენ, ძლივძლივობით ახერხებენ წელიწადში ერთი სპექტაკლი დადგან, ჩვენთან თხუთმეტამდე მაინც იდგმება, ვირჩენთ თავს, ვიხდით არენდის და საგადასახადოს სოლიდურ თანხას, თუმცა ძნელია, როცა არა გაქვს მუშაობის ელემენტარული პირობები, მაგალითად საგრიმიორო, გარდერობი, სველი წერტილები, მაგრამ ენთუზიაზმი ყოვლისშემძლეა და ეს მაშინ მოხდა, როცა ქალაქში არ ფუნქციონირებდა მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების თეატრები. სარდაფმა ახალგაზრდობა შემოაბრუნა თეატრისაკენ. ჩვენი თეატრის კარი ღიაა ნებისმიერი კვალიფიციური რეჟისორისათვის, შეუძლია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დადგას სპექტაკლი, აირჩიოს მსახიობები, მხატვარი...

კოლექტივი სამოცკაციანია. ყველა სპექტაკლს ჰყავს თავისი რეჟისორი, საინტერესო, ნიჭიერი მხატვრები: ნინო ჩიტაიშვილი, შოთა გლურჯიძე, ნინო ბურკაძე, მათი დამსახურებაა გემოვნებით შერჩეული კოსტიუმებით დამშვენებული სპექტაკლები.

... კეთილი შურით მშურს იმ ახალგაზრდა მსახიობების, რომლებიც ოთარ ეგაძის და ლევან წულაძის სტუდენტები იყვნენ, მოვიდნენ, მათი ზედამხედველობის ქვეშ მოუწიათ დაოსტატება. ჩემთვის ძნელი იყო აქამდე მოსვლა, სანამ აქ მოვხვდებოდი, ეკლიანი გზის გავლა მომიხდა. ჩემთვის არ არსებობდა მარინე თბილელის და აკაკი დვალიშვილის შვილობით რაიმე შეღავათი. ალბათ ეს ეტაპიც აუცილებელია, რომ სცენა „მოიპოვო“.

– ბაია, ალბათ იცით, რომ მეორე სარდაფის თეატრი გაიხსნა?

– დიახ. 26 მაისს გაიხსნა მეორე სარდაფის თეატრი ვაკეში. პედაგოგიური უნივერსიტეტის გვერდით, ის ჩვენმა დამფუძნებლებმა გახსნეს. 170 კაციანი. დიდი სცენით.

თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი, გაცილებით კეთილმოწყობილი.

– ადრე სად მოღვაწეობდით?

– რუსთაველის თეატრში გახლდით, საკმაოდ დატვირთული, თუმცა სილაღე, შემოქმედებითი ცხოვრების ძარღვი ამ თეატრში უფრო მძლავრად ძგერს. ჩემთვის რუსთაველის თეატრი სამეფო თეატრად დარჩა. მე ვიტყოდი, რომ დღეს ჯანმრთელი კონკურენციაა, ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლა, როცა მსახიობი ხელშეკრულებით ხარ მიწვეული. თვითდინებაზე ვერ იქნები, სხვა დროა, რასაც უდავოდ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეც აქვს.

რამდენიმე ფილმშიც ვარ გადაღებული. ესენია: „ნეილონის ნაძვის ხე“, „აშუღ ყარიბი“, „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“, „დახატული წრე“, „სახლი“, „ტურანდოტი“.

– გადავუხვიოთ თემას და ვისაუბროთ პირად ცხოვრებაზე.

– მეუღლე რეზო ხატისკაცი ჩემი შემოქმედების გარეთაა, სპეციალობით ოკეანელოგი. შემთხვევით გავიცანი ნანა ხატისკაცის დაბადების დღეზე. ხელს მიწყობს მუშაობაში, არ მზღუდავს, ჩემი რიგითი მაყურებელია, პატივს სცემს ჩემს პროფესიას. ძნელი იქნებოდა ორი მსახიობი ერთ ჭერქვეშ, ოჯახში ვისვენებ, სადღაც ხომ უნდა განიმუხტო. ჩემი პირველი მეუღლე – მურმან ჯინორია, ნიჭიერი, საინტერესო მსახიობია, ჩვენი ქორწინება გაუაზრებელი, ბავშვური ნაბიჯი იყო, რაზეც არასოდეს ვსაუბრობ.

– ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ერთი–ორი სიტყვა გვითხრათ ეგზომ პოპულარულ დუტა სხირტლაძეზე.

– სარდაფის თეატრში ბევრი ნიჭიერი, საინტერესო ახალგაზრდა მსახიობი მოღვაწეობს. რადგან თქვენ დუტა გაინტერესებთ, გეტყვით, დუტა მართლაც გამორჩეული პიროვნებაა. პოპულარობა მისით არ მოდის, მოპოვება სჭირდება. დუტამ ეს ადრეულ ასაკში შესძლო. ენითაუწერელი პარტნიორია. როგორც პროფესიონალი,

როგორც ადამიანი, ეჭვიც არ მეპარება, წინ დიდი შემოქმედებითი სიურპრიზები, დიდი აღმასვლა ელის, მინდა ბოლომდე დაიხარჯოს, მას ეს შეუძლია, ამისთვის არაფერი უნდა დაიშუროს.

– ბაია, თქვენ სახელოვანი მშობლების მარინე თბილელის და აკაკი დვალიშვილის შვილი ხართ, ეს უთუოდ დიდი პატივიცაა და ვალიც?

– შვილს ამაზე მეტი რა ავლა-დიდება შეიძლება დაუტოვოს მშობლებმა, როცა ქუჩაში გაჩერებს უცნობი და გეუბნება, რომ არა მამათქვენი, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდიო, ან თუ დღეს რაიმეს წარმოვადგენ და კაცი მქვია, ბატონ კაკოს ვუმადლიო. ლაპარაკობენ ადამიანები, როცა ჩემგან არაფერს ელოდებიან, როცა შვილს ასეთ განძს უტოვებ, ვალდებულია ამ გზას არ გადაუხვიოს. ასეთივე უანგარო იყო დედაჩემი, დილით მუდამ სადღაც მიიჩქაროდა, ვიღაცის საქმეზე გარბოდა, მისთვის სულერთი იყო ნაცნობი და უცნობი, ვიღაცას სჭირდებოდა საავადმყოფო, წამალი, სამსახურში მოწყობა. მისი ცხოვრების წესი იყო სხვაზე ზრუნვა. დედაჩემის დადებითი ენერგია გადამდები იყო გარშემომყოფთათვის. ტალღასავით ჩქეფდა, ხალისიანი, ენერგიული. დიდი სევდა დაგვიტოვა დედაჩემის გარდაცვალებამ, მამა საშინლად განიცდის, სახლიდან უჭირს გასვლა, შესაშური ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. ზღვა ენერგიის პატრონი დედა არ მახსოვს დაღლილი, მოწუწუნე.

– დედას ადრე ხომ ჰქონდა სხვა ოჯახი?

– დიდი მსახიობის აკაკი ვასაძის რძალი იყო. მყავდა არაჩვეულებრივი ძმა. ღრმადგანათლებული ფილოლოგი აკაკი (კაკული) ვასაძე. ჩვენი ურთიერთობა, როგორც და-ძმის, სამაგალითო იყო. შევესწარი დედა-შვილის სიყვარულს. ორი ადამიანის განუმეორებელ მეგობრობას. კიდევ კარგი, რომ დედა უკვე ავადმყოფობდა, თორემ გაუჭირდებოდა შვილის დაკარგვის დარდი დაეძლია. დედაჩემმა ისრაელში გასტროლებზე ყოფნისას მზის დაკვრა მიიღო. ექიმებმა ვერ გაუგეს, ზუსტი დიაგნოზი

ვერ დაუსვეს, არც ამდენი აპარატურა არსებობდა მაშინ. გაურთულდა, ავადმყოფობამ დათრგუნა, ვერ შესძლო სცენაზე გასვლა, ეს მისთვის ტრაგედია იყო.

– მსახიობ მარინე თბილელს როგორც კოლეგა, როგორ შეაფასებთ?

– ღვთით ბოძებული გარეგნული და მსახიობური მონაცემები ჰქონდა. იღბლიანი ქალი იყო, ოქროს ხანა განვლო მარჯანიშვილის თეატრში, ბევრი საინტერესო როლი განასახიერა. მის გვერდით იყვნენ თეატრის კორიფეები: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი. ეს რჩეულთა ხვედრია. 53 წლის ასაკში, როცა თეატრიდან მიდიან, მისთვის მეორე ოქროს ხანა რუსთაველის თეატრში დაიწყო. კადრების გადახალისების მიზნით ორი წელი სოხუმის ქართულ თეატრში მოუწია მუშაობა. ზოგჯერ თვეში ორმოც სპექტაკლში თამაშობდა. იღბლიანი და ქუდბედიანიც იყო. რობერტ სტურუამ „კავკასიურ ცარცის წრეში“ და „რიჩარდ მესამეში“ ასეთ ასაკში საინტერესო როლები მისცა. მისთვის არ არსებობდა მთავარი და ეპიზოდური როლი. უყვარდა თქმა – მთავარია სცენაზე იდგე ბედნიერი, შეირგე, გიხაროდეს, რომ თამაშობ სპექტაკლში, დანარჩენზე ნაკლები იფიქრე, ამ განწყობით ვარ, სულ ყურში ჩამესმის დედის ეს სიტყვები.

– ბედნიერებაა, რომ ასეთ ოჯახში დაიბადეთ, ბედნიერი ბავშვი იყავით, განებივრებული, ნაფერები, ვის უნდოდა, რომ მსახიობი ყოფილიყავით?

– ორმოცი წლის ასაკში გამაჩინა დედამ. განებივრებული ნამდვილად არ ვყოფილვარ. არ მახსენდება მშობლებისაგან ქათინაური მიმეღოს. კრიტიკულად უდგებოდნენ ჩემს ყოველ ნაბიჯს. მამას კატეგორიულად არ უნდოდა მსახიობი ვყოფილიყავი. მას – თავად რეჟისორს სცენისათვის არ ემეტებოდა ერთადერთი ქალიშვილი. დედა არ მეწინააღმდეგებოდა. როცა მამა და ბატონი მიშა თუმანიშვილი კინომსახიობთა თეატრს აარსებდნენ, მე–10 კლასში ვიყავი. დიდმა მაესტრომ მამას

სთხოვა, მივსულიყავი მასთან. ორი წელი ვითამაშე პატარა ეპიზოდებში. შემდეგ მამამ დამრთო ნება და თეატრალურ ინსტიტუტში მიშა თუმანიშვილის ჯგუფში ჩავირიცხე სარეჟისორო ფაკულტეტზე, დიპლომი კი მსახიობის ავიღე. ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი მქონდა. ერთი – როცა ჩემი ნებით დავწერე განცხადება და თეატრიდან წამოვედი. მირჩევნია, თავისუფალი მსახიობი ვიყო, ვიდრე ვინმეზე დამოკიდებული, თუ რეჟისორებს აქვთ უფლება, აირჩიონ მსახიობი, მსახიობმა რა დააშავა? ზოგჯერ უნდა გადადგა გაბედული ნაბიჯი, გამოემშვიდობო წარსულს, თავიდან ახლებურად დაიწყო ცხოვრება. თუმცა ამაში ზოგჯერ რისკის ფაქტორიცაა. როგორ გაგიმართლებს, მაგრამ გაფხიზლებს. ჩემს მშობლებს არც შეუშლიათ და არც შეუწყვიათ ხელი ჩემი გადაწყვეტილებების მიღებაში. მადლობელი ვარ ამისათვის მათი. ბევრჯერ ატირებული წამოვსულვარ როცა დავუწუნებივარ სინჯებში. ხომ არ გგონიათ, რომელიმე ტელეფონს აიღებდა და ვინმეს დაურეკავდა, ან იკითხავდა, რა მოხდა?! მამა კინოფიკაციის კომიტეტის თავმჯდომარე. ამისათვის შინაგან პროტესტს ვუცხადებდი მშობლებს, მინდოდა ჩემი გაკვალული გზით მევლო.

– ვინ არის დღეს მსახიობი ბაია დვალიშვილი, როგორ გესახებათ აწმყო და მომავალი?

– მაქვს საინტერესო და რთული წარსული. ვიტოვებ იმედს, სანთელ–საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

– ქ–ნო ბაია, თქვენი თეატრის ხშირი სტუმარი გახლავართ, მართალია, მრავალფეროვანი რეპერტუარი გაქვთ, ჭარბობს თარგმნილი პიესები. რატომ?

– მე ასე არ ვფიქრობ. უამრავი პიესა მოაქვთ ახალგაზრდა დრამატურგებს. ჩვენთან დაიდგა ლაშა ბუღაძის ორი პიესა „ოთარი“ და „ეს სკამი, ეს საწოლი“, ირაკლი სოლომონაშვილის „რადიო“, „ქვირითობა“ (აფხაზეთის თემაზე), ყველას ვერ ჩამოვთვლი. ვერ გეტყვით, რომ დრამატურგებით განებივრებული ვართ, აუცილებელი პირობაა რეჟისორსა და დრამატურგს შორის

იყოს თანხვედრა, რომ სპექტაკლი შედგეს.

დროის ზუსტი შეგრძნებით გამოვარჩევ რეჟისორ ლევან წულაძეს, იცის, რასჭირდება დღეს მაყურებელს, რა მოიტანა დრომ. მისი საუკეთესო თვისებაა განსაკუთრებული სიყვარული მსახიობებისა, რაც ხშირად იშვიათობაა. ლევანი სულით ქართველი რეჟისორია, თუ ნათარგმნი პიესები ჭარბობს, ამის მიზეზი სხვადასხვა გარემოებაა. თეატრის ავ-კარგი რეჟისორზეა დამოკიდებული, ის არის ამინდის შემქმნელი. ჩვენი ახალგაზრდული, თავისუფალი თეატრი არავისია, ის ყველასია, ჩვენი ნავსაყუდარი და თავშესაფარია. ვცხოვრობთ ჩვენი მუდმივი მაყურებლის წყალობით. ასე ვთქვათ, თეატრი არსებობს მხოლოდ მათი შემწეობით.

* * *

... ბაია დვალიშვილს სარფიანი ჰობიც აღმოაჩნდა – აკეთებს საინტერესო თოჯინებს. ავსტრიელ ჰანს ალბერტს კულტურის სამინისტროში მისი ქართული ზღაპრების პერსონაჟები უჩვენეს, აღფრთოვანებულმა ხელოვანმა მათ შესაძენად სოლიდური თანხა გაიღო. ასე დაიდო ბინა ავსტრიაში „ნაცარქექიას“, „აბესალომ და ეთერის“, „სალამურას“, ხევსურულ მოტივებზე შექმნილმა პერსონაჟებმა. გალერეა „N“-ში გამოფენილმა ბაიას თოჯინებმა გრან-პრი და სოლიდური თანხა დაიმსახურა. როიალზე, მაგიდებზე საუცხოოდ გაფორმებული გემოვნებიანი, კოსტიუმებითა და აქსესუარებით დამშვენებული ლამაზი თოჯინები დგანან. ავტორმა ყველა შესაფერისი სახელებით მონათლა. ისინი ბაიას საყვარელი არსებები არიან.

2002 წ.

დედის ბედი—ქალიშვილს ტახტადაო...

მალი ლიუ ყანდარელი ეროვნებით ჩინელია, პროფესიით – მხატვარი. ვიდრე გივი ყანდარელის მეუღლე და ტრადიციული ქართული ოჯახის რძალი გახდებოდა, ლიუ გუანვენად იცნობდნენ. ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს ქალბატონ მალის განვლილი ცხოვრების გზა.

– **ქალბატონო მალი, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენი წინაპრების შესახებ, როდის და როგორ დამკვიდრდით საქართველოში?**

– ცოტა შორიდან დავიწყებ. ბაბუაჩემი ჩაის ცნობილი სპეციალისტი, ჩინელი იყო, გვარად ლაო (აქედან ჰქვია ჩვენში გავრცელებულ ამ კულტურას ლაო ჩაი). 1890 წელს იგი საქართველოში ჩაის გასაშენებლად მოიწვია კაპიტალისტმა პოპოვმა. ინდოეთის შემოვლით, დატვირთული გემით ჩასულა ბათუმში. მალე ქართულ კლიმატს შეგუებული საგანგებო ჯიშის ჩაი გამოუყვანია, რომელმაც 1901 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. პაპას ჩააბარა პოპოვმა მთელი თავისი ადგილ–მამული, ჩაის ფაბრიკა და მის დირექტორადაც დანიშნა. მოგვიანებით ორი ფაბრიკა საკუთრადაცააშენა. საკმაოდ არომატული და სურნელოვანი ყოფილა მაშინდელი ქართული ჩაი (ახლანდელს ჩინელები ამრეზით უყურებენ, არ მოსწონთ მისი ხარისხი).

... ექვსი შვილი ჰყავდა პაპას. ყველამ ბათუმის გიმნაზია დაამთავრა, ცხოვრობდნენ ჩაქვში. მამაჩემს – ლიუ ვეიჯოუს ჩაქველები ვალოდიას ეძახდნენ. როცა მამამ დედაჩემზე – ნონა თუშმალიშვილზე იქორწინა, ცოლის ხათრით ქრისტიანად მოინათლა. შექმნილმა მაშინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ და მოსალოდნელმა გართულებებმა იძულებული გახადა ლაოების ოჯახი დაეტოვებინათ საქართველო. ჩააბარეს მიწები, ქარხნები, აგარაკი და 1924 წელს სამუდამოდ დაბრუნდნენ ჩინეთში.

ძალიან გაიტანჯა დედაჩემი, ერთი წელი იწვალა, ვიდრე წინასწარ ჩინეთის მოქალაქეობა არ მიაღებინეს, ნება არ დართეს გაჰყოლოდა მეუღლეს. პაპამ საქართველოდან ოცი ჯიშიანი ცხენი წაიყვანა და ხარბინში საკუთარი ჰიპოდრომი ააგო. მამა ლან ჯოუს უნივერსიტეტის ჩამოყალიბების ერთ–ერთი ორგანიზატორი იყო. იგი სიცოცხლის ბოლომდე უცხო ენებს კითხულობდა. ბიძა ცნობილი დიპლომატი – ჯოუ ენლაის მრჩეველი გახლდათ, იყო რუსულ–ჩინური ლექსიკონის ავტორი.

დედაჩემი – მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი, პროფესორი, პეკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლიდა რუსულ ენას. ორი ძმა მყავს. ყველანი ჩინეთში დავიბადეთ. პეკინის სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა პირველად ჩამოვედი ნანატრ საქართველოში. მე და დედას ერთნაირი ბედი გვარგუნა განგებამ. მას საქართველოს ნახვის ნოსტალგია ტანჯავდა, მე – ჩინეთისა. ხომ გაგიგონიათ, დედის ბედი ქალიშვილს ტახტადაო. სტალინის გარდაცვალებამდე დედას სამშობლოს ნახვის ნება არ მისცეს. სიკვდილამდე სამჯერ მაინც მოესწრო ამ ბედნიერებას. ჩემი მშობლები პეკინში არიან დაკრძალულნი.

– **თქვენი მეუღლე, ბატონი გივი ყანდარელი?**

– 27 წლის იყო გივი, როცა ერთმანეთი გავიცანით. სამხატვრო აკადემიის ასპირანტი იყო, ჩენ ვიქორწინეთ. ახლა იგი პროფესორია. ბედნიერი ვარ, ასეთ საინტერესო პიროვნებას და ხელოვანს რომ შევხვდი. მყავს 30 წლის ქალიშვილი ნინო, მხატვარი, ორი შვილის დედა, ვაჟიშვილი ირაკლი არქიტექტორია, ისე იმძლავრა მათში ქართულმა გენმა, არცერთი არ დაემსგავსა ჩინელს.

– **რა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით?**

– აზია–აფრიკის ენების შემსწავლელ ინსტიტუტში ჩინური ენის სპეციალისტად ვმუშაობ. ვზრდი მრავალ სტუდენტს. ჩამოვაყალიბეთ საზოგადოება „აბრეშუმის გზა“, რომლის პრეზიდენტიც გახლავართ, საზოგადოებამ ბევრი საინტერესო პროექტი მოამზადა.

– **როგორ გრძნობთ თავს საქართველოში, გაქვთ თუ**

არა ორი სამშობლოს განცდა?

– ჩემი ორივე ძმა პეკინში ცხოვრობს. ფიქრით არასოდეს გამიწყვეტია მათთან კავშირი. გაჭირვებამ ლექსების წერაც დამაწყებინა. დედის და მამის სახება მუდამ თვალწინ მედგა. დედა საოცარი პიროვნება იყო, დიდად განათლებული, მგრძნობიარე,, საქართველოზე შეყვარებული, წმიდა ნინოს გიმნაზიადამთავრებული, შესანიშნავად იცოდა ინგლისური, გერმანული, რუსული. დიდი წვლილი მიუძღვის პეკინის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის შექმნაში. ვიდრე საქართველოდან წავიდოდა, მოწინავე ინტელიგენციაში ტრიალებდა. ჩემი და ჩემი მშობლების ბედი ისე გადაეჭდო ერთმანეთს, მართლაც რომ ორი სამშობლო მაქვს.

– **ხშირად ხართ ჩინეთში?**

– ჩვენი დღევანდელი და ჩინეთის გავლილი პოლიტიკური მდგომარეობა ერთმანეთს ჰგავს. ორივე უძველესი ერია. კუთხურობის პრობლემა იქაც მწვავედ დგას. ორივე ნახევრად ფეოდალური სახელმწიფო, არასოდეს ყოფილა კაპიტალისტური, მეტსაც გეტყვით, ბევრ პროვინციას საკუთარი დიალექტი აქვს.

პირველად მე და ჩემი შვილი 1985 წელს ჩავედით ჩინეთში. მერე ყინული გალღვა და მოვუხშირეთ მისვლა–მოსვლას. სისტემატურად მყვანან ჩინელი სტუმრები – ხელოვნების დარგის მუშაკები, მეცნიერები, ახლაც ერთი თვეა ჩემთან არიან ჩინელი მხატვრები, პერსონალური გამოფენა მოაწყვეს ელენე ახვლედიანი სახლ–მუზეუმში.

... გივი ორჯერ იყო ოფიციალურად მიწვეული პეკინის სამხატვრო აკადემიაში, როგორც გობელენის სპეციალისტი. ამ საქმეს მისი მეშვეობით დაედო სათავე ჩინეთში. ქალაქ ცინ დაოში მისი ინიციატივით გობელენის საამქრო გაიხსნა. მე მისი „თარჯიმანი“, მუდამ მის გვერდით ვარ.

ახლახან საქართველოში ჩინეთის საელჩო გაიხსნა, კონტაქტი მაქვს მის თანამშრომლებთან. ჩინეთი ახლა აყვავებული ქვეყანაა, ათი წელი კი ნამდვილად იტანჯებოდნენ. ამ მოვლენას სოციალიზმიდან გამოსვლის აგონია დავარქვი.

– **შვილებმა თუ იციან ჩინური, ოჯახში რომელ ენაზე საუბრობთ?**

– ჩემს დედამთილ–მამამთილს ვუმადლი – ქართული მათი წყალობით შევისწავლე. ოჯახის წევრებმა არ იციან ჩინური, ცოტა მეშინოდა კიდეც. ხომ იცით, რა დრო იყო.

– **როგორია თქვენი სამზარეულო?**

– საინტერესოა ჩინური ოჯახის ყოფა. კერძის მომზადება მძიმე შრომად ითვლება, ამიტომ ეს საქმე უმეტესად მამაკაცს აკისრია. ქალი ზრდის შვილებს, ეუფლება ყველანაირ ხელსაქმეს...

ჩინური სამზარეულო მრავალფეროვანია. ჭარბობს ბოსტნეულის, ხორცის, თევზის, ზღვის ცხოველთა კერძები. ზოგან მოწონებით სარგებლობს გველის კერძები, ოჯახში შერეული სამზარეულო გვაქვს. უკეთესად გამომდის ლობიო, საცივი. როცა გივის მეუღლე გავხდი, მაქსიმალისტი ვიყავი, მინდოდა ვყოფილიყავი კარგი მხატვარი, კარგი დედა, კარგი მეუღლე. მოგვიანებით, როცა ცხოვრებას ჩავუკვირდი, მივხვდი ჩემი მეუღლე დიდი ხელოვანი იყო. ამის თქმის სულაც არ მერიდება. მას უნდა შევწირვოდი, თუმცა ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია საზოგადოებრივი საქმიანობა, მხატვრობა... მოკლედ ქართულ ყაიდაზე გადავკეთდი.

– **ქალბატონო მალი, ჩვენ ადრე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ თქვენ ჩინეთში თარჯიმნად ახლდით საქართველოს სამთავრობო დელეგაციას.**

– ჩინეთი უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყანაა. ასეთი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა პეკინში აღიმართა ჩვენი დროშა, აჟღერდა ჰიმნი, ყველას სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა. მე კი – ორმაგად. ყველა მიღება მაღალ დონეზე ჩატარდა. მიუხედავად მძიმე და ძნელი წარსულისა, ვფიქრობ, ადამიანები დღეს ჩინეთში თითქმის უპრობლემოდ ცხოვრობენ, ღმერთმა ქნას, რაც შეიძლება მალე, ჩვენც დაგვიდგეს ეს ნანატრი დრო.

1993 წ.

ცაცო

(ჩანახატი)

მე და ცაცო ექვსი წელია ვმეგობრობთ. ცაცო 39 წლისაა. სამი ბიჭი ჰყავს: თემური, ჭაბუკა და ასლანი. უკვე ბებიაა. დიდ ტაშტში ჩადგმულ სავსე მთვარეს მაგონებს მისი შვიდი თვის შვილიშვილი ნათია. ყოველ ცისმარე ვეპარები მის მძივებით მორთულ, ჩუქურთმებიან აკვანს, ვუხსნი არტახებს და მძინარეს ვაღვიძებ, მეცოდება, ასე გაკოჭილი როდემდე უნდა ჰყავდეთ. მერე „ულტიმატუმს“ ვუყენებ მშობლებს – გაათავისუფლეთ ამ სატანჯველისგან, აკვანში აღარავინ ზრდის ახლა ბავშვს.

– ამდენი საქმე, ცხრა სულიანი ოჯახი, აკვანი რომ არ იყოს, – მორჩილ წინააღმდეგობას მიწევს ცაცო.

– ეს „კასინკა“ რად გინდა, მოიშორე, – ტვინს ვუბურღავ.

– რა მნიშვნელობა აქვს, თავზე რას დავიხურავ, ჩვენი წესი ასეთია, სამზარეულოში ქალი თავმოხდილი ვის გაუგია. – თავს იმართლებს. მზერა მამამთილისკენ გაურბის.

ცაცო აჭარელია. ერთ დილით უხეშ შეცდომას ვუშვებ, ვეკითხები: – ცაცო! შენ ქართველი არა ხარ?

შუბლზე აუდის თვალები, ლამაზი ცხვირ–პირი ებინდება.

– აბა ვინა ვარ, ოღონდ მე აჭარელი ვარ, ისეთი ქართველი, როგორი გურულიც თქვენ ხართ, – დაუფიქრებლად მიბრუნებს პასუხს.

ემჩნევა სამი საუკუნის შესახებ ბევრი არაფერი იცის, ან არ უნდა დააკონკრეტოს. ახლა სხვა „ულტიმატუმი“ მომდის თავში:

– მოგინათლავთ ნათიას, აირჩიეთ ნათლიები, რომლებიც შენ გინდა, შვილიშვილი მედეა გაწყობს? – არ ვეშვები. მამამთილი და ქმარი ადვილად მთანხმდებიან, ცაცო ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ეღიმება. აჭარელი ქალები ასეთები არიან, სარწმუნოებაში ჩაღრმავებულები,

უფროსებზე დამოკიდებულები, ძირითადად გადაწყვეტილებებს ოჯახში მამაკაცი იღებს.

ცაცო ყოველ დილით მიკეთებს ბურაოს, კაიმაღს, აჭარულ ხაჭაპურს, შიგადაშიგ ქათამსაც კლავს... დღედაღამ ბზრიალებს, დამჯდარს ვერ ნახავ, ვერ ვიგებ, როდის დგება და როდის იძინებს. ამაცილებს მეორე სართულზე, დამაბინავებს, ძილი ნებისაო, – მეტყვის და გვიანობამდე მესმის ჯამ-ჭურჭლის რახა–რუხი. მისი ქმარი გოჩა მისი ტოლია, ტყეშია წასული, ოჯახი ჰყავს გამოსაკვები, ტყის მეურნეობას ეწევა. უამრავი პირუტყვი ჰყავთ, ახლა ბახმაროს სეზონია, მის მისადგომებთან საძოვრებზე ჰყავს დედამთილს წაყვანილი ნახირი ბიჭებთან ერთად. თან კარტოფილს უვლიან, ხუთ ტონამდე კარტოფილი მოჰყავთ. ყველანი მუხლჩაუხრელად შრომობენ, ყველას თავისი ფუნქცია აკისრია ოჯახში.

– ასე ნაადრევად რად გინდოდათ ეს ქორწინება, ჩვიდმეტი წლის თემურიზე, ნათიას მამაზე ვეკითხები.

– რეიზა ჩივი, – უკვირს ცაცოს, – სანამ ბაღანე წახთება, რაღაცა უბედურებას გადაეყრება, არ ჯობია ოჯახს მოეკიდოს, ეს რაცხა დაწყევლილი ბალახი თუ წამალია, ისიც გამოჩნდა ჩვენს ტყეებში, ვერ გევიგეთ, ისთე შემოუპარებია ვინცხას, რამდენი ჰექტარი გაანადგურეს შარშან ზოტის ტყეებში, ვინ იცის, ვაი თუ, ამისკენაც გაექცეს თვალი–მეთქი, – დაბეჯითებით, გურული დიალექტით მიხსნის, – ხომ გაგიგიათ, სიკვდილის მეტი ნაადრევი ყველაფერი კარგიაო. შარშანწინ თემური დავაქორწინეთ, წელს ნოემბერში ჭაბუკას მოჰყავს ცოლი, სიყვარულით? არ ვაცლი დაფიქრებას.

– რა თქმა უნდა, აკვანში დანიშვნის წესი სადღაა ახლა, წაიშალა. მეც სიყვარულით გავთხოვდი, ჩემი შვილებიც ასე. ასლანზე გვინდა შევიკავოთ თავი, თუ დაგვიჯერა, მეათე კლასშია, ისე გაგვაწვალა, ერთი წელი ძილი არ ვიცოდით რა იყო, მძიმედ იავადმყოფა, გადავყევით, რვაჯერ ვიყავით ლანჩხუთში, ექიმბაშმა გვიშველა.

ულტიმატუმს რა გამომილევს, ცაცოს თბილისში

ვეპატიჟები:

– ჩამოდი, ოპერაში, რუსთაველის თეატრში წაგიყვან.

ცირკი და ზოოპარკი მირჩევნიაო, – მოწვევაზე ამ პირობით მთანხმდება.

... ჰექტარნახევარზეა მათი სიმინდის ყანა გადაჭიმული, დღეს ამ ყანის დათვალიერება გადავწყვიტეთ. ბაღნები მომეხმარენ, მე მეორე ოჯახში, ჩხაკოურაში ვარ უფრო ხშირად. სამივემ დათესეს, გამარგლეს, გათოხნეს, მოსავალიც მათ უნდა დააბინაონ. ტყესავით გაუვალია ყანა ჭალის პირას. მიჭირს ნაბიჯის გადადგმა, სიმინდი, ლობიო, სოიო ერთმანეთშია გადაბლანდული. გზას ცაცო მიკვლევს, არაფერს გამოვედო უხეიროდ. ყველა სიკეთესთან ერთად უშიშარიცაა ეს თითისტოლა ქალი, თავაწეული მიიკვლევს გზას გუბაზოულისკენ, სადაც ზღვასავით მოლივლივე ყანა მთავრდება.

გურიის მცხუნვარე მზეზე ცაცო თივის გაშლაში მამამთილ ზაქროსაც ეშველება, ჩემი ჭკუით მეც ვშველი, ხელით ვექაჩები თივის ბულულებს, მასე არაო, – მარიგებს. ისე მოხერხებულად ატრიალებს ხელში ფიწალს, მამაკაცს შეშურდება, უხდება, მთაში გაზრდილი ქალია, უთიბია, შეშა უზიდია, ცაცომ ყველაფერი იცის, ნაირნაირი ტყლაპების კეთება, ტყის მცენარეებისგან წვენების დამზადება, სტუმრის რიგიანი გამასპინძლება. ყველაზე მეტად რამაც მომხიბლა და ხელში კალამი ამაღებინა, ეს მისი მორჩილი ბუნებაა, მოკრძალება, პატივისცემა ოჯახის წევრებისადმი, დედამთილ–მამამთილისადმი, ქმრისადმი, სტუმრისადმი.

მაინტრიგებელ შეკითხვებს ვახვევ:

– ცაცო, ნუთუ არავისგან არაფერი გწყინს, სულ კაი ხასიათზე რომ ხარ?

– რომც მწყინდეს, თქვენ ამას მაინც ვერ გეიგებთ, მოკლედ მიჭრის.

– მაინც, ხომ უკვე ნაცადი მეგობრები ვართ, არავისთან არაფერს ვიტყვი, მითხარი, ნუთუ ოცი წლის მანძილზე, რაც ირემაძეების რძალი ხარ, არავინ არაფერზე გატკინა გული?

მისი ორი მული მზია და ნარგიზი მყავს მხედველობაში, უკვირს, როგორ შეიძლება მათგან წყენა, ან რა უნდა იყოს ასეთი, ისინი ხომ ჩემი დები არიან?

სულში ვუკირკიტებ, ვერაფერს ვაცდენინებ, კამათში ზაქრო გვერთვება:

– ჩემი ოჯახიდან ჯერ ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია. ალბათ ყურანის გამო!

ვეპასუხები ბატონ ზაქროს:

– რა შუაშია ყურანი, ჩვენშიცაა, ოჯახები, ერთმანეთს რომ ხოცავენ.

– მამაკაცი უნდა იყოს თავის ადგილზე. წესრიგი რომ არ დაირღვეს ოჯახში. უფროს–უმცროსობა არ მოიშალოს, ავტორიტეტი უფროსმა არ უნდა შეილახოს, – დარბაისლურად მიხსნის ბატონი ზაქრო.

– თალიკო – შენი დედამთილიც ასეთი კარგია?

– უკეთესი! თვალები უნათდება ცაცოს. მე თუ არაფერს ვუშავებ, ისინი რატომ მაწყენინებენ – განცვიფრებული სახით მაკვირდება.

– სიტყვაშენახული ოჯახია, სტუმართმოყვარე, პურ–მარილიანი, სულ მათი ღუღუნა ხმები ამოდიოდა პირველი სართულიდან მეორეზე.

... მე და ცაცო ვეხვევით, ვეფერებით, ვემშვიდობებით ერთმანეთს, ის ჩემი შვილის ტოლია, რამდენი რამ ნახა და განიცადა, იქნებ რაღაც–რაღაცეები მართლაც წყენია, ამას მისგან ვერავინ გაიგებს, აქებენ მეზობლები, ბევრი ოჯახი ნატრობს მისნაირ რძალს.

ულტიმატუმი არ მიმაქვს უკან, სამ პირობას მომავალი წლის ზაფხულამდე ვუტოვებ ყურანის მორჩილს: „უკასინკოდ“ დამხვდეს, აკვნიდან ამოიყვანოს ბავშვი და მოგვანათვლინოს ნათია!

2004 წ.

მზია არაბულს არ უყვარს, როცა პირადულზე ეკითხებიან

*„ვცდილობ ჩემი შრომით ვჭამო პური, ასე მასწავლის უფალი. სპექტაკლის შემდეგ კარგ ხასიათზე ვარ, თუ რითიმე დავითრგუნები, ასეთი არც როლი მინდა და არც სპექტაკლი“, – ასე დაიწყო საუბარი მსახიობმა **მზია არაბულმა.***

– ქალბატონო მზია, რატომ გაჭირდა თქვენი „ხელში ჩაგდება“, რატომ ვერ მოიცალეთ?

– თბილისში არ ვიყავი. რამდენიმე მსახიობი, მრევლთან ერთად, მეუფეების - ნიკოლოზისა და დანიელის ლოცვა–კურთხევით, ბატონი ვახტანგ როდონაიას ხელშეწყობით მივყვებით წმიდა ნინოსა და ანდრია პირველწოდებულის გზას. დრომ მოიტანა, ხალხი ვაზიაროთ მართლმადიდებლობის მადლს. ვიყავით საინგილოში, ფოკადან გავიარეთ გრძელი გზა. ვნანობ, აქამდე ეკლესიის გარეშე როგორ ვიცხოვრე. ამ გადასახედიდან ადვილად ვიტან გაჭირვებას, ჭეშმარიტი მორწმუნე სულით არასოდეს დაეცემა. სხვაგვარად გაუსაძლისი იქნებოდა დღევანდელი ყოფა. ვესაუბრებით მოსახლეობას, ვნათლავთ, მეუფეები უხსნიან, რანი ვართ, საიდან მოვედით, რა უნდა ვაკეთოთ. ბევრმა პირველად გადაიწერა პირჯვარი. ამ დროს სარწმუნოების მადლი ჩვენზეც გადმოდის. ვფიქრობ, ასე სავსე ცხოვრებით ვცხოვრობ, თითქოს ღმერთმა ჩამომაცილა ზედმეტი ტვირთი.

– აღარ ვამბობ რამდენი წლის ვარ, შვიდი წლის შვილი მყავს. დავიბადე ჩეჩნეთ–ინგუშეთში. მშობლები გადასახლებული ხევსურები იყვნენ. მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, ძირითადად მესაქონლეობას. დედა ძალიან ლამაზი იყო, მამა – მშრომელი, წიგნიერი. მახსოვს, სულ

ვაჟას გვიკითხავდა. საბოლოოდ დავსახლდით ქიზიყში. იქ დავამთავრე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე. ღვთის ნებით, მოვხვდი მიშა თუმანიშვილთან. შემთხვევით არაფერი ხდება, ბატონ მიშას ხუთ წელიწადში ერთხელ აჰყავდა ჯგუფი, რამაც განსაზღვრა ჩემი მომავალი. თუ რაიმე შევძელი, მხოლოდ დიდი მაესტროს წყალობით.

– **მეოცნებე თუ ხართ. პირველად როდის შეგიყვარდათ?**

– კონკრეტული პიროვნება დიდხანს არავინ მყვარებია. 14 წლისამ მოვიგონე, რომ მყავდა შეყვარებული. დავიწყე ფიქრი, სახელიც გამოვუგონე, ვუწერდი ლექსებს, ბარათებს, ვუამბობდი მეგობრებს... სასაფლაოს გვერდით ვცხოვრობდით. მახსოვს, სასულე ორკესტრით როგორ მიაცილებდნენ მიცვალებულს. ვიდექი ცრემლები ღაპა–ღუპით ჩამომდიოდა, როგორც ყველა ბავშვი ვიყავი თავისებური, მეოცნებე, მიყვარდა რაღაცეების გამოგონება, ვთხზავდი სიუჟეტებს.... დაისი იყო, მე–4 კლასში ვიქნებოდი პირველად რომ სარკეში ჩავიხედე და აღმოვაჩინე, ჩემი თმის, თვალების ფერი, თავი შევიგრძენი უცხო ადამიანად.

– ერთხელ ბატონმა მიშამ მითხრა – მზია, შენ ისეთი დარჩი, როგორიც თეატრალურ ცხოვრებაში შემოხვედიო. განსაკუთრებით მიყვარს სოფელი, ვხალისობ ბუნებაში.

– **მსახიობობაზე ოცნებობდით თუ შემთხვევით მოხვდით სცენაზე?**

– მაგან არ მომკლა! (კისკისებს, უხდება, უბრწყინავს ლამაზი თვალები. ისეთი შუქი იფრქვევა ირგვლივ, თითქოს მზემ გამოანათა მოღრუბლულ ცაზე). სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა „ქალი და მამაკაცი“ ვნახე. შემრცხვა, სულ ჭარხალივით ვიყავი წითელი, ხუთი თითი თვალებზე მქონდა აფარებული და ისე ვუყურებდი ეკრანს. თავს ვერ ვუტყდებოდი მსახიობი არავინ მყოლია. ის კი არა და, არც ერთი მსახიობი ახლოსაც არ მენახა. როგორც გითხარით, ფანტაზიორი კი ნამდვილად ვიყავი სულ რაღაცას ვიგონებდი. სულ ვიღაცას ვტიროდი, ვასაფლავებდი. ხან

თითქოს ტყეში ვარ, მინდორში ქვას არ დავტოვებდი არ ამეღო, არ მივალერსებოდი, თითქოს ჩიტი იყო. მიყვარდა როცა ყურადღების ცენტრში ვიყავი. 15 წლის ვიქნებოდი, აზერბაიჯანული სიმღერა რომ მოვიგონე და სცენაზე შევასრულე. მასწავლებლები ალაპარაკდნენ, ნამდვილი არტისტიაო.

– ... ჩემი ოცნებაა შევეხო ვაჟას. გელა კანდელაკი მუშაობს, სცენარს ვახტანგ როდონაია წერს. ეს იქნება ვაჟას სინთეზი, ვიცი, როდის უნდა ვიტირო, ვიცინო, როგორ უნდა ამოვთქვა ... „დამსეტყვე ცაო, დამსეტყვე“... ...„რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“. ნუ ჩამითვლით ამპარტავნობაში, რომ ასე ვესიტყვები დიდ მგოსანს; ალბათ, ესეც უფლის ნებაა, რომ დღეს ესხმება ხორცი ამ სცენარს, როგორ ესადაგება დღევანდელობას „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, ან „რამ შემქნა ადამიანად?“

– კარგად ვფლობ ხევსურულ კილოკავს.

– **რა განცდა გეუფლებათ, როცა სპექტაკლისათვის ემზადებით?**

– დაახლოებით ისეთი, როცა აბიტურიენტი გამოცდაზე შედის. ფეხს შევდგამ სცენაზე და მეხსნება ნერვიულობა, აღარ მინდა სპექტაკლი დამთავრდეს.

– **ვის თვლით თქვენს საუკეთესო პარტნიორად?**

– ვისთანაც მითამაშია, ყველნი ჩემი მეგობრები არიან. კინომსახიობთა თეატრის გარდა არსად მიმუშავია. რა თქმა უნდა, ნიჭიერ პარტნიორთან თავს განსაკუთრებით ლაღად ვგრძნობ. ასეთია, მაგალითად, ზურა ყიფშიძე „შუშანიკში“, ნინელი ჭანკვეტაძე „დონ–ჟუანში“. არა, არ გინდათ, ნურავის დააკონკრეტებთ, ნურავის გამოვყოფთ, ყველა ჩემი ახლობელია.

– **საკუთარ თავზე ჭორები გაგიგიათ?**

– არც ისეთი პოპულარული ვარ, ჩემზე საზოგადოებამ იჭორაოს. არაგამაღიზიანებელი მითქმა–მოთქმა ყოფილა, არავის შევუწუხებივარ.

– **მსახიობი რომ არ ყოფილიყავით, ვინ იქნებოდით?**

– იმდენ შვილს გავაჩენდი, რამდენიც გამიჩნდებოდა.

უაზრობაა უშვილოდ ცხოვრება, ქალად იმიტომ მოხველ, უნდა შვა. დედობა ღვთიური მადლია.

– **თქვენც ბატონი მიშას ხელდასხმული ხართ!**

– ინსტიტუტში შესვლის დღიდან მის გარდაცვალებამდე ბატონ მიშას არ მოვცილებივარ. ეს რა საშინელი სენი გვჭირს ქართველებს. ასე გვეგონა, ბატონი მიშა უკვდავი იყო.

– **თქვენი საუკეთესო როლი, სპექტაკლი. პირადად მე „წუთისოფელში“ აღმოგაჩინეთ, მოვიხიბლე, თქვენც ასე ფიქრობთ, რა იყო მანამდე?**

– რამაზ გიორგობიანის კინოფილმში „ლოლიტა“ მთავარი როლი შევასრულე და არც თუ ცუდი გამომივიდა.

– 14 აპრილს დედა ენის ამბებს დაამთხვიეს „შუშანიკის წამება“ (რეჟ. ნუგზარ ბაგრატიონი), მთავარ როლს ვასრულებდი, როცა ბატონმა მიშამ ნახა სპექტაკლი, აღფრთოვანდა. ჩემთვის ყველა როლი ერთნაირად საყვარელია, თუმცა შეიძლება ზოგი განსაკუთრებით მოგწონდეს ან გიყვარდეს. მაგალითად, „წუთისოფელი ასეა“ – პირველი ნახევარი მომწონს, მეორე ნახევარი მიყვარს. სიბერისკენ წასულ მზეხაში დედას ვხედავ, როგორი მიხვრა–მოხვრა ჰქონდა. როგორ საქმიანობდა. კი არ ვბაძავდი. ბუნებრივად ჩემს სხეულში ჩაბუდებული დედის სახება მჟღავნდებოდა. ბატონი მიშას სპექტაკლი ოღონდ ვყოფილიყავი, ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა ეპიზოდურ და მთავარ როლს.

– ... აღარ იდგმება სპექტაკლი, მოიხსნა! დამთავრდა, აღარ მენატრება, არ მტანჯავს ნოსტალგია, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.

– **როგორი დიასახლისი ხართ?**

– თავს ვერ მოვიწონებ, ვერ მოგატყუებთ, დილით იმ განცდით ვიღვიძებდე, მინდოდეს სამზარეულოში დაბზრიალება. საჭიროა და ვრეცხავ, ვგვი, სადილს ვაკეთებ, ჭუჭყში ხომ ვერ ჩავჯდები. საცივის გაკეთება მეზობელმა მასწავლა. მინდოდა, რომ მცოდნოდა, არც თუ ურიგოდ გამომივიდა. ხევსურ ქალს არავითარი ხელსაქმე

არ მეხერხება, ის კი არა, ხინკლის გაკეთება არ ვიცი. მიყვარს კითხვა.

– **რას გვეტყვის ქ-ნი მზია ოჯახზე?**

– არ მსიამოვნებს, როცა პირადულს მეკითხებიან, არც სხვისი პირადული ცხოვრება მაინტერესებს. ჩემს მოძღვართან ვარ გულგახსნილი. რა მოსაწონია, ათასობით მკითხველმა შენს სულში იფათუროს. ის, რაც არ მინდა სხვამ იცოდეს, მაინც არ ვიტყვი. მყავს შვიდი წლის შვილი ნინო იაშვილი, ლამაზი, ჭკვიანი ბავშვი. გვერდში მიდგას ბავშვის ბებია, ყოფილი დედამთილი, ჩვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი ქალბატონი ლამარა, რომლის ამაგს, ხელისგულზე ერბო-კვერცხი, რომ მოვუწვა, ვერ გადავიხდი.

– **რითი საზრდოობთ ამ შეჭირვების ჟამს?**

– უფლის მადლით, ეკლესიით, როცა ლოცულობ, ბედნიერი ხარ. თუმცა ძალიან გთხოვთ, ეს ფრაზა არა ამომიშალოთ – ვარ დამცირებული, შეურაცხყოფილი, დაწიხლული, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მიმატოვა ჩემმა ქვეყანამ, არა მაქვს ხელფასი, ასე მგონია, ჭიანჭველა ვარ და ვისაც უნდა, გამსრესს. თითქოს უცხო ქვეყანაში აღმოვჩნდი, ვერ ვიხდი ვერანაირ გადასახადს, მიბიძგებენ, ცუდი ჩავიდინო, მაგრამ ამას არ ვაკეთებ, მაძლებინებს და მაძლიერებს უფალი.

– **ხევსური მზია არაბული შურისმაძიებელი ხართ თუ დამთმობი, რომ დაგჭირდეთ, იარაღს თუ აიღებთ ხელში და რა შემთხვევაში?**

– ფეთქებადი ბუნება მაქვს, მაგრამ მიმტევებელი. წყენა ერთ დღეზე მეტ ხანს არ მიმყვება. გულში ბოღმას ვერ ჩავიტოვებ, რაც შეეხება იარაღს, იგი ეშმაკის მოგონილია, ბავშვის ხელშიც ვერ ვიტან სათამაშო თოფს, მით უმეტეს, როცა მორწმუნე ხარ.

– **რა არის სიყვარული?**

– ეს კითხვა ჩემთვის ორი წლის წინ რომ დაგესვათ, ვისაუბრებდი მიწიერ სიყვარულზე. დავიწყებდი დედა-შვილობით და ქალის და მამაკაცის სიყვარულით

დავამთავრებდი. ეხლა ასე ვიტყვი: „გიყვარდეს ღმერთი შენი, გიყვარდეს უფალი შენი, გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. სიყვარულის საწყისი ჩვენში უფალი უნდა იყოს. ყველანაირი სიყვარულია განსხეულებული ამ მცნებაში.

– **და მაინც, რა არის თქვენი გაგებით დედა-შვილობა?**

– დედობა ქალის მისიაა, უნდა შვას, აღზარდოს, დედა-შვილობა ცხოვრების მამოძრავებელი ღერძია. დედობას ღმერთი გვჩუქნის, თუმცა მიწიერნი მაინც ვცოდავთ – გონებით, სიტყვით, ქცევით, მოქმედებით, რათა ჯერ უნდა გიყვარდეს უფალი და მერე შვილი, ჩვენ კი ამ რწმენამდე ვერ ავმაღლებულვართ, პირიქით ვიქცევით, რომელსაც ჭეშმარიტი მორწმუნენი იშვიათად თუ დაუშვებენ.

2000 წ.

ბებია-შვილიშვილის გულახდილი საუბარი

*ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის უპრეცედენტოა ინტერვიუ შვილიშვილთან, ჩემს უსაყვარლეს **მედეასთან**. როცა დაწერა გადავწყვიტე მითხრეს, სად დაბეჭდავო, – არსად! იწერება ჩემთვის, ჩემი ოჯახის წევრებისათვის, ახლობლებისა და ნათესავებისათვის, ვისაც სურვილი გაუჩნდება – წაიკითხოს...*

... ასე ვფიქრობდი მაშინ.

– მედეა, საუბარი მინდა დიუმას სიტყვებით დავიწყოთ – „იმედი ყველაზე ძლიერი ექიმია, ის ყველაფერს კურნავს!“

– ჩემო ბებო, ვგრძნობ, ქვეშეცნეულად რაღაც გაწუხებს. შენი კითხვა, თუ სწორად გავიგე, გაინტერესებს ჩემი შეფასება საკუთარ თავზე, როგორი ხასიათი მაქვს!

სახალისო გამონათქვამია. ყველა პესიმისტი ადამიანი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტია, ანუ, ვარ საკმაოდ და სამწუხაროდ პესიმისტი, თუმცა ცალსახად ძნელია საკუთარი თავის ობიექტურად დახასიათება. გულწრფელი რომ ვიყო, ბუნებით ვარ საკმაოდ ცვალებადი. ზოგჯერ, სრულიად უმიზეზოდ სევდა შემომაწვება ხოლმე, ცუდად მოქმედებს ჩემს ირგვლივ მყოფებზე, რაც ჩემზე არ არის დამოკიდებული. ამაზე ბევრი მიფიქრია, მიდარდია კიდეც.

– ყველაზე ძალიან რაზე შეიძლება ინერვიულო, იფიქრო, ეს როგორ მოვინელოო?

– შემიძლია უმიზეზოდ, სრულიად დაუმსახურებლად ვაწყენინო საყვარელ ადამიანს. მიჭირს, როცა იძულებით ისეთ რაიმეს მავალებენ, რაც არ მინდა და არც მსიამოვნებს გავაკეთო. მერე ვდარდობ. მიყვარს ნათელი, მზიანი დღე, არაბურუსით მოსილი გარემო, ყოველთვის კარგად მოქმედებს ჩემს განწყობაზე.

– შენთვის ამ ასაკში (21 წლისაა) რა არის ბედნიერება,

დროს რაში კლავ?

– უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ხელოვნების ნებისმიერი დარგი: კინო, სპექტაკლი, კლასიკური მუსიკა, გამოფენა. შემიძლია გულით ვიტირო და ვიცინო კარგ კინოფილმზე.

– მქონდა რამდენიმე წერილი, ჟურნალ „საქართველოს ქალში“, წლობით იბეჭდებოდა რუბრიკით – „მამები და ქალიშვილები“, მინდა გკითხო, შენი თვალით დანახული და შეფასებული საკუთარი მშობლები?

– მშობლებზე ძვირფასი არავინ მყავს ამქვეყნად, თუმცა მათი ხასიათი და ბუნება განსხვავებულია ჩემგან. მამაჩემი ზედმიწევნით მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია, მისი გაუკეთებელი და დაუძლეველი თითქმის არაფერია. თუ რაიმეთი დაინტერესდა და მოჰკიდა ხელი საფუძვლიანად შეისწავლის. ამაზე არასოდეს მილაპარაკია. ეხლა რადგან მომეცა საშუალება, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მისი შესაძლებლობის მინიმუმიც ვერ იქნა გამოყენებული, ვერ დაიხარჯა ბოლომდე, ეჭვი არ მეპარება ქვეყანას დააკლდა ერთი წარმატებული სპეციალისტი, კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი, გინდ მეცნიერი. რაც შეეხება დედაჩემს, ის ნიმუშია ქართველი ქალისა, ოჯახის, ქმარ–შვილის დიდი ქომაგი და ავ–კარგის გამრიგეა. სამაგალითოა მისი დამოკიდებულება ქმრის ნათესავების მიმართ, მამამთილთან, მაზლთან, ბიძაშვილ-მამიდაშვილებთნ... ზედმიწევნით მიმტევებელი, გულჩვილი ადამიანია და არა კერპი, ჯიუტი და გაუტეხელი ხასიათის. დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, უარი თქვა სამსახურზე, არც უცდია, ჩვენ „შეგვეწირა“. ცხოვრებისეულ გამოცდილებაში მოვიკოჭლებ, თუმცა ბევრ რამეს ნათელ ფერებში ვხედავ და ვაფასებ.

– ფართოა შენი მეგობრების წრე, ვის გამოარჩევ მათგან?

– არა და არც ამის თქმის მეთაკილება. არ მჯერა,

როცა ამბობენ, ბევრი მეგობარი მყავსო. როგორ შეიძლება ჩემი ასაკის ახალგაზრდას უამრავი მეგობარი ჰყავდეს. სავსებით საკმარისია ერთი ან ორი. უნდა შეძლო მეგობრისთვის საკუთარი სიამოვნება დათმო, შეუძლებელიც გაიღო მათთვის. თუ საპასუხოს ვერ ვიღებ მათგან, ჩემთვის ეს უკვე ტრაგედიაა. ჭეშმარიტი მეგობარი სულ სხვანაირი წარმომიდგენია, გამორჩეული თვისებების, მეგობრისთვის თავშეწირული. ასეთად ჩემთვის მოიაზრება სალომე გუდავაძე. სუფთა, სპეტაკი სულის პიროვნება, ჩვენ ერთგული მეგობრები ვართ, მისთვის შემიძლია შეუძლებელი შევძლო...

– რას მეტყვი სტუდენტობის წლებზე, ეგ ხომ ოქროს ხანაა, მებრალებიან, ვისაც ეს განცდა არ ჰქონიათ, თანაც შენ პირველ წელსვე, პირველი ეროვნული გამოცდებით უპრობლემოდ ჩაირიცხე, პირველი არჩევანით, სპეციალობის არჩევაში გული ხომ არ გწყდება, უკმარისობის გრძნობა ხომ არ გეუფლება ხოლმე?

– მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება ნამდვილად მიყვარს და ბევრი რამ მესმის. 17–18 წლის ადამიანი არ არის მზად იმისათვის, სპეციალობა ზუსტად აირჩიოს. ჩემთვის ხელოვნებათმცოდნეობა არ ყოფილა ის რაზედაც ვოცნებობდი. მეგონა უნივერსიტეტში შევხვდებოდი ბევრ საინტერესო ადამიანს. არ გამიმართლა. დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღარ არის ის რაზედაც ჩემი უფროსი თაობები მიამბობდნენ. თუმცა, არ დამიკარგავს იმედი ეს დანაკლისი ავინაზღაურო. შესანიშნავად ვიცი რა მინდა, რა არის ჩემი მოწოდება, როგორ უნდა ვიცხოვრო.

– რას გაიხსენებ შენი ბავშვობიდან, შენ ხომ რამდენიმე წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდი, სწავლობდი ბერძნულ სკოლაში, რა მოგცა იმ წლებმა და რა დაგაკარგვინა?

– თავიდან გამიჭირდა. ექვსი წლის ასაკში ძნელია უცხოელ ბავშვებთან ადაპტირება, ენის შესწავლა, როცა ანა–ბანა არ გაგეგება. თუმცა, ექვს თვეში დავეუფლე

ბერძნულ ენას, როგორც ჩემზე ამბობდნენ, სკოლაში გამორჩეული ვიყავი, უცხო ენებისადმი ასე თუ ისე მიდრეკილი ვარ. ბავშვობა გამეყო. ზედაპირულად ნათქვამი როდია, ძნელია ამ ასაკში უცნობ გარემოში ადგილის დამკვიდრება, პირადი მეს გამოკვეთა. ამ ორ ქვეყანას შორის დიდი უფსკრულია. მეცოდება ყველა, ვინც უსამშობლოდ, საქართველოს გარეშე ცხოვრობს, სხვადასხვა მიზეზებით იძულებულია მოწყდეს მას. ჩვენ მართლაც გამორჩეული ერი ვართ მთელ სამყაროში, ეს ძნელზე ძნელი, ამოუწურავი თემაა ჩემთვის. მარტივად ვიტყვი – ევროპა ცივია, რაგინდ არ უნდა გაგიკვირდეს, მიუხედავად ჩვენი უკიდეგანო გაჭირვებისა, ქართველები მოჭარბებულად ჰუმანურები, თბილები, მეგობრულები, ამტანები, უამრავი მანკიერი თვისებების მიუხედავად მაინც სხვა ხალხი ვართ. სხვა ხიბლი, შინაგანი სამყარო, ადათ-წესები გვაქვს. სხვანაირი კუთხით უკავშირებენ ერთმანეთს სულიერებას, ამიტომაცაა ვინც ჩვენ გაგვიცნობს არავის უნდა ჩვენგან წასვლა.

– განსაკუთრებით მაინტერესებს შენი და შენი ძმის ურთიერთობა. ნათქვამია და-ძმისთვის, ძმა სხვისთვისო.

– ჩემი ძმა ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. პათეტური ნათქვამი არ გეგონოთ. ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, თუ საჭირო იქნება, მისთვის სიცოცხლესაც გავწირავ.

წარჩინებით სწავლობს ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში. ბევრს კითხულობს, სულ წიგნი უჭირავს ხელში. აქვს თავისი მოწოდება, ჩანაფიქრი, ყველა ზომას ხმარობს მის შესასრულებლად.

– ადვილად ინელებ წყენას, თუ ბუნებით მელანქოლიური, პესიმისტი ხარ, განცდები შენი ტოლა გოგონებისთვის არ არის უცხო.

– თუკი შეიძლება ადამიანი იყოს: კეთილი, პესიმისტი, ოპტიმისტი, ერთდროულად, ბედნიერი და უბედურიც, ასეთ პიროვნებას განვეკუთვნები. ვარ უზომოდ პესიმისტი და ოპტიმისტიც. დღემდე, ჩემი თავის ამოცნობის პროცესში

ვარ, ბოლომდე მაინც ვერ შემისწავლია, საკუთარი თავისა და თვისებების შეცნობა მიჭირს. ჩემნაირებს უჭირთ ცხოვრება. უმიზეზოდაც მიპყრობს ზოგჯერ მძიმე სევდა. საკმარისია, პატარა გრძნობის სიმის შერხევაც და მისწორდება განწყობა.

– შენი საყვარელი საქმე, მოწოდება, ხელოვნების დარგი, კინო, თეატრი, მუსიკა, წიგნი, კომპოზიტორი?

–ჩემო საყვარელო ბებო, შენი კითხვა, თუ სწორად გავიგე მრავალმხრივია. მაგალითად, არასოდეს არ მომწონდა ჯგუფი „რედიოჰედი“, როცა მოუწყენლად უსმენდა ჩემი ძმა გიორგი. ერთ მშვენიერ დღესაც, შემთხვევით, ჩემს მუსიკალურ „mp3“ პლეიერში აღმოვაჩინე, რომ ეს ჯგუფი ჩემია. არასოდეს ვყოფილვარ რისიმეს „ფანი“, არ მიყვარს ამ სიტყვის ხმარება, გამონაკლისს ვუშვებ ახლა, ამ ჯგუფის „ფანი“ ასე შემთხვევით გავხდი. დიდ სიამოვნებას მანიჭებს ჯაზი, მაგალითად ჰერბი ჰენკოკი, დიუკ ელინგტონი, კეიტ–ჯარეტი.... კინო ჩემი სრული კომფორტია. ვინც მიცნობს, ყველამ იცის ჩემი დამოკიდებულება კინოსადმი. დღეები შემიძლია ვიფიქრო ამა თუ იმ ფილმზე, მის რეჟისორზე. არ მერიდება, გულახდილად გითხრათ, კინო კარგად მესმის ფერებით, მუსიკით, კადრებით შემიძლია მისი სრულად აღქმა. რა თქმა უნდა ჩემი საყვარელი რეჟისორებია: ბერგმანი, ალმადოვარი, კიშლოვსკი, მიქელანჯელო ანტონიონი, ბოლო დროს გამიტაცა ვუდი ალენმა. ტიტრები მთავრდება, ვგრძნობ ეს ფილმი უთუოდ მომეწონება. ასეთ ფილმებს მოუწყენლად რამდენჯერმე ვნახულობ, ისე, როგორც ვკითხულობთ საყვარელ წიგნებს... ეს მაგონებს ქალისა და კაცის სიყვარულს, ვუყურებ მანამ, სანამ ბოლომდე არ ამოვწურავ. მოუწყენლად ვუყურებ დილამდე. ასეთია ჩემთვის ბერტოლუჩის „წარმავალი სილამაზე“ („სთილინგ ბიუთი“) შეიძლება კინო შედევრად არ ითვლება, გავითავისე იგი იმიტომ, რომ მისი მთავარი გმირი ლუსი, რომელსაც ლივ ტაილერი ანსახიერებს ჩემთან გავაიგივე.

... კინოხელოვნებაში დიდი ავტორიტეტი, კინო ლექტორიუმის „კინო და ხელოვანის“ ხელმძღვანელი, კინოგანმანათლებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრ-კოორდინატორი ვლადიმერ ტოგონიძე ერთ-ერთ ჟურნალში წერს; „მედეა შარიქაძე ამერიკული აკადემიის „მუვი კლაბის“ და რამდენიმე სტუდიაში ფილმების ჩვენების და განხილვის მუდმივი დამსწრე და მონაწილეა. ძალზე საინტერესოა მისი გამოსვლები ნანახზე მსჯელობის დროს, იგი განსაკუთრებული სიღრმისეული ცოდნით ხვდება რეჟისორის სათქმელს. გვაოცებს საინტერესო მსჯელობითა და მზერით. იგი უკვე მეტად დაბრძენებული, ფართო თვალსაწიერის მქონე პროფესიონალია“.

... მწერლებიდან მიყვარს გურამ დოჩანაშვილი, თუ რატომ, აქვე აგიხსნი. რომელი დარგიც არ უნდა იყოს, მომწონს ის შემოქმედი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სამყაროს შექმნა, შესწევს უნარი, სხვაც შეიყვანოს ამ სამყაროში. ასეთია ჩემთვის მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გურამ დოჩანაშვილი, მარკესი, ბორხესი, კაფკა, კამიუ...

– ძალიან გიყვარს და მუდმივი მომხმარებელი ხარ კომპიუტერის, რა მოგცა?

– კომპიუტერმა მომცა ყველაფერი, რაც მაინტერესებს. შემიძლია ვნახო ფილმი, წავიკითხო წიგნი, ვათვალიერო ნებისმიერი სამხატვრო გალერეები, მოკლედ, ყველაფერზე მოვიძიო ამომწურავი ინფორმაცია.

და კიდევ:

2007 წელს, „ნეშიონელიტ ჰუმანმა“ მომანიჭა ფოტოკონკურსის სერთიფიკატი. 2008 წელს ფოტო–კონკურსში – „ბათუმი მეტი, ვიდრე უბრალოდ ქალაქი“ პრიზი და ფულადი პრემია დავიმსახურე. 2009 წელს AIESEC (აისეკ) – ის პროგრამით ორი თვე ვიმყოფებოდი უნგრეთში. ეს ძალზე საინტერესო მსოფლიო მნიშვნელობის პროექტია, ახალგაზრდობა ახალგაზრდების შესახებ. საქართველო ამ პროგრამაში 2006 წელს ჩაერთო,

არსებობს 1952 წლიდან. ამ პროგრამიდან უამრავი ცნობილი ადამიანი მოვიდა პოლიტიკაში, მაგალითად: კენედი, ბუში, კლინტონი... ოთხი დღით ვიყავი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. ამომწურავად დავათვალიერე მთელი ღირსშესანიშნაობები, საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები, ძილისთვისაც არ დამიკარგავს დრო. ასევე მთელი გულისყურით მოვიარე ბუდაპეშტი. ახლახან ერთი კვირით გახლდით სომხეთში, გაიმართა „აისეკის“ კონფერენცია – გამოვედი სიტყვით და გავაკეთე პრეზენტაცია საქართველოს შესახებ. შემდეგ იყო ბაკურიანი – თემა, – გენდერული თანასწორობა. ჩემი პრეზენტაციები ეხება ქართულ ხელოვნებას, ფოლკლორს, ქვეყნის ისტორიას, რელიგიის უცხოეთში გატანის საკითხებს.

... ჩემს თვალში უბედურია ადამიანი, რომელსაც გამოკვეთილი ინტერესი არ გააჩნია, ზერელედ, ზედაპირულად ცხოვრობს ამქვეყანაზე, ფუჭად კარგავს დროს და ვერ გაუცნობიერებია ცხოვრების ხიბლი.

– სად იცხოვრებდი?

– ვიცხოვრებდი განმარტოებით. მექნებოდა კომპიუტერი, ქართული, რუსული და ინგლისური წიგნებით მდიდარი ბიბლიოთეკა. მიყვარს წყნარი ცხოვრება, არ მიზიდავს ხმაურიანი, ქალაქური, უაზრო ხორხოცი, თავშეყრის ადგილები, ღამის კლუბები... ვიხიბლები საინტერესო ადამიანებით, არ მწყინდება მათთან დროს გატარება. ჩემს წარმოსახვაში ჩემი ადგილი ტყის პირას, პატარა ტბის განაპირასაა, თუმცა ყოველივე ეს უტოპიურად მეჩვენება, რადგან ხშირად მიუწვდომელია ისეთი ცხოვრება როგორზეც ოცნებობ.

ჩემი მარადიული საქმიანობა არის ძიება, სულ რაღაცას დავეძებ: განათლებულ ადამიანს, მდიდარ ბუნებას ფოტოს შესაქმნელად, სახლს, თავშესაფარს, სიმშვიდეს, რაც მანიჭებს სრულ ჰარმონიას... და ისევ და ისევ თავისუფლებას, დააკვირდი ამ სიტყვას რაზე მიგანიშნებს (ძნელია იმ ადამიანის პოვნა, რომელიც ამოიცნობს რა

გიდევს გულში. მოეძალა ცრემლი, იძულებული გავხდი შეგვეწყვიტა საუბარი).

* * *

საუბარს ერთი თვის შემდეგ ვაგრძელებთ...

– პოლიტიკის ეპოქაში ვცხოვრობთ, პოლიტიკა გაინტერესებს?

– არანაირი პოლიტიკა არ მაინტერესებს. მითუმეტეს ქართული. ტყუილებით გაჯერებული. ის კი ნამდვილად მიკვირს, როგორ არ წყინდებათ ადამიანებს დაუსრულებლად პოლიტიკაზე საუბარი, უფრო მეტსაც გეტყვით, დღედაღამ როგორ მისჩერებიან ქართულ გადაცემებს, რას ჰგავს ჩვენი ტელეარხები.

– შენი ჰობი?

– ფოტოხელოვნება. ნერვები მეშლება, უკეთესი ფოტოაპარატის შეძენა რომ ვერ მოვახერხე. საკვირველია რაც ამ აპარატებით შევძელი. ყველაფერი ღვთის ნებაა, თავისით ხიდან ფოთოლიც არ ცვივა.

– აზარტული ხარ?

– არავითარი აზარტი, არანაირი თამაში არ მიყვარს, უფრო მეტიც, ყურებაც არავითარ სიამოვნებას არ მგვრის. ეს ინდიგო ბავშვების დამახასიათებელი თვისებაა, ვერ ეგუებიან ვერანაირ თამაშებს, 1987 წელს ვარ დაბადებული.

– მედეა, ჩემო ძვირფასო, მაინტერესებს შენი აზრი ჩემს მეგობრებზე, მათ შენ შესანიშნავად იცნობ, ვის გამოარჩევდი და რა ნიშნით?

– ძალიან მიყვარს ნათელო - მარინა, ე. ი. ლაპარაკია მარინე ტაბატაძეზე (რა ზუსტად შეარქვა ბელა დეიდამ – პოეტი და მთარგმნელი ბელა შალვაშვილი), ყოველმხრივ ნათელი პიროვნება. ადამიანის სული, ფიქრები, განცდა, პირადი მე, ტანჯული თუ გალაღებული არის მისი თვალები, როგორც ამბობენ სულის სარკე. ის გახლავთ ღრმა, ფაქიზი, სუფთა სულის ადამიანი, ზედმიწევნით მგრძნობიარე. რასაც ის მისი ძმისთვის აკეთებს არა მგონია კიდევ მეორემ შეძლოს. ჩვენს ირგვლივ თუ იმყოფებიან მისნაირი

ადამიანები, მათ განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ, სიამოვნებაა მათთან სიახლოვე, რამდენის სწავლა შეიძლება მათგან. ისეთებსაც შევხვედრივარ, ვერავითარ საერთოს რომ ვერ ნახავ, ეს უკვე ტანჯვაა, იძულებითი ურთიერთობა. თუ მარინა დეიდას მსგავსი ერთიც კი გყავს, გიხალისებს ცხოვრებას, გავსებს და გაბედნიერებს, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ასაკობრივ ბარიერს. მყავს თბილი, კეთილშობილი დედა და ბებია.

... დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის, გუშინ, ინტერნეტში მოვიპოვე ინტერვიუ ვუდი ალენთან. ფილმის სცენარი, რეჟისორი, მთავარი გმირიც თავადაა. ჯანსაღი იუმორით, ინგლისურად მიდის მთელი ინტერვიუ, აშარჟებს საკუთარ თავს, სიტუაციას, კორესპონდენტსაც. სრული ბედნიერებაა ამის ნახვა და მოსმენა. არ არსებობს ადამიანის გამოცნობაში შევცდე. ინტერნეტითაც კი ვგრძნობ მის ხასიათს, შინაგან თვისებებს, ვგრძნობ როგორი აურა აქვს. იშვიათად, შემთხვევით გაცნობილმა დამაინტერესოს. თუ მომეწონა, ვცდილობ ფრთხილად მივუახლოვდე, ვინც ჩემზე მეტი იცის, არის ნაკითხი, ღრმა და შინაარსიანი, ზუსტად ასეთია ჩემთვის ჩემი საყვარელი მარინა დეიდა. ბევრი სიამოვნება, ნათელი წუთები მომანიჭა. ის ჩემთვის ინტელექტის მეტრია. თუ ბედმა გამიღიმა და კიდევ სხვა მისნაირ ადამიანს შემახვედრა ვიქნები ბედნიერი. ალბათ საცოდავად გამოვიყურები გარემოცვაში, სადაც უინტელექტო ადამიანები გაუჩერებლად საუბრობენ უინტერესო თემებზე. სასტიკად არ მიყვარს ჭორაობა და არც მოსმენა.

– მედო, გამოთქმაა – „სიმდიდრე ამპარტავნობას ბადებს, ამპარტავნობა უგუნურებასო“.

– მხიბლავს და ვაფასებ უბრალოებას, ბუნებრივობას და არა მარტივს, ე. წ. პრიმიტიულ ადამიანს. სწორედაც გენიალურობა უბრალოებაშია. შეუძლებელია გარემომ გარკვეულ წილად არ იმოქმედოს ადამიანის შინაგანი

სამყაროს ჩამოყალიბებაზე. ხომ გაგიგიათ – მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ! სასაცილო და გამაღიზიანებელია სიმდიდრით თავრეტდასხმული, გაამაყებული, სასოწარკვეთილი ადამიანი, გულწრფელად საცოდავი. არანაირ სიმპათიას არ იწვევს ხელოვნურად გადაპრანჭული, მოჩვენებითი ბუნებრივი, ეს სიყალბეა. უმეტესწილად რასაც ვფიქრობ იმას ვლაპარაკობ, იქნებ ამიტომაც არ მყავს ბევრი მეგობარი. იქნებ ბევრს შორიდან უკარებაც ვგონივარ, მებრალება ავადმყოფი, მათხოვარი, შემიძლია მათთვის ბოლომდე დავიხარჯო, გავიღო ბოლო კაპიკი, იმ დონემდე, რომ ტრანსპორტის ფულიც არ დავიტოვო. ერთხელ ასეთი კურიოზიც შემემთხვა, პატარა მაწანწალა ბავშვს რუსთაველის პროსპექტზე ფული ჩავუდე მუჭში, დამესხნენ თავზე მისი ამფსონები, ფეხქვეშ კინაღამ გამიგდეს, გამვლელები რომ არ მომშველებოდნენ. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე, ასეთების მიმართ გულგრილი მაინც არა ვარ.

– ან კიდევ, „იქ, სადაც ფულია, კეთილ სიტყვას და სილამაზეს ადგილი არა აქვსო“.

– ვერ დაგეთანხმები. გააჩნია ადამიანს, როგორ იყენებს ფულს. მთავარია მისი ზუსტი დანიშნულება და ხმარება იცოდე. ფული იმიტომ მინდა მქონდეს, რომ ჩემი ოცნებები ავისრულო, ცხოვრება ავიწყო, ჩემს ახლობლებსაც დავეხმარო, რაც მომანიჭებს სიამოვნებას. სულის შემძვრელია ამდენი ავადმყოფი ბავშვი, შეძლებისდაგვარად მათთვის არაფერი მენანება. გადასახდელი მადლი არ მწამს. ფულზე საუბარი მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, ფული ყველას ერთნაირად გვჭირდება.

– ხალხური სიბრძნეა – „გამცემი ხელი ცარიელი არ დარჩებაო“.

– ამაზე, ზემოთაც მოგახსენე, დავამატებ, ჩემთვის დიდი სიამოვნებაა ადამიანს დაეხმარო ანონიმურად. თუ რაიმე სიკეთეს აკეთებ უნდა იყო ჩუმად, უხმაუროდ, აფიშირების

გარეშე. თუ ჩემი ოცნება ავისრულე, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება, რამდენიმე ადამიანი მყავს ვისაც უზომოდ პატივს ვცემ, ვოცნებობ მათზე ზრუნვა შევძლო, მაშინ ასეთი ხელი რა თქმა უნდა არასდროს დაცარიელდება.

– არის შემთხვევა, როცა გიცოდებენ?

– ეს ჩემთვის საშინელებაზე მეტი საშინელებაა. რა უბედური ხარ, როცა საკუთარ თავს საცოდავს და უბადრუკს წარმოგიდგენენ. არამც და არამც თავმოყვარეობა არაფრით არ უნდა შეილახოს ადამიანმა, მაშინ ცხოვრებაც აღარ ღირს.

ჩვენ ვსაუბრობთ ზოგად თემებზე...

ბებო, ჩემო საყვარელო, ჩემო გულითადო მეგობარო, შენ როგორც გესიამოვნება და რაც გინდა მკითხე, შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილებ შენს პროფესიულ ცნობისმოყვარეობას – მპასუხობს მედეა. (ჩემთვისაც ბედნიერებაა მასთან ხანგრძლივად ყოფნა, ნებისმიერ საკითხზე მსჯელობა, მხიბლავს მისი განათლების დონე, სიღრმისეული მსჯელობა, რაც იცის ბოლომდე სრულყოფილად იცის, რაც არა, იმასაც ალალად გეტყვის, არ ერიდება.

* * *

მედეა სამ კვირაზე მეტია უნგრეთში იმყოფება, კოლეჯში ატარებს ლექციებს. სიტყვით გამოვიდა უნგრეთის ტელევიზიით. გამართა რამდენიმე პრეზენტაცია, თემები ეხება საქართველოს ისტორიას, წარსულს და დღევანდელობას. ხელოვნება, დამწერლობა, ფოლკლორი...

* * *

ჩემს ბიბლიოთეკაში, შემთხვევით, თაროზე წავაწყდი მედეას რვეულს, გარეკანზე აწერია „ანტიკური ხელოვნების ისტორია“. ვფურცლავ, ვფურცლავ, რას არ შეხვდები აქ. ცოტა რამ ანტიკურ ხელოვნებაზე. ჩანაწერები რუსულად, ინგლისურად, ქართულად... ზოგს ვიგებ, ზოგს ვერა, მაინც ვფურცლავ მოუწყენრად ასგვერდიან რვეულს.

საინტერესო წასაკითხია. ულამაზესი კალიგრაფიითაა ნაწერი, ჩემი ცხონებული მამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლამაზი ხელწერის კულტურას (თავადაც უჭრიდა კალამი). აქვეა ჩანაწერები, განცდები, ჩანახატები, გატაცებები, მელანქოლიაც გამოსჭვივის ზოგან, რაც მზარავს და ზედმეტად მაფიქრებს. მედეას პოეტურ სულზე ვიწყებ ფიქრს, მისი სულის სიმებს ვეხები. ის არავის არ ჰგავს.

შიგადაშიგ ჩანახატებიცაა. ამ ასაკში თითქმის ყველა, ვისაც ფაქიზი სული აქვს წერს დღიურებს, ლექსებს, დაფარულ, გაუმჟღავნებელ განცდებს ინიშნავენ. აქ კიდევ უფრო სიღრმისეულ განწყობილებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ბოლომდე არავინ ვიცნობთ მედეას სულს. როგორ მტკივა გული, რომ ნარგიზა მგელაძე აღარ მყავს, როგორი გვერდში დგომა იცოდა. სულ პატარა იყო მედეა, ათიოდე წლის, პატარა ინტერვიუ ჩამოართვა, ბერძნული ჟურნალიდან მისი თარგმანებიც დაბეჭდა ჟურნალში და მითხრა, დაიმახსოვრე, მედეა არ არის ჩვეულებრივი ბავშვი, გაუფრთხილდით იმაზე მეტია, რაც ამ ასაკისანებს ახასიათებთ, მის სულში უთუოდ განსაკუთრებული ნიჭი იგრძნობა, არც ბერძნული ენა დაავიწყოთ. ემჩნევა სათანადო დონეზე იცის. ეს ისეთივე შეცდომა იქნება ერთი მუჭა ოქრო, მტკვარში რომ გადაყაროთ. ჩემო საყვარელო ნარგიზა, თქვენ ადამიანების, გამორჩეულად, ახალგაზრდების შეცნობაში ბადალი არ გყავდათ, მისხალი ცდომილება არ მოგდიოდათ.

... ასევე ჩემმა საყვარელმა მეგობარმა, პოეტმა და ჟურნალისტმა, „მზითვის წიგნის“ ავტორმა, უსათნოესმა ლინა ბარათაშვილმა გულისხმიერებით, სიყვარულით მომადლებული წერილი გამოაქვეყნა მედეაზე საბავშვო გაზეთ „ნერგში“. მადლიერების გრძნობით ვიხსენებ სახელოვანი, ცნობილი ადამიანების დიდ ყურადღებას ციცქნა გოგონასადმი, ღმერთმა არ მოგვიშალოს მათნაირი კეთილშობილური უანგარო დამოკიდებულება.

ქ–ნი ლინა ისევ მიუბრუნდა მედეას. უნგრეთიდან დაბრუნებისთანავე ბევრის მომცველი, ზედმიწევნით აკადემიური წერილი, უფრო სწორად ნარკვევი დასტამბა „ხელეურში“, შემდეგ ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულში“. მადლობის სიტყვები არ მყოფნის, ჩემთვის, ამაზე დიდი საჩუქარი არ არსებობს.

* * *

მედეა უკვე თბილისშია, ვაგრძელებთ ჩვეულ საუბარს:

– რა არის შენთვის მცნება – სამშობლო, ერი, დედა ენა, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა – „ენა, მამული, სარწმუნოება“, როგორ აღიქვამ შენი მამულის ბედს?

– ყოველივე ამის გაცნობიერების შანსი ორჯერ მომეცა. იქნებ ეს იყო ჩემი ბედისწერა. პირველად, როცა ექვსი წლის ასაკში ხუთი წელი საბერძნეთში მომიწია ცხოვრება, ახლა კი მოკლე ვადით, ორიოდე თვით მოვწყდი სამშობლოს, მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ამანაც გარკვეული კვალი დაამჩნია ჩემს პიროვნებას, ახლა კი უფრო ღრმად შევიცანი რა არის სამშობლოს, ოჯახს, მშობლებს, ახლობლებს გარიდებით იცხოვრო. ეს დიდი სკოლაა. ვურჩევ ყველას, გარკვეულ ასაკში ეწიონ დამოუკიდებლობას, რათა უკეთ გაერკვენ საკუთარ შესაძლებლობებში, შესძლონ დამოუკიდებელი ცხოვრება, სხვანაირად ძნელია ჭეშმარიტ პიროვნებად იქცე. წარმოიდგინეთ დღევანდელი ახალგაზრდა, დედის ან მამის კალთას ჩამოკონწიალებული რა საცოდავი, უსუსურია, მისგან არა მგონია ერის, მამულის სიკეთის მკეთებელი დადგეს ოდესმე, ვერც თავს არგებს. ეს ბუნების კანონია, ამას ცხოველები და ფრინველებიც შესანიშნავად აგვარებენ...

დავინახე ბევრი რამ, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი, უფრო მეტად მომენატრა აქაურობა, ვიდრე პატარაობისას. კონტრასტი დიდია ევროპასა და საქართველოს შორის, ეს თითისტოლა ქვეყანა მართლაც გამორჩეულია. ყველა ღონეს ვხმარობ, რაც შეიძლება საკუთარი თავი ვსრულვყო. ერთს კი ვამჩნევ – ჩვენი სამშობლო მცდარი გზით მიდის,

ჩვენი ლიდერები ცუდ მაგალითს გვიჩვენებენ. სიტყვით არაფერი კეთდება. ჩვენ გვჭირდება საქმე, რომ თავი გამოვიჩინოთ და ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ. არ შეიძლება ერთი კაცი წყვეტდეს ყველაფერს, რაგინდ ბრძენი იყოს. უნდა გვყავდეს გუნდი, რომლებიც დღედაღამ იფიქრებენ არა პირად კეთილდღეობაზე, არამედ სამშობლოს ბედზე. უნდა აწუხებდეთ ადამიანების ყოფა. კი ბატონო, ევროპას მივბაძოთ კარგში, პოზიტიურში. იქ ყოფნისას თვალნათლივ შევიცანი, სულ ფიქრობენ შენებაზე, წინსვლაზე, იგრძნობა თვალის ერთი შევლებითაც. რარიგ გულსატკენია, დიდი პოტენციის ერი ვართ, დასანანია ამდენი მღლეტელ–მძარცველი რომ შემოგვეჩვია. მაგალითად, დიდი კულტურის, დიდი ტრადიციების მქონე ბერძენი ერი დღეს აღარ არსებობს, ისე გადააგვარეს და შთანთქეს მეზობელმა მტრებმა, ლამის ბოლომდე წაშალეს. ჩვენ საუკუნეების მანძილზე ვერცერთი თავდამსხმელი ვერ მოგვერია, გადავრჩით, ამიტომ ამბობენ ღვთისმშობლის წილხვედრი ვართო. ვიოცნებოთ, გამოჩნდეს ჭეშმარიტი ეროვნული გუნდი, ლიდერი, ეს თუ გვიშველის.

– სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ერთი წუთიაო ამბობენ.

– ჩვენ მართლმადიდებელი ერი ვართ. ჩვენი სარწმუნოება ქადაგებს სიყვარულს. ერის გადარჩენის გზა სიყვარულია. სიკვდილის გაადვილებას სიყვარულით გვიმსუბუქებს ბიბლია. გვასწავლის სულის მარადიულობას. ადამიანს ეშინია გაუგებრობის, ეკრძალვის იმას რაც არ იცის, ამაში გვეხმარება სარწმუნოება, გვასწავლის, სიკვდილი არაა წასვლა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, გარდაცვალება მხოლოდ მდგომარეობის შეცვლაა. გულახდილად გეტყვით, ჩემი შეხედულება ამაზე ჯერჯერობით ბუნდოვანია.

– ვაჟას სიტყვები – „ლამაზ ქალს, ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთადა“, მაინტერესებს შენი აზრი სილამაზეზე.

რაში ხედავ ჭეშმარიტი სილამაზის აზრს?

– ვაჟაზე უკეთესად ვინ რას იტყვის. ლამაზი ქალი ერთობ ყველასთვის სასიამოვნოა, თუკი მას გონება და აზრიც ლამაზი აქვს, ასეთი სრულყოფილება სასწაულებრივად კიდევ უფრო ლამაზია. ადამიანი ისეთივეა როგორც ფიქრობს და აზროვნებს. ხორციელ სილამაზეს ვეტრფი, თუკი ამის მიღმა დავინახე უნიკალური, არნახული, არ გაგონილი ხიბლი, ის ჩემთვის ყველაფერია, რა თქმა უნდა ვეტრფი ყოველგვარ ლამაზს, მშვენიერს: ქალი, კაცი, ყვავილი, შემოქმედებითი ტილო, ბუნება, ცხოველი... არა აქვს მნიშვნელობა...

– ჩემო საყვარელო, მედეა, ამ ცოდვილ დედამიწაზე, რამდენი სიბილწე, სიყალბე ბოგინობს, მიფიქრია, რა გვიცავს, როგორ არ იღუპება კაცობრიობა-მეთქი?

– ბოროტება უგუნურებაა, სხვა არაფერი. რასაც დასთეს იმას მოიმკი. ბოროტება ბოროტებითვე ბუმერანგივით უბრუნდება ავის მთქმელსა და მომქმედს, ასეთია სწორი ცხოვრების კანონი.

– ამ დღეებში ერთი პროზაიკოსის ნაწარმოებს ვკითხულობდი, წავაწყდი ასეთ ფრთიან ფრაზას – „პროზა მკითხველს ტანსაცმელივით უნდა მოერგოს“, შენი აზრი მაინტერესებს, შენ, როგორც ინდიგო–კრისტალი, ლიტერატურის რომელ ჟანრს გამოარჩევ?

– ჩემო საყვარელო ბებო, სიბერე ხომ არ წამოგეპარა?! (იცინის), ეს არის სპარსი მწერალი ქალის გოლით თარაყის ნაწარმოები. მეც ახლახან წავიკითხე. ვეთანხმები გოლითს. პროზის მოსარგებად არა აქვს მნიშვნელობა ასაკს, ცენზს, განათლებას, ყველასთვის ხელმისაწვდომ, გასაგებ ენაზე უნდა იყოს დაწერილი. ასეთია ჩემთვის მაგალითად მიხეილ ჯავახიშვილი, გალაქტიონი, გამორჩეულად მიყვარს „თოვლი“, ლეონიძის პოეზია და პროზა... დიდი ადამიანები, განსაკუთრებით შემოქმედნი, წილნაყარნი არიან ღმერთთან, ამბობენ თამამ ფრაზებს, შემოქმედთა ქმნილებები იწვევს სიყვარულს, მოწიწებას -

მათდამი...

– მურმან ლებანიძის სიტყვებით მოვრჩეთ მწერლობაზე საუბარს, რომელმაც ასე გამოხატა ლექსის არსი და დანიშნულება – „ლექსი სამეფო ხილია და რჩეულთა ხვედრი“.

– შესატყვისს ვერაფერს გეტყვი ახლა, დავტოვოთ უპასუხოდ, დროის დეფიციტი მაქვს. მოგვიანებით მოვიფიქრო იქნებ რაიმე.

– მედეა, შედეგიანი იყო შენი ამჟამინდელი ვიზიტი ევროპაში, თითქმის ერთი თვეა რაც ჩამოხვედი, ამ გადასახედიდან რას მეტყვი?

– მოგზაურობა ვისაც უყვარს მისთვის სიცოცხლის ელექსირია, საკუთარ თავში ახალ რაღაცეებს აღმოაჩენ. მუდამ სიახლის ძიებაში ვარ, რაც მოგზაურობაში თვალნათლივ ხელშესახებად მჟღავნდება. ვფიქრობ ჩემი სულიერებიდან ახალ ახალი თვისებები ამოვქექო. რაც მეტს მოგზაურობ, მით მეტს იძენ. მოგზაურობაზე კარგი ამქვეყნად არაფერია. AIESEC (აისეკი) ეს არის პროექტი - სტუდენტები სტუდენტებისათვის, ანუ სტუდენტური გლობალური ორგანიზაცია, 107 ქვეყანაში ფუნქციონირებს, ჩვენ მესამე წელია ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ვართ. ორგანიზაცია ხელს უწყობს ახალგაზრდების, უფრო ზუსტად ოცდაათწლამდე ახალგაზრდების პოტენციალის გამომჟღავნებას და რეალიზებას, რაც ჩემთვის ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა.

– რა ჩანაფიქრი, გეგმები გაქვს, როგორ გესახება მომავალი, ე. წ. ხვალინდელი დღე?

– მინდა, თუ რაიმე პოტენციალი გამაჩნია, გზა მიეცეს, ვგრძნობ, ნამდვილად მაქვს. ყოველგვარი ამბიციის გარეშე ვამბობ. ამის რეალიზება აუცილებელია. მინდა გავაკეთო ფოტო–გამოფენა. საკმაოდ ბევრი ფოტო დამიგროვდა.

... ჩემი ოცნებაა მყავდეს შვილები, ვიყო კარგი დედა, ვიცი როგორი მშობელი უნდა ვიყო. ამაში დედაჩემი

ჩემი მაგალითია. ბავშვის აღზრდა ძნელზე ძნელია. მისი მონაცემების, მიდრეკილებების ამოცნობა. დაბადებიდანვე იგი პიროვნებაა, მოვლენებისა და განწყობილებების მიმღები. დედა უნდა იყოს განსწავლული, ზომიერად გაწონასწორებული, ფსიქოლოგი, ნაკითხი ე. წ. წიგნიერი, რათა შვილს მისცეს ყველაფერი, რაც მის სრულყოფილ, სულიერ და ფიზიკურ აღზრდას ესაჭიროება.

25. 01. 2009 წ.

P. S. მედეა შარიქაძე 2011 წელს გახდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის GIPA მაგისტრანტი, როგორც წარჩინებული სტუდენტი ორი წლით დააფინანსეს. მაშინ ინსტიტუტის რექტორი ამჟამინდელი პრეზიდენტი ბატონი გიორგი მარგველაშვილი გახლდათ. დამთავრების შემდეგ მიენიჭა საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხი; მიიღო საკმაოდ სოლიდურ კონკურსში მონაწილეობა. ამჟამად მუშაობს საქართველოს ბანკის სათაო ოფისის შიდა კორპორაციული მართვის სამსახურის პროექტების მენეჯერად.

ნანული (ემა) ბუკია

დაამთავრა თბილისის 57–ე საშუალო სკოლა. მაშინდელი პუშკინის, ახლანდელი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში: კორექტორად, ტექნიკურ რედაქტორად, განყოფილების გამგედ. მისი ნარკვევები, ჩანახატები, რეპორტაჟები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალებში: „საქართველოს ქალი“ „დროშა“, „ბოლგარსკაია ჟენშჩინა“ – „ჟენეტა დნეს“, „ქაროზი“, „ფუძე“; გაზეთებში – „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „სოფლის ცხოვრება“, „ქალთა გაზეთი“; გადაცემები - რადიო–ტელევიზიით.

ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და წარმატებული მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

დაჯილდოებულია: ღირსების მედლით, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომით;

არის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი.

სარჩევი:

წინასიტყვა ---------- 3

ხილული და ციური საქართველოს დამამშვენებელი ------ 5

მეუღლე----------13

საქართველოსთვის დაბადებულნი----------19

მთავარი თემა ----------25

ღვთის რჩეული ქალბატონი ----------30

უთვალსაჩინოესი მეცნიერი და მოქალაქე----------34

„მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც“... ----------40

მ ა მ ა ----------46

სახელმწიფო მუზეუმის გადამრჩენელი----------53

ამ სახლს რომ სტუმრები ჰყოლია----------60

არ მინდა გეჩხუბო, მინდა მიყვარდე... ----------66

სიამაყეა ჩემი ნაკლიცა და ღირსებაც ----------76

სულის გადარჩენა სიყვარულს შეუძლია----------84

გულით თუ არ იწამე...----------94

რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს ----------99

ქართველი ქალი – პარიზის საპატიო მოქალაქე ---------- 106

ლამაზი თვალით დანახული სამყარო---------- 110

დაუვიწყარი შეხვედრები ---------- 116

დავდგეთ შურზე მაღლა---------- 121

ორი მაესტროს წყალობით ---------- 127

ღირსეული მამულიშვილის ღირსეული მემკვიდრე ------ 132

კალატოზოვის დაბრუნება საქართველოში---------- 137

სიყვარული საუკეთესო წამალია ---------- 142

„იავნანა“ - კეთილი მეგზური ---------- 148
ნუცა ---------- 153
მსახიობობა პროფესია კი არა, მძიმე ხვედრია ---------- 161
ბალეტი... მაგრამ მაინც თეატრი ---------- 167
ჩემი ვარსკვლავი გაბრწყინდება ---------- 176
ადამიანი ერთ მუზას უნდა ემსახურებოდეს ---------- 181
ვისთვისაც მთავარია ოჯახი და მედიცინა ---------- 190
პედაგოგებად იბადებიან ---------- 199
მანანადან – „ოქროს არწივამდე“ ---------- 204
მუდამ ვერ იქნები პოპულარული ---------- 209
რწმენა სიყვარულიდან მოდის ---------- 214
სიკეთე ჰქმენ! ---------- 220
ხე ნაყოფით იცნობა ---------- 225
დიდი ოჯახის შთამომავალი ---------- 232
თუ გინდა იყო ბედნიერი, გადაარჩინე ადამიანი ---------- 236
ლეილა სიყმაშვილს მრეცხაობა სურდა
და სცენაზე აღმოჩნდა ---------- 243
მსახიობის სარფიანი ჰობი ---------- 248
დედის ბედი–ქალიშვილს ტახტადაო... ---------- 255
ცაცო ---------- 259
მზია არაბულს არ უყვარს,
როცა პირადულზე ეკითხებიან ---------- 263
ბებია-შვილიშვილის გულახდილი საუბარი ---------- 269